დეკანოზი ალექსი უმინსკი

ოქროიგების საიდუმლო

ეს ესე ჩემი მოგზაურობა იყო და გაცოცხლდა,
წარწყმედილ იყო და იპოვა

წიგნი ალსარებისა და სინანულის შესახებ

დეკანოზი ალექსი უმინსკი

შერიგების საიდუმლო

წიგნი აღსარებისა და სინანულის შესახებ

თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერი
2016

დეკანოზ ალექსი უმინსკის წიგნი აღსარებისა და ზიარების შესახებ მოგვითხრობს. ეს არ არის უბრალო დამოძღვრა, თუ როგორ უნდა მოემზადო ამ საიდუმლოებებისთვის, იგი მეტად მნიშვნელოვან პრაქტიკულ რჩევებს გვიზიარებს ხშირი აღსარებისა და ხშირი ზიარების შესახებ, გვასწავლის, რომ დაუშვებელია ცოდვისადმი ჰიპერტროფიული შიში, რომ ჭეშმარიტი სინანულისთვის მთავარი დაბრკოლება საკუთარ თავთან სიცრუეა.

ალექსი უმინსკის საუბრები გულიდან გამომავალი ცოცხალი სიტყვებია. ცხადია, რომ ავტორი ფლობს ადამიანური ურთიერთობის ხელოვნებას. იმედია, წიგნი მართლმადიდებელ ქრისტიანს დაეხმარება, რომ უფრო ღრმად გაიაზროს თავისი მონაწილეობა სინანულისა და ზიარების საიდუმლოებებში.

ISBN 978-9941-0-8859-9

თავი I

სიტყვა „შემინდე“ სძლევს სატანას

ჰოი, ძმებო, შეინანეთ, სანამ ჯერ კიდევ დროა. სთხოვე და შეგინდობს უფალი.

ღირსი სილუანე ათონელი

დიდია ადამიანის ღირსება

დიდია ადამიანის ღირსება. შეხედე, რანი არიან ცა, დედამიწა, მზე და მთვარე; მაგრამ უფალმა მათში კი არა, ადამიანში ინებ-ება დავანება.

ღირსი მაკარი დიდი

უფალმა დანერგა სამოთხე და იქ ადამიანი დაასახლა, ამ მშვენიერებას რომ დაუფლებოდა. სამოთხეში ყველაფერი ადამიანისთვის არის შექმნილი. უფალი თავის უცვალებელ სავსებაში თვითკმარია, მას არაფერი სჭირდება – არც ადამიანი, მაგრამ თავისი განუზომელი სიყვარულის გამო ქმნის მას, როგორც სამყაროს ცენტრს, ანიჭებს თავის ხატს, აძლევს აგრეთვე ყოველივე ხილულსა და უხილავს, რათა ადამიანი ფლობდეს ამა სოფელს, უფრთხილდებოდეს მას, ღმერთთან ურთიერთობაში სრულყოფისაკენ მიილტვოდეს და თავის გარშემო სამყაროსაც ცვლიდეს.

სამოთხეში ყველაფერი ადამიანს ეკუთვნოდა, მათ შორის ხე კეთილისა და ბოროტის ცნობადისა, მაგრამ ღმერთმა კაცს უცნაური მცნება მისცა – მას შეეძლო სამოთხის ყველა ნაყოფი ეგემა, გარდა ცნობადის ხის ნაყოფისა. და უთხრა უფალმა ადამიანს: „რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკვდილით მოკვდეთ“ (დაბ. 2,17).

თითქოს უცნაურია: კაცი ხომ სწორედ იმისთვის არის შექმნილი, რომ სოფელს დაეუფლოს, საკუთარი თავი და სამყაროც გააცნობიეროს – მაშ, რატომ არ უნდა შეეხოს იგი ამ ხეს? როგორღა უნდა შეიცნოს, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება? მაგრამ უფალმა ბრძანა: „არ შეეხო! არ იგემო“! რატომ? იმიტომ, რომ სიკეთე და ბოროტება სხვადასხვაგვარად შეიმეცნება.

თუ დავუფიქრდებით, სამოთხეში სიკეთე ადამისთვის სავსებით მისაწვდომი იყო: მთელი სამყარო, რომლის შესახებაც უფალმა თქვა: „და აჰა კეთილ ფრიად“ – მის წინაშე იდო. თვით ღმერთი იყო ადამიანთან, ესაუბრებოდა, თავისი შეცნობის, თავისკენ სწრაფვის, დაბოლოს, მასთან მიმსგავსების შესაძლებლობას აძლევდა, რათა განეხორციელებინა კაცის უმაღლესი დანიშნულება – გამხდარიყო ვითარცა ღმერთი, თავად ღმერთი.

ღმერთის ჩანაფიქრი ადამიანის, მისი პიროვნების, ღირსებისა და თავისუფლების შესახებ იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანს სიკეთის ძალა და სიდიადე შეეცნო, მისით აღვსილიყო, საკუთარ თავში ეგრძნო სიკეთე და მასთან მუდმივი ზიარების გზით ბოროტების დაძლევის ძალა და შესაძლებლობა მისცემოდა, ისე რომ ბოროტებას არ ზიარებოდა. აკრძალვა სწორედ რომ ბოროტებასთან ზიარებას ეხებოდა, მასთან წილნაყარობას. იგემებ და სიკვდილით მოკვდები – გააფრთხილა უფალმა, იცავდა რა მომაკვდინებელი საფრთხისაგან თავის ჯერ კიდევ განუმტკიცებელ ქმნილებას. მას შემდეგ, რაც საკუთარ თავში ღმერთთან ზიარების გზით ღვთის ხატს გამოავლენდა, ადამიანს სიკეთით უნდა დაეძლია ბოროტება: კი არ ზიარებოდა ბოროტებას, არამედ სიკეთითა და სიყვარულით დაემარცხებინა. ადამს, რომელსაც სიკეთე ჯერ არ ეგემა და არ შეეცნო სრული სავსებით, არ უნდა შეეცნო ბოროტება მისი ნებისმიერი სახით, და მით უფრო არ უნდა ეგემა იგი.

ესაა უცვალებელი კანონი ადამიდან ვიდრე დღევანდელ დღემდე: თუ ადამიანი ბოროტებას შეიცნობს მასთან ზიარების გზით, უმალვე ითვისებს ამ ბოროტებას, უერთდება მას და იძლევა მისგან. ცნობადის ხის ნაყოფის აკრძალვა მარხვის წინასახეა და მის სიღრმისეულ აზრს წარმოაჩენს. ხე ცნობადისა არის ხე განმასხვავებელი, ხე სიკეთის მიერ ბოროტების ძლევისა. თუ კაცი სიკეთეში არ განმტკიცებულა, ბრძოლაში ვერ ჩაებმება, იგი ხომ ჯერ კიდევ არ არის კეთილი. მარხვა ერთადერთი მიზნით იყო დაწესებული: თავისი ნებით სიკეთესთან ნაზიარებ ადამიანს ბოროტება რომ დაეძლია.

დღესაც სამოთხის კარი დახშულია, მაგრამ ხე კეთილისა და ბოროტის ცნობადისა, ხე განმასხვავებელი ყოველ ადამიანშია – ეს მისი სინდისია, რომელიც, როგორც ამბა დოროთე ამბობს, ის ბუნებითი შჯულია, რომელიც ადამიანს უჩვენებს, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, ბოროტისაგან იცავს და სიკეთეს აზიარებს. სიკეთესთან ზიარება ადამიანს განანათლებს და გულს უთბობს, სიკეთისაგან განდგომა და ბოროტის არჩევა კი გულს აბნელებს და აქვავებს.

იგივე საცთური მოდის ამა სოფლიდან: „ყველაფერი უნდა იგემო, ყველაფერი უნდა გამოსცადო..... როგორ უნდა განვლო ცხოვრების გზა, თუ ერთიც და მეორეც არ გამოსცადე?“ ჩვენს გარშემო გამეფებულ ბოროტებას მუდმივად რეკლამას უწევენ და გვთავაზობენ, როგორც მიმზიდველ კერძს, რომელიც უთუოდ უნდა ვიგემოთ. და ადამიანი კვლავ და კვლავ უსინჯავს გემოს აკრძალულ ნაყოფს, უგულებელყოფს რა უფლის მიერ მოცემულ პირველ მცნებას: „არ სჭამოთ მისგან, რამეთუ სიკვდილით მოჰკვდეთ“ (დაბ. 2,17).

ბოროტება თავისთავად არაფერია

ეკლესიის გარდამოცემიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ადამიანი მოვიდა ქვეყნად, სადაც ბოროტება უკვე არსებობდა. რა არის ბოროტება? საიდან გაჩნდა იგი? როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქრისტიანს მის მიმართ?

სხვადასხვა რელიგიურ სისტემებს კეთილისა და ბოროტის ურთიერთდამოკიდებულებაზე განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. სამყაროს აღქმის დუალისტური მოდელის მიხედვით, სიკეთე და ბოროტება თანაზომიერად არსებობენ, ისინი ურთიერთს განმსჭვალავენ, სიკეთე ბოროტებას შეიცავს და პირიქით. ასეთი მოდელი ფრიად პოპულარულია. თუ ადამიანი მას ეთანხმება, მიიჩნევს, რომ ბოროტება დასაბამიდან არსებობს, რომ შეუძლებლია იმის ზუსტად განსაზღვრა, რა არის

სიკეთე და რა არის ბოროტება, რადგან ისინი თანასწორნი არიან, შეიძლება ერთი მეორეში გადავიდეს, გარეგნული განმასხვავებელი კრიტერიუმები მათ არ გააჩნიათ.

ამიტომ მრავალ აღმოსავლურ კულტსა და რელიგიაში იმქვეყნიური ცხოვრება და ცხონება სიკეთეში ყოფნა კი არ არის, არამედ მდგომარეობა, რომელიც ადამიანს სიკეთისა და ბოროტების მიღმა აყენებს. ნირვანა, თანამედროვე მსოფლიოში ფრიად პოპულარული სიტყვა, ყოფნას არ ნიშნავს, ეს არის გარდასახვების, სიკეთისა და ბოროტების შესახებ წარმოდგენების მტანჯველი წრიდან გასვლა. ქრისტიანისთვის კი ცხონების აზრი ღმერთთან, სიკეთისა და სიყვარულის წყაროსთან შეერთებაა, ყოფიერების სავსებაში – საუკუნო ცხოვრებაში შესვლა. და მაინც, რა არის ქრისტიანული გაგებით ბოროტება და როგორი დამოკიდებულება აქვს მას სიკეთესთან?

ბოროტების სათავედ ეკლესია სატანას მიიჩნევს. ესაია წინასწარმეტყველთან და იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსში წინარე ისტორიული კატასტროფის შესახებ არის მოთხრობილი – ესაა ქმნილების პირველი ამბოხი შემოქმედის წინააღმდეგ. მთიები, „პირველი ნათელმოსილი“, უმშვენიერესი ანგელოზი, რომელიც ნათელ და კეთილ არსებად შეიქმნა, ამპარტავნებაში ჩავარდა და განვარდა ღვთისაგან. მან არ ისურვა დამორჩილებოდა ღვთის განჩინებას და ეცნო ადამიანი, როგორც მასზე უპირატესი ქმნილება. აქედან მოყოლებული, მეამბოხე სული ისწრაფვის დაღუპოს ყველაფერი, რაც უფლის მიერ მშვენიერი და ამაღლებული შეიქმნა, უპირატესად კი დაღუპოს ადამიანი – ის, ვის მსახურადაც იყო განჩინებული.

ბოროტების ჩასახვის ისტორიიდან ცხადი ხდება, რომ ბოროტება – ეს გამიჯვნაა, უარყოფა; მას თავის თავში აღმშენებლობა, როგორც საწყისი, არ გააჩნია, ამიტომ ძნელია მისცე ზუსტი განსაზღვრება. უფრო ადვილია ასეთი ანალოგიის მოყვანა: რა არის სიბნელე? სიბნელე სინათლის არყოფნაა, მას თვითმყოფადობა არ გააჩნია: „ღმერთი ნათელ არს და ბნელი არა არს მისთანა არცა ერთი“ (1 იოან. 1,5), მაგრამ იქ, სადაც ნათელი არ არის, მის ადგილს ბნელი იკავებს. ასევეა

ბოროტებაც – ეს სიკეთის არყოფნაა ან მისი დამახინჯება. იგი სიკეთეა, რომელიც განვარდა ღვთისაგან, თავისი არსი დაამახინჯა, მაგრამ საკუთარი ონტოლოგიური მყოფობა მას არ გააჩნია.

მყოფობა აქვს მხოლოდ იმას, რაზეც უფალმა თქვა: „იქმენ“! (იხ. დაბ. 1). ბოროტება უფალს არ შეუქმნია, მას არ უთქვამს ცოდვისთვის, იქმენო. ის კი, რაც ღმერთს არ შეუქმნია, არც არსებობს. ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტური ბოროტება არ არსებობს, აბსოლუტური მხოლოდ სიკეთეა. ამიტომ ბოროტება უძლურია: მას არც საკუთარი მყოფობა გააჩნია, არც საკუთარი გაგრძელება (მისი არსებობა დროში შემოსაზღვრულია), არც საკუთარი ძალა – მხოლოდ იმით სარგებლობს, რისი მიტაცებაც და რაზე პარაზიტირებაც შეუძლია.

თვით უზომოდ გაუკუღმართებული ბოროტების მატარებელიც კი არ არის აბსოლუტური ბოროტება. ნათელი ქერუბიმი, რომელსაც სატანას ვუწოდებთ, უფალმა ძალითა და სიკეთით აღსავსე შექმნა. უკვე მოგვიანებით მისი კეთილი ბუნება შემდეგ იმდენად დამახინჯდა, რომ მან ღმერთთან დაპირისპირებაც კი გაბედა, საკუთარი ბუნების წინააღმდგომი გახდა.

თუ უფალი აბსოლუტური სიკეთეა და ამ სიკეთეში უსასრულოა და მარადიული, მაშინ სრულიად ცხადია, რომ თავისი არსით სატანას, როგორც ქმნილებას, არ ძალუძს აბსოლუტური ბოროტება იყოს, რამდენადაც არ უნდა სურდეს ეს. ეს მას არ შეუძლია, რადგან ყოველივე აბსოლუტური მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. როგორც არ უნდა ეცადოს სატანა, უარყოფითი ნიშნით სრულყოფილ ღმერთს დაემსგავსოს და ამ იდეით გაუთვითცნობიერებელი ანგელოზები მიიმხროს, როგორც ეს შესაქმის დასაბამში მოხდა, ან მიიზიდოს ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ასეთი სისულელე ირწმუნონ, მისი მცდელობა მაინც უნაყოფო დარჩება, რადგან ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია.

სატანას საკუთარი ძალა არ გააჩნია და ამიტომ ყველაფერი, რაზეც დაცემული სული პარაზიტირებს, ეს სიკეთის ძალა და ენერგიაა, რომლებიც დასაბამიდან მიეცა, როგორც

ღვთის უდიდესი ნიჭი. ის კი, რაც ნიჭია, რაც უფალმა სიკეთედ შექმნა, მიუხედავად ყველაფრისა, ღვთის ნიჭად რჩება, თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია მისი იმდენად საშინელი დამახინჯება, რომ უკან დასახევი გზა თითქოს აღარც არსებობს.

რადგან ბოროტებას მყოფობა არ გააჩნია, იგი მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანს ღვთის ხატება ბოლომდე დააკარგვინოს. რა ზღვარგადასული ძალითაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანი ღმერთს და დემონს ბაძავდეს, იგი მაინც ღვთის ხატად რჩება და სინანულის გზით ცხონების მოპოვება შეუძლია.

ასეთ სიკეთეთა მიმღებელმა ესოდენი ბოროტება როგორ აირჩია?

ასეთ სიკეთეთა მიმღებელმა ესოდენი ბოროტება როგორ აირჩია? ასეთი დიდების შემდეგ რა სირცხვილი შეგემთხვა? რატომ ხარ ასე დაბნელებული, ასე დასახიჩრებული, ასეთი ხრწნადი? ესოდენი ნათლის შემდეგ როგორ მოგიცვა ასეთმა ბნელმა!

მაკარი დიდი

პირველი ადამიანი იმგვარად იყო შექმნილი, რომ მასში ერთდროულად იყო ჩადებული როგორც უკვდავების, ისე სიკვდილის შესაძლებლობა. უკვდავების ეს საწინდარი, იყო რა ღვთის ნიჭი და არა კაცობრივი ბუნება, საშუალებას აძლევდა კაცს, საკუთარი თავის სრულყოფისა და უფლისადმი მორჩილების გზით სულიერად იმდენად ამაღლებულიყო, რომ უკვდავება მისი ბუნება გამხდარიყო.

უკვდავების ნიჭი ღმერთთან, სიცოცხლის წყაროსთან ზიარებაა, მაგრამ კაცი სამოთხეში სიცოცხლეს კი არა, სიკვდილს ეზიარა. მან ღმერთის გარეშე მოინდომა ცხოვრება, მაგრამ ღმერთის გარეშე ცხოვრება სიკვდილია. შემაძრწუნე-

ბელია: სიკვდილს ეზიარა იქ, სადაც სიცოცხლეს უნდა ზიარებოდა. ადამიანი ცოდვას მთელი თავისი არსებით ეზიარა და ცოდვამ მისი ბუნება საშინლად დაამახინჯა. ქმნილება შემოქმედს განეშორა, ცოდვამ სიკვდილს გზა გაუხსნა. კაცი, რომელსაც ჰქონდა ასეთი შესაძლებლობა – არ მომკვდარიყო, მოკვდავი გახდა და განგდებულ იქნა სიცოცხლის საუფლოდან, სადაც ყოველივე არსებულს მარადიული მყოფობა აქვს. ადამის ცოდვა, ღვთისგან მისი განვარდნა მთელი კაცობრიობის მარადიული ხვედრი იქნებოდა, ღმერთს თავისი გულმოწყალების გამო ადამი სამოთხიდან წუთისოფელში რომ არ გაეძევებინა: მან ეს იმისთვის ქმნა, რათა სიკვდილი კაცის მარადიული მდგომარეობა არ გამხდარიყო, რათა სატანას იგი ბოლომდე არ დაეთრგუნა.

პირველქმნილი ცოდვის გზით ყოველი ჩვენგანი სიკვდილს ეზიარა. მართალია, ეს ცოდვა ნათლისღებით მოგვეტევება, მაგრამ ცოდვის შედეგები, სამწუხაროდ, მაინც რჩება. კაცის დაზიანებული ბუნება თავად ადამიანის მიერ უნდა განიკურნოს, მას წილად ერგო თავისი ცხოვრებით ადამის ცოდვით დაცემის შედეგებს სძლიოს – საწინააღმდეგო მიმართულებით იაროს, ცნობადის ხის ნაყოფი არ იგემოს და მხოლოდ სიკეთეს ეზიაროს.

ამ სოფელში ბოროტების მოქმედება გრძელდება. კაცი კვლავ ეზიარება ცოდვას, კვლავ უსინჯავს გემოს აკრძალულ ნაყოფს, ბოროტება კვლავ და კვლავ ამახინჯებს მას. მსოფლიო ისტორია ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მეორდება.

ერთი კაცის მორჩილებით მრავალნი გახდებიან მართალნი

როგორც ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი, ისე ერთი კაცის მორჩილებით მრავალნი გახდებიან მართალნი.
რომაელთა, 5,19.

ბოროტების დამარცხება ჯერ კიდევ სამოთხეში იყო შესაძლებელი. სატანა, ქმნილება, რომელსაც თავისუფალი ნება ჰქონდა, მხოლოდ თავისუფალი ქმნილების მიერ უნდა ძლეულიყო, ეს გამარჯვება ადამს უნდა მოეპოვებინა – ბოროტება სამოთხეშივე დაემარცხებინა, როგორც კაცს, და ამით თავისი ღმერთკაცობა განეხორციელებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. უფალს შეეძლო (ისევე როგორც ახლაც შეუძლია) თავისი ყოვლისშემძლეობით აეკრძალა ბოროტებისთვის სოფლად არსებობა, უბრალოდ გაექრო თავისი სრულქმნილი სიტყვით, მაგრამ იგი სხვაგვარად მოიქცა. ცოცხალ არსებებს, რომლებიც მან შექმნა, ანგელოზებსაც და ადამიანებსაც, უფალმა თავისუფალი ნება მიანიჭა, და ერთგზის მიმადლებულ თავისუფლებას ადამიანს იგი არასოდეს ართმევს. ღმერთი ადამიანს სხვაგვარად ანიჭებს ხსნას: იგი თავად ხდება კაცი, კაცობრივი ბუნების მთელ სავსებას ღებულობს, რათა ბოროტებას არა როგორც ღმერთმა, არამედ სწორედ როგორც კაცმა სძლიოს, და შემდეგ თითოეულ ადამიანს მიეცეს შესაძლებლობა კვლავ ეზიაროს უფალს, რათა კვლავ გაიმარჯვოს. და ქრისტე სძლევს სატანას მთელი თავისი კაცობრივი ბუნებით, ღმერთთან ზიარების სრული სავსებით, რათა ყოველ ჩვენგანსაც მიანიჭოს ასეთი შესაძლებლობა – თავისი თავისუფალი ნებით კვლავ და კვლავ სძლიოს ბოროტებას და სიკეთეს ეზიაროს.

მაგრამ ჩვენში ცოცხლობს ხსოვნა ადამის შეცოდების შესახებ და ეს ხსოვნა ისევ გვიბიძგებს, რომ მოვატყუოთ ღმერთი, შევცოდოთ მის წინაშე, აკრძალულ ნაყოფს შევეხოთ და თვითკმარნი გავხდეთ.

ჩვენ სიკეთესთან უფრო მეტად ვართ ნაზიარები, ვიდრე ბოროტებისაგან დამახინჯებულნი. ბოროტებას, რომელსაც არსი არ გააჩნია და მხოლოდ ადამიანის სულიერი უძლურების შედეგია, არ ძალუძს ბოლომდე სძლიოს ადამიანს, ვისთვისაც სიკეთე ბუნებითია, ბოროტება კი მისი ბუნების საწინააღმდეგო. ამიტომ ყოველ ქრისტიანს შესწევს ძალა, რომ ბოროტს სძლიოს, ესე იგი, თვით კაცშიც ბოროტება სიკეთემ უნდა დაამარცხოს, თუკი ის საამისოდ ძალისხმევას არ დაიშურებს. ადამიანი თავს იმით ვერ გაიმართლებს, რომ ძალა არ შესწევს საკუთარ თავს მოერიოს, რამეთუ მას ღვთის დიდი შემწეობაც აქვს და თვითონაც შესწევს ძალა, რომ ნებისმიერი ცოდვა დაძლიოს და საკუთარ თავში სატანა დაამარცხოს.

ეს ის გზაა, რომელიც ყოველმა ადამიანმა უნდა განვლოს. უფალს ამ გზით მივყავართ და სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ადამიანმა კვლავ მიიღოს ის, რაც სამოთხეში მიეცა, სადაც იგი მთელი თავისი მშვენიერებით, მთელი თავისი ჰარმონიულობით სუფევდა, რათა ეს მშვენიერება, როგორც ნიჭი, უსასყიდლოდ რომ მიემადლა, მისი საკუთრება გახდეს, მისი ბუნება, ჭეშმარიტად წარუშლელი ხატი ღვთისა.

ჩემი ცოდვა სამყაროს ამახინჯებს

ყოველ ადამიანს თავისი განსაკუთრებული ნიჭი აქვს. პავლე მოციქული ამბობს: „ღმერთმა ეკლესიაში პირველად მოციქულნი დაადგინა, მეორედ წინასწარმეტყველნი, მესამედ მოძღვარნი, ზოგს სასწაულთქმედების ძალა მისცა, მადლი კურნებისა, შეწევნისა, მმართველობისა, სხვადასხვა ენაზე მეტყველების ნიჭი, განა ყველა მოციქულია, წინასწარმეტყველია? განა ყველა მოძღვარია? ყველა სასწაულთმოქმედია? ყველას აქვს ნიჭი კურნებისა? ყველა მეტყველებს სხვადასხვა ენაზე? განა ყველას ძალუძს განმარტება“? (1 კორ. 12,28). ადამიანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი იმგვარად არიან შექმნილნი, რომ ერთმანეთი სჭირდებოდეთ,

რომ ერთმა მეორის გარეშე საკუთარი თავის, როგორც ადამიანის სრული სავსებით განხორციელება ვერ შეძლოს.

კაცობრიობა ერთ, ზოგადსაკაცობრიო ცხოვრებისთვის მოწოდებულ ოჯახად არის შექმნილი, რათა ადამიანები მუდამ ეხმარებოდნენ ერთმანეთს და, პავლე მოციქულის თქმით, ერთმანეთის სიმძიმე იტვირთონ, რათა ასე აღასრულონ ქრისტეს სჯული. მაგრამ ყოველი ადამიანის ცხოვრება სხვა ადამიანების ცხოვრებასთან განუყრელ კავშირშია, რამეთუ კაცობრიობა ღვთის მიერ ჩაფიქრებულია არა მხოლოდ როგორც ოჯახი, არამედ როგორც ერთი, მთლიანი ეკლესიური ორგანიზმი. მაგალითად, ცოლქმრობა კაცობრიობის ამ სავსების განხორციელებაა, როცა ორი ადამიანი ერთ არსებად იქცევა – „და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (მათე, 19,5).

სერბი ღვთისმეტყველის, იუსტინე პოპოვიჩის აზრით, ჯერ კიდევ სამოთხეში კაცობრიობა ეკლესიად იყო ჩაფიქრებული: ღმერთს მიმსგავსებული ეკლესიური ბუნებით თითოეული ადამიანი სხვა ადამიანებთან იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ მომავალში მას შეეძლება განხორციელდეს, როგორც ეკლესია. თითოეული ადამიანის უნარებისა და სათნოებათა განვითარება მთელი კაცობრიობის ბუნებრივი აღმშენებლობაა. როგორც ღვთის მობაძავი ადამი შეიქმნა ახალ ადამიანად, ისევე იქცევა ახალი ეკლესია განხორციელებულ კაცობრიობად. მაგრამ მსგავსი კავშირი დაცემულ კაცობრიობაში საშინელი სახით ვლინდება: ცოდვა, რომლის ბუნებასაც გავრცელება ახასიათებს, არა მარტო ადამიანს, მთელ კაცობრიობასაც ანადგურებს.

ადამის მიერ სოფლად ცოდვა და სიკვდილი შემოდის: ერთი ადამიანის ცოდვა და სიკვდილი ყველას ხვედრი ხდება. ადამი მთელი კაცობრიობის წინაშე, ყოველი ჩვენგანის წინაშეა დამნაშავე. მაგრამ თუ ასეა, მაშინ თითოეული ჩვენგანიც ყველას წინაშე დამნაშავეა თავისი ცოდვების გამო.

თუ ბოროტებასთან ბრძოლის დაწყება გვინდა, პირველ ყოვლისა საკუთარ თავში უნდა აღმოვფხვრათ ბოროტება, და მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარ თავში დავთრგუნავთ სატანას, ამას ჩვენს გარშემოც შევძლებთ. მაგრამ თუ ეს ბრძოლა არ

დაგვიწყია, აქვს კი აზრი შეკითხვებს: „რატომ არსებობს ტანჯვა? რატომ კვდებიან ბავშვები? რატომ ზეიმობს დაუსჯელი ბოროტება? რატომ არის ქვეყნად ამდენი უსამართლობა?“ თუ კაცი საკუთარი თავის წინაშე პატიოსანია, მისი პასუხი ასეთი იქნება: „ეს ჩემი ცოდვაა, სამყაროს რომ ამახინჯებს, და ჩემი ბოროტება ისევ მე მიბრუნდება“.

ვის უხმობს ზარი? იგი შენ გიხმობს.

ყოველი სიტყვის პასუხად მივუგოთ: „შემინდე“

უწინარეს ყოვლისა, ძმანო, თავი უნდა დავიმდაბლოთ, რათა მზად ვიყოთ, რომ ყოველი სიტყვის პასუხად მივუგოთ: „შემინდე“.

ამბა ესაია

რა უბრალო რამეს ამბობენ წმინდა მამები: „სიტყვით „შემინდე“ სატანა დაიძლევა“. ჩვენც სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ: უბრალოდ უნდა ვძლიოთ სატანას.

და აღმოჩნდება, რომ ეს მართლაც უბრალო რამაა. უნდა შეგვეძლოს გულწრფელად ვთქვათ „შემინდე“, ყველა შემთხვევაში, ყველგან და ყოველ ადამიანთან. როგორც კი ამას მთელი არსებით, გულწრფელად ვიტყვით, ჩვენ ვწყვეტთ კავშირს სატანასთან. ერთადერთი არსება ამქვეყნად, ვისაც არ ძალუძს თქვას „შემინდე“, ხომ ბოროტი სულია.

შეუძლებელი რომ მომხდარიყო, სატანას თავისი ამპარტავნება რომ დაეძლია და შეენანებინა, მაშინ იგი აღარ იარსებებდა – უმალ მთავარანგელოზის ღირსებას დაიბრუნებდა. სატანა კვლავ ანგელოზი გახდებოდა, სინანული რომ შეძლებოდა... მაგრამ ამის ძალა მას უკვე აღარ შესწევს.

ადამიანს კი ამის გაკეთება შეუძლია. როგორც კი იგი წარმოთქვამს ამ დიდებულ სიტყვას: „შემინდე“, უფალი უმალ-

ვე შეუნდობს, და კაცში სასწაულებრივად ვლინდება ცოდვით დაკარგული ღვთაებრივი ღირსება. ამპარტავნება, გაბოროტება უმალ ქრება და გარდასახული ადამიანი ანგელოზებრივ ცხოვრებას ეზიარება. სინანული ყოველგვარ საცთურს სძლევს, მტრის ყველა ისარს ირეკლავს, სიტყვა „შემინდე“-ს წინაშე იგი უძლურია. ბადე, რომელსაც ეშმაკი ასე გულმოდგინედ და მზაკვრულად უგებს კაცს, ირღვევა და ჩვენს წინაშე სამოთხისაკენ მიმავალი დაკარგული გზა გამოჩნდება.

„შეინანეთ“, – მოგვიწოდებს მაცხოვარი, „რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 4,17). მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაბრუნება ცათა სასუფეველში, რომელიც უფალმა სატანაზე გამარჯვებით მოგვანიჭა. იგი არა მხოლოდ გვაბრუნებს ნეტარების საუფლოში, არამედ გაცილებით მეტს გვაძლევს, ვიდრე ადამს სამოთხეში მიეცა. ადამიანს, რომელიც ამქვეყნიურ სამოთხეში შეიქმნა, ზეციური სამოთხე განეღება, ამქვეყნიურის ნაცვლად – ზეციური სასუფეველი, რომელიც ენით გამოუთქმელია, შეუცნობელი, რომელიც ვერაფრით ვერ განისაზღვრება, გარდა იმისა, რომ ეს ღვთის სიყვარულის სასუფეველია, კაცის ჭეშმარიტი ცხოვრების სასუფეველი.

აი, რა გვენიჭება ჩვენ დაკარგული ამქვეყნიური ნეტარების სანაცვლოდ! და მხოლოდ ერთი სიტყვა: „შემინდე“, რომელსაც კაცი მთელი თავისი ცხოვრებით ამბობს – არა შემთხვევით, არა ნაჩქარევად და ფორმალურად, არც წელიწადში მხოლოდ ერთხელ, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრებით ნათქვამი – აღებს ამ კარებს. უღებს ყველას: ავაზაკსაც და მართალსაც, მეზვერესაც და ფარისეველსაც, მეძავსაც და უბიწოსაც – ყველას.

და როცა შევძლებთ მთელი ჩვენი ცხოვრებით, ყოველთვის ვთქვათ „შემინდე“, მუდამ გვექნება ძალა სატანის დათრგუნვისა. სამოთხეში მხოლოდ ეს დაგვაბრუნებს. მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ვსწავლობდეთ ამ სიტყვას, რათა იგი გახდეს ჩვენი მთავარი იარაღი ბოროტების დამარცხებაში. იმიტომ, რომ სატანის ძლევა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება – თუ სინამდვილეში შევუდგებით სულიერ ბრძოლას.

თავი II

ცოდვეებისგან სინანულის გზით ვთავისუფლდეებით

წინაპართა ცოდვისგან წმინდა ნათლისღებით გავთავისუფლდით, იმ ცოდვეებისგან კი, ნათლისღების შემდეგ რომ ჩავიდინეთ, მხოლოდ სინანულის გზით ვთავისუფლდებით.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

უფალი სულგრძელია ჩვენდამი, რამეთუ არავის წარწყმედა არ ნებავს

ყოველდღიურად ცხოვრებაში ისეთ პრობლემებსა და სიტუაციებს ვაწყდებით, რომლებიც სრულიად გამოუვალი გვეჩვენება, ძნელი დასაჯერებელია, რომ თავისუფლება გვაქვს მონიჭებული, რომ ჩვენ როგორღაც შეგვიძლია საკუთარი ბედის წარმართვა. სასოწარკვეთილების წუთებში სრულიად აშკარად გვეჩვენება, რომ უფალი არ გვისმენს, არ ვუყვარვართ და არ სურს ჩვენი ცხონება.

და მართლაც, არსებობს კი ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული? შეუძლია თუ არა ჩვენს ნებას ოდნავ მაინც შეცვალოს ჩვენი ცხოვრება?

ასე თუ ვიფიქრეთ, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ცხონება ამქვეყნად ყველას არ ხელეწიფება. ზოგიერთი რელიგიური მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ არიან ადამიანები, ღვთის განსაკუთრებული ნებით ცხონებისათვის გამორჩეულნი, და არიან ისეთებიც, რომლებიც დიდი მცდელობისა და გარჯის მიუხედავად ვერაფერს მიაღწევენ. ერთნი ცხონებისთვის არის მოწოდებულნი, სხვანი კი – დასაღუპად განწირულნი, ამგვარად, ცხონება ადამიანზე არ არის დამოკიდებული.

ასეთი მძიმე აზრები კაცს წმინდა წერილის კითხვის დროსაც კი შეიძლება აღეძრას. „მაგრამ ჰოი, შენ ადამიანო, ვინ ხარ, რომ ღმერთს ედავები? განა შექმნილი ეტყვის შემოქმედს: რისთვის შემქმენ ასეთი? განა არ ხელეწიფება მეკეცეს მის მიერვე შეზელილი თიხისაგან ზოგი ძვირფასი ჭურჭელი შექმნას და ზოგი კი ნაკლებად ფასეული?“ – ამბობს პავლე მოციქული (რომ. 9,20). კითხულობ ამ სტრიქონებს და უნებ-

ლიეთ ასეთი აზრი გეპარება: თუ უფალმა თიხის ქოთნად შეგქმნა, შენგან ქოთნის მეტი არც არაფერი გამოვა. მართლაც, ხომ არ არსებობს წინასწარგანჩინება იმ ადამიანების შესახებ, რომლებისთვისაც ცხონება პრინციპულად შეუძლებელია?

მაგრამ ამის პასუხს თვით სახარება იძლევა, როცა ამბობს, რომ უფალს არ ნებავს წარწყმედა ცოდვილისა, და რომ არ არის ღვთის ნება წარწყმდეს ერთი ამ მცირეთაგანი (იხ. მათე, 18,14). უფლის კეთილი ნებაა ყოველთა კაცთა ცხონება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა (იხ. 1 ტიმ. 2,4).

ამბა დოროთეს შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს, თუ რამდენად განსხვავდება ღვთის სამართალი ადამიანური სამართლისაგან, რამდენად უფრო სხვაგვარად უყურებს უფალი ადამიანს, ვიდრე ჩვენ, ვინც ახლობლებს უმოწყალო და უსიყვარულო თვალით ვუყურებთ.

ამბა დოროთე წერს: ერთ ქალაქში, სადაც მონებს ყიდდნენ, სავაჭროდ ორი ქალი მოვიდა, ერთი მონაზონი, მეორე კი – მეძავი. მათ დაინახეს, რომ ორი გოგონა იყიდებოდა. ერთი მათგანი მონაზონმა იყიდა, რათა იგი ღვთისმოშიშებით აღეზარდა, მეორე გოგონა კი მეძავმა, რათა იგი ეშმაკის ჭურჭლად ექცია. ისმის კითხვა: თუ ეს ორი ქალწული ზრდასრულ ასაკში ერთნაირად შესცოდავს, ვთქვათ სიძვით, ნუთუ უფალი მათ ერთნაირად განსჯის? „ცხადია, არა“, – ამბობს ამბა დოროთე. უფალმა უწყის, ვის რა მიეცა, რა ვითარებაში გაიზარდა თითოეული მათგანი და როგორ გამოიგლოვა შემდეგ თავისი ცოდვები. როგორ განსჯის უფალი, ეს მხოლოდ მან უწყის, და თუ რამდენად გამოიყენებს ადამიანი ცხონებისთვის თავისუფლებას და საკუთარ ნებას, არც ეს არის ჩვენი განსასჯელი.

ერთადერთი, რაშიც შეიძლება დარწმუნებულნი ვიყოთ, ის არის, რომ ყოველი ადამიანი ცხონებისთვის არის გაჩენილი – რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გაჩნდეს იგი, რა ფერისაც არ უნდა იყოს, რა ენაზეც არ უნდა მეტყველებდნენ მისი მშობლები და როგორი წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეთ სამყაროზე. ნებისმიერ ადამიანს, ახალ გვინეაში დაიბადა ის თუ ნიუ

იორკში, მილიარდერის თუ ღატაკის ოჯახში, მოიძიებს უფალი, რათა იხსნას მისი უკვდავი სული, რათა უფალი შეხვდეს მას ამ ცხოვრებაში; რათა როცა კაცი სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის წინაშე დადგება, სინდისის კარნახით შეძლოს სიკეთის არჩევა; რათა ბუნებითი საღმრთო შჯული – სინდისი, უფალმა ყოველ ჩვენგანს რომ მიანიჭა, როგორც განღმრთობისა და ქრისტიანობისაკენ მოწოდება, არაქრისტიანშიც კი ბოლომდე განხორციელდეს.

ღმერთის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის როდი ვიცით, რომ იგი ყოველგანმყოფია, არამედ ისიც, რომ ყოვლისმომცველიცაა. „ყოვლისამპყრობელი“ – ვამბობთ ჩვენ. იმ დროის იუდეველთათვის ღმერთი, როგორც მამა აღიქმებოდა, უპირველესად, როგორც ღმერთი – მამა იუდეველთა, ღმერთი ერთი გარკვეული ერისა, რომელსაც ღმერთი ეკუთვნის თავისი ღვთივგამორჩეულობის გამო. ამგვარი აზრი შეიძლება შეექმნას ყოველ ადამიანს, ვინც თავის რწმენას ისე აღიქვამს, როგორც ღვთაებრივს, ნამდვილს, ჭეშმარიტად მართლმადიდებლურს.

მაგრამ ლოცვაში „მამაო ჩვენო“ იმ ადგილას, როდესაც ჩვენს ზეციერ მამას მივმართავთ, რატომღაც დამატებულია სიტყვები: „რომელი ხარ ცათა შინა“, რატომ? ძველ აღთქმაში და ღვთის მცნებებშიც ხშირად მეორდება, რომ ღმერთს მატერიალურთან საერთო არაფერი აქვს, და არსებობს მცნება – არ შეიქმნა შენთვის კერპი მათგან, რომელი არს ცათა შინა, ქვეყანასა ზედა და ქვეშე ქვეყანისათა (იხ. 2 სჯული, 5,8), მაგრამ როდესაც ვამბობთ: „რომელი ხარ ცათა შინა“, ჩვენ ვაღიარებთ ღვთის მამობას, როგორც ყოვლისმომცველს.

ჩვენი აღმსარებლობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვაღიარებთ ღმერთს, როგორც ყოველთა მამას, რამეთუ იგი ცათა შინა მყოფობს. ცხადია, იგულისხმება არა ხილული ცა, ატმოსფეროს გარკვეულ ფენებს რომ მოიცავს, არამედ სულიერი სამყარო, რომელიც აღემატება ამქვეყნიურს, უხილავი სამყარო, რომელიც ხილულზე აღმატებულია – სამყარო ყოვლისმომცველი. და ამიტომ მამობა, რომელიც ღმერთშია,

ყველა მის ქმნილებას მოიცავს, ამქვეყნად ისეთი არაფერია, რასაც მისი ღვთაებრივი სიყვარული არ მოიცავდეს. ამიტომ ყოველი არსება, უფლის მიერ შექმნილი, როგორც ცოცხალი და ღმერთს მიმსგავსებული, ეკუთვნის მას, როგორც მამას, და მარტო ჩვენ არა ვართ „ერი რჩეული, სამეუფო და სამღვდელო“ (იხ. 1 პეტრე, 2,9), როგორც ეს ზოგიერთ მართლმადიდებელ ქრისტიანს ჰგონია.

ყოველი ადამიანი ღვთის მიერ არის შექმნილი, როგორც ღვთის მობაძავი პიროვნება, როგორც მისი შვილი. ამიტომაც ამბობს ეკლესიის ძველი მოძღვარი, ტერტულიანე, სული ბუნებით ქრისტიანიაო. ესე იგი, ყოველი ადამიანი, სადაც და რა დროსაც არ უნდა გაჩნდეს, პირველ ყოვლისა ქრისტიანად იბადება, რათა შემდეგ ქრისტიანი გახდეს და შეიცნოს ღმერთში თავისი მამა. არ არსებობს ადამიანი, უცხო რომ იყოს ღვთისათვის – ეს ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რადგან ასეთია ღვთის განგებულება ამა სოფლის შესახებ.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული ამბობს, რომ წარმართებსაც კი შეუძლიათ საღვთო სჯულის აღსრულება (რომ. 2.13), ისე რომ მას არც იცნობდნენ, თუმცა თვითონ რელიგიური სისტემა, რომელსაც ისინი აღიარებენ, შეიძლება აცდუნებდეს მათ და ცხონების გზას განაშორებდეს. საღმრთო სჯული ყოველი ადამიანის გულშია აღბეჭდილი – ესაა მისი სინდისი, ქრისტესთან მიმყვანებელი. და როცა ადამიანს, ვისთვისაც სინდისი ცხოვრების მთავარი კანონია, ქრისტეს შესახებ ესმის, ხდება ღვთისა და კაცის ნამდვილი შეხვედრა.

რაც არ უნდა დაეცეს ადამიანი, ცოდვის ფსკერზეც რომ აღმოჩნდეს, არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის მისთვის მუდამ არსებობს. ეკლესია გვასწავლის, რომ უფალი ჯოჯოხეთამდე შთახდა, რათა იქიდან წარწყმედილი ადამი ამოეყვანა. ვნების შვიდეულის საგალობელში ნათქვამია: „შთამოხვედ ქვეყანად ხსნად ადამისა, და არღარა ჰპოვე იგი ქუეყანასა ზედა, მეუფეო, ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთახედ მეძიებელი“. უფალი კაცობრივი ბოროტების, ჯოჯოხეთის ისეთ სიღრმემდე ჩავიდა, რომ ჯოჯოხეთი მისი შთასვლით დაცარიელდა.

მონანულმა ცოდვილმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს ადამიანის არც ერთი მდგომარეობა, უფალი რომ არ ჩასწვდომოდა, მანკიერების ისეთი უფსკრული, უფალი რომ არ ჩასულიყო, არ არსებობს ისეთი ცოდვა, უფალს რომ არ განეწმინდა, და არც სატანას შეუთხზავს ჯერ ისეთი ბოროტება, უფალს რომ არ განეკურნა.

ეს ცხადი ხდება აღსარების დროს. ამას ყოველი მოძღვარი გრძნობს, როდესაც ხვდება ისეთ ადამიანს, რომლის განკურნება ადამიანური წარმოდგენით შეუძლებელია. ზოგჯერ აღსარებას ამბობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც ვერაფრით ვერ ეტევა ნორმალურ ჩარჩოებში, დაუჯერებლად გეჩვენება, მათ ფეხქვეშ მიწა როგორ არ იწვის. მაგრამ მათი აღსარება იმაზე მეტყველებს, რომ უფალი ნებისმიერ ნაძირალას, ნებისმიერ გარეწარს ელოდება, და მხოლოდ თავად ადამიანს შეუძლია იმდენად განეშოროს ღმერთს, რომ ამას სრულიად ვერ გრძნობდეს.

დაუბრუნდე ღმერთს – ნიშნავს ყურად-იღო სინდისის ხმა, რომლითაც უფალი ყოველ ადამიანს მოუხმობს. თუ კაცი ამ ხმას შეისმენს, იგი უმალ დაადგება ცხონების გზას. მაგრამ როცა ვამბობთ, რომ ჩვენი მამა ცათა შინა არს, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი შვილობაც ასევე ზეციურია, და ეს შვილობა ჩვენს მიერ განხორციელდება, როგორც ცათა სასუფეველში შესვლა.

ღვთის მაცხოვნებელი ძალა

საიდუმლო არის მღვდელმოქმედება, რომლის მეშვეობითაც ადამიანზე საიდუმლოდ მოქმედებს მადლი, ანუ ღვთის მაცხოვნებელი ძალა.

წმ. ფილარეტ მოსკოველი

ფილარეტ მოსკოველის ვრცელ ქრისტიანულ კატეხიზმოში სინანულის საიდუმლოს შესახებ ნათქვამია: „სინანული არის საიდუმლო, რომლითაც მღვდელი ხილულად ითხოვს აღმსარებლისათვის ცოდვების შენდობას, ხოლო ცოდვებისგან განთავისუფლება კაცს თვით უფალ იესო ქრისტესაგან უხილავად ეძლევა“. მაგრამ ვერც ერთი საიდუმლო ბოლომდე ვერ გაიხსნება, ვერ ამოიწურება კატეხიზმოს მიერ ან გარეგნული აღწერით. სინანულის საიდუმლო კი აღწერას ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება, რამეთუ მასში რაღაც ორმაგი საიდუმლოა ჩადებული: იგი უფრო მეტად დაფარულია და გარეგნული გამოვლინება არ გააჩნია.

ძალიან რთულია სინანულის საიდუმლოს სწორედ გარეგნული აღწერა, მაშინ როცა ყველა სხვა საიდუმლოს სრულიად განსაზღვრული ღვთისმსახურება აქვს. მაგალითად, ნათლისღებისა და ქორწინების საიდუმლო თავდაპირველად საღმრთო ლიტურგიის შემადგენლობაში შედიოდა, ზეთის კურთხევა კი საცისკრო მსახურებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ყოველ საიდუმლოს თავისი საღვთისმსახურო ხასიათი აქვს, ლოცვითი და აღწერილობითი ფორმა; სინანულის საიდუმლოს შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით. მას, რა თქმა უნდა, საკუთარი წეს-განგება აქვს, იკითხება დასაწყისი ლოცვები, რომლებიც ცოდვილს სინანულისათვის შეამზადებს, მაგრამ მათ არავითარი აღმასრულებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

ჩვენ ვიცით, რომ ნათლისღების საიდუმლოს ცენტრს ღვთისმსახურების ის ნაწილი წარმოადგენს, რომლის დროსაც მღვდელი მოსანათლს ემბაზში სამგზის შთაფლავს სიტყვებით: „ნათელ-იღებს მონა ღვთისა სახელითა მამისათა და ძისათა

და სულისა წმიდისათა, ამინ“. ჯვრისწერის დროს მღვდელი წყვილს სამჯერ აკურთხებს: „უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ყვენ ესენი...“ ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ სრულდება ევქარისტიისა და ზეთის კურთხევის საიდუმლო. შეიძლება მათ თვალყური ადევნო, სურათი გადაუღო, უჩვენო, მათი აღსრულების თანამიმდევრობა განმარტო, კატეხიზმოში აღწერო.

მაგრამ რა ხდება სინანულის საიდუმლოს ჟამს? რომელია მასში ძირითადი მღვდელმოქმედება? ეს საიდუმლო წესდებას ნაკლებად ექვემდებარება, ხოლო გარეგნული ფორმა, განსაზღვრული, მყარი და უცვალებელი, საერთოდ არ გააჩნია. ყალიბდებოდა რა საუკუნეთა განმავლობაში სული წმიდის ბრძანებით, დროის მოთხოვნათა შესაბამისად იგი თავისუფლად იცვლებოდა, განსხვავებულ ფორმებს იძენდა და არც ერთი მათგანი უცვლელი არ დარჩენილა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აღსარება საჯარო ხასიათისა იყო. აღმსარებელი სწორედ ეკლესიის წინაშე აგებდა პასუხს. ჩვეულებრივ, აღიარებდნენ იმ ცოდვებს, რომელთაც იოანე ღვთისმეტყველი სასიკვდილოს უწოდებს: მკვლელობა, მრუშობა, დევნილობის ჟამს ქრისტეს უარყოფა და ა.შ. ეკლესია თავის წიაღში იბრუნებდა განდგომილებს, რომელთაც შესცოდეს მძარცველობით, ქურდობით ან სხვა მძიმე ცოდვით, რომელიც ნამდვილად არ აძლევდა ადამიანს ეკლესიაში დარჩენის ნებას. და ის, ვისაც სურდა კვლავ ქრისტეს სხეულთან შეერთება, თავის ცოდვებს მთელი მრევლის წინაშე აღიარებდა. ეკლესია ან იბრუნებდა თავის წიაღში მონანულ ცოდვილს, ან გარკვეულ დრომდე არ ღებულობდა და დროს აძლევდა სინანულისთვის, რომელსაც ასევე საჯარო ხასიათი ჰქონდა, ამასთან, სხვადასხვა ხარისხის ეპიტიმიებს ადებდა.

საჯარო აღსარება ადამიანისთვის უდიდესი სულიერი ღვაწლი იყო. ვისაც ასეთი აღსარების უნარი შესწევდა, ის ღრმა სინანულს განიცდიდა და უკან დახევის საშუალება უკვე აღარ ჰქონდა. აღსარება თავის თავში სწორედ განკურნებას შეიცავდა, სინანულის გზით ადამიანი სრული, მთლიანი, უმან-

კო ხდებოდა და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება იყო დადასტურება იმისა, რომ სინანულმა ნაყოფი გამოიღო და დასრულდა „საჩვენებელი ცხოვრება“. მის სინანულს მთელი ეკლესია თვალყურს ადევნებდა, ამ ღვაწლში შეეწეოდა, ხედავდა, როგორ იცვლებოდა ძმა და მას სიყვარულით იბრუნებდა. ცოდვათა მიტევებისა და მონანულის ღმერთთან შერიგების დაგვირგვინება იყო ქრისტეს საიდუმლოებებთან მისი ზიარება, ანუ ქრისტეს სხეულში დაბრუნება. სწორედ ამას ამოწმებს ლოცვა, რომელსაც მღვდელი შენდობის დროს წარმოთქვამს: „შეირიგე და შეაერთე იგი წმიდასა შენსა ეკლესიასა...“

თუ სინანულის საიდუმლო აღიქმებოდა როგორც კურნება, რომელიც სასიკვდილო ცოდვის ჩამდენ ადამიანს ეკლესიასთან არიგებს, ყოველდღიური აღსარება მხოლოდ ღვთის წინაშე ხდებოდა. ყოველდღიურ ცოდვებს ქრისტიანები ძილად მისვლის ლოცვების კითხვისას აღიარებდნენ. ამგვარი სინანული ქრისტიანის ცხოვრების წესი იყო, ეს მუდმივად ხდებოდა და არა დროდადრო, აღსარებიდან აღსარებამდე. მისი ეს სინანული და გულის შემუსვრილება, რომელსაც მხოლოდ ღმერთი ხედავდა, თავისი არსით ასევე საიდუმლოებას წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ადრექრისტიანულ ეკლესიაზე. არასოდეს არსებულა ისეთი იდეალური მდგომარეობა, რომ ეკლესიის ყველა წევრი წმინდანი ყოფილიყო და ერთსულოვანი სინანულით ეცხოვრა. მაგრამ პირველი საუკუნეების ქრისტიანთა სულიერი დონე ამჟამინდელისაგან ბევრ რამეში განსხვავდებოდა.

ქრისტიანებს საკუთარი თავის მიმართ ილუზიები არ გააჩნდათ, მათ ესმოდათ, რომ ნათლობის შემდეგ უმალ წმინდანებად ვერ გადაიქცეოდნენ, მით უფრო, რომ ახალადმოქცეულნი წარმართული სამყაროდან მოდიოდნენ. წმინდანთა ცხოვრებებიდან ცნობილია, რომ ბევრი მათგანი შერეულ ოჯახში იზრდებოდა, სადაც, მაგალითად, დედა ქრისტიანი იყო, მამა კი – წარმართი. ქრისტიანებს ესმოდათ, რომ ცოდვები: ამპარტავნება, პატივმოყვარეობა, თავის მართლება, ტყუილი, რომლებსაც ისინი თავის თავში ატარებდნენ, როგორც

კაცის დაცემული ბუნების სნეულებას, ყველა ადამიანს ახასიათებს და მათი დაძლევა მხოლოდ ქრისტიანული სინანულის ღვაწლით არის შესაძლებელი.

შემდგომში, როდესაც მონაზვნური ცხოვრება აღმოცენდა, აღსარების წესი შეიცვალა. მონაზვნობის საფუძველი მორჩილებაა, რაც სულიერი მოძღვრისადმი მორჩილის სრულ მინდობაში ვლინდება. მონასტერში სულიერი ხელმძღვანელობა მოძღვრის წინაშე გულისსიტყვების აღიარებით ხორციელდებოდა, ეს კი სულიერ ასკეტურ ბრძოლას უკავშირდებოდა. ამასთან მოძღვარი, რომელიც გულისსიტყვათა გამოცხადებას ღებულობდა, ანუ აღმსარებლის სულიერ და მშვინვიერ მდგომარეობას ეცნობოდა, უფრო ხშირად ჩვეულებრივი ბერი იყო, რადგან პირველ საუკუნეებში მონაზვნობა იერარქიული არ გახლდათ. ხარისხის არმიღება მონაზვნობის ერთ-ერთი ტრადიცია იყო: მონაზონი ტოვებდა ამა სოფელს და თავისი სიმდაბლის გამო არ შეეძლო მღვდლის ხარისხის მიღება.

ამ დროს სულიერი შემწეობისთვის მონასტერს უკვე ერის ადამიანებმაც მიაშურეს, რადგან ქრისტიანობამ სხვა ფორმები მიიღო. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ქცევის შემდეგ მან, ცხადია, დაკარგა სულიერი ცხოვრების ის სიმძაფრე, დევნულების დროს რომ ჰქონდა. ბუნებრივია, რომ ცოდვებმაც იმატა. ქრისტიანთა შორის თავი იჩინა ცოდვების მიმართ უგრძნობელობამ. მცირე თემებში ერთმანეთს ყველა იცნობდა, ყველა ერთი რწმენით და ამ რწმენის აღმსარებლობით ცხოვრობდა, ამ რწმენისთვის ისინი სიცოცხლითა და სისხლით აგებდნენ პასუხს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა საყოველთაოდ გავრცელდა და მრავალთათვის ტრადიციული რელიგია გახდა, კაცის დაცემულმა ბუნებამ იმძლავრა ღვთის სულზე, რომელიც ადამიანს ნათლისღებითა და მირონცხებით მიემადლა; ქრისტიანული ზნეობის სიმაღლემ და სიწმინდემ დაკნინება იწყო.

სიძვა, ქურდობა და სხვა მრავალი ცოდვა, რომელიც წარმართულმა სულმა ქრისტიანთა წრეში შემოიტანა, მორწმუნეთათვის უჩვეულო და გაუგონარი აღარ იყო. საჯარო

აღსარება ეკლესიას უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა, რადგან მანკიერებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი და ყველას გასაგონად ცოდვების აღიარება შეუძლებელი გახდა. საზოგადოებრივი ცხოვრების წესი ქრისტიანული თემის წევრთა ცოდვების დაფარვას მოითხოვდა. დაიწყო აღსარების მონასტერში ჩაბარება, აღსარების ფარული ხასიათი ჩვეულებად იქცა. და მაშინ აღსარების ორი სახე – გულისსიტყვების აღიარება, რაც უწინ მხოლოდ მონაზვნობისთვის იყო დამახასიათებელი, და მძიმე ცოდვების აღიარება ეკლესიაში – დროში გაერთიანდა. აღსარება საჯაროდ აღარ ითქმოდა. აღსარების საიდუმლოს დაცვა კანონად იქცა, ხოლო იმ ადამიანად, რომელიც ეკლესიას განასახიერებდა და რომელსაც მონანული აღსარებას ანდობდა, შემდგომში მღვდელი გახდა.

ასე მკვიდრდებოდა თანამედროვე პრაქტიკა, რომელიც დროთა განმავლობაში შესაძლოა კიდევ შეიცვალოს.

შვილო, შენი ცოდვები ჩემს კისერზე იყოს

„მამაო, ალბათ როგორ გიჭირთ აღსარებების მოსმენა და მიღება?“...– მე ვუპასუხე: „ეს პასექია! დიდი სიხარულია გულწრფელი სინანულის მიღება, სულერთია, რა ცოდვებსაც არ უნდა ეხებოდეს საქმე (და რაც უფრო დიდია კაცის ცოდვა, მით უფრო სასიხარულოა მისი სინანული). ადამიანი ათავისუფლებს თავის სულს სიკვდილისაგან – ეს სიხარულია“.

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი)

აღსარება ღმერთსა და ადამიანს შორის აღესრულება, და მღვდლის პიროვნებას საიდუმლოს აღსრულებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგრამ ეკლესია არა მარტო ღვთაებრივი, არამედ ღმერთკაცობრივი ორგანიზმიც არის. ღმერთკაცობრივი სახე ყოველ საიდუმლოში მონაწილეობს

და მათ შორის აღსარების საიდუმლოშიც. მღვდელი, რომელიც აღსარებას იბარებს, ხშირად შეეწევა მონანულს სულიერ ცხოვრებაში, და მაშინ მღვდლის პიროვნებას, როგორც სულიერ წინამძღვარს, აღსარების დროს უკვე ენიჭება მნიშვნელობა. მაგრამ მღვდლის მონაწილეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

ძველი რუსული ჩვეულების თანახმად, მას შემდეგ, რაც მონანულს ცოდვებს შეუნდობდა, მღვდელი წარმოთქვამდა: „შვილო, შენი ცოდვები ჩემს კისერზეა“, – შემდეგ ცოდვილის ხელს ქედზე დაიდებდა და ამით ადასტურებდა, რომ ეკლესია მას თავის თავზე იღებდა, როგორც წარწყმედილ ცხოვარს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მღვდელი აღმსარებლის ცოდვებს პირადად თავის თავზე იღებს, მაგრამ იგი მთელი ეკლესიის სახელით გამოდის და ამით გამოხატავს, რომ ეკლესიის ცხოვრებაში სწორედ ასე ხდება: როცა ერთი წევრი ტკივილს განიცდის, მთელ ეკლესიას სტკივა. ამ შემთხვევაში მღვდლის სახით მთელ ეკლესიას სტკივა. ყოველთვის, როცა მონანული ცოდვილი მოდის, სწორედ მღვდელი უნდა გახდეს ის ეკლესია, რომელიც მასთან ერთად იტანჯება.

მოძღვრის პიროვნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღსარების საიდუმლოს დროს მან გულგრილად კი არ უნდა დაა-ფიქსიროს მისთვის უცხო ადამიანის სინანული, არამედ სულიერი შვილის ცოდვები რაც შეიძლება ახლოს უნდა მიიტანოს გულთან. მოძღვრისთვის არც ერთი აღსარება უკვალოდ არ ჩაივლის, ეს უბრალო საუბარი არ არის, მისი მონაწილეობა ჩადენილი დანაშაულის დამოწმებით არ შემოიფარგლება. მღვდლის მდგომარეობა აღსარების დროს – ეს არის ეკლესიის მიერ მონანული ადამიანის ტკივილის საკუთარ თავზე აღება.

ერთი მხრივ, მოძღვარი აღსარების დროს სულიერად გახსნილია ამ ტკივილის აღსაქმელად. თუ მას ასეთი მზაობა და თანალმობით აღსავსე, ქრისტეს მობაძავი სიყვარული აქვს, მოძღვარი სავსებით გახსნილი უნდა იყოს, რათა ყველა ჭრილობა, რომელიც ადამიანს სატანამ, ცოდვამ და საკუთარმა ვნებებმა მიაყენა, თვით მოძღვრისთვისაც მტკივნეული იყოს.

როგორც ეკლესიამ, მან უნდა იგრძნოს ეს ტკივილი, განიცადოს იგი, რამეთუ ეკლესია მთლიანი ორგანიზმია, სადაც ერთი წევრის ტკივილს მთელი სხეული გრძნობს.

მეორე მხრივ, საიდუმლოს აღსრულების დროს მოძღვარი უფლის მადლითა და წყალობით სავსებით დაცულია, რომ ცოდვის დამანგრეველმა ძალამ იგი თავად არ დაანგრიოს. ღვთის მადლი, რომელიც მღვდელს იფარავს, ის მადლია, მთელ ეკლესიას რომ მიენიჭა, როგორც მაკურნებელი ძალა, როგორც სული წმიდის მადლი, „ჭირვეულთა შემწე და ნაკლულევანთა აღმავსებელი“, როგორც ეს ქიროტონიის საიდუმლოშია ნათქვამი.

სინანულის საიდუმლოში მღვდლის სახით ეკლესია იხსნება როგორც ღვთაებრივი, ისევე კაცობრივი მხრიდან. ერთი მხრივ, მღვდელმა, როგორც ადამიანმა, რომელიც ეკლესიის ღმერთკაცობრიობას განასახიერებს, სხვისი ტკივილი უნდა იტვირთოს, მეორე მხრივ, როგორც მღვდელმთავარ ქრისტეს ხატმა, უნდა უმკურნალოს ადამიანს თავისი კაცობრივი მონაწილეობით, რომელიც ღმერთისგან მოდის.

სინანულის საიდუმლოში მღვდელი მონაწილეობს, როგორც მოწყალე სამარიტელი (იხ. ლუკა, 10,30-35), სარგებლობს რა ეკლესიის მადლით, რომელსაც ჭრილობების კურნების უნარი შესწევს. მღვდელი ფლობს ამ ნიჭებს და სწორედ მღვდლის მეშვეობით ხდება საღმრთო ნიჭების გარდამოსვლა მონანულ ცოდვილზე. ამ გაგებით იგი არა მარტო მღვდელია, მისი მღვდლობა ეკლესიის მადლმოსილ ძალას წარმოადგენს. თუმცა ადამიანურად ზოგიერთი მღვდლისთვის სინანულისადმი ამგვარი დამოკიდებულება ნამდვილი ღვაწლია.

სწორედ მღვდელია ეკლესია, რომელიც ცოდვილს კურნავს, და სიხარული, რომელიც ადამიანს სინანულის საიდუმლოს დროს ცოდვისაგან განკურნების წამს ეუფლება, ის სიხარულია, რომლითაც ხარობს ეკლესია, ხარობს მთელი სხეული, როცა მისი ერთი წევრი ხარობს, და მღვდელმაც შეუძლებელია არ განიცადოს ეს მადლმოსილი მდგომარეობა. ეს სწორედ ის მომენტია, როცა მღვდელი თვით ქრისტეს ეკლესიის სავსებას წარმოადგენს.

ამგვარ მდგომარეობას აღწერდა დეკანოზი გლებ კალედა, როცა ციხეებში დადიოდა სიკვდილმისჯილებისგან აღსარების მისაღებად და მათთან ურთიერთობა ჰქონდა. ეს სამოცდაათი წლის მღვდელი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გაბრწყინებული და სიხარულით აღსავსე, ამბობდა: „მამებო, რატომ არ დადიხართ ციხეებში? ეს ისეთი სიხარულია!“ განკურნების ამ სიხარულს იგი მუდმივად გრძნობდა, როგორც ახალი ცხოვრების დაბადებას. მღვდლისთვის ეს ყოველთვის მადლიანი საზღაურია იმ ტკივილისათვის, რომელსაც იგი ტვირთულობს. ეს მადლი აღსარების საიდუმლოს დროს სავსებით ფარავს ყველა იმ სიმძიმეს, რომელსაც მოძღვარი თავის კისერზე იღებს სხვა ადამიანების აღსარებების მოსმენისას.

ვინც იბრძვის, გადარჩება

ახლა ალბათ გასაგებია, რომ აღსარება მღვდელთან საუბარი კი არა, ღმერთთან მიახლებაა. შესაბამისად, იგი თვითონ აღმსარებლის მიერაც უნდა აღიქმებოდეს არა როგორც რჩევის ან ნუგეშინისცემის მიღების საშუალება მღვდლისგან, რაც არ უნდა კარგი და ბრძენი იყოს იგი, არამედ პირველ რიგში როგორც ქრისტესთან მიახლება და აღმსარებლის პირადი სულიერი ღვაწლი. წმინდა მამები ამბობენ, ღმერთი გვაცხონებს, მაგრამ უჩვენოდ არაო.

ცხოვრებისეული გარემოებიდან გამომდინარე, სინანულის საიდუმლო სხვადასხვაგვარად სრულდება. ადამიანმა შეიძლება მოინანიოს მღვდლის წინაშე, რომელსაც აქვს ოლარი და კურთხევანი, მაგრამ საიდუმლო შეიძლება აღესრულოს ტაძრის გარეთ, ოლარის, ჯვრის და სახარების გარეშეც. თვით სინანულის საიდუმლოსთვის მხოლოდ სინანულია საჭირო და სხვა არაფერი. შესაძლოა ყველა და ყველაფერი იყოს: ცოდვილიც, მღვდელიც, ოლარიც და ტაძარიც, ჯვარიც და სახარე-

ბაც, წაკითხულ იქნეს ყველა ლოცვა, ცოდვილის თავზე ოლარიც იყოს გადაფარებული და ითქვას: „მოგიტევებ და განგხსნი“ – საიდუმლო კი მაინც არ აღსრულდეს.

როგორ სრულდება სინანულის საიდუმლო? როგორც ითქვა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული საიდუმლო. მასში ყველაფერი გამოუთქმელია, აღუწერელი და აუხსნელი, არსებობს მხოლოდ განსაზღვრული ფორმა, რომელიც მასში გააზრებული მონაწილეობის საშუალებას გვაძლევს. რადგან თუკი ჩვენ არ შეგვიძლია აღვწეროთ, როგორ შექმნა უფალმა სამყარო თავისი სიტყვით, მაშინ იმის აღწერაც შეუძლებელია, როგორ განაახლებს უფალი ადამიანს.

ადამიანი ხშირად პოულობს თავისთვის აღსარების კომპრომისულ ვარიანტს, სწორედ იმას, რაც შეიძლება ენით აღიწეროს, შეიძლება ფორმულირდეს, როგორც საიდუმლო, ასეთი აღწერილობა კითხვა-მიგებისაგან შედგება და სინანულის სახელმძღვანელოდ გამოდგება. მონანული მიდის აღსარებაზე და თავის ცოდვებს ჩამოთვლის, მღვდელი შეუნდობს და ადამიანი ცოდვებისაგან თავისუფლდება. ასეთ შემთხვევაში აღსარების საიდუმლო იქცევა ორდინალურ მოვლენად, რომელიც დროდადრო ადამიანის ცხოვრების გარკვეულ პერიოდებში ხდება. იწყება მარხვა, ადამიანი მიდის აღსარებაზე, ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს ეზიარება... მერე მარხვა მთავრდება, კაცი განაგრძობს ცხოვრებას მორიგ მარხვამდე, მორიგ სინანულამდე და მორიგ ზიარებამდე. სამწუხაროდ, სინანულის საიდუმლო ბევრი ადამიანის ცნობიერებაში არსებობს როგორც ცალკეული მღვდელმოქმედება, რომელიც შეიძლება მაშინ შესრულდეს, როცა ისინი მოისურვებენ.

გადააქცია რა თავისთვის სინანული „მრავალჯერადი გამოყენების საიდუმლოდ“, ჩვენი ცნობიერება აღსარებიდან აღსარებამდე ცხოვრობს. თუ არ გავაცნობიერეთ და არ წარვმართეთ ჩვენი ცხოვრება, როგორც ღვთისკენ მიმავალი ერთი, უწყვეტი გზა, იგი ფრაგმენტული, შემთხვევითი ხდება: როდესაც ადამიანი სინანულით კი არ ცხოვრობს, არამედ მხოლოდ დროდადრო მიდის აღსარებაზე და ინანიებს. მაგრამ არ შეიძლება

სინანულის საიდუმლო და თავად სინანულის გზა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს. სად აღესრულება სინანულის საიდუმლო? როდის? რა ეტაპზე ხდება იგი მამოძრავებელი ძალა?

იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც სინანული ცხოვრების წესია, აღსარება ყოველთვის ახლებურად, უწინდელისგან განსხვავებულად სრულდება. ამას ყოველთვის ვერ ვაცნობიერებთ, მაგრამ ეს ასეა. ამასთან, აღსარება ყოველ ჯერზე განსაკუთრებულ, პირად ღვაწლს მოითხოვს, მოითხოვს არა მარტო ღვთის შეწევნას, არამედ ადამიანის პირად ღვაწლსაც, ცოდვასთან ბრძოლის გადაწყვეტილებას.

ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი ყოვლისმცოდნეა, მისთვის ადამიანის ბედი შობამდეა ცნობილი, კაცის არსება ღვთისთვის დაფარული არ არის. მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანს თავისუფალი ნება აქვს მიცემული, იგი თავის თავს თვითონ განაგებს და უფალი კაცის თავისუფალ ნებას არასოდეს ეხება. ამას უფალი თავისი განხორციელებით გვიჩვენებს. იგი იშვება როგორც ჩვილი, რომელსაც ღვთისმშობელი სახვევებში ახვევს, ხელ-ფეხს უკრავს. იგი ამქვეყნად მოდის, ვითარცა ღმერთი, თავის ქმედებებში კი დასაბამიდანვე შებორკილია, თუ გნებავთ, არ არის თავისუფალი. სიტყვა „შებორკილი“ შეიძლება საღმრთო ბუნებას სავსებით არ შეესატყვისებოდეს, მაგრამ იგი კიდევ ერთხელ განისაზღვრება, როცა ქრისტეს პილატეს საპყრობილეში ვხედავთ, ხელფეხშეკრულს, თავისუფლებაწართმეულს, კაცთა მიერ დატყვევებულს.

ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი სავსებით თავისუფალია. იგი ასეც ეუბნება პეტრეს, რომელიც გეთსიმანიის ბაღში მის დაცვას ცდილობს: „ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაი?“ (მათე, 26,53). მას ხელეწიფება თავის დაცვა, მაგრამ თავს საკუთარი ნებით იზღუდავს, რათა კაცობრივმა თავისუფლებამ ამგვარადაც იზეიმოს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი წინასწარ არის განჩინებული ცხონებისათვის, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ცხონდება. ღვთის განგებულება სწორედ იმაში

მდგომარეობს, რომ ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა განახორციელოს თავისი დასაბამიდან განჩინებული ღვთის შვილობა. მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ მას ხელეწიფება, ვინც ამისათვის თავისუფალ ნებას იყენებს, ვისაც სურს, რომ ღმერთი ჰყავდეს მამად და თვითონ მისი შვილი იყოს. ვინც ამას უარყოფს, იგი საკუთარ ცხონებას უარყოფს.

საქმე, რომელიც ყველა სხვა საქმეს მოიცავს

თვით მაცხოვარი ყველას ერთ ისეთ საქმეს სთავაზობს, რომელიც ყველა სხვა საქმეს მოიცავს, და მოციქულებს უბრძანებს, რომ ყველას ერთი და იგივე უთხრან: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

წმ. მარკოზ მოღვაწე

ყველა საიდუმლო, რომელიც ეკლესიაში აღესრულება, შეუძლებელია კაცის პირადი რწმენისა და თავისუფალი ნების გარეშე აღესრულოს. საიდუმლო მღვდლის მიერ განტევების ლოცვის წაკითხვით არ სრულდება, იგი ლოცვის წაკითხვის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს.

ჩვილი ნათლისღების საიდუმლოს ვერ აცნობიერებს, მას მშობლებისა და ნათლიების სარწმუნოებაზე მინდობით ნათლავენ, ყრმის სარწმუნოებით აღზრდა მათი მოვალეობაა. ჯვრისწერის საიდუმლოს სრული გაცნობიერება ქორწინების საფუძველია, თუმცა ადამიანებს თავიდან საიდუმლოს ბოლომდე გათავისების უნარი არ შესწევთ, მას სინამდვილეში მთელი ცხოვრების მანძილზე აცნობიერებენ, კეთილად განახორციელებენ ან დაარღვევენ. სურვილი იმისა, რომ ბოლომდე ემსახურო ღმერთს, მღვდლობის საიდუმლოს აღსრულების საფუძველია, რათა შემდგომში ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრებით განახორციელოს ეს საიდუმლო.

სინანულის საიდუმლოც კაცის ცხოვრების საიდუმლოა, არა ერთჯერადი აქტი, არამედ ადამიანის სულში სული წმიდის მადლის მოქმედება, ვიდრე ცოდვებზე საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდეს.

სინანულის საიდუმლოს სხვა საიდუმლოთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც ესაა ადამიანში სხვა საიდუმლოებათა განხორციელების საფუძველი. თუ ადამიანი მონათლულია, ჯვარდაწერილი, ხელდასხმული, მაგრამ მისთვის უცხოა სინანული, ყველა სხვა საიდუმლო მოკლებულია მადლმოსილ ძალას. სული წმიდა ვერ მოქმედებს ადამიანში, მადლი მადლად რჩება, მაგრამ ვერ განხორციელდება, რადგან სული წმიდა ადამიანის მონაწილეობის გარეშე არ მოქმედებს. ყოველი საიდუმლო პირველ ყოვლისა თანამშრომლობაა, სინერგია, ღმერთისა და კაცის ერთობლივი მოქმედება, და კაცის მოქმედება სინანულის საიდუმლოს გზით ხორციელდება.

თუ ადამიანში არის სული წმიდის მადლი, როგორც საწინდარი, ნათლისღების ჟამს რომ მიიღო, მაშინ ის სინანულის გზით ამ საიდუმლოში ღვთის შვილად განხორციელდება. თუ ადამიანში არის ცოლქმრული სიყვარული, როგორც ჯვრისწერის საიდუმლოს ჟამს სული წმიდით მიმადლებული საწინდარი, მაშინ საიდუმლო საკუთარი თავის მუდმივი დადანაშაულებით, შინაგანი სინანულით და ერთმანეთის სიმძიმის ტარების სურვილით ხორციელდება. და რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებით ეხება ზიარების საიდუმლოს.

ამიტომ სინანულის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საიდუმლო, რომელიც აღავსებს თავისი თავით და აღავსებს აზრით ადამიანის ცხოვრებას ყველა სხვა საიდუმლოებაში. იგი განახორციელებს ნათლისღების საიდუმლოს სავსებას, მირონცხების საიდუმლოს სავსებას სული წმიდის გარდამოსვლის ჟამს, ქორწინების სავსებას, მღვდლობის სავსებას და ადამიანის ქრისტესმიერი ცხოვრების სავსებას ევქარისტიის საიდუმლოში.

ეკლესიაში ყველაფერი საყოველთაოა

რომელ საიდუმლოზეც არ უნდა ვსაუბრობდეთ, თვით საიდუმლოს ცნება უნდა გავიგოთ, როგორც ზოგადეკლესიური მოქმედება. საიდუმლო – ეს არის ერთდროულად თავად ეკლესიის მოქმედება და ასევე მოქმედება თავად ეკლესიის მიმართ, რომ ყველაფერი ეკლესიად გარდაიქმნას. საყოველთაობა თვით აღსარების არსში დევს.

ცოდვა ბოროტებაა, მთელ სამყაროში განვრცობილი. მას საშინელი გამანადგურებელი ბუნება აქვს. მონანული ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ყოველი ცოდვა მთელი კაცობრიობის მკვლელობაა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ პასუხს არ ვაგებთ იმაზე, რაც ამქვეყნად ხდება. შეუძლებელია ადამიანმა არ იგრძნოს პასუხისმგებლობა და დანაშაული იმის გამო, რომ მის თვალწინ უბედურება მოხდა. ბუნებრივი კატაკლიზმებისა და კატასტროფების დროს ჩვენ ინტუიციით ვგრძნობთ, რომ ამაზე თითქოს რაღაცნაირად პასუხს ვაგებთ. როდესაც საავადმყოფოში ახლობელი კვდება, ყოველთვის გვაქვს დანაშაულის გრძნობა მისი ტანჯვის გამო, რაც ძნელად ასახსნელია: შენ თითქოს არაფერი დაგიშავებია. რომანში „ძმები კარამაზოვები“ დოსტოევსკი ამბობს, რომ ყველა ყველას წინაშეა დამნაშავე. ერთმანეთის წინაშე დანაშაულის გრძნობა იმის გაცნობიერებაა, რომ ცოდვა სიკვდილია, რომ ცოდვა თავის თავში სიკვდილს შეიცავს.

ადამიანის აღსარება არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქვეყნიერების განკურნებაა. იცვლება კაცის ცოდვით დაზიანებული ბუნება, იცვლება მის გარშემო არსებული ბუნება, იცვლება მისი დამოკიდებულების ბუნებაც სხვა ადამიანების მიმართ. ხდება მთლიანად გარკვეული სივრცის განკურნება ადამიანის გარშემო, რომელიც მან თავისი ცოდვით დაამახინჯა, თუმცა გარედან ეს შეიძლება შეუმჩნეველიც იყოს.

და ამ გაგებით სინანულის საიდუმლო, საიდუმლო ბოროტის ძლევისა, ეკლესიის განხორციელებაა. ამიტომ ყოველი

აღსარება არა მარტო შენი პირადი, ინდივიდუალური, არა მარტო ცალკეული ადამიანის საქმეა, არამედ სწორედ ეკლესიის საქმეა. ეკლესია ამ იარებს საკუთარ თავზე იღებს, განკურნავს მათ და ამ გზით თავადაც იკურნება.

ღვთის ნების მყოფელი წარუვალია უკუნისამდე

ეს ქვეყანაც გარდავა და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების მყოფელი კი წარუვალია უკუნისამდე.

1 იოანე, 2,17.

სინანულს ჩვენ მეორე ნათლისღებას ვუწოდებთ. ყოველთვის, როცა ადამიანი სინამდვილეში განიცდის ღრმა სინანულს, იგი სხვა ადამიანი ხდება. სინანული შეიძლება მისი ხელახლა შობა იყოს, მაშინ იგი თვით დროზე იმარჯვებს და მარადიული ხდება. უფალი, რომელიც ცოდვილთა ხსნისათვის მოდის, ყოველთვის ეძიებს ადამიანებში იმას, რაც მარადიულის კუთვნილებაა, რათა სინანულის გზით ისინი უკვდავებას აზიაროს.

რა დიდი და გამოუთქმელი სასწაულია: რაც იყო, უეცრად ქრება, სრულიად იძირება ღვთის მოწყალებაში, რითიც მტკიცდება, რომ ბოროტება არ არსებობს, რომ მას არ გააჩნია თავისი მყოფობა მარადისობაში. მაგრამ ცოდვისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება დაიძლიოს და კაცობრიობის ისტორიიდან სრულიად წარიხოცოს, ცოდვასთან ბრძოლის შედეგად მოპოვებული სათნოება და ჭეშმარიტი სინანული ისტორიაში და მარადისობაში რჩება.

ცოდვა დროებითი რამ არის, რაც უფალს არ შეუქმნია და რაც არ უნდა არსებობდეს. ცოდვით დამახინჯებული ადამიანი რაღაც ქიმერაა, მითი ადამიანის შესახებ. მძიმე სანახავია, როცა ნამდვილი, სიცოცხლითა და მარადისობით აღსავსე

ადამიანს, ღმერთს მიმსგავსებულ ქმნილებას, იმდენად შთანთქავს დროებითი და არარსებული, რომ თვითონ კაცი პრაქტიკულად აღარც არსებობს – რჩება მხოლოდ სისაძაგლე და სიმახინჯე. რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, ყველაფერში სიცარიელეა; რაც არ უნდა თქვას, ყველაფერი სიცრუეა. კაცის მთელი ცხოვრება იქცევა იმად, რაც არ არსებობს. ხოლო როცა ადამიანში მარადიული არაფერია, გადასარჩენიც არაფერი რჩება. ეს უკვე საბოლოო წარწყმედაა.

ცოდვილის სიკვდილი იმით არის საშინელი, რომ მასში სრული სიცარიელეა, გადასარჩენი აღარაფერია. მაგრამ სიკეთესთან ნაზიარები ადამიანი სიკვდილის შემდეგაც არ ქრება, არამედ მთელ კაცობრიობას მიემადლება, სივრცის, დროის და სულ სხვა განზომილებათა მეშვეობით განხორციელდება კაცობრიობაში. ათას ხუთასი წლის წინ მიიცვალა ადამიანი, ჩვენ კი დღესაც ვამბობთ: „წმიდაო დიდო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, შეგვეწიე“.

თუ კაცი ებრძვის ცოდვას, თუ აღსარებას ამბობს, მისთვის ცხადი ხდება, რომ ცოდვა სრული არარაობაა. და გამოდის, რომ თვით სინანულის საიდუმლო ადამიანში მარადიულობის დროებითზე გამარჯვების საიდუმლოა. თავის წარმავალ მდგომარეობაში ადამიანს შეუძლია იმდენად შეეხოს მარადისობას, რომ მარადისობით აღივსოს, ხელახლა იშვას და დაძლიოს ყოველივე წარმავალი.

კაცს, როგორც ხორციელ არსებას, არ შეუძლია ბოლომდე ზიდოს სულიერი; მას, როგორც მიწიერ ქმნილებას, არ ძალუძს ერთ წუთში გახდეს ზეციური – ეს მთელი მისი ცხოვრების საქმეა. მაგრამ ბოლოს, როცა ადამიანში მიწა ზეცად გარდაიქმნება, როცა დროებითი წარვალს და მარადიული დგება, აი, მაშინ მას შესწევს უნარი თავის თავში განახორციელოს ის, რასაც უფალი ეკლესიის საიდუმლოებების ძალით მიმადლის. მაშინ ის ჭეშმარიტი, რომელიც მარადისობის კუთვნილებაა და ადამიანში სული წმიდის მადლით არის განცხოველებული, უეცრად იმარჯვებს მასში.

თავი III

საიდუმლოთა საიდუმლო

ზიარების გარეშე არც ერთი საიდუმლო არ აღესრულება.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

ყოველი მღვდელმოქმედების დასასრული წმინდა ზიარებაა

ყოველი მღვდელმოქმედების დასასრული და ყოველი საღ-მრთო საიდუმლოს ბეჭედი წმინდა ზიარებაა.

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

ჩვენ ვამბობთ, რომ ევქარისტია საიდუმლოთა საიდუმ-ლოა. ესე იგი, არ არსებობს საიდუმლო, რომელიც ევქარის-ტიით არ იკურთხებოდეს და მასთან სიღრმისეულ კავშირში არ იყოს. ნათლისღება და ქორწინების საიდუმლო ძველად ლი-ტურგიის დროს აღესრულებოდა. მღვდლად ხელდასხმის საი-დუმლო დღესაც ლიტურგიაზე აღესრულება. ასეა თუ არა სხვა საიდუმლოებებთან მიმართებაში?

ზეთის კურთხევის საიდუმლო ლიტურგიას თითქოს არაფ-რით უკავშირდება, არც თავისი წეს-განგებით და არც სიმბო-ლიკით. საინტერესოა, რომ ადრე იგი განსხვავებულად აღესრუ-ლებოდა, მთლად ისე არა, როგორც ამჟამად, ზეთის კურთხევის საიდუმლოსთვის წელიწადში ერთხელ რომ ვიკრიბებით. ზეთის კურთხევა მოიაზრებოდა როგორც დაუძლურებულ და სნეულ წევრთან ეკლესიის მისვლა. დაუძლურებულ, სნეულ ადამიანს ეკლესიაში ევქარისტიაზე მისვლა არ შეეძლო და მასთან ეკლე-სია თვითონ მიდიოდა. პირველ დღეს ერთი მღვდელი მიდიოდა, სახარებასა და ლოცვებს წაუკითხავდა და ზეთს სცხებდა; მეო-რე დღეს – მეორე მღვდელი და ასე, შვიდი მღვდელი, მთელი კვირის განმავლობაში. ბოლოს ისინი იკრიბებოდნენ და საბოო-ლოდ სცხებდნენ ზეთს, უკითხავდნენ მას საერთო ლოცვას და შემდეგ ქრისტეს წმინდა საიდუმლოს აზიარებდნენ.

ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ზეთის კურთხევა არ არის კავშირში ევქარისტიასთან. თავად ეკლესია მიდიოდა განსაკურნებლად და ზეთისცხების საიდუმლოს გზით ადამიანს წმინდა საიდუმლოსთან ზიარებისთვის ამზადებდა. ჩვენმა ცნობიერებამ ეს დღემდე შემოინახა, როგორც ტრადიცია ზეთისცხების მეორე დღეს ზიარებისა.

აღსარების საიდუმლოც ევქარისტიასთან სიღრმისეულ კავშირშია, როგორც ადამიანის ევქარისტიაზე დაშვების ნებართვა. ძველ ეკლესიაში არსებული საჯარო აღსარება მხოლოდ ევქარისტიასთან იყო კავშირში. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეცოდებული ადამიანი ზიარებისაგან განეყენებინა ან სინანულის გზით ევქარისტიასთან შეეერთებინა. ადამიანის ეკლესიისაგან განყენება ეკლესიის ფორმალური წევრობისგან განყენებას კი არა, პირველ ყოვლისა ევქარისტიისგან განყენებას ნიშნავს: მღვდელს ლიტურგიაზე მსახურება ეკრძალება, ერისკაცს – ზიარება. ადამიანი ევქარისტიას მხოლოდ სინანულით მიეახლება, მხოლოდ შერიგებული, იმის ნებართვით, რომ ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ეზიაროს.

რა სიტყვებს წარმოთქვამს მღვდელი, როცა შენდობის ლოცვას კითხულობს? „მიიღე და შეაერთე წმიდასა შენსა ეკლესიასა“..., ეკლესიასთან შერიგება კი ევქარისტიულ კავშირში შესვლას ნიშნავს. სწორედ ამაშია სიღრმისეული კავშირი აღსარების საიდუმლოსა და ევქარისტიას შორის, ადამიანის სულიერ ცხოვრებასა და ლიტურგიაში მის მონაწილეობას შორის.

სინანულის საიდუმლო მჭიდრო კავშირშია ევქარისტიის საიდუმლოსთან, რადგან სინანულის საიდუმლო – ეს ეკლესიის საიდუმლოა. მისი მიზანი მხოლოდ სრულყოფილება, მხოლოდ ნაკლოვანებათა დაძლევა კი არ არის, არამედ იგი განსაზღვრავს, ხარ ეკლესიაში თუ არა, ხარ ღმერთთან თუ არა, მიიღე ქრისტე თუ უარყოფ მას, რადგან ისე ხარ გაუკუღმარებული, რაიმე უნდა იღონო, რომ გამოსწორდე და მიიღო ქრისტე. მხოლოდ ამისთვის ინანიებს ადამიანი, მხოლოდ ამისთვის იღვწის და გამოაქვს ნაყოფი, ღირსი სინანულისა, რომლის აზრი ევქარისტიის საიდუმლოში ქრისტესთან ზიარებაა.

მსწრაფლ განვიბანოთ ბიწი ცოდვისა

ბევრი მღვდელი, მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელიც კი ხშირი აღსარების წინააღმდეგია. მათ მიაჩნიათ, რომ საკმარისია აღსარება თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც ითქვას, და რომ მაშინ ადამიანი შეიძლება სინანულის განცდით მოვიდეს, შეძლოს საკუთარი თავის შეფასება, გააცნობიეროს თავისი ცოდვები და უფრო ღრმად შეინანოს. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ზიარებაზეც იგივე უნდა ითქვას: თუ ადამიანი იშვიათად ეზიარება, მისი ზიარება უფრო ღირსეულია. ზოგიერთი მოძღვარი ხშირი ზიარების უფლებას არ იძლევა და ამას იმით ასაბუთებს, რომ ზიარება ამ დროს ფორმალური ხდება.

ძნელია დაეთანხმო ამ აზრს. თუ ღმერთთან ურთიერთობა ჭეშმარიტია, იგი ფორმალური არ შეიძლება იყოს, იქნება ეს სინანულის საიდუმლო, ზიარების საიდუმლო თუ ლოცვა. ფორმალური იგი შეიძლება თავისთავად გახდეს, და ეს იმაზე კი არ არის დამოკიდებული, ხშირად მიეახლება თუ იშვიათად კაცი ამა თუ იმ საიდუმლოს, არამედ იმაზე, თუ რა მიმართებაშია მასთან: რამდენად ღრმად ესმის მას აღსარების მნიშვნელობა ან ლიტურგიაში მისი პირადი მონაწილეობის აზრი, და საერთოდ, რამდენად ცხოვრობს იგი სულიერად. ადამიანი თუ გულმხურვალე მორწმუნეა და ჭეშმარიტად სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, მაშინ ღმერთთან მის ურთიერთობაში ფორმალური არაფერია.

დღეს ახალმოქცეულ ქრისტიანთა უმრავლესობისთვის ხშირი და დაწვრილებითი აღსარება კატეხიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მოძღვრისაგან იმ კითხვებზე პასუხის მიღების შესაძლებლობაა, რაც აუცილებელია ადამიანის სულიერი ჩამოყალიბებისათვის. შეიძლება აღსარებაზე წელიწადში ერთხელაც კი მიხვიდე, დიდი ხუთშაბათის წინა დღეს, როგორც ეს სამწუხაროდ ხშირად ხდება, და ამ დროს საკუთარ ცოდვებს მაინც ვერ ხედავდე. მაგრამ თუ კაცს სურს თავისი

თავი ნამდვილად დაინახოს, სინანული მასში იღვიძებს, როგორც ბუნებრივი მოთხოვნილება.

ცოდვა შიშისმომგვრელია, და თუკი ადამიანს არ შეუძლია და არ სურს ცოდვაში ცხოვრება, იგი აღსარებაზე თავისთავად მივა. რა მოაცდევინებს მთელი თვე? როგორც კი იგრძნობ, რომ ცოდვამ მოგწყლა, უმალ ექიმს მიმართე. ხოლო რაც უფრო მეტ ხანს დააყოვნებ, მით უფრო უგრძნობელი ხდება სული. გულის გაქვავება კი სწორედ იმას მოსდევს, რომ ადამიანი შესაძლებლად მიიჩნევს ცოდვის წყლული მოითმინოს და სამომავლოდ გადადოს სინანული. გვახსენდება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც, ვიდრე ცოდვილი იყო, ასე ლოცულობდა: „უფალო, მაცხოვნე მე, ოღონდ ახლა არა“. სწორედ ცოდვის წყლული უნდა აღძრავდეს ადამიანს, რომ რაც შეიძლება მალე თქვას აღსარება, შეწევნა და სულიერი რჩევა სთხოვოს მოძღვარს.

სინანულის სერიოზულ ნაყოფს კაცი ერთ კვირაში ალბათ ნამდვილად ვერ გამოიღებს, მაგრამ სულ მუდამ სინანულის გზას კი უნდა ადგეს.

წინაშე კარსა ტაძრისა შენისასა წარდგომილ ვარ

ვინც წმინდა საიდუმლოებებს განეშორება, ის ღმერთს განეშორება.

წმ. ეგნატე და კალისტე

სხვადასხვა ქვეყანაში აღსარების სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს და იგი ყველგან ლიტურგიასთან არ გახლავთ კავშირში. ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენს ეკლესიაში ყოველი ევქარისტიის წინ ღმერთთან შერიგების ტრადიცია დამკვიდრდა. მაგრამ სწორედ ამიტომ სინანულის საიდუმლო ზოგიერთის მიერ აღიქმება არა როგორც ცათა სასუფევლის საიდუმ-

ლო, არამედ როგორც ერთგვარი საშვი ქრისტეს წმინდა საიდუმლოსთან მიახლებისა. რა თქმა უნდა, ყველა იტყვის, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ გარეგნულად ასე ჩანს: თავდაპირველად აღსარებაზე მიდიხარ და ამის შემდეგ გეძლევა ზიარების ნებართვა. აღსარება ზიარების ნებართვა კი არა, შეერთებაა ეკლესიასთან, რომლისგანაც ადამიანს ცოდვა განაშორებს.

თუ აღსარების საიდუმლოს ისე გავიგებთ, როგორც ზიარების ნებართვას, მაშინ ზიარებაც და სინანულიც პირად საქმედ მოიაზრება. ჩემი პირადი საქმე ჩემი პირადი ცოდვებით მღვდელმა განიხილა და გარკვეული რეზოლუცია დაადო, ახლა კი შემიძლია გავაგრძელო ჩემი პირადი საქმე და ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს ვეზიარო. ეს მცდარი შეხედულებაა. ბევრისთვის, ვინც ტაძარში თავისი პატარა საქმისთვის, „საკუთარი“ მადლის მისაღებად მოდის, ზიარება და ღმერთთან შერიგება მისგან რაიმეს წაღებას ნიშნავს. ჩვევად ქცეული ასეთი ყალბი სულიერება ერთ-ერთი დიდი ტრაგედიაა, ასე მრავლად რომ არის ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებაში, და ეს ცხოვრება ვერ მოწესრიგდება, თუ ყველა ადამიანი არ გამოასწორებს ერთმანეთთან და ღმერთთან ურთიერთობას. მღვდლის ლოცვა ზიარების ნებართვა კი არ არის, არამედ იმის დამოწმება, რომ ადამიანი ღმერთისკენ მიისწრაფვის, მას ეძიებს და მასთან ყოფნა სწყურია.

თუმცა მე არ ვფიქრობ, რომ აღსარება ის ფორმალობაა, რომლის მიხედვითაც ზიარებაზე დაიშვებიან: თუ თქვი აღსარება – ეზიარე, თუ არადა არა. მე ვფიქრობ, რომ შეიძლება უფრო ხშირად ეზიარო, ვიდრე აღსარებას ამბობ. თუ ადამიანმა აღსარება ერთი კვირის წინ თქვა და თავის თავზე განსაკუთრებულს ვერაფერს იტყვის, მაგრამ ზიარება სურს, გული შემუსვრილი აქვს და ყველასთან მშვიდობიანი ურთიერთობა აკავშირებს, მაშინ რატომ არ უნდა დაიშვას იგი ზიარებაზე? ჩვენ ასეც ვიქცევით, როცა, მაგალითად, აღდგომის დღესასწაულზე ყველა ეზიარება. ამის არ უნდა გვეშინოდეს. გვეშინოდეს იმის, რომ თავი ვერ შევიკავოთ ზიარებამდე და ზიარების შემდეგ. თუ ადამიანს ცუდი არაფერი ჩაუდენია, ცდილობდა

თავი დაეცვა, თუ მისი გული შემუსვრილია, საკმარისია მოძღვართან მივიდეს და უთხრას: „მამაო, მე ვგრძნობ, რომ ცოდვილი ვარ, მაგრამ ჩემს თავზე ახალს ვერაფერს ვიტყვი, მინდა ვეზიარო“. ასეთ დროს ადამიანს უარი არ უნდა ეთქვას, რადგან იგი ქრისტესთან მიდის და ქრისტე მას არ უარყოფს. იმ ტაძრებში, სადაც ნამდვილი ევქარისტიული თემი ჩამოყალიბდა, სადაც მოძღვარი მრევლს სახელებით იცნობს და მათი ცხოვრებაც იცის, სადაც ქრისტიანებს ყოველ კვირას და სადღესასწაულო ლიტურგიაზე ზიარება სურთ, ყოველი ზიარების წინ აღსარება აუცილებელი არ არის.

როცა თუნდაც ძალიან გულწრფელი აღსარების შემდეგ საზიარებლად მიდიხარ, ძალიან მნიშვნელოვანია გესმოდეს, რომ სინამდვილეში თითქმის არაფერი გითქვამს და როგორიც იყავი, არსებითად ისეთივე დარჩი. აღსარების შემდეგ ადამიანი მართალი მაინც ვერ გახდება, ისევ იმ ცოდვილად რჩება, რომელიც ღმერთს ძრწოლის გარეშე ვერ მიეახლება.

რამეთუ ულირსად მოვიღებ...

უწყი, უფალო, რამეთუ ულირსად მოვიღებ უხრწნელსა ხორცსა შენსა და პატიოსანსა სისხლსა შენსა.

ზიარებისწინა ლოცვებიდან

ცხადია, აღსარების შემდეგ ზიარებამდე თავი ყოველმხრივ უნდა დაიცვა. როგორ უნდა ეზიარო, თუკი ვინმე გაანაწყენე და აღსარების შემდეგ მას არ შეურიგდი? მაგრამ ღირს კი სასო წარიკვეთო იმის გამო, რომ აღსარების შემდეგ რაღაც ცოდვა გაგახსენდა, რომლის თქმაც დაგავიწყდა? ეს ცოდვა ზიარებისთვის დამაბრკოლებელი არ გახლავთ. ასეთ დროს გულით უნდა დამდაბლდე და თქვა: „ესეც შემინდე, უფალო“, – და საზიარებლად მიხვიდე.

უფალი ჩვენს აღსარებას არც იმის მიხედვით იწყნარებს, რამდენ ცოდვას ვაღიარებთ, არც იმის მიხედვით, რამდენად

გულმოდგინედ შევარჩევთ სიტყვებს ცოდვების აღნუსხვისას. სწორედ იმიტომ არა ვართ ბარძიმთან მიახლების ღირსნი, რომ ჩვენში უამრავი ცოდვაა ისეთი, რაც არათუ არ გვიღიარებია, ჯერ არც კი დაგვინახავს საკუთარ თავში. ვთქვით აღსარება და ცოდვილებად დავრჩით, მაგრამ უფალი მაინც გვღებულობს: თავისი გულმოწყალების გამო გვღებულობს ჩვენ, ცოდვილებს, თუ მონანიების სურვილს და ცოდვებთან ბრძოლის გადაწყვეტილებას ხედავს. გვღებულობს და სხვა ადამიანებად გვყოფს.

მაგრამ თუ არც სურვილი გაგაჩნია და არც მტკიცე გადაწყვეტილება, მაშინ უფალიც არაფერს იქმს... ეზიარები და მიღებულ მადლს იქვე განაბნევ. როცა ბარძიმს სრული გულგრილობით და იმის ცოდნით მივეახლებით, რომ თუნდაც გვსურდეს გამოსწორება, მაინც ისეთივენი დავრჩებით, როგორებიც ვიყავით, თან გუნებაში კიდევაც გვინდა, ცოტათი უწინდებურებიც ვიყოთ – აი, ესაა ყველაზე დიდი საშინელება. როცა გულში ისეთი გრძნობა გრჩება, რომ სხვანაირი არც გინდა იყო, გენანება ბევრი ის წვრილმანი, რასაც უნდა შეელიო, გინდა რაღაცით კიდევ დატკბე, რაღაცას კვლავ დაეწაფო, კიდევ ერთხელ განიცადო ის, რაც ადრე განგიცდია – აი, ესაა უბედურება.

უფალი ზიარების ნებას იმიტომ კი არ გვაძლევს, რომ ამის ღირსები ვართ, არც იმიტომ, რომ აღსარების შემდეგ ზიარების უფლება გვაქვს. ჩვენ არასდროს არაფრის უფლება არა გვაქვს. მაგრამ ასეთია უფლის უსაზღვრო კაცთმოყვარება და გულმოწყალება: მიუხედავად ყველაფრისა, როგორებიც ვართ, ისეთებს გვღებულობს.

ყოველი საიდუმლო ღმერთისა და ადამიანის საშინელი შეხვედრაა. „საშინელ არს შევრდომა ხელთა ღმრთისა ცხოველისათა“ (ებრ. 10,31), – ნათქვამია წმინდა წერილში. საშინელია ყოველი საიდუმლოს მიღება, უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარება კი განსაკუთრებით საშინელია. და ეკლესია მოციქულთა ეპისტოლეებით, წმიდა მამათა სწავლებებით დაუცხრომლად ქადაგებს, რომ ღირსეულად ზიარება არავის

ხელეწიფება – როგორც არ უნდა მოემზადო, როგორც არ უნდა ილოცო, როგორც არ უნდა იმარხულო... ქრისტეს სის-ხლთან და ხორცთან ზიარების შესაძლებლობას ერთადერთი რამ გვაძლევს – სული შემუსვრილი და იმის გაცნობიერება, რომ შენ არ ძალგიძს ზიარება, მაგრამ ამავე დროს არც ის შეგიძლია, რომ არ ეზიარო, რამეთუ ესაა ერთადერთი წყარო შენი ცხოვრებისა.

მხოლოდ სინანულის საიდუმლოა საფუძველი და იმედი იმისა, რომ ეს ზიარება, კაცის ქრისტესთან შეერთება მისთვის საუკუნო ცხოვრებისა და სიხარულის საწინდარი იქნება.

თავი IV

სიყვარული განდევნის შიშს

არამედ ამისთვის შევიწყალე, რაითა ჩემდა მომართ აჩუენოს პირველად იესუ ქრისტემან ყოველი სულგრძელებაი მისი სახედ მერმე-თა მათ მორწმუნეთა მისა მიმართ ცხორებად საუკუნოდ.

1 ტიმოთე, 1,16.

უსაზღვროა უფლის კაცთმოყვარეება

თქვენს ბოროტებას თავისი ზომა აქვს, ხოლო კურნება, მის წინააღმდეგ მოვლენილი, უსაზომოა. კაცთა მანკიერებას რაღაც ზღვარი უდევს, ღვთის კაცთმოყვარება კი უსაზღვროა.

წმ. იოანე ოქროპირი

ზოგჯერ ურწმუნო ადამიანებისთვის საზღვარი ავსა და კარგს შორის უფრო გარკვეულია, ვიდრე იმ ქრისტიანთათვის, სულიერი ცხოვრების შესახებ ცრუ და ზერელე წარმოდგენების ტყვეობაში რომ არიან. „რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ყველაფერი ცუდი და უღირსია“, – ხშირად ამბობენ მორწმუნენი და არ ესმით, რომ ამ სიტყვებით ადამიანის მთელ ცხოვრებას აუფასურებენ. ურწმუნონი კი, ჩვეულებრივ, ყველაფერს თავისი სინდისის შესაბამისად აფასებენ: კარგი საქციელი კარგია, ცუდი საქციელი კი – ცუდი. თუ ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ და საზოგადოების მიერ დადგენილ ნორმებს არ არღვევენ, ისინი თავს კარგ, წესიერ და ნორმალურ ადამიანებად მიიჩნევენ.

ცხადია, ახლად მოქცეული ბევრ რამეს ეკლესიისგან სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევს. პირველი აღსარების წინ იგი წიგნებს მიმართავს. ეს წიგნები იმისთვის არის შექმნილი, რომ ადამიანი საიდუმლოსთვის მოამზადონ, მაგრამ სინამდვილეში ხშირად იგი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, რადგან ასეთ წიგნებს ყოველთვის როდი მოაქვთ სარგებლობა. მათ შორის ბევრია ძალიან კარგი წიგნი; საუკეთესო და შესაძლოა, ერთადერთი მათ შორის იოანე კრესტიანკინის „აღსარების აგების გამოცდილებაა“, თუმცა

ახლად მოქცეულისთვის ისიც მეტისმეტად მკაცრია.

მაგრამ აღსარების შესახებ დაწერილი წიგნები ძირითადად კაცის ცხოვრებას ერთ მთლიან ცოდვად წარმოგვიდგენს, რომელსაც არავითარი გამართლება არ გააჩნია. როცა ახალმოქცეული ხელში იღებს ცოდვებსა და აღსარებაზე ფორმალურად დაწერილ წიგნს, ძალიან იბნევა: ხედავს ცოდვების ჩამონათვალს, რომელიც თურმე უნდა შეინანოს, ის კი მათ, როგორც ცოდვებს, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს. ადამიანი ფიქრობს, რომ ნორმალური, კარგი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს – ჰყავს შვილები, აქვს ოჯახი, სამსახური, თავის გარშემო რაღაც შეუქმნია: სახლი აუგია, ბაღი გაუშენებია, ამიტომ ამ კაცს არ ესმის, რატომ ითვლება, რომ კეთილი საქმეები, რომლებსაც იგი აკეთებდა, სინამდვილეში სრულიადაც არ არიან კეთილი საქმეები. ამ წიგნებიდან იგი შეიტყობს, რომ აქამდე ჯვარდაუწერელი ცხოვრობდა, რომ მისი სიყვარული გონებისთვის სავსებით გაუცნობიერებელი ცოდვა ყოფილა, შვილები არ მოუნათლავს, ყველა იმ სიკეთეს, რაც კი სხვა ადამიანებისთვის გაუკეთებია, საფუძვლად წვრილმანი პატივმოყვარეობა ედო... ესე იგი, ყოველი მისი საქციელი სასჯელის ღირსია – ადამიანი განადგურებულია, იგი აღარ არსებობს და გადასარჩენიც აღარავინაა.

ზოგიერთ წიგნში ცოდვების ასეთი ჩამონათვალი აბსურდამდე მიდის. მინახავს წიგნი აღსარების შესახებ, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყოველგვარი გაუკუღმართება, დასახელებულია ისეთი ცოდვები, რომელთა ხმამაღლა წარმოთქმაც კი უხერხულია. ვისთვის არის ეს წიგნი დაწერილი? ან რაღა ქრისტიანები არიან, თუ ასეთ ცოდვებს სჩადიან? მათ არც შეიძლება ქრისტიანის სახელი ეწოდებოდეთ. ხშირად ცოდვების ჩამონათვალში მკაცრ ასკეზასა და ახალმოქცეული ადამიანის ცხოვრების წესს შორის არავითარი განსხვავება არ არის, თუმცა ბევრი რამ, რაც აშკარად დაუშვებელია ბერისთვის, მაგალითად, ქალიშვილის საცეკვაოდ გაწვევა, საერო პირისთვის სავსებით მისაღებია.

დღეს ხშირად გამოიცემა კაცმა არ იცის, საიდან აღმო-

ცენებული „ბერების“ რჩევა-დარიგებები, რომლებიც გვმოძღვრავენ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი სინანული. თუ ამ წიგნებს ყურადღებით წაიკითხავ, აუცილებლად რაიმე სახის ფსიქიკურ აშლილობამდე მიხვალ. აქ გაბატონებულია დამოკიდებულება ქალის, როგორც მონის მიმართ, რომელიც მზადაა ყველაფერი უსიტყვოდ მიიღოს და ნებისმიერ უაზრობას დაემორჩილოს. ცხადია, ამას შეუძლია დაიმონოს ადამიანის ცნობიერება, როგორც ეს ტოტალიტარულ სექტებში ხდება.

მსგავსი წიგნები კაცს ბოროტების ბუდედ წარმოაჩენს, რომელსაც შენდობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მათ ადამიანი ყალბ სულიერ მდგომარეობამდე მიჰყავთ, რადგან შეუძლებელს ხდიან, რომ კაცმა თავისი თავი ღმერთს მიმსგავსებულ პიროვნებად გააცნობიეროს, არ აძლევენ საშუალებას, რომ რაღაც საყრდენი იპოვოს, თავისი ცხოვრება ზნეობისა და სინდისის, სიკეთისა და სიმართლისადმი ბუნებრივი მიდრეკილების კატეგორიებში გააცნობიეროს. ყოველივე ეს გარდა სასოწარკვეთილებისა, სულიერი სიცარიელისა და პროტესტისა, არაფერს იწვევს. ადამიანი აღსარებაზე განადგურებული, მიწასთან გასწორებული მიდის და არც კი სჯერა, რომ ღმერთი შეუნდობს ცოდვებს.

ამ წიგნების თვით სტრუქტურაში, ადამიანისადმი, როგორც დამნაშავისადმი დამოკიდებულებაში არის რაღაც ინკვიზიტორული. ამიტომ, როცა კაცი ხელში ამ ტიპის თხზულებებს იღებს, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან შეიძლება სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს და საერთოდ წავიდეს ეკლესიიდან. ცხადია, ასე თუ ისე კარგად დაწერილი წიგნებიც გვხვდება, თუმცა თვით წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის წიგნმაც შეიძლება მძიმე შთაბეჭდილება დატოვოს, რადგან იგი საკმაოდ სქემატურად არის აგებული: არის სათნოებები, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნია, არის ცოდვები, რომლებიც მრავლად გვაქვს და არის ფორმა, რომლის მიხედვითაც ვამბობთ აღსარებას. მაგრამ არსებობს კიდევ ცოცხალი ადამიანიც, რომელსაც სურს შეიცვალოს, რომელიც ძრწის უფლის წინაშე და ეს-ეს არის იწყებს მისკენ მიმავალი ბილიკის ძიებას. მას ღმერთში დასაყ-

რდენი ჯერ კიდევ არ გააჩნია, ამ დასაყრდენის საპოვნელად მოვიდა და შესაძლოა არც კი იცოდეს, რომ უფალი სიყვარულით უმზერს მისკენ მიმავალ ყოველ მონანულ ცოდვილს.

არ არსებობს მიუტევებელი ცოდვა, გარდა შეუნანებელისა

კაცის მთელი ცხოვრება ცოდვასთან არის კავშირში. ეს საშინელებაა, მაგრამ არა უსაშველო. მართლაც, ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არ განუწყვეტელი ცოდვა ღვთის წინაშე, მაგრამ უფალი განა ისე გვიყურებს, როგორც ამას აღსარების შესახებ დაწერილი წიგნების ავტორები ამბობენ, რომლებიც ადამიანის ყოველ აზრს, ყოველ სურვილს ცოდვად წარმოადგენენ?

ბევრ ადამიანს (მათ შორის მეც) პირველი აღსარების შემდეგ მძიმე განცდა რჩება: „ახლა რაღა ვქნა, სად წავიდე? სახლში ცოდვილი ცხოვრებით ვცხოვრობთ, სამსახურშიც იგივე ხდება, ასე უცებ ხომ ვერ შეცვლი ცხოვრებას, აღსარების შემდეგ პირდაპირ მონასტერში ხომ ვერ წახვალ კაცი? ლოცვა დავიწყო? მაგრამ მე ერთი ლოცვაც კი არ ვიცი. ღმერთი მიყვარდეს? მე არც კი ვიცი, რა არის სიყვარული“.

ეს სერიოზული პრობლემაა და დიდი დაბრკოლება აღსარებაზე მოსული ადამიანისთვის. ცოდვების შიშით კაცს სიცოცხლის ხალისი ეკარგება და ცხოვრებას ცოდვისაგან დამალვის აუცილებლობად აღიქვამს, ცდილობს გაექცეს ნებისმიერ სიტუაციას, სადაც შეიძლება რაიმე შესცოდოს და, ბოლოს და ბოლოს, თვით ცხოვრებას დაემალოს.

ასეთი ადამიანები მთელ საზოგადოებებს ქმნიან იმ ქრისტიანებისგან, რომლებსაც ცხოვრების ეშინიათ – არა ცოდვის ჩადენის, არამედ სწორედ რომ ცხოვრების. ისინი გრძნობენ, რომ ცოდვას ვერ გაექცევიან და ნებისმიერი საქმის გაკეთებას უფრთხიან, რადგან მისთვის პასუხისგება მოუწევთ. შეშინებუ-

ლი ადამიანი არაფრისთვის არ ვარგა, იგი ვერც ეკლესიის წევრი გახდება, რადგან ვერც ერთ მორჩილებას ვერ შეასრულებს. „ვაითუ ვერ შევასრულო და შევცოდო? უმჯობესია საერთოდ არ გავაკეთო“. ერთმა ქალმა ჩემს კითხვაზე, ამა და ამ ადამიანისთვის რატომ არ ლოცულობ-მეთქი, მიპასუხა: „როგორ უნდა ვილოცო მისთვის? დავიწყებ ლოცვას და იქვე განსაცდელები მოდის, მე მათ ვერ გავუძლებ და შევცოდავ. არ შემიძლია ამ ადამიანისთვის ლოცვა“.

ცოდვის შიშით ადამიანები ბევრ სხვა რამესაც არ აკეთებენ. გამოთქმაც ხომ არსებობს, „რაც მეტს იძინებ, მით ნაკლებს შესცოდავო“. ასეთები ეკლესიაში საკმაოდ მრავლად გვხვდებიან – ამორფულნი, შეშინებულნი და დაბეჩავებულნი. ზოგჯერ ისინი გონებადაბნელებული ადამიანების შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ, რადგან ცხოვრების წინაშე მათ შიშს ათასი ფობია ახლავს თან. ვისაც ცხოვრებისა ეშინია, მას თანდათან ადამიანებისადმი შიშიც ეუფლება, ეჩვენება, რომ მის ირგვლივ ბოროტი ადამიანები არიან, რაღაც ცუდი თვალით უყურებენ, მისგან რაღაცას მოითხოვენ, ბოლოს კი ვაკუუმში რჩებიან და აგრესიულები ხდებიან. ისინი უბედური ადამიანები არიან, რომლებიც აღსარებისა და ცოდვისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ დააშინა. თუ კაცს ღმერთი უყვარს, ასე ვერ იცხოვრებს, რამეთუ სიყვარული განდევნის შიშს (იხ. 1 იოანე, 4,18).

მართალია, უმოქმედობა ადამიანს ცოდვის ჩადენის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ მაშინ არც იმის საშუალება ექნება, რომ ღვთისათვის რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

როცა ხელახლა დაეცემი, ხელახლა შეინანე

როცა ხელახლა დაეცემი, ხელახლა შეინანე. სასოს ნუ წარიკვეთ, იპოვე საკუთარ თავში გამბედაობა და იმედი. თქვი: „მომიტევე, ქრისტე ღმერთო, ისევ ვინანიებ“. ნუ იტყვი: „ღვთის რისხვაა ჩემთვის გამზადებული“. განა ასეთი ნათქვამი ცოდვა არ არის? კაცნი ვართ.

ბერი იოსებ ათონელი

იგავში ქანქარების (ტალანტების) (მათე, 25,14-30) შესახებ ბატონი თავის მონებს ტალანტებს ურიგებს: ზოგს ხუთ ტალანტს, ზოგს ორს, ზოგს კიდევ ერთს, თითოეულს მისი უნარის შესაბამისად, და ტალანტების საქმეში გამოყენებას ითხოვს. ჩვენს ენაზე, მარტივად რომ ვთქვათ, ეს ერთგვარი ფინანსური შეთანხმებაა, შეიძლება ითქვას საბანკო ოპერაცია, სადაც ადამიანმა ფული უნდა დააბანდოს და იქიდან პროცენტი მიიღოს. ეს ოპერაცია ფრიად სარისკოა: თუ იქ არ დააბანდე, სადაც საჭიროა, მოგატყუებენ და შეიძლება მთელი ფული წააგო, მაგრამ თუ სწორად მოიქცევი, შეიძლება მოგებაც ნახო.

როცა ბატონი მონებს ფულს ურიგებს, მან იცის, რომ ეს სარისკო საქმეა. გარკვეული რისკი ყველა ფინანსურ ოპერაციას ახლავს. დაბანდებულ სახსრებს თან მოგება ან წაგება მოაქვს. იგავში პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ბატონი თავის მონებს შეცდომის დაშვების უფლებას აძლევს. არ აძლევს ერთადერთ უფლებას – რომ ეს ფული მიწაში დაფლან.

„ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ შენ; იმკი, სადაც არ დაგითესავს და კრებ, სადაც არ დაგიბნევია“ (მათე, 25,24) – ეუბნება მონა თავის ბატონს. აი, ასეთია იმ ადამიანების ცნობიერება, რომელთაც ეშინიათ ქრისტიანულად იცხოვრონ და იმოქმედონ. „როგორ მოვკიდო ხელი ამ საქმეს,

თუ ამის გამო საშინელ სამსჯავროზე პასუხისგება მომიწევს! როგორ დავეხმარო მოყვასს ან მათთვის როგორ ვილოცო... როგორ ვიტვირთო მოხუცი ქალის მოვლა, ვაითუ ვერ შევძლო? ვაითუ ვერ გავქაჩო? და მაშინ რა პასუხი გავცე უფალს? უმჯობესია საერთოდ არაფერი გავაკეთო!"

მაგრამ განა უფალი სასტიკი ადამიანია? ამის პასუხად უფალი ამბობს: „აი, მხოლოდ იმისთვის განგსჯი, მონავ უდებო და ბოროტო, რომ ცხოვრებისა შეგეშინდა და არც კი გიცდია რაიმე გაგეკეთებინა, და არა იმისათვის, რომ ეს ფული შეიძლება დაგეკარგა ან ვერ შეგენახა".

ხშირად სწორედ ასე გვემართება: უფალი გვაძლევს ტალანტებს, ჩვენ კი მათ ვერ ვუფრთხილდებით. აღსარების საიდუმლოს მიზანიც ის გახლავთ, რომ ღმერთთან შეარიგოს ადამიანი, რომელმაც თავისი ტალანტები ვერ შეინახა, მიწაში კი არ დაფლა, არამედ სწორედაც რომ ვერ შეინახა. მას ჰქონდა მათი გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება თავისი უგუნურების, მოუხერხებლობის, უვიცობის, ქარაფშუტობისა თუ ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, უბრალოდ თავისი ცოდვილობის გამო. მან ისინი განაბნია, მაგრამ არ დაუფლავს – და ამიტომ აღსარების გზით ღმერთთან შერიგების შესაძლებლობა აქვს.

მაგრამ ადამიანისთვის, რომელმაც ტალანტი მიწაში დაფლა, აღსარება, როგორც საიდუმლო, შეიძლება არც შედგეს, რადგან მას უფლის წინაშე თითქოს არაფერი დაუშავებია. შინაგანი პროტესტი ღმერთის, როგორც სასტიკი ბატონის წინააღმდეგ, ვისიც გეშინია, ვის წინაშეც ძრწი მხოლოდ იმიტომ, რომ შენი შეცდომებისთვის პასუხის გაცემა მოგიწევს, კაცს თავისი ცოდვების აღიარების საშუალებას არ აძლევს, თუნდაც იგი აღსარებაზე ხშირად დადიოდეს.

მაგრამ გავიხსენოთ, რას ეუბნება უფალი კაენს, როცა იგი თავისი ძმის მოსაკლავად ემზადება: „...ცოდვა კართან არს, იგი თავისკენ მიგაქცევს, მაგრამ შენ უფლებდე მასზე" (დაბ. 4,7).

ცოდვა თქვენზედა არა უფლებდეს

როცა წმიდა სამება თავისუფალ ადამიანს ქმნის, აქედან გარდაუვლად გამომდინარეობს ცოდვის შესაძლებლობა. უფალმა უწყის თავისი გამომსყიდველი ღვაწლის შესახებ და ეს სწორედ თავისუფლების მინიჭებად და ღმერთის მიერ ადამიანის გამოხსნად მოიაზრება. თუ ღმერთი კაცს არ გამოიხსნის, მაშინ ადამიანი თავისი ქცევების გამო შჯულის მიხედვით განისჯება, მაგრამ უფალმა ჩვენი ცოდვებისათვის თავიდანვე მსხვერპლად გაიღო თავი, და ეს გვაძლევს უფლებას მოვიქცეთ ისე, როგორც ამას მოცემულ ვითარებაში გადავწყვეტთ. უფალი თავისუფლებას გვაძლევს, კაცისთვის მინიჭებული თავისუფლება კი შეცდომის დაშვების შესაძლებლობასაც გულისხმობს.

თავისუფლება უდიდესი ნიჭია, მისი დაფვლა არ შეიძლება. თავისუფლება ადამიანს ღმერთს ამსგავსებს, ცოდვასთან ბრძოლისა და სინანულის საიდუმლოსთან მიახლების შესაძლებლობას აძლევს.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია გააცნობიეროს მონობა, იგრძნოს, რომ ცოდვა თავისუფლებას სტაცებს. ცოდვას სწორედ ის ახასიათებს, რომ იგი კაცს მონად აქცევს, ხოლო მონური ცნობიერების მქონე ადამიანი, რომელიც მუდმივ შიშსა და უსასოობას განიცდის, ცოდვას ვერ შეებრძოლება – როგორც ცოფიან ძაღლს, ისე გაექცევა, მაგრამ ცოდვა მას სადმე სხვაგან წამოეწევა.

ვინ ვის ფლობს? ვინ ვისი ბატონია? თუ ცოდვა ნამდვილად ბატონობს ჩვენზე და მისი, როგორც ბატონის, ისე გვეშინია, საკუთარ თავს კი მის მონებად ვაღიარებთ, უფლის მონები ვერასოდეს გავხდებით. ცოდვა სუნთქვის, ცხოვრების საშუალებას არ მოგვცემს და ისე დაგვაშინებს, როგორც ავი ძაღლი აშინებს ბავშვს, იმდენად, რომ მას სახლიდან გამოსვლისა ეშინია. მაგრამ ჩვენ ძალგვიძს ცოდვაზე ბატონობა.

ერთ-ერთი სიმძიმე, აღსარებასა და სულიერ ცხოვრებას რომ ახლავს თან, დამნაშავედ ყოფნის შიშია. ქრისტიანის ყვე-

ლაზე მთავარი თავისუფლება იმაშია, რომ მას ღვთის წინაშე დამნაშავედ ყოფნისა არ ეშინოდეს. ბავშვებივით იყავითო, ამბობს უფალი (იხ. მათე, 18,3). ბავშვებს არ ეშინიათ, რომ შეიძლება მშობლების წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა ხშირად არიან კიდეც დამნაშავენი. მაგრამ მათ იციან, რომ რაც არ უნდა დააშავონ, ეპატიებათ: ბავშვი ბავშვია, მშობელი კი – მშობელი, ამიტომ ბავშვებს ცხოვრებისა არ ეშინიათ. რა თქმა უნდა, ბავშვი შეიძლება ისე დააშინო, რომ მშობლების შიში გაუჩნდეს, მაგრამ მაშინ ისინი აღარ ეყვარება.

შეიძლება გეშინოდეს ღმერთის, ისე როგორც დაბეჩავებულ ბავშვებს სასტიკი მშობლებისა ეშინიათ, მაგრამ ეს მაცხოვნებელი კი არა, დამღუპველი შიშია. ადამიანმა უშიშრად უნდა იცხოვროს, რადგან ღმერთი ერთგვარ შეღავათს გვაძლევს: მან კარგად იცის, რომ არ შეგვიძლია არ ვცოდოთ, ჩვენი დაცემული ბუნების გამო ასე თუ ისე მაინც შევცოდავთ, მაგრამ მას იმიტომ კი არ ვუყვარვართ, რომ მართალნი ვართ, არამედ იმიტომ, რომ ვარსებობთ.

მოიძულე ცოდვა და გიყვარდეს ცოდვილი

გაკიცხვა ნიშნავს, რომ ვინმეზე თქვა, ამა და ამ კაცმა ტყუილი თქვა, იმრუშა, განრისხდაო... განკითხვა კი იმას ნიშნავს, რომ თქვა: ესა და ეს კაცი მატყუარა, მემრუშე და მრისხანეაო. ამ შემთხვევაში თვით სულის განწყობა განიკითხე, მთელ მის ცხოვრებას გამოუტანე განაჩენი.

ამბა დოროთე

ხშირად, როცა ახლობლებს ვუყურებთ, ვფიქრობთ, რომ ადამიანი ისეთივეა, როგორიც მისი ცოდვები. მაგრამ წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანის ცოდვასთან გაიგივება არ შეიძლება. სახარება გვაძლევს საოცარ მაგალითს, თუ როგორ

უყურებს კაცს უფალი და როგორ უნდა ვისწავლოთ ჩვენც მოყვასის დანახვა.

ყოველ ადამიანშია თავისი იოანე ნათლისმცემელი – სინდისის ხმა, ხმა ღვთისა, მუდმივად რომ ამხილებს ჩვენს შინაგან ჰეროდეს, ვინც უფლის მცნებების საწინააღმდეგოდ ცხოვრებას ცდილობს. სახარება გადმოგვცემს, თუ როგორ შეაგდო ჰეროდემ იოანე საპყრობილეში და მაინც მიდიოდა მასთან, „მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა“ (მარკოზი, 6,20). საოცარია... იოანე ნათლისმცემელი საკმაოდ მრისხანედ ამხილებდა ჰეროდეს. სახარებიდან ჩვენ ვიცით, თუ როგორ მიმართავდა იოანე იორდანესთან ნათლისღებისთვის მოსულ ფარისევლებს: „ნაშობნო იქედნეთანო“ – ესე იგი, გველის ნაშიერებს უწოდებდა მათ. ჰეროდესაც ალბათ დაახლოებით ამგვარადვე ელაპარაკებოდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, მოგვისმენენ კი ადამიანები, მათთან რომ ამ ენაზე ვცადოთ ლაპარაკი, მით უფრო, თუ შეუძლიათ არ მოგვისმინონ და საპყრობილეში გამოგვამწყვდიონ? მაგრამ აქ ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

ჰეროდე შვილია იმ დიდი ჰეროდესი, რომელმაც მოკლა ზაქარია, იოანე ნათლისმცემლის მამა. შესაძლოა ჰეროდემ არა, მაგრამ იოანემ კარგად იცოდა, რომ ვინც იგი საპყრობილეში შეამწყვდია, მისი მამის მკვლელის შვილი იყო. როგორ უნდა ესაუბრა იოანე ნათლისმცემელს ჰეროდესთან, რომ ჰეროდეს მისთვის სიამოვნებით მოესმინა, როგორი სიტყვებით მიმართავდა წინასწარმეტყველი ამ უკეთურ ადამიანს, რომელიც ცხადად მრუშობდა, თავის გარშემო ბოროტებასა და უშჯულოებას თესავდა, რომ ჰეროდეს მაინც ტკბილად ჩაესმოდა იოანეს ხმა და ბევრ რამეს მისი რჩევის თანახმად აკეთებდა? ამგვარი ლაპარაკი მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც ჰეროდეს მის ცოდვასთან არ აიგივებდა, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა ჰეროდეში ღვთის ქმნილებას ხედავდა, უფლის ხატსა და მსგავსებას. ცხადია, მხოლოდ სიყვარულით შეიძლებოდა იოანეს ჰეროდესთვის საწყენი სიტყვები ისე ეთქვა, რომ მას არ სწყენოდა, სასტიკი სიმართლე ისე გაემხი-

ლა, რომ სასიამოვნო ყოფილიყო და გულის სიღრმემდე შეეძრა იგი, კაცის სინდისზე ისე ემოქმედა, რომ თვით ჰეროდეც კი იძულებული გამხდარიყო ღვთის სიტყვა შეესმინა.

სახარებიდან სრულიად ნათლად ჩანს: ჰეროდეს რომ ჰეროდიასთვის არ დაეთმო და სინდისის კარნახით, ღვთის შჯულისაებრ მოქცეულიყო, იგი სრულიად სხვა ადამიანი გახდებოდა, შესაძლოა, ქრისტესთვის წამება მიეღო და წმინდანი გამხდარიყო. მას შეეძლო ამგვარი ფერისცვალება განეცადა, რამეთუ ღვთის ხატი, თვით ასეთი გაუკუღმართებულიც კი, არ განქარდება და ასეთ საშინელ ადამიანსაც აქვს გამოსწორებისა და ცხონების შესაძლებლობა. იოანემ იცოდა ეს, უყვარდა ჰეროდე და მის ხსნას ცდილობდა.

და ეს ყველა მონანულმა ცოდვილმა უნდა იცოდეს: თავად იგი და ცოდვა სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. ცოდვა შეიძლება იმდენად ახლოს მივიდეს კაცთან, რომ როგორც კეთრმა, ისე დაამახინჯოს იგი. კეთრი ადამიანს ჯავშანივით გარემოიცავს, მაგრამ ეს თვითონ ადამიანი არ არის, ადამიანი სრულიად სხვაა. ცოდვა მართლა შეიძლება მყისიერად შემოიძარცვო. ასევე შეეძლო ჰეროდეს შეცვლილიყო, საჭირო იყო მხოლოდ გაბედული ნაბიჯის გადადგმა ქრისტესკენ და იგი უმალ სხვა გახდებოდა. მაშინ სახარებაც შეიცვლებოდა, ეს სოფელიც სხვანაირი გახდებოდა, საერთოდ, ყველაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

მთავარი, რაც ადამიანმა უნდა იცოდეს ცოდვისა და ბოროტების შესახებ, ისაა, რომ ისინი არ არსებობენ. ერთი ნაბიჯის გადადგმით შეგიძლია ყველაფერი შეცვალო: შენი ცხოვრებაც და შენს გარშემო სხვა ადამიანების ცხოვრებაც. თუმცა შეიძლება პირიქით, ყველაფერი დაღუპო, როგორც ჰეროდემ დაღუპა საკუთარი თავი და ყველა გარშემომყოფი, ბოლოს კი ჯვარს აცვა ქრისტე.

ცოდვის შიში ვერ გვიხსნის ცოდვისგან, უფლისმიერი სიხარული კი გვაცხონებს

ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება აღსარების წინ წაიკითხო, ესაა სახარებისეული იგავები ცოდვილთა შესახებ. ვფიქრობ, რომ ისინი წინ უნდა უძღოდნენ ნებისმიერ წიგნს სინანულის შესახებ. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს, როცა აღსარებისთვის ვემზადებით, ჩვენი ცოდვების ჩამონათვალი კი არ გახლავთ, არამედ სახარება, რომელიც ცოდვილთა მიმართ ქრისტეს სიყვარულზე მოგვითხრობს, მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ამხილებს უფალი მართლებს, როგორ მოვიდა იგი ცოდვილთა ხსნისათვის, როგორ მოიკიდებს მხრებზე წარწყმედილ ცხოვარს. ქრისტეს, რომელიც ცოდვილს სწყალობს, რომელსაც ცოდვილი უყვარს, ქრისტეს, რომელიც ცოდვილს ცოდვასთან არ აიგივებს, შეუძლია დაარწმუნოს ადამიანი, რომ ცხოვრებისა არ ეშინოდეს.

ვიდრე ადამიანი აღსარებაზე მივიდოდეს, ვიდრე ხელში აიღებდეს წიგნს ცოდვების ჩამონათვალით, მან სახარება უნდა წაიკითხოს და დაინახოს, თუ როგორ მიდიან უფალთან ცოდვილები: როგორ მიდის მასთან მეძავი და უფალი მას შეუნდობს, როგორ მიდის მასთან უძღები შვილი და იგი მას ღებულობს, როგორ მიდიან კეთროვნები და იგი განწმენდს მათ, როგორ მიდიან მასთან სრულიად სხვადასხვა ადამიანები, შემზარავები და სნეულები, და როგორ ექცევა იგი მათ, როგორ უყვარს ეს ცოდვილები. როგორ ელაპარაკება იგი პილატეს! როგორ ელაპარაკება მღვდელმთავრებს! რა სიყვარულით უმზერს ადამიანებს, რომლებიც მას ჯვარს-აცვამენ, აფურთხებენ, სილას აწნავენ! თუ ადამიანი ამას დაინახავს, მას ცხოვრებისა აღარ შეეშინდება. იგი მიხვდება, რომ ქრისტე სიცოცხლეს ნებისმიერ ადამიანს ანიჭებს, ყველაზე საშინელსა და უვარგისსაც კი. ადამიანი იგრძნობს, რომ ქრისტეა მასთან, რომ ქრისტე სძლევს მის ნაცვლად ცოდვას. და მაშინ კაცი ცოდვასთან ერთად ცხოვრებას უკვე აღარ მოისურვებს.

ჩვენ მაინც ცოდვილებად დავრჩებით, მაგრამ ეს ვერ

შეგვაშინებს, რადგან ვიცით, რომ უფალს ცოდვილები უყვარს და შეუნდობს ცოდვილებს. მაგრამ თუ ჩვენი ნებით შევცოდავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სახარება აღარ წაგვიკითხავს, რადგან ცოდვებში ცხოვრება და უფალთან ყოფნა შეუთავსებელია. ესე იგი, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ცოდვას.

ვინც ამას გაიგებს, ის ცხოვრებას არ შეუშინდება, მაგრამ ძალიან გაუჭირდება დარჩეს ისეთი, როგორიც იყო – ცოდვა მისთვის საძაგელი და აუტანელი გახდება. მაგრამ ცოდვის შიში უკვე აღარ ექნება, რადგანაც მისი დაძლევის ძალა მიეცემა.

ჩემი დაფარული ისეთი არ არის, როგორიც ხილული

ვაიმე, ვაი! რა სირცხვილია! ჩემი დაფარული ისეთი არ არის, როგორიც ხილული! მართლაც მხოლოდ გარეგნობა მაქვს ღვთისმსახურებისა და არა ძალა მისი. რა პირით წარვსდგები ღვთის წინაშე, რომელმაც იცის დაფარული გულისა?

წმ. ეფრემ ასური

ტაძარში სალოცავად ორი კაცი მივიდა. ერთი ამბობდა: „ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი...“ ხოლო მეორე ზეცად თვალების აღპყრობასაც ვერ ბედავდა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ (ლუკა, 18,11-13). პირველი განსჯილ იქნა, მეორე კი განმართლებული წავიდა.

ასე ხშირად ხდება. ჩვენ ტაძარში როგორც მეზვერენი, ისე მოვდივართ, მერე კი რატომღაც ფარისევლები ვხდებით. ტაძარში ადამიანის პირველად მოსვლა გადამწყვეტია და მნიშვნელოვანი. ეს მეზვერის მოსვლაა, რომელსაც ვერ გაუბედავს ზეცად თვალების აღპყრობა. საოცარია, მაგრამ უფალი ასეთ კაცს მოხედავს, აღამაღლებს, ჭეშმარიტად ცად აღიყვანს მხოლოდ ამ სიტყვების გამო: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას...“ – შემუსვრილი გულის გამო, მტკიცე გადაწყვეტილე-

ბის გამო, რომ შეუძლებელია იყო მეზვერე, ზიდო სიცრუის, უსამართლობისა და გარყვნილების მძიმე ტვირთი. შეუძლებელია ცოდვასთან ერთად ცხოვრება, ცოდვა ტანჯვაა, ცოდვა ჯოჯოხეთია. და აი, როცა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი უფალთან მოდის, უფალი მოხედავს მას, შეიწყალებს, რამეთუ დამდაბლდა, და თავის თავამდე აღამაღლებს. კაცი უმალ გრძნობს, რომ ფერი იცვალა, რომ მისი ცხოვრება თავისუფლებას ეზიარა, და არ შეუძლია უფალს არ უთხრას: „გმადლობ შენ, უფალო!“ ამ დროს უკან მოიხედავს და იქვე ისეთივე მეზვერე დგას, როგორიც თვითონ ცოტა ხნის წინ იყო. და ნახეთ, უკვე ამბობს: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ასეთი არა ვარ“. ასეც ხდება. კაცი ტაძარში მოდის, დგას, ლოცულობს, მშვენიერი, კეთილშობილი სახე აქვს, გარეგნულად ქრისტიანია, მოიხედავს და იქვე პანკი დგას ნარინჯისფერი თმებით – და ადამიანს უხარია: „უფალო, გმადლობ შენ, რომ ასეთი არ ვარ!“ ჩვენ გარეთ გამოვდივართ და ვმადლობთ უფალს, რომ ისეთები არა ვართ, როგორებიც ისინი, სხვანი და სხვანი...

და მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთისკენ სვლა შევწყვიტეთ, მისი ძიების სურვილი დავკარგეთ. ადამიანი სწორედ იმ წუთში ხდება ფარისეველი, როდესაც იმაზე იწყებს ფიქრს, რომ თავის ცხოვრებაში უკვე ყველაფერი იპოვა და ახლა შეუძლია მშვიდად იყოს, თავისი თავით დატკბეს და საკუთარი ცხოვრება თავისი კეთილი საქმეებით, თავისი პირადი ღვთისმოსაობით შეაფასოს. დააკვირდით, სწორედ ღვთისმოსაობით, სწორედ მართალი ცხოვრებით, კეთილი საქმეებით, მოწყალებით, მარხვითა და ლოცვით, სწორედ იმით, რითაც ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება განისაზღვრება. და მართლაც, მოვიდა ტაძარში კარგი ადამიანი – მოწყალე, მმარხველი, მოღვაწე. მოვიდა და ღმერთის გარეშე დარჩა.

ეს მაგალითი გვაიძულებს დავფიქრდეთ – რისთვის მოვედით ღმერთთან? რატომ ვიწოდებით ქრისტიანებად? სად არის ქრისტეს გვერდით ჩვენი ადგილი? რატომ არ იცვლება ჩვენი ცხოვრება, რატომ შევჩერდით და არსაით აღარ ვიძვრით? მაგრამ სავალალო სწორედ ის არის, რომ რაც ადამიანს

როგორც გზა, ისე ეძლევა, მისთვის დაბრკოლების ლოდად იქცევა.

როცა ამ გზას უკვე არსაით მივყავართ, როცა ის ჩიხით მთავრდება და მას უფალი კი არა, ჩვენ თვითონ განვსაზღვრავთ, ცხადი ხდება, რომ ადამიანი უბრალოდ საკუთარ თავთან მივიდა. იგი კმაყოფილია თავისი თავით, თვითკმაყოფილებას განიცდის, სხვა არაფერი სჭირდება და წასასვლელიც არსაით არის. საშინელი ფარისევლობა ჩვენთვის სრულიად შეუმჩნევლად წამოგვეწევა, როცა სავსე ვართ ღვთისმოსავი ცხოვრების სურვილით, რადგან გვეჩვენება, რომ რასაც ვაკეთებდით, ყველაფერს ღვთის გულისათვის ვაკეთებდით.

ღმერთს კი ეს არ სჭირდება. მას ჩვენი საქმეები არ სჭირდება, მას არ სჭირდება კეთილი საქმეები, რომლებიც ფარისევლებად გვაქცევენ. ქრისტიანული ცხოვრება განუწყვეტელი, დაუსრულებელი სვლაა ღმერთისკენ, როცა ადამიანი ღმერთს ეძიებს, როცა მას უჭირს უღმერთოდ, როცა მუდმივად გრძნობს თავის ობლობას, თავის არასრულყოფილებას, როცა ნამდვილად ინანიებს და მუდმივად ცდილობს შეცვალოს საკუთარი თავი. და მხოლოდ ასეთი მდგომარეობა, თავის უკიდურესი დამდაბლება ღვთის წინაშე გვაძლევს უნარს, რომ ნამდვილად შევძლოთ უფალთან ზიარება. მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში მიჰყავს უფალს ადამიანი თავის თავთან.

ამიტომაც არ გვეშინია ცოდვილად ყოფნისა. ჩვენ ვიცით, რომ ცოდვილები ვართ, გვიმძიმს ეს, მაგრამ ამას სიხარულიც ახლავს, რადგან უფალი ამსოფლად ცოდვილთათვის მოვიდა – მოვიდა, რათა იხსნას ისინი. „მართლებს“ ქრისტე არ სჭირდებათ, ისინი უმისოდაც კარგად გრძნობენ თავს. ცოდვილებს კი ქრისტეს იქით გზა არა აქვთ.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიმეოროთ, რომ ცოდვილები ვართ, რადგან სანამ ამას ვამბობთ, უფალი შეგვიწყალებს, შეგვინდობს და ვეყვარებით. „ბოლოს და ბოლოს მართალნი გავხდით! გმადლობთ, უფალო, რომ სხვა ადამიანებს არ ვგავართ“ – როგორც კი ამას ვიტყვით, დამთავრებულია, ამით ზურგს ვაქცევთ უფალს.

თავი V

ყოველი დაბადებული მცირე ჩანასახით იწყება

ყოველი დაბადებული მცირე ჩანასახით იწ-ყება, თანდათან იკვებება და იზრდება.

წმ. მარკოზ მოღვაწე

განუმზადეთ გზა უფალს

განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

ლუკა, 3,4.

საღმრთო ისტორია სინანულის ორ უდიდეს მაგალითს გვიჩვენებს – ესენი არიან იოანე ნათლისმცემელი და მარიამ მეგვიპტელი. იოანე ნათლისმცემელი გვამცნობს სინანულს, რომელიც ცათა სასუფევლის კარს აღებს: თუ ადამიანი სასუფეველისაკენ მიდის, მასთან მიახლება მხოლოდ სინანულით შეუძლია, მაგრამ სინანული რაღაც ერთჯერადი აქტი კი არა, მისი ცხოვრებისეული გზა უნდა გახდეს.

სინანულს მეორე ნათლისღებას უწოდებენ. ნათლისღების აზრი იმაშია, რომ ადამიანი მაცხოვრის სიკვდილსა და აღდგომას ეზიარება. იგი სიკვდილში დაეფლვის და მკვდრეთით აღდგომილ ქრისტესთან ერთად აღდგება. ეს მისი ხელმეორე შობაა. სინანულის გზით კი ადამიანის აღორძინება ხდება, მისი ღრმა სულიერი განახლება.

იოანე ნათლისმცემლის სახე მკაცრია, ასკეტური. იგი უდაბნოს მკვიდრია, ამა სოფლისგან გარიყული. მას წინამორბედს უწოდებენ, რამეთუ იგი წინ უძღვის ქრისტეს გამოჩენას. ყველაფერი, რაც ქრისტეს შეემთხვა, თავდაპირველად წინამორბედს ერგო წილად. იოანეს მშობლებს ხარება ღვთისმშობელზე ადრე ეუწყათ, იგი ქრისტეზე ადრე იშვა და უდაბნოშიც მასზე ადრე წავიდა. ნათლისმცემელი ქრისტეზე ადრე ქადაგებს იმას, რაც შემდეგ მაცხოვარმა იქადაგა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 3,2). იოანე ქრისტეზე ადრე მიეცა სიკვდილს, შეურაცხყოფა და საპყრო-

ბილეც მასზე უწინ გამოსცადა; ჯოჯოხეთშიც უფრო ადრე ჩავიდა და იქ მყოფთ ქრისტე უქადაგა.

სინანული ყოველი კაცისთვის იოანე ნათლისმცემლის გზაა, რომელიც ქრისტესკენ მიმავალ გზას განამზადებს. ამ საიდუმლოს გზით ადამიანში ხელახლა იშვება ქრისტე. ეს ნიშნავს, რომ თვით კაცის სულში იშვება ღმერთი, რაც მას საშუალებას აძლევს იპოვოს თავის თავში ადგილი, სადაც სული წმიდა დაივანებს.

მარიამ მეგვიპტელი კი სინანულის გზის მაგალითია. რაში მდგომარეობს ეს გზა? ესაა იგივე უდაბნო, საკუთარი თავის სიბრალულის სრული უარყოფა და სრული შეუძლებლობა იმისა, რომ საკუთარ თავს რაიმე შეუნდო.

ადამიანს, რომელიც ეგუება საკუთარ თავს ისეთს, როგორიც არის, შეუძლებელია სინანული გააჩნდეს. იმ დროს, როცა ის თავის მართლების საშუალებას პოულობს და საკუთარ თავს თავად შეუნდობს, იგი ღმერთსა და საკუთარ თავს შორის ზღუდეს აღმართავს, გადაულახავ დაბრკოლებას ქმნის იმისათვის, რომ ღმერთმა შეუნდოს.

მარიამ მეგვიპტელმა ჩვიდმეტი წელი სრულ მარტოობაში გაატარა და მთელი მისი ცხოვრება უდაბნოში სინანულის საიდუმლო იყო. ონტოლოგიური მნიშვნელობით სინანული ჩვენი ცხოვრების საიდუმლოა, სულიერი გზის, დაუსრულებელი სრულყოფის, ადამიანში ადამიანის შობის საიდუმლო.

ორღანივით მომართეთ თავი

ჰოი შვილნო, გევედრებით, ორღანივით და სული წმიდის ტკბილი ფსალმუნივით მომართეთ თავი.

წმ. თეოდორე სტუდიელი

ეკლესიაში მოსულთა უმრავლესობა ახლად მოქცეულია. ცოტაა ტრადიციების მიმდევარი, ქრისტიანულ ოჯახში მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებებით აღზრდილი მორწმუნე.

თანამედროვე ადამიანს სულიერ ცხოვრებაზე წარმოდგენა ძირითადად წიგნების მეშვეობით ან სხვა ქრისტიანებთან ურთიერთობის შედეგად უყალიბდება.

სულიერ ცხოვრებასა და ასკეტიკასთან დაკავშირებულ წიგნებს დღეს ნაკლებად კითხულობენ. ეს წიგნები მეტისმეტად მაღალი სულიერი ენით არის დაწერილი და დამწყები ქრისტიანისთვის ძირითადად გაუგებარია. ამიტომ ახლად მოქცეულს ქრისტიანული გამოცდილება უფრო ხშირად ისევ ახლად მოქცეულისგან, ერთგვარი სქემების სახით მიეწოდება. ადამიანს ეუბნებიან, რომ საჭიროა გარკვეული წესების შესრულება, გარკვეული წესის მიხედვით მოქცევა (მართლმადიდებელი გარკვეული ინტონაციით უნდა საუბრობდეს, გარკვეულ ტანისამოსს იცვამდეს) და ა. შ. ეს ეკლესიის ტრადიციად აღიქმება, თუმცა უფრო ხშირად ეს სრულიადაც არ არის ეკლესიის ტრადიცია.

ამავე დროს ადამიანის ცნობიერებაში ქრისტიანული ცხოვრების ერთგვარი სტერეოტიპი ყალიბდება და მკვიდრდება აზრი, თუ როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ „ყველაფერი კარგად იყოს“. ამასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირები სავსებით გარეგნულად, ფორმალურად განისაზღვრება: თუ ასე მოიქცევი, ამას აუცილებლად ესა და ეს შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ქრისტიანი ლოცულობს, დილა-საღამოს ლოცვებს კითხულობს, ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვას იცავს, ტაძარში დადის, ეზიარება (რაც, ცხადია, აუცილებელი და მნიშვნელოვანია), მაშინ მთელი მისი ცხოვრება შესაბამისად უნდა შეიცვალოს. ასეთი ადამიანისთვის მოწყინება და სასოწარკვეთილება უცხო უნდა იყოს, მის სულში სიმშვიდე და მყუდროება უნდა სუფევდეს, ოჯახში კი – კეთილდღეობა, მოკლედ, „შრომაში წარმატება და პირად ცხოვრებაში ბედნიერება“, როგორც მისალოც ბარათში წერია ხოლმე.

და აი, კაცი ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგა, გულწრფელად ცდილობს, რომ ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი წესები შეასრულოს და ვერ გაუგია: „კი მაგრამ, რა ხდება, მე მოვინანიე, ვცდილობ გამოვასწორო ჩემი ცხოვრება, უწინდე-

ბურად არ მოვიქცე, ვლოცულობ, ვმარხულობ და ვეზიარე-ბი, მაგრამ ჩემი საქმე ძველებურად ცუდად მიდის, ზოგჯერ უარესადაც კი“. ადამიანი ჩიხში ექცევა და ვერ გაუგია, რა ემართება. თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებს, როგორც წერია, როგორც ეუბნებიან, როგორც მიღებულია – და მაინც არაფერი გამოდის. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი საკით-ხი, რომელსაც კაცი ვერ აცნობიერებს ან ივიწყებს. ვთქვათ, მუსიკოსმა ნოტები გადაშალა, იწყებს შოპენის ნოქტიურნის შესრულებას, მაგრამ კაკაფონია ისმის. თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებს, საჭირო კლავიშებს ეხება, მაგრამ მუსიკა არ ჟღერს. რატომ? – ინსტრუმენტია აუწყობელი.

ჩვენ სრულიად ვერ ვაცნობიერებთ ჩვენი შინაგანი ინ-სტრუმენტის – კაცის სულის აშლილობას. ვცდილობთ შტურ-მით ავიღოთ რაღაც, ფორმალურად მივდიოთ სულიერი ცხოვ-რების წესებს, ის კი არ გვესმის, რომ ეს წესები მოწესრი-გებულთათვის არის განკუთვნილი. ისინი ნამდვილად გვეხ-მარებიან სულიერი ჰარმონიის მიღწევაში, მაგრამ იმისათვის, რომ სულმა ეს ჰარმონია მოიპოვოს, აუცილებელია კარგად გვესმოდეს, თუ რას წარმოვადგენთ დღესდღეობით, რა მდგო-მარეობაში ვიმყოფებით. და იმის მოლოდინი, რომ ჰარმონია უეცრად ან თუნდაც ერთ წელიწადში მოვა – მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიაში მოვედით და აღსარება ვთქვით, ღრმა სულიე-რი ცდომილებაა, რაც ბევრ ადამიანს ემართება.

ყველანი ველოდებით, რომ ხსნა ჩვენს გარეშე შეიძლება მოხდეს, ანდა ვთქვათ, რაიმე გარეგანი ფაქტორების წყალო-ბით, რომლებსაც ჩვენ ამოვეფარებით, და ვერც კი ვაცნობიე-რებთ, თუ რა არის დაცემული კაცი, რა არის ჩვენი ცოდვით გაუკუღმართებული ბუნება. მაგრამ სულიერი ცხოვრება იქი-დან იწყება, რასაც სულიერ ენაზე „სიმდაბლე“ ჰქვია, უფრო სწორად – სიმდაბლის საწყისები, რამეთუ სიმდაბლე უსაზ-ღვროა. შეიძლება დავადგეთ სიმდაბლის გზას, ცოდვილება-დაც ვცნოთ თავი, მაგრამ ბოლომდე მისვლა სრულიად შეუძ-ლებელია. სულიერი ცხოვრება მაშინ იწყება, როცა გააცნო-ბიერებ, რომ შენი სულიერი ინსტრუმენტი სრულიად აშლილია

და მთელი შენი სულიერი ცხოვრება – ეს უპირველესად სულის მოწესრიგებაა, არა გარეგანი, არამედ შინაგანი განკურნება.

ადამიანი ლოცვას იწყებს და უკვირს, რომ ვერ გრძნობს იმას, რაც ლოცვის შესახებ წიგნებში წაუკითხავს. ერთბაშად ბევრი უნდა. არასრულყოფილი ადამიანი ლოცვისა და მარხვისაგან სწრაფ შედეგს არ უნდა მოელოდეს. ცხადია, აღსარების შემდეგ გვეჩვენება, რომ ყველაფერი უეცრად უნდა შეიცვალოს. სინამდვილეში კი ამ წუთიდან მხოლოდ იმის გაცნობიერება იწყება, რომ სული ავადაა და დიდ ძალისხმევას, დიდ სულიერ შრომას საჭიროებს. უნდა გესმოდეს, რომ თუ ცხოვრება არ იცვლება, ამაში ბრალი არც ეკლესიას მიუძღვის, არც მოძღვარს, რომელიც გეუბნება, თუ როგორ უნდა მოიქცე, შენ კი არაფერი გამოგდის. ეს შენი სულის მდგომარეობაა და იგი სიმდაბლით უნდა მიიღო.

სულიერ ცხოვრებაში, ისევე როგორც ალპინიზმში, ყველაფერს სიმტკიცე და დიდი მოთმინება განაპირობებს. ალპინისტები მთაზე ძალიან ნელა ადიან, რადგან გამოცდილება კარნახობს, რომ თუ აჩქარდებიან, მწვერვალს ვერ მიაღწევენ, ძალა მალე გამოეცლებათ და გზას ველარ განაგრძობენ. სულიერი ცხოვრების სწორედ ასეთი მუდმივი ღვაწლია აუცილებელი იმისათვის, რომ სული, ასე ვთქვათ, აეწყოს, მოწესრიგდეს. მაგრამ ეს ერთბაშად არ მოდის, ზოგჯერ წლებია საჭირო, ჩვენ კი ძალიან სულსწრაფნი ვართ. კაცი დაბადებიდან მთელი სიცოცხლე სცოდავდა, სრულყოფილებას კი ერთ-ორ წელიწადში უნდა მიაღწიოს. ეს ასე არ ხდება, ან თუ ხდება, ძალიან იშვიათად – იმ ადამიანებში, რომლებსაც ისეთი ღრმა სინანულის უნარი შესწევთ, რომ შეუძლიათ უეცრად ყველაფერი დათმონ, უდაბნოში წავიდნენ და მკაცრი ასკეტური ცხოვრებით იცხოვრონ.

მოთმინებით და გამუდმებით უნდა იღვაწო, ყოველთვის, ყოველდღე, ყოველ წამს ააწყო თავი, აიძულო სულიერი ცხოვრება. დაბოლოს, როცა ამ გზით მიმავალი ადამიანი შინაგანი ჰარმონიის, ღვთაებრივ ნებასთან თანხმობის მდგომარეობას უახლოვდება, მაშინ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, მის ცხო-

ნებას შეეწევა. ამიერიდან ლოცვა, მარხვა, მისი ეკლესიური ცხოვრება ნაყოფის გამოღებას იწყებს. მხოლოდ ასეთ დროს ხდება ადამიანი ეკლესიის ცოცხალი წევრი – ნაყოფის გამოღების შემძლე.

მაგრამ ვიდრე ეს ასე არ არის, კაცი შინაგანად დაზიანებულია. ამიტომ ეკლესიური ცხოვრება ზოგჯერ უსიამოვნო გაოცებას იწვევს და ურწმუნო ადამიანებს უკუაქცევს კიდეც: „ეს რა უცნაური რამ ხდება თქვენს ეკლესიაში? თითქოს წმინდანები უნდა იყოთ, თქვენთან კი ყველაფერი სხვაგვარადაა. რატომ?“ სწორედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აუწყობელ ინსტრუმენტზე დაკვრა შეუძლებელია, რომ სიწმინდე ხანგრძლივი და მძიმე გზის შედეგია – სულიერი ფერისცვალების შედეგი.

საიდან დავიწყოთ?

საიდან დავიწყოთ ჩვენ, ვისაც არასოდეს გვიცდია ჩვენი გულების გამოკვლევა? ვიდგეთ გარეთ და ვაკაკუნოთ ლოცვითა და მარხვით, როგორც უფალმა გვიბრძანა: „ირეკდით და განგელოს თქუენ.

წმ. მაკარი დიდი

ხშირად ახლად მოქცეულები ასეთ შეკითხვას სვამენ: „რატომ უნდა ვილოცო სხვისი სიტყვებით, ჩემთვის გაუგებარ ენაზე“? შეიძლება ითქვას, რომ კითხვა არსებითია. მართლაც, როდესაც „ლოცვანს“ გადავშლით, სხვა ადამიანების სიტყვებს ვკითულობთ, ამასთან, ბევრი მათგანი სრულიად გაუგებარია.

ლოცვის კანონი უნდა გავიგოთ, როგორც ლოცვის ჩვევის გამომუშავების საშუალება. ლოცვის კანონი ჩვენი სულიერი ცხოვრების გამართვასა და გამოსწორებას ემსახურება, ამიტომაცაა იგი აუცილებელი. წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი წერს: „სული, რომელიც ეს-ესაა უფლის გზაზე სიარულს იწყებს, ყოველივე სულიერისა და ღვთაებრივის უმეცრებაშია

ჩაძირული, თუნდაც იგი მთელ ამქვეყნიურ სიბრძნეს ფლობდეს. სულიერად ყრმათა დასახმარებლად ეკლესიამ ლოცვის კანონი დააწესა. კანონის მიზანია სულს მართებული, წმინდა და ღვთისათვის სათნო აზრები და გრძნობები მიაწოდოს“.

ლოცვას ხშირად მექანიკურად წარმოვთქვამთ, ისე რომ სრულიად ვერ ვაცნობიერებთ, რომ ღმერთს ველაპარაკებით. მაგრამ სიტყვა ხომ ცარიელი ბგერა არ არის, იგი ცოცხალია და მოქმედი. როცა ადამიანი ღმერთს მიაშურებს და მას ესაუბრება, ეს უდიდესი კადნიერებაა. იმისათვის, რომ ღმერთს ნამდვილი, წრფელი, ცოცხალი სიტყვა უთხრა, რაიმე საფუძველი უნდა გაგაჩნდეს. ღმერთს ხომ ლიტონ სიტყვებს ვერ ეტყვი. უფალს ვერ მიმართავ უაზრო, არაფრისმთქმელი სიტყვებით, რომელთაც არც წონა გააჩნიათ, არც ფასი.

ღმერთი არასოდეს არავის უხილავს, მისი წარმოდგენა შეუძლებელია. მცდარია და სახიფათო, როდესაც ადამიანი იმისათვის, რომ თავი ლოცვისთვის განაწყოს, უფლის ხატებას წარმოიდგენს. მხოლოდ შენი თავი უნდა წარმოიდგინო უფლის წინაშე, წარსდგე უხილავი და ცოცხალი ღვთის წინაშე და ამ სიღრმიდან შეეცადო, რაიმე თქვა.

რა შეგიძლია უფალს უთხრა? სათქმელი კი არაფერია, გარდა ამისა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ (მეზვერის ლოცვა). ამიტომ, ღმერთთან საუბარი რომ ვისწავლოთ, ეკლესია წმინდა მამათა მიერ დაწერილ ლოცვებს გვთავაზობს. მათი ლოცვები ცოცხალი, გულიდან გამომავალი სიტყვებია და არა საგანგებოდ შეთხზული. წმინდა ადამიანის შინაგანი სულიერი ინსტრუმენტი ჰარმონიულად არის აწყობილი, ამიტომაც მისი სიტყვები ჭეშმარიტად სულიერი საგალობელია.

კაცის სული მუსიკალურ ინსტრუმენტს ჰგავს, იგი ყოველთვის შემოქმედს უგალობს. ადამიანი ისეა შექმნილი, რომ მუდამ ღმერთს ადიდებდეს, ოღონდ ჩვენი ინსტრუმენტი ძალიან აშლილია და ამ სიყალბის მოსმენა შეუძლებელია, უფალი კი მოთმინებით გვისმენს. ჩვენ არ ძალგვიძს ერთმანეთის მოსმენა ისე, როგორც უფალი გვისმენს. მაგრამ როცა, ვთქვათ, ბასილი დიდის ლოცვას ვკითხულობთ, საოცარი რამ ხდება:

თუ წმინდანის სიტყვებს ნამდვილად გულის სიღრმიდან წარმოვთქვამთ, თუ ვცდილობთ, ისინი გულით მივიღოთ და გავითავისოთ, მაშინ ჩვენს სულიერ ინსტრუმენტს ძალიან მაღალ ლოცვით ტალღაზე ვაწყობთ. ეს ძნელზე ძნელია, ყველაზე დიდი სამუშაოა. წმინდანების თქმით, ლოცვაზე ძნელი არაფერია. ამბობენ, რომ ორი რამაა ყველაზე ძნელი: მოხუცების მოვლა და ლოცვა. ორივე ეს საქმე სისხლის დათხევას უდრის.

ლოცვის კანონის წაკითხვა მუსიკალური ინსტრუმენტის აწყობას ჰგავს, მაგრამ ღმერთთან ურთიერთობისთვის ჩვენს სულს მხოლოდ ლოცვით როდი განვაწყობთ. მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი საკუთარ თავს სინანულით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, კეთილი საქმეებით განაწყობს. ბოლოს და ბოლოს, ლოცვა გარკვეულ ხარისხს შეიძენს, და დროთა განმავლობაში სიტყვები: „მიწყალე მე, ღმერთო“ დაახლოებით ისე აჟღერდება, როგორც მეფე-წინასწარმეტყველ დავითის ლოცვა.

ღმერთისკენ მიმავალი გზა ლოცვაა

ღმერთისკენ მიმავალი გზა ლოცვაა. ისწავლე სწორად ლოცვა. ხოლო როცა სწორად ლოცვას ისწავლი, მოუკლებელად ილოცე – და ადვილად ჰპოვებ ცხონების გზას.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი

ლოცვის კანონმა უნდა გამოგვასწოროს, მაგრამ ლოცვისას იგი დაბრკოლებად არ უნდა გვექცეს. ჩვენ ბევრ ლოცვას ისე ვკითხულობთ, რომ არ გვესმის, რას ვაკეთებთ, რისთვის არის ეს საჭირო, რითაც ლოცვის კანონი კი არ ხდება ჩვენთვის აუცილებელი, არამედ ჩვენ თვითონ ვხდებით ლოცვის კანონის მონები.

როცა ლოცვის კანონს გაუაზრებლად ვასრულებთ, ისე რომ არ გვესმის და ვერ აღვიქვამთ მას ჩვენი სულიერი ძალების კვალობაზე, ამას იქამდე მივყავართ, რომ ის, რაც ადამია-

ნის ცხონებას უნდა ემსახურებოდეს, ხშირად სულიერი დაბრკოლების და მეტიც, სულიერი კვდომის მიზეზი ხდება. არ შეიძლება რაღაც წესდებად ქცეული, აზრგამოცლილი შინაარსის მონა გახდე, თორემ ყოველნაირ ლოცვას დაკარგავ. მათთვის, ვინც წმინდა მამათა ლოცვის გამოცდილებას უარყოფს, წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვმა საკმაოდ მკაცრად თქვა, რომ ადამიანმა ლოცვები არ უნდა შეთხზას. „ნუ გაკადნიერდები და ნუ წარმოთქვამ უფლის წინაშე შენს მიერ შეთხზულ ხატოვან და მჭევრმეტყველურ ლოცვებს, რაც არ უნდა ძლიერი და ამაღელვებელი მოგეჩვენოს ისინი; ასეთი ლოცვები დაცემული გონების ნაყოფია და, როგორც არაწმინდა მსხვერპლი, უფლის სულიერ სამსხვერპლოზე არ შეიწირება. შენ ტკბები შენს მიერ შეთხზული სიტყვაკაზმული გამოთქმებით, ამასთან, ცუდმედიდობისა და ვნებების დახვეწილ მოქმედებას სინდისის სიმშვიდედ და ღვთის მადლად ღებულობ; გგონია, რომ ლოცულობ და ღვთის წინაშე სათნო-ყოფის გარკვეულ ხარისხსაც კი მიაღწიე, სინამდვილეში კი სრულიად განეშორები ლოცვას“.

წმ. თეოფანე დაყუდებული კი სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა და ამბობს, რომ მხოლოდ „ლოცვანის“ სიტყვებით ლოცვა დაახლოებით იგივეა, ღმერთს „სასაუბრო წიგნის“ მიხედვით ელაპარაკო. და ესეც სავსებით სწორია. ნუთუ უფლისათვის საკუთარი სიტყვები არ მოგვეპოვება? თუ ღმერთი გვწამს, როგორ შეგვიძლია ჩვენი ლოცვითი ცხოვრება მხოლოდ ლოცვის კანონის ჩარჩოში ჩავსვათ? ჩვენ ერთდროულად მეორე გზითაც უნდა ვიაროთ, უნდა მოვძებნოთ სიტყვები, ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ღმერთთან სიახლოვის წყურვილს რომ გამოხატავენ.

სამწუხაროა, მაგრამ ისეც ხდება, რომ კაცი წაიკითხავს დილის ლოცვებს და შვებით ამოისუნთქავს – საღამომდე ღმერთი შეიძლება აღარც კი გაიხსენოს. ეს საშინელებაა. სულიერ ცხოვრებას, თუ იგი ჭეშმარიტი და ცოცხალია, ის თვისება ახასიათებს, რომ ადამიანს არ ძალუძს გამუდმებით არ იფიქროს ღმერთზე. იგი უფალთან მუდმივ ურთიერთობაში უნდა იყოს – დადის, სძინავს, ლაპარაკობს თუ რასაც არ უნდა

იქმოდეს, მუდამ უფლის წინაშე უნდა ვიდოდეს.

პავლე მოციქულიც ამას ამბობს: „მარადის ილოცვიდეთ“ (1 თეს. 5,17). ცხადია, შეუძლებელია გამუდმებით კითხულობდე ლოცვებს, დაუჯდომელებს, ფსალმუნებს და ა.შ. ეს არც იგულისხმება. როცა პავლე მოციქული გამუდმებულ ლოცვაზე ლაპარაკობს, ის პირველ ყოვლისა ადამიანის სულიერ მდგომარეობას გულისხმობს, იმას, თუ რამდენად ახლოა უფალთან მისი სული.

ძალიან ცუდია, თუ კაცს ღმერთისთვის სიტყვები არ გააჩნია. ძალიან სახიფათოა, თუ ადამიანი თითქოს სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, მარხვებს იცავს, აღსარებას ამბობს და ეზიარება, ღმერთს კი ვერაფერს ეუბნება. ამიტომ ჩვენი სულიერი ცხოვრება პირველ ყოვლისა ლოცვის ჩვევის გამომუშავებაა.

ლოცვითი კანონის მიზანი ისაა, რომ ლოცვის სურვილი ადამიანში არ განელდეს, რომ ლოცვა მისი მუდმივი თანმდევი იყოს, ნებისმიერი ფორმით, მაშინაც კი, როცა იგი სიტყვით არ გამოითქმის – ასეთი ლოცვაც ხომ არსებობს. როცა ადამიანი ნამდვილად ლოცულობს, მას არავითარი ლოცვითი კანონი აღარ სჭირდება.

ვილოცოთ ისე, რომ ჩვენი ლოცვა შესმენილ იქნეს

უნდა გვახსოვდეს: არა მარტო უნდა ვილოცოთ, არამედ ისე უნდა ვილოცოთ, რომ ჩვენი ლოცვა შესმენილ იქნეს.

წმ. იოანე ოქროპირი

ბევრისათვის ლოცვის კანონი პრობლემაა, რადგან უძნელდებათ ლოცვითი კანონისა და თვითონ ლოცვის ერთმანეთისაგან გარჩევა. ემთხვევიან თუ არა ისინი ერთმანეთს? როგორ უნდა შევუთავსოთ ჩვენში იმის შესაძლებლობა, რომ თან

ვილოცოთ და თან ისიც შევასრულოთ, რაც ყოველ ქრისტიანს მოეთხოვება? წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი ამბობს, ვიდრე ადამიანს ლოცვითი კანონი არ გააჩნია, მისთვის სულიერი ცხოვრების აწყობა შეუძლებელიაო. ლოცვითი კანონი განსაკუთრებული საშუალებაა შინაგანი კაცის აღშენებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ლოცვითი კანონით იწყება ჩვენს შიგნით ღვთის ტაძრის აგება.

უნდა გვესმოდეს, რომ ცოდვამ ჩვენი ბუნება გააუკუღმართა. მართალია ვიცით, რომ ნათლისღებით ადამიანს ცოდვა მიეტევება, მაგრამ მისი შედეგები ნათლისღების აქტით კი არა, თვით ცხოვრებით უნდა გამოსწორდეს. უფლის ყოველი ნიჭი – რომელიმე საიდუმლოსთან ზიარება თუ ლოცვა, გვეძლევა იმდენად, რამდენადაც მისი მიღების უნარი შეგვწევს, მაგრამ იგი მიღებისთანავე არ გვცვლის, ჩვენ მხოლოდ შესაძლებლობა გვეძლევა ფერისცვალებისა.

ღვთის ნიჭის დატევა კაცს პრინციპში არ ძალუძს. ნებისმიერი მადლი, რომელიც ადამიანს ეძლევა, თავად მას ბევრად აღემატება. ზოგჯერ გვგონია, თითქოს რაიმე დაგვაკლეს: ვთქვით აღსარება, როგორც შეგვეძლო, მაგრამ გვეჩვენება, რომ ღმერთმა ბოლომდე არ მოგვცა რაღაც; ვეზიარებით და ველით, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა შეგვემთხვეს, მაგრამ არაფერი ხდება. სინამდვილეში მხოლოდ ჩვენი სიბრმავე არ გვაძლევს იმის უნარს, რომ შევიგრძნოთ და გავაცნობიეროთ ის, რასაც ყოველი საიდუმლო გვანიჭებს. ის მცირე ნამცეციც კი, ქრისტეს ტაბლისაგან რომ ვარდება, უსასრულოდ აღემატება ადამიანსაც და მთელ სამყაროსაც. ღვთის ნიჭები მხოლოდ იმიტომ გვეძლევა, რომ შევძლოთ თუნდაც არა მაშინვე, არამედ შემდეგ, ოდესმე ვეზიაროთ მათ იმდენად, რომ უფლის ეს ნიჭი ჩვენი ბუნება გახდეს, რომ შეგვეძლოს მისი შენარჩუნება. ჩვენს თავს კი მუდმივად სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდება: უფალი გვაძლევს, ჩვენ კი არ ვიღებთ. არ შეგვიძლია მიღება და გვგონია, რომ არ მოუციათ; ანდა მივიღეთ და მაშინვე დავკარგეთ. ნიჭთან კი მხოლოდ ზიარება შეიძლება, ისე, რომ შენ და ეს ნიჭი ერთი მთლიანობა გახდეთ.

იგივე ლოცვითი კანონის შესახებაც შეიძლება ითქვას, უფლის იმ ნიჭზე, რომელმაც მასთან ზიარებით სხვა ადამიანებად უნდა გვყოს. იგი გვეძლევა როგორც საშუალება, რომ ჩვენი სულის, გონებისა და გულის ძალები გამოვიყენოთ, რათა ეს დაუტევნელი, შეუძლებელი, ჩვენს ძალებს აღმატებული ჩვენს კუთვნილად ვაქციოთ. და როცა კანონი ამ გზით ადამიანში დაიმკვიდრებს, იგი მას გამართავს. და მაშინ კანონი უკვე აღარ არსებობს, იგი ლოცვად იქცევა.

მაგრამ ჩვენ ჯერ უნდა გავიზარდოთ იმ სიტყვებამდე, რომლებითაც ბასილი დიდი ან იოანე ოქროპირი ლოცულობდნენ. ჩვენთვის უცნობია ეს სიტყვები, სულიერი ცხოვრების ეს დონე, ღვთისაკენ სწრაფვა, ქრისტესკენ სწრაფვა, რაც მათ ლოცვებშია ჩადებული. ლოცვითი კანონი მეცნიერებაა, მუდმივი წვრთნაა, სულიერი ცხოვრების სკოლაა – ის, რაც ლოცვას გვასწავლის და ის, რაც ბოლოს და ბოლოს ლოცვად იქცევა.

ჩვენ გვაქვს მადლისმიერი საშუალება იმ სიტყვებით ვილაპარაკოთ, რომლებითაც უფალს ბასილი დიდი მიმართავდა. ზოგჯერ ჩვენც შეგვიძლია მთელი გულით ვუთხრათ ღმერთს რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ მას და ჩვენ გვეკუთვნის. და ეს სიტყვა იმდენად გვაერთიანებს ღმერთთან, რომ საკუთარი თავი აღარ გვახსოვს, ამ დროს ისიც კი გვავიწყდება, ვლოცულობთ თუ არა. სწორედ ამით იცნობა ჭეშმარიტი ლოცვა – როცა ადამიანს სრულიად აღარ ახსოვს თავისი თავი, არც საკუთარ თავზე ფიქრი შეუძლია, ვერც თავის თავს ხედავს გვერდიდან, რადგან იგი აღარ არსებობს. ნამდვილი ლოცვის ასეთ წუთებში კაცი „ნეტარ არყოფნას ეძლევა“ და მაშინ იგი ღმერთს ნამდვილი სიტყვებით მიმართავს. ჩვენი ლოცვითი კანონის ლოცვები სწორედ ის ნამდვილი სიტყვებია, რომლებსაც ნეტარ არყოფნას მიცემული ბასილი დიდი წარმოთქვამდა. და ჩვენ ეს უნდა ვისწავლოთ.

ლოცვითი კანონი ჩვენი უძლურების გამო არსებობს

ლოცვითი კანონი ჩვენი უძლურების გამო უნდა გვქონდეს, რათა ერთი მხრივ სიზარმაცეს არ დავუთმოთ, მეორე მხრივ კი მოსწრაფებასაც თავისი ზომა დავუდოთ.

წმ. თეოფანე დაყუდებული

ლოცვა, როგორც ღვთის მადლი, მხოლოდ მას ეძლევა, ვინც შრომობს მის მოსაპოვებლად. წმინდა წერილში ასეთი სიტყვებია: „მოანიჭოს ლოცვა მთხოველთა“ (1 მეფ. 2,9). ლოცვა მხოლოდ მაშინ გეძლევა, როცა ძალისხმევას იჩენ. მაგრამ თუ ამას არ აკეთებ, თუ საკუთარ თავს ლოცვას არ აიძულებ და ელოდები, რომ იგი თავისთავად, სისხლისა და ოფლის დათხევის გარეშე იშვება, ლოცვა არასოდეს მოგეცემა. ეს ის ნიჭი არ არის, ადამიანს რაღაც გარემოების გამო, შემთხვევით და უეცრად რომ ეძლევა.

იმისათვის, რომ ლოცვითი კანონი დაბრკოლებად კი არა, ადამიანის ღმერთთან მიმყვანებელ ძალად იქცეს, აუცილებელია იგი კაცის სულიერ ძალებს, მის სულიერ ასაკსა და სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდეს. ბევრი ცდილობს თავი არ დაიმძიმოს და შეგნებულად ირჩევს თავისთვის მარტივ ლოცვით კანონებს, რომლებიც ამის გამო ფორმალობად იქცევიან და არავითარი ნაყოფი არ გამოაქვთ. მაგრამ ზოგჯერ გაუაზრებელი მოშურნეობით შერჩეული დიდი ლოცვითი კანონიც ბორკილები ხდება, მწუხარებაში აგდებს ადამიანს და ხელს უშლის მის სულიერ ზრდას.

ლოცვითი კანონი რაღაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, გაქვავებული ფორმა როდია, იგი დროთა განმავლობაში აუცილებლად უნდა იცვლებოდეს ხარისხობრივად და გარეგნულადაც. ადამიანს შეუძლია ეს კანონი გაზარდოს ან შეამციროს ცხოვრებისეულ გარემოებათა შესაბამისად, მაგალითად, მოგზაურობის ან ავადმყოფობის დროს. წმ. იოანე კრონშტად-

ტელი წერს, ზოგჯერ, როცა ადამიანი ავად არის, მას ლოცვა არ შეუძლია და არც არის საჭიროო. ამის გამო მწუხარებამ კი არ უნდა შეიპყროს, არამედ შეძლებისდაგვარად ილოცოს ან სხვა საქმით დაკავდეს, მაგალითად, წიგნის კითხვით – ეს მას ცოდვად არ შეერაცხება. ლოცვა ჩვენი ცხოვრების სუნთქვაა და იგი ადამიანის ცხოვრების წესს უნდა შეესატყვისებოდეს.

ლოცვის დროს ყველაზე დიდი საშინელება, ერთი მხრივ, მის მიმართ ფორმალური დამოკიდებულებაა, მეორე მხრივ კი – არასისტემატურობა. თითქოს ეს ორი რამ შინაგანად წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან: სისტემატურობას კაცი წესის ფორმალურ შესრულებამდე მიჰყავს, მაგრამ ადამიანში ნამდვილი ლოცვა არ იშვება, თუ ამ საქმეში იგი სისტემატური არ არის. როგორ მოვიქცეთ, რომ განუწყვეტლივ ვლოცულობდეთ და თან ცოცხალი ლოცვა გვქონდეს? სწორედ ეს არის ლოცვითი ღვაწლის არსი.

ადამიანი ლოცვის დაწყებისთვის შინაგანად უნდა მოემზადოს. ლოცვას წინ შინაგანი სიჩუმე უნდა უძღოდეს, უნდა გესმოდეს, რომ ახლა იწყება მთავარი შენს ცხოვრებაში – ღმერთთან საუბარი. ღმერთთან საუბარი არც ისე იოლია – ჩვენ ხომ სიტყვებით მივმართავთ მას, ვისაც წმინდა წერილში თავად ეწოდება „სიტყვა ღვთისა“.

ახლად მოქცეულისთვის ლოცვის კანონზე წარმოდგენა იქიდან იწყება, რომ იგი პირველ ყოვლისა აფასებს თავის შინაგან მისწრაფებას – იყოს ღმერთთან და სერიოზულად ესაუბროს მას: მხოლოდ ანგარიში კი არ ჩააბაროს, არამედ ეცადოს წარსდგეს ღვთის წინაშე. და ეს საუბარი ერთდროულად ღმერთთან ლაპარაკიც უნდა იყოს და ღმერთთან ლაპარაკის სწავლაც. საკმარისია ამოვირჩიოთ დილის ან საღამოს ლოცვებიდან ის ლოცვები, ის სიტყვები, რომლებიც გულზე გვხვდება და ჩვენს საკუთარ სიტყვებად ვაქციოთ ისინი. შემდეგ კი დროთა განმავლობაში ადამიანი ლოცვის წყურვილსა და შიმშილს განიცდის, როდესაც ეს სიტყვები საკმარისი აღარ არის და კიდევ გინდა რაღაცის თქმა. აი, მაშინ ლოცვითი კანონი თავისთავად ვითარდება. აუცილებელი არ არის, რომ კანონი

გაიზარდოს, ის შეიძლება მცირეც იყოს, მაგრამ ძალიან კარგი და წმინდა. სული განივრცობა, სურს უფრო მეტი უთხრას ღმერთს, ადამიანს გამუდმებით ლოცვა სწყურია.

ლოცვა ნაყოფით შეიცნობა. თუ გარკვეული დროის განმავლობაში ვლოცულობთ და ჩვენს ლოცვას ნაყოფი არ გამოაქვს, უნდა დავფიქრდეთ, როგორ ვეკიდებით ლოცვას.

ლოცვის ნაყოფი მაშინ ჩნდება, როცა ადამიანს ღვთისმსახურება უყვარდება, მასში მონაწილეობა არ უმძიმს, ლოცულობს მოძღვართან და გუნდთან ერთად, ყურს უგდებს ყოველ სიტყვას – ეს ნიშნავს, რომ მის პირად კანონში რაღაც შეიცვალა. როცა კაცი ტაძარში ხშირად ყოფნას ცდილობს ან ავადმყოფურად განიცდის, თუ ამას ვერ ახერხებს, ანდა მთელი დღე ადგილს ვერ პოულობს, თუ მოუცლელობის გამო დილის ლოცვების წაკითხვა ვერ შეძლო – ეს ყველაფერი იმის ნიშანია, რომ სულში ლოცვა იშვება, მოძრაობს და ლოცვა თავად ხდება ადამიანის მამოძრავებელი ძალა.

ლოცვა ადამიანის მთელ ცხოვრებას აწესრიგებს, რამეთუ ცათა სასუფეველში არაფერი არ არსებობს, გარდა ლოცვისა, რომელიც აღავსებს ცხოვრებას და აერთიანებს ყველას და ყველაფერს. იქ ვერ დაისვენებ ლოცვისგან, ვერ დაემალები მას, ვერ იპოვი ადგილს, სადაც შეგიძლია არ ილოცო. ცათა სასუფეველი ღმერთთან ურთიერთობაა, დაუცხრომელი ლოცვაა.

ვენახის პატრონი სულ ახლოსაა

დიდი მცირესთან მჭიდრო კავშირშია. დიდი განდგომილება მცირედით იწყება. ამბა დოროთე ხშირად იმეორებს, რომ მცირედში დაუდევრობა კაცის სულში მავნე ჩვევას წარმოშობს, რომელსაც ყველა ცოდვა მოსდევს. მცირედში დაუდევრობა ყველა ადამიანური ვნების მიზეზია.

ადამიანი ეკლესიაში მოდის და სურს, რომ ქრისტიანი გახდეს, მაგრამ ეს უცებ, თვალის დახამხამებაში უნდა გან-

ხორციელდეს: იძინებს, კაცმა არ იცის, ვინ, გაიღვიძებს და – უკვე ქრისტიანი უნდა იყოს. მაგრამ ეს თურმე შეუძლებელია ძალიან ღრმა და გულწრფელი აღსარების შემდეგაც კი, თუნდაც დიდი შრომის შედეგად. იმისათვის, რომ ქრისტიანი გახდე, ძალიან გრძელი სულიერი გზა უნდა განვლო, რომელიც მხოლოდ მცირედში ერთგულებით გაიკვალება.

ბევრი წმინდა მამა ამბობს, რომ ადამიანს იმთავითვე სიკეთე და სათნოება აქვს მიცემული, ჩვენში არსებული ბოროტება კი ბევრად უფრო ნაკლებია იმ სიკეთეზე, რომელიც ჩვენში ბუნებრივად არის ჩადებული. და თუ რაიმე არაბუნებრივი ხდება, თუ ბოროტება კოლოსალურ მასშტაბებს, ძალასა და ძლიერებას იძენს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგივე გვემართება, რაც ბოროტ ვენახისმოქმედთ შეემთხვათ (მათე, 21,33; მარკოზი, 12,1-9; ლუკა, 20,9). ჩვენ თვითონ განვაგდებთ ჩვენგან ყოველგვარ კეთილ განზრახვას, რომელიც ჩვენში არსებობს არა მხოლოდ როგორც სიკეთისადმი ბუნებრივი სწრაფვა, არამედ როგორც სული წმიდის ზებუნებრივი ნიჭი.

როცა უფალი ორი ათასი წლის წინ ბოროტ მევენახეთა შესახებ იგავს ამბობდა, იგი იუდეველებს მიმართავდა – იმ ერს, წმინდა წერილში ვენახი რომ ეწოდებოდა და იმ განსაკუთრებულ ადგილთან იყო გაიგივებული, რომელიც ნაყოფს იძლევა და თავის ნაყოფს ახალ ნივთიერებად – ღვინოდ გარდაქმნის.

იუდეველებს ამ იგავის მოსმენისას ესმოდათ, რაც იგულისხმებოდა. სწორედ ებრაელ ერს უვლენდა უფალი წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს მათ შესაგონებლად; სწორედ ეს იყო ერი, რომელიც ხშირად სცდებოდა გზას და ღმერთს განეშორებოდა, მიწიერი მისწრაფებებით ცხოვრობდა და ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემის ნაცვლად კერპებს სცემდა თაყვანს, რადგან წარმართული სარწმუნოება სავსებით აკმაყოფილებდა კაცთა მიწიერ მოთხოვნილებებს.

წინასწარმეტყველები, რომლებსაც უფალი აგზავნიდა, ხალხს აყვედრიდნენ, ამხილებდნენ და სინანულისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ მათ დევნიდნენ და ქვებით ქოლავდნენ –

როგორც ელიას, ესაიას, იერემიას და სხვა მრავალს, ვინც ებრაელ ერს კერპთაყვანისცემლობის მიტოვებასა და ჭეშმარიტი ღმერთის აღიარებისკენ მოუწოდებდა. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. ხალხი ისევ ცოდვებში ეფლობოდა და მხოლოდ საშინელი უბედურების ჟამს, როდესაც დამონებული და მტრისაგან თითქმის სავსებით განადგურებული იყო, როგორღაც გონს მოეგებოდა და სინანულს ეძლეოდა ხოლმე. ამ იგავში უფალი თავის ჯვარცმასაც ახსენებს, ამბობს, თუ როგორ უარყოფს ებრაელი ერი თვით ძე ღვთისას, ჯვარს აცვამს მას და ბოლოს და ბოლოს თავად აღმოჩნდება ღვთისაგან უარყოფილი, ვენახი კი სხვა მუშაკებს გადაეცემათ.

მართლაც ასე მოხდა. იუდეველებმა უარყვეს მაცხოვარი, ჯვარს აცვეს ძე ღვთისა და თავადაც უარყოფილ იქნენ. აღთქმები, ახალი აღთქმა სხვებს მიეცათ – სხვა კაცობრიობას, რომელიც ნათლისღების გზით ახლად იშვა ქრისტეში და ახალ ვენახად შეიქნა. სწორედ მის შესახებ უთხრა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს საიდუმლო სერობის ჟამს: „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი“ (იოანე, 15,5). ასე თქვა უფალმა მათ შესახებ, ვისაც სახარებისეული სიტყვით მიმართა – თავის ეკლესიას, და ამით ეს აღთქმა ქრისტეს ვენახის შესახებ ჩვენზე გადმოვიდა. და მაშინ ეს იგავი, რომლითაც უფალმა იუდეველებს მიმართა, ძალიან აქტუალური ხდება, იგი აღარაა მხოლოდ ისტორიული მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ უარყვეს იუდეველებმა მაცხოვარი. უფალი თითოეულ ჩვენგანზე მოგვითხრობს, მათზე, ვინც მოწოდებულია ქრისტეს ვენახს ეკუთვნოდეს და ვისაც უფალი თავის აღთქმებს აძლევს.

ჩვენ მივიღეთ უდიდესი მადლი – ვიღვაწოთ უფლისთვის, გავხდეთ საუკუნო ცხოვრების თანაზიარნი. ჩვენ კი როგორ და რითი ვპასუხობთ ამ მოწოდებას? გამოგვაქვს კი ნაყოფი? ხომ არ ვემსგავსებით იუდეველ ერს, რომელმაც უარყო თავისი მაცხოვარი?

ყოველთვის, როცა ადამიანი მცირე დაუდევრობას ეძლევა, გუნებაში ამბობს: „რა მოხდება, თუ ჩემს თავს პატარა კომპრომისის, ცოდვილი, მაგრამ სასიამოვნო წვრილმანის უფ-

ლებას მივცემ?“ და თუ სინდისი სხვა რამეს კარნახობს, კაცის პასუხი ასეთია: „დადუმდი, გამეცალე, ნუ მიშლი მცირეოდენი შვება ვიგრძნო, საკუთარი თავისთვის ვიცხოვრო“. ერთხელ იტყვის, მეორედ იტყვის და ბოლოს გადაწყვეტს: „კი მაგრამ, რაში მჭირდება ეს ყველაფერი? რის მაქნისია ასეთი უცნაური მცნებები? რისთვის ვიტანჯავ თავს? მთელი ქვეყანა ლაღად, თავისუფლად, მსუბუქად ცხოვრობს! ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი ნებადართულია, ყველაფერი სიცოცხლეს ასხივებს! მარტო მე რატომ უნდა ვიფიქრო ღვთის სამსახურზე? ეს ხომ ჩემი ცხოვრებაა! ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, მალე გაივლის, ხომ უნდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და ცოტა საკუთარი სიამოვნებისთვისაც ვიცხოვრო, ჩემს თავზეც ვიზრუნო“.

სწორედ ამ დროს გვემართება ის, რაც ბოროტ ვენახისმოქმედთ შეემთხვათ – საკუთარ თავში ყოველგვარ სიკეთეს ვკლავთ, ჩვენს მოწოდებას უარვყოფთ და საბოლოოდ მძიმე, სასიკვდილო ცოდვებში ვვარდებით. ამით ჩვენ ღვთის სიტყვას ჯვარს ვაცვამთ, ჯვარს ვაცვამთ არა როგორც წარმართნი, არამედ ისინი, ვისაც მადლი მიეცა, ვინც იცის ჭეშმარიტება, ვინც მოწოდებული იყო, მაგრამ მაცხოვარი უარყო, როგორც ეს იუდეველებმა ჩაიდინეს.

ერთგულება მხოლოდ ასე იზომება, არ არსებობს ერთგულების სხვა საზომი, გარდა მცირედში ერთგულებისა. ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ ეს მცირედი შეუმჩნეველია, ნაკლებად ფასეული: „ჰო, აქ ცოტა დავაკელი საქმეს, იქ რაღაცაზე თვალი დავხუჭე, სადღაც თავი დავზოგე... მაგრამ ეს ხომ წვრილმანებია... არ მომიკლავს, არ მომიპარავს, დიდ საქმეში არ მიღალატია...“ მაგრამ დიდი საქმეები ცხოვრებაში იშვიათად გვხვდება – ჩვენ ყველანი პატარა ადამიანები ვართ და ჩვენი ცხოვრებაც მეტწილად წვრილმანი ქცევებისგან შედგება.

რაც არ უნდა მაგრად შეანჯღრიოს ბედმა ადამიანი, ის შეიძლება ცოტა ხნით გონს მოვიდეს, ისიც ბოლომდე არა. მხოლოდ მაშინ, როცა კაცი თავს აიძულებს წვრილმან საქმეში არ იცრუოს, ცუდმედიდობას არ აჰყვეს, უმნიშვნელო რამეზე

არ განაწყენდეს, საკუთარ თავს მცირედშიც არ დაუთმოს – მარხვა არ დაარღვიოს, ღვთისმსახურებაზე არ დააგვიანოს – აი, მაშინ შეიძლება ადამიანში რაღაც შეიცვალოს.

დიდი რამ მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება ერგოს წილად, ვინც მცირეში მუდამ ერთგული იყო. უფალი ამბობს: „სარწმუნო იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს“ (ლუკა, 16,10). ჩვენ მოგვეთხოვება მცირედი, მაგრამ ერთგულება, მცირედი, მაგრამ ღვაწლი; ის ნამდვილი საქმე, რასაც არასოდეს ვუღალატებთ, რასაც ყოველთვის გავაკეთებთ.

ამისათვის მხნეობაა საჭირო, რა თქმა უნდა, მხოლოდ მხნეობა და სხვა არაფერი. ყოველ წვრილმანზე, რასაც გვთავაზობენ, უნდა შეგვეძლოს ვთქვათ: „არა, მე ეს არ მჭირდება, მე უფალს მცირედშიც არ ვუღალატებ“. ჩვენ არც ისეთი უძლურნი ვართ საიმისოდ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვიყოთ. და თუ ეს მხნეობა გვაქვს – ვიდგეთ ჩვენს ადგილას, როგორც ქრისტეს ეკლესიის სადარაჯოზე, არ გადავუხვიოთ იმ მოწოდებას, უფალმა რომ მოგვმადლა, მაშინ ღვთის წყალობით სხვა ყველაფერი გამოგვივა.

მოციქულიც ხომ ამას ამბობს: „მღვიძარე იყვენით, მტკიცედ დეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით“ (1 კორ. 16,13). შევისმინოთ ეს სიტყვები, რამეთუ უფალი მოვალს, იგი სულ ახლოს დგას თითოეულ ჩვენგანთან. და ვაი ჩვენ, თუ ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებას გავაგრძელებთ და მას ყურადღებასაც არ მივაქცევთ. უფალი ახლა ჩვენს გვერდითაა და უყურებს, თუ როგორ ვიქცევით მის ვენახში, როგორია ჩვენი გული, ვის ეკუთვნის იგი.

კერპნი ვნებათანი აღვმართენ მე უბადრუკმან

კერპნი ვნებათანი აღვმართენ მე უბადრუკმან, არამედ მოწყალეო, სინანული ჩემი მიითვალე...

ანდრია კრეტელის დიდი კანონი

ქრისტე წმიდა სამების მეორე პირია, ძე ღვთისა, რომელზეც ითქვა, რომ იგია სიტყვა ღვთისა, ღვთაებრივი ლოგოსი. ამის შესახებ ითქვა სწორედ იოანეს სახარებაში: „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვაი იგი“ (იოანე, 1,1). ეს მასზე, ქრისტეზეა ნათქვამი. იგი მოვიდა სოფლად ჩვენი ხსნისათვის, მოვიდა, რათა ამ სიტყვით ვცოცხლობდეთ, ამ სიტყვით ვსაზრდოობდეთ, ამ სიტყვით ვიხარებდეთ და ნაყოფი გამოვიღოთ.

ჩვენ კი სმენით არ გვესმის, ხედვით ვერ ვხედავთ, გონებით არაფრის გაგება არ გვსურს. საკითხავია, რატომ? პავლე მოციქულმა, რომელიც ამ სიტყვით ცოცხლობდა, რომელსაც შეეძლო ეთქვა საკუთარ თავზე: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე“ (გალ. 2,20), ღვთის სიტყვის შესახებ თქვა: „ცხოველ არს სიტყვა ღმრთისა, ძლიერ და უფროის უმკვეთლეს ყოვლისა მახვილისა ორპირისა“ (ებრ. 4,12). იგი გაივლის ადამიანში და განყოფს სულსა და სამშვინველს.

ასეთია სიტყვა ღვთისა, იგი ყოვლისშემძლეა და ყოვლადძლიერი. იმდენად ყოვლისშემძლე, რომ მთელი სამყარო მის მიერ არის შექმნილი. „და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი“ (დაბ. 1,3). რამდენი რამ ეძლევა ყოველ ჩვენგანს იმისათვის, რომ ისმინოს სიტყვა ღვთისა! ბიბლია ჩვენთვის ტაძარშიც გაისმის, ჩვენს სახლებშიც ინახება, მაგრამ სამწუხაროდ, არცთუ ისე ხშირად გადავფურცლავთ ხოლმე, და თუ გადავფურცლავთ, მართლაც რომ ვუყურებთ და ვერ ვხედავთ, ვუსმენთ და არ გვესმის...

რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ისეთები ვართ, როგორიც უნაყოფო ნიადაგი ცნობილ იგავში მთესველის შესახებ, როგორც მინდორი, ეკალბარდით დაფარული, როგორიც ქვები, რომლებმაც სულისა და გულის ნაცვლად ამოავსეს ჩვენი წიაღი....და სწორედ ესაა საშინელება, რამეთუ თვით ყოვლადძლიერი და ყოვლისშემძლე სიტყვა ჩვენზე ისეთ ზემოქმედებას ვერ ახდენს, როგორც ამქვეყნად სხვა ყველაფერზე. უფალმა სამყარო როგორიც შექმნა, ისეთივე არსებობს, როგორც უბრძანა ხეებს ნაყოფის გამოღება, ისევე გამოაქვთ ნაყოფი. უფალს ყველა უჯერებს, ყველაფერი ემორჩილება, ყველაფერს გამოაქვს მისთვის ნაყოფი.

და მხოლოდ ადამიანია, ვისაც ხშირად სმენით არ ესმის და ხედვით ვერ ხედავს. უფალი მოდის და ცხონებისაკენ მოუწოდებს მას, უფალი მოდის და თავს დებს მისთვის, ჯვარზე გაეკვრის: სიტყვა ღვთისა ჯვარს ეცმის კაცისთვის, რათა ის გონს მოვიდეს, რათა როგორმე შეისმინოს ღვთისა, რათა ამ სიტყვამ როგორმე შეაღწიოს მასში და განაცხოველოს: არა გათელილი გზით, არა კლდოვანით, არა ეკალბარდით მოფენილი მინდვრით – არა, არა ამ გზით! არამედ ისე, რომ იგი ნამდვილ, ცოცხალ თავთავად აღმოცენდეს, რომელსაც ძალუძს ნაყოფის გამოღება, რომელსაც შეუძლია თავად იქცეს ამ სიტყვად და თავად დათესოს ეს თესლი.

სიტყვა კეთილ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ დავარდება, თუ ეს ნიადაგი ნამდვილად მზად არის ამ სიტყვის მისაღებად, რათა ნაყოფი გამოიღოს, ამისთვის კი დიდი გარჯაა საჭირო. პირველ რიგში საჭიროა ძალიან მოინდომო – სინამდვილეში სულ ესაა. უბრალოდ, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ნება, რომელიც უფალმა მოგვანიჭა, ღმერთისკენ უნდა მივმართოთ.

სიტყვა „სინანული“ ბერძნულად ითარგმნება, როგორც „მეტანოია“, რაც „ცნობიერების შეცვლას“ ანუ „გონების შეცვლას“ ნიშნავს, და თვით სინანულის გზაც ადამიანის შეცვლად წარმოგვიდგება. ცვლის რა სინანულით თავის ცნობიერებას, მან ღმერთის, მოყვასის, ამა სოფლის, საერ-

თოდ, ყველაფრის მიმართ დამოკიდებულება უნდა შეცვალოს – ესე იგი, ნამდვილად ხელმეორედ უნდა იშვას.

„კერპნი ვნებათანი აღვმართენ მე უბადრუკმან, არამედ მოწყალეო, სინანული ჩემი მიითვალე“, – წერს ღირსი ანდრია კრეტელი სინანულის დიდ კანონში და ამბობს, რომ საკუთარი თავისაგან კერპი შექმნა. კაცი, რომელიც თავის თავში კერპს შეიქმნის, მოწოდებულია, რომ ეს კერპი საკუთარ თავში თვითნ დაანგრიოს, წვრილ ნამსხვრევებად აქციოს, რათა საკუთარი თავისგან აღარაფერი დარჩეს. ხოლო მას შემდეგ, რაც თავს იმდენად მოიძულებს, რომ მისი უმცირესი ნაწილიც კი არ დაენანება, მტკიცედ უნდა გადაწყვიტოს მისი შემუსვრა.

და ეს მხოლოდ შემუსვრა არ არის, ეს ნაცარტუტად ქცევაა. თავად ადამიანი ისეთ თიხად იქცევა, რომლისგანაც ღმერთს ადამის ხელახლა შექმნა შეუძლია, რომელშიც მას სიცოცხლის შთაბერვა ძალუძს. სინანული ის ძალაა, საოცარ შესაძლებლობას რომ გვაძლევს – განახლების შესაძლებლობას. ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. მაგრამ ახალი ყველაფერში ახალია, იგი სრულიად ახალია. სიახლე გვაშინებს, არ გვაძლევს საშუალებას ისე ვიცხოვროთ, როგორც მიჩვეულები ვართ. გვაქვს კი განახლების სურვილი, თუ საკმარისია, რომ უბრალოდ ძველები დავრჩეთ?

დაუფიქრდით ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს: „უფალი ერთი ცოდვილის მოქცევას მეტ ღვთაებრივ ენერგიას ანდომებს, ვიდრე სამყაროს შექმნას“. აი, რა საშინელი ქმნილებაა ადამიანი! აი, როგორია ჩვენი სული – გაქვავებული!

ეს გვაიძულებს უფრო ყურადღებით შევხედოთ სინანულის საიდუმლოს. იგი მიწათმოქმედის შრომას წააგავს: როცა მის წინაშე უნაყოფო ნიადაგია, კაცი ბასრ გუთანს მოიხმარს, რომ მთლიანად გადახნას, გადააბრუნოს, გაშალოს გამომშრალი და უსიცოცხლო ბელტები, რათა კეთილი ნიადაგი გამოაჩინოს. იგი არ ზოგავს მიწას.

ჩვენც ისე უნდა მოვექცეთ საკუთარ თავს, როგორც მიწათმოქმედი – მიწას: სული ისევ ცარიელი დარჩება, მას-

ზე არაფერი აღმოცენდება, თუ ადამიანი მას არ გადაფარ-
ცხავს, თუ საგულდაგულოდ არ გააფხვიერებს, თუ თავის
თავში არ გაატარებს სულიერი გუთნის ბასრ მახვილს – ჭეშ-
მარიტ სინანულს.

თავი VI

წარვედ და ამიერითგან ნულარა სცოდავ

არამედ იყავნ სიტყუაი თქუენი ჰეი ჰე და არაი არა.

მათე, 5,37

არ არის საკმარისი თქვა: „ცოდვილი ვარ“

განა ასე უნდა ვამბობდეთ აღსარებას? არ არის საკმარისი თქვა: „ცოდვილი ვარ“, ცალ-ცალკე უნდა გააცნობიერო ყოველი შენი უსჯულო ქცევა, სიტყვა თუ აზრი, გააცნობიერო, რომ ეს ცოდვაა, გულწრფელად შეინანო, დაუფარავად აღიარო მოძღვრის წინაშე – და მხოლოდ მაშინ განიხსნება შენთვის მოტევებული ცოდვა.

მთავარეპისკოპოსი იოანე სან-ფრანცისკოელი

ეკლესიის ისტორიისათვის საერთო აღსარება უცნობი მოვლენაა. იგი საეკლესიო პრაქტიკაში დამკვიდრდა როგორც მცდარი ტრადიცია: როგორც არსებობს იშვიათი ზიარების მცდარი ტრადიცია, არსებობს აგრეთვე საერთო აღსარების მცდარი ტრადიცია.

საერთო აღსარებაზე საუბრისას ჩვენ იმ პერიოდის ხალხმრავალი ტაძრები გვახსენდება, როცა არც ტაძრები იყო საკმარისი და არც მღვდლები. დიდ დღესასწაულებზე იმდენი ხალხი მოდიოდა, რომ ყველასგან აღსარების მიღება შეუძლებელი იყო, ამიტომ სრულდებოდა ერთგვარი მოქმედება, რასაც საერთო აღსარება უწოდეს. მღვდელი, ჩვეულებრივ, ოლარითა და ჯვრით გამოდიოდა, სახარებით ხელში, და ყველას, ვინც ტაძარში ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებთან ზიარებისთვის იყო მოსული, სინანულის საიდუმლოს შესახებ უქადაგებდა; ხალხს აღსარების საიდუმლოს შესახებ უამბობდა, უხსნიდა, რომ კაცი ცოდვილი არსებაა, რომ ყველამ უნდა შეინანოს, რომ სინანულის გარეშე ვერავინ ცხონდება და ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. შემდეგ ამბობდა: „ახლა მე ცოდვებს

ჩამოვთვლი, თქვენ კი გულში შეინანეთ და თქვით: „ცოდვილი ვარ“. იგი ცოდვების გრძელ ჩამონათვალს კითხულობდა და ყოველი იქ მყოფი მღვდლის კვალდაკვალ აღიარებდა თავის ცოდვებს, ამის შემდეგ მღვდელი ყველას ოლარს გადააფარებდა, მრევლი ემთხვეოდა ჯვარს, სახარებას და საზიარებლად მიდიოდა.

აღსარების ასეთ ფორმას წმ. იოანე კრონშტადტელს მიაწერენ და მას საერთო აღსარების მამამთავრად მიიჩნევენ. მართლაც, იოანე კრონშტადტელი თავისი მგზნებარე ქადაგებებით ადამიანებში სინანულს აღძრავდა. მის მღვდელმსახურებას შვიდი ათასამდე ადამიანი ესწრებოდა. რამდენადაც გულშიჩამწვდომი იყო მისი სიტყვები, იმდენად წრფელი იყო ხალხის სინანულიც: ადამიანები გრძნობებს ვერ იკავებდნენ, მუხლებზე ემხობოდნენ და ხმამაღლა აღიარებდნენ ცოდვებს, ტიროდნენ და ღმერთისგან შენდობას ითხოვდნენ. იქაური ქურდები ამით სარგებლობდნენ, საჯარო აღსარების დროს ტაძარში იპარებოდნენ და ხალხს, ვინც თავის გარშემო ვერაფერს ამჩნევდა, საფულეებს აცლიდნენ. ამას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც საერთო აღსარების დროს ჩვენს ტაძრებში ხდება. აღსარება რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს იყო ნამდვილი სინანული, სულიერი განწმენდა და ცხოვრების შეცვლა. ადამიანები გრძნობდნენ წმინდანის სიახლოვეს და მისი პირადი სიწმინდე ყველას გადაეცემოდა. ამის შემდეგ მისი ხელიდან ეზიარებოდნენ. ასეთი რამ მხოლოდ წმ. იოანე კრონშტადტელს შეეძლო.

მოგვიანებით საერთო აღსარება ტაძრებში დევნისა და ომიანობის დროს სრულდებოდა. ბევრი მღვდელი გადასახლებაში იმყოფებოდა, იმისათვის, რომ როგორმე მოქმედ ტაძრებამდე მიეღწიათ, ადამიანებს დიდი მანძილის გავლა უხდებოდათ. მსახურებაზე დასწრება მათ წელიწადში ალბათ სულ რამდენჯერმე შეეძლოთ, ნათლისღების და აღდგომის დღესასწაულებზე. და აი, ისინი თავს იყრიდნენ ტაძარში, სადაც მხოლოდ ერთი მოხუცი მღვდელი იყო, გადასახლებიდან სულ ახლახანს რომ გამოეშვათ, მას ფეხზე დგომაც კი უჭირდა და

ძალა არ შესწევდა, აღსარება ყველასგან სათითაოდ მიეღო. მაშინ საერთო აღსარებას მიმართეს. ეს იყო ეკლესიის დევნის უმძიმესი ხანა და ადამიანები, რომლებიც ქრისტეს ერთგულნი დარჩნენ, ცხადია, აღსარებას სხვაგვარად განიცდიდნენ, ვიდრე ამას დღეს ჩვენ განვიცდით. ამიტომ საერთო აღსარების პრაქტიკას იმ დროში თავისი გამართლება ჰქონდა.

ჩემი ღრმა რწმენით, საერთო აღსარება საიდუმლოს არ წარმოადგენს. ზოგიერთს ცოდვები კიდევაც რომ მიეტევოს, ასეთი აღსარება არაფრით განსხვავდება იმ სინანულისგან, რაც თავის სენაკში მყოფ ადამიანს შეუძლია გამოთქვას ღვთის წინაშე.

აღსარებაში, როგორც საიდუმლოში, მთავარი არა მარტო უფლის წინაშე ადამიანის სინანული, არამედ ეკლესიის მიერ ამ სინანულის დამოწმებაცაა. ამიტომ შენდობის ლოცვებს და ოლარის გადაფარებას საერთო აღსარების დროს არავითარი საკრალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. რას დაამოწმებს მღვდელი ოლარით ხელში, თუ ამ ადამიანებს არ იცნობს: არც მათი სინანულის სიწრფელეს, არც ცოდვებს, არც სულიერ ცხოვრებას და არც მის ნაყოფს? შესაბამისად, ეს აღსარება არ გახლავთ, საიდუმლო არ აღესრულება. არის მოწოდება, რომ ადამიანმა საკუთარი თავი განიკითხოს, თავისი ცოდვები დაინახოს, არის მოწოდება სინანულისკენაც, მაგრამ არ არის სინანულის დამოწმება. მღვდელს არ შეუძლია ამ ადამიანების შესახებ უფლის წინაშე დამოწმება, ღვთის სახელით შენდობა, რადგან მასთან მისულებს არ იცნობს, არ იცის, რა ცოდვები აქვთ, რა ხდება მათ სულში. რა თქმა უნდა, მღვდელი აცხადებს: „ისინი, ვინც მკვლელობა, მრუშობა, აბორტი ჩაიდინეთ, საზიარებლად ნუ მოხვალთ, სინანულისთვის დრო ცალკე გამონახეთ“, მაგრამ განა მხოლოდ ამას შეუძლია ადამიანი ღმერთს განაშოროს? ბევრი რამაა ისეთი, რაც ადამიანმა აუცილებლად უნდა გამოთქვას, ხოლო მღვდელმა მოისმინოს და მათ გარკვეული შეფასება მისცეს, სხვა შემთხვევაში ეს აღსარება სრულიად აზრს მოკლებული ხდება.

თუ მაინც აძლევ ადამიანებს მათ მოუსმენლად ზიარების

უფლებას, მაშინ თითოეული თავის სინდისს უნდა მიანდო და უთხრა: „შეგიძლიათ დღეს ეზიაროთ, მაგრამ ეს აღსარება არ იყო. თუ ბარძიმს შემუსვრილი გულით მიეახლებით და სინდისი არ გამხილებთ, მაშინ ეზიარეთ“. ოღონდ აღსარება ფორმალური ნუ იქნება.

საერთო აღსარება ადამიანის სულიერ ცხოვრებას ამახინჯებს, ფორმალობას აჩვევს, სინანულის საშუალებას არ აძლევს. კაცი აღსარებაზე მოდის და ამბობს: „ყველაფერში ცოდვილი ვარ“, მაგრამ როდესაც ეკითხებიან: „რაში?“ თურმე თვითონაც არ იცის, რაში: სათქმელი არაფერი აქვს, თავის ცოდვებს არ იცნობს, საკუთარ გულში არასოდეს ჩაუხედავს, ელოდება, რომ მღვდელი რაიმეს ეტყვის, ის კი სრული მზადყოფნით უპასუხებს: „ცოდვილი ვარ“. ცხოვრების გზა განვლო, ტაძარში დადიოდა, სინანული კი ერთხელაც არ განუცდია...

ცოდვების მიტევება მხოლოდ შენდობის ლოცვის წაკითხვით არ ხდება. ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს, რომ ზოგჯერ ასეც ხდება: მღვდელი კითხულობს ლოცვას – „მიგიტევებ და განგხსნი...“ ქრისტე კი, რომელიც უხილავად იქვე დგას ამბობს: „მე კი არ მიგიტევებ და არ განგხსნი...“

* * *

აღსარება უმჯობესია ხმამაღლა ითქვას. თვითონ ადამიანისთვის უფრო სასარგებლო იქნება ცოდვების ხმამაღლა აღიარება, მათი სიტყვიერად უარყოფა. თუმცა საიდუმლო ადამიანის სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული: შეიძლება მიაწოდო ცოდვების ჩამონათვალი და შინაგანადაც ამ სიტყვების სრულიად ადეკვატური იყო. ზოგიერთი აღსარება კი დაწვრილებით უნდა დაიწეროს. მაგალითად, გენერალური აღსარება მოითხოვს საკუთარი სინდისის ყურადღებით შემოწმებას. უნდა ილოცო, გონება მოიკრიბო, გაიხსენო მთელი შენი ცხოვრება და საკმაოდ დიდხანს იფიქრო საკუთარ თავზე. ამ რთულ საქმეში სწორედ წერილობითი აღსარება გვეხმარება,

რომ ბოლომდე ჩავწვდეთ ცოდვის მიზეზს და თუნდაც ძალიან მოკლედ, მაგრამ ზუსტად გამოვხატოთ საკუთარი მდგომარეობა. ეს ადამიანს სწორ შინაგან სულიერ განწყობამდე მიიყვანს.

წერილობითი აღსარება დროული და სასარგებლოც კი შეიძლება იყოს იმ ადამიანისთვის, რომელიც ეს-ესაა სინანულის გზას შედგომია, როცა მას სურს არაფერი გამორჩეს – ამ დროს აღსარების გეგმა აუცილებელია. ზოგიერთი ცოდვის ხმამაღლა თქმა მღვდლისთვის კი კაცს, მით უფრო ახალმოქცეულს, შეიძლება უბრალოდ გაუჭირდეს და დაწერა ერჩივნოს.

ზოგჯერ მოძღვარი ითხოვს, რომ სულიერმა შვილმა დაწვრილებით აღწეროს თავისი სულიერი მდგომარეობა დღის განმავლობაში და მერე ყოველივე ეს აღსარებაში თქვას, თუმცა ეს უფრო აღსარების სამონასტრო წესია – როცა მორჩილი მოძღვრის წინაშე თავის გულისსიტყვებს აღიარებს.

მაგრამ როცა წერილობით აღსარებას მიმართავს ადამიანი, ვინც უკვე დიდი ხანია აღსარებას ამბობს, ეს შეიძლება სრულფასოვანი აღსარებისთვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს: ამ დროს კაცი ჩვეულებრივ ისე ჩამოწერს ფურცელზე თავისი ყოველდღიური ცოდვების ჩამონათვალს, თითქოს ქიმწმენდის ქვითარს ავსებდეს – და ამ ქმედებაში უკვე არის რაღაც გარეგნული და არა შინაგანი.

მღვდლისთვის ეს ხშირად მოსახერხებელია, განსაკუთრებით, როცა ბევრი აღმსარებელია, გრძელი რიგი დგას და შეუძლებელია თითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე დაელაპარაკო. ცხადია, ადვილია ფურცელი აიღო, თვალი გადაავლო, დახიო და აღმსარებელს შენდობის ლოცვა წაუკითხო, ღმერთთან შეხვედრის საიდუმლო და გულითადი სინანული კი აღმსარებლის სინდისზე დატოვო. მაგრამ ესმის კი, რა ხდება ადამიანში? ბოლოს და ბოლოს ეს ძალიან ხშირად ფორმალური აღსარების ჩვევად იქცევა, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ ადამიანისთვის, რომელიც ეკლესიურია და ხშირად ამბობს აღსარებას, უმჯობესია კი არ დაწეროს, არამედ უამბოს მოძღვარს თავის თავზე. როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობ, ამაში მუ-

დამ ცოცხლად მონაწილეობს სინდისი. სათქმელის ბოლომდე თქმის სურვილი და ამ საქმის სიძნელე გეხმარება, რომ რაღაც შეცვალო შენს ცხოვრებაში. ცხადია, როცა მოძღვარს ესმის სინანულის ცოცხალი სიტყვა, მისი გული პასუხობს ამ სიტყვას; ასეთ დროს იგი გრძნობს მონანულის სულს და შეუძლია შეეწიოს მას რჩევითაც და ლოცვითაც.

ცოდვილი ინანიებს და მოექცევა, ცრუსულიერი კი წარსაწყმედად არის განწირული

აღსარების დრო უფლის დროა. სინანულის საიდუმლოსათვის მომზადებისას ადამიანმა პირველ ყოვლისა იმაზე უნდა იფიქროს, რომ ღვთის წინაშე ისეთი წარდგეს, როგორიც სინამდვილეშია. ჩვენ მოგვეთხოვება, რომ ღმერთამდე ჩვენი სინანული სრული სისავსით მივიტანოთ. დიდი რიგი ნუ დაგვაბრკოლებს, აღსარების დროს ნუ ავჩქარდებით.

აღსარების მოლოდინში შეგვიძლია კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას ან სახარება ვიკითხოთ, თუმცა ყველაფერს აჯობებს ზიარების ლოცვები წავიკითხოთ. მახსოვს, ახალგაზრდობაში ამ გრძელი რიგების გაძლება ძალიან მიჭირდა, საშინლად ვიღლებოდი. მაგრამ მერე კარგი გამოსავალი ვიპოვე: რიგში დგომის დროს ზიარების ლოცვებს ვკითხულობდი. თუ ეს ჩვეულებად იქცა, მრევლი იმაზე აღარ იფიქრებს, როდის მოვა აღსარების დრო, რადგან ლოცვით იქნება დაკავებული.

მოძღვრისთვის აღსარება ის ჯვარია, რომელიც თვითონ იტვირთა; მასთან მისული ადამიანები კი – ისინი, ვინც მას ღმერთმა გამოუგზავნა. მღვდელი ამ დროს შეიძლება დაღლილი და უყურადღებოც კი იყოს, მაგრამ ეს არ უნდა გვეწყინოს და არაფრად ჩავაგდოთ.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია გაიგო, თუ როგორ უნდა თქვა აღსარება სწორად – ისე, რომ სინანულის საიდუმლო ფსიქოთერაპიის სეანსად არ იქცეს, რომლის დროსაც შეიძლება უბრალოდ სულის შემსუბუქება იგრძნო ან, როგორც იტყვიან, „განიტვირთო“. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ მოძღვარი სინანულის მოწმედ კი არ წარმოსდგება, რისთვისაც ის სინამდვილეშია მოწოდებული, არამედ ფსიქოთერაპევტად, რომელიც შეიძლება შენი პრობლემებით დატვირთო, შემდეგ კი მშვიდად წახვიდე და ისე გააგრძელო ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ამისგან თავის არიდება არც ისე ადვილია. ნაცვლად აღსარებისა და ცოდვების მონანიებისა ადამიანი თავისი მდგომარეობის აღწერას იწყებს, იწყებს იმის მოყოლას, როდის გრძნობს თავს კარგად და როდის არის შეშფოთებული, ანდა როგორ რეაგირებს ცხოვრებისეულ მოვლენებზე. თვითონ აღსარება აქ ნაკლებად ჩანს, სამაგიეროდ, საკუთარი განცდების აღწერაა საკმარისზე მეტი. კაცი ამ დროს შეიძლება ღრმა სინდისის ქენჯნას გრძნობდეს, მეტიც, თვითგვემასაც კი ეძლეოდეს და ყოველნაირად აშიშვლებდეს თავის თავს, მაგრამ ასეთი „თავის თავის ჭამისგან“ შინაგან კმაყოფილებასა და შემსუბუქებას გრძნობდეს.

ჩვეულებრივ, ძირითადად ეს ამპარტავან ადამიანებს ემართებათ, რომლებიც ყველაფერს პათოლოგიური ეჭვიანობით უყურებენ. მაგრამ მათთვის დამახასიათებელ თვითგვემას სინანულთან საერთო არაფერი აქვს. ეს არაჯანსაღი მოვლენაა, რასაც უნდა გადავეჩვიოთ. რაც უფრო უბრალოა ადამიანი, მით უფრო ნამდვილი და ღრმაა მისი აღსარება. და პირიქით, რაც უფრო რეფლექსური და დახლართულია მისი შინაგანი სამყარო, მით უფრო ემსგავსება აღსარება ერთი და იგივე ადგილის ტკეპნას. ასეთი რეფლექსია ხშირად ცუდმედიდობის, სულიერი შრომის უგულებელყოფის შედეგია, ზოგჯერ კი ფსიქიკური დაავადების გამოვლინებაც.

აღსარების საიდუმლოს ფსიქოანალიტიკურ საუბრად გადაქცევა თანამედროვე აღსარებების დიდი პრობლემაა, მოძ-

ღვრებისთვის კი – მძიმე ჯვარი. ამგვარი რეფლექსიისადმი მიდრეკილი ადამიანები ხშირად ერთი მრევლიდან მეორეში მოგზაურობენ, ერთ მოძღვართან იმდენ ხანს რჩებიან, სანამ მღვდელს მოთმინება არ ამოეწურება. ამ უბედურ ხალხთან ურთიერთობა ძალიან მძიმეა, ასეთი მდგომარეობიდან მათი გამოყვანა კი – ძალიან ძნელი, რადგან საკუთარი აზრის პირდაპირ თქმა მათ განაწყენებას, ნიადაგის ფეხქვეშ გამოცლას ნიშნავს: სხვაგვარად ცხოვრება მათ არ შეუძლიათ. მოძღვარი ძალიან გამბედავი უნდა იყოს და კარგად იცნობდეს ამ ადამიანს, რათა ერთი მხრივ გამოაფხიზლოს იგი, მეორე მხრივ კი – არ დააფრთხოს.

ადამიანი ხშირად ეკითხება თავის თავს, რამდენად ზედმიწევნით უნდა აღწეროს ცოდვა და ცოდვის ჩადენის ვითარება. ცხოვრებისეულ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ჩვეულებრივ თავის გასამართლებლად და საკუთარი დანაშაულის შესამსუბუქებლად მოგვყავს, მხოლოდ მაშინ უნდა ვისაუბროთ, თუ ამის შესახებ გვეკითხებიან, მაგრამ რაც შეიძლება ნაკლებად ვიმართლოთ თავი და ვეცადოთ ემოციების გარეშე ვისაუბროთ. მაგრამ თუ მღვდელი გვეკითხება, რა გარემოებები ახლდა თან ცოდვის ჩადენას, მაშინ უკვე არაფერი არ უნდა დავმალოთ. არ უნდა დაგვაბრკოლოს არც მოძღვრის წინაშე ყალბი სირცხვილის გრძნობამ, არც იმის შიშმა, რომ ვინმეს ჩაითრევ ამ ამბავში ან სხვა ადამიანებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებ, რადგან მღვდელი ვალდებულია ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეინახოს. აღსარების საიდუმლოს დროს მას უნდა ეყოს ძალა არ განრისხდეს ან არ განიკითხოს ისინი, ვინც ცოდვის თანამონაწილენი ან მისი მოწმენი გახდნენ, თუმცა ზოგჯერ ასეც ხდება – ჩვენ ხომ ყველანი ცოდვილი ადამიანები ვართ. მაგრამ მოძღვრის მოვალეობაა მუდამ თავი შეიკავოს მსგავსი განწყობისაგან და აღსარების შემდეგ ყველას მიმართ თანაბარი დამოკიდებულება შეინარჩუნოს.

საკუთარ თავზე მსჯელობა, ცხადია, საჭიროა. წმინდა მამები გულისსიტყვების, აზრებისა და შინაგანი განწყობის სწორედ ასეთ ღრმა აღიარებაზე საუბრობენ. ადამიანი მხოლოდ

ცოდვების აღიარებას კი არ უნდა დასჯერდეს, მან ღრმად უნდა ჩაიხედოს საკუთარ თავში და არა მარტო ცოდვები, არამედ მათი ფესვებიც დაინახოს. მაგრამ ასეთი აღსარება საკუთარი თავისადმი ფხიზელი დამოკიდებულების ნაყოფია. განსხვავება საკუთარი თავის ამაო ჩხრეკასა და ცოდვების ღრმა ანალიზს შორის ის გახლავთ, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანი ყოველთვის ცდილობს, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა ან მღვდელს, ან გარემოებებს, ან სხვა ადამიანებს დააკისროს. მეორე შემთხვევაში კი კაცი პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე იღებს და მისი აღსარება ყოველთვის სულიერი შრომის, განკურნების სურვილისა და ცოდვასთან ბრძოლის მტკიცე გადაწყვეტილების ნაყოფია.

ცოდვა, რომელიც სინდისისს ამძიმებს, არ გვავიწყდება

ხანდახან კარგი მეხსიერების მქონე ადამიანებიც კი ცოდვების დავიწყებას უჩივიან. კაცს ჰგონია, რომ აღსარება ბოლომდე თქვა, მაგრამ ზედ ზიარების წინ ახსენდება რაღაც ცოდვები. ეს ბევრს აშფოთებს და მეტიც, ზოგჯერ იძულებულს ხდის, რომ შიშით განერიდოს ბარძიმს. ღირს კი სერიოზულად შეწუხება ასეთი გულმავიწყობის გამო? გამოცდილებით ვიცი, რომ დავიწყებას ის ცოდვა ეძლევა, რომელშიც ადამიანმა თვითონ გაიმართლა თავი. ვფიქრობ, სწორდ ესაა ცოდვების დავიწყების მთავარი მიზეზი.

შეიძლება, რომ ამ ჩვენმა გულმავიწყობამ სრულიად არ შეგვაწუხოს? ცხადია, არა. ცოდვები უნდა გვახსოვდეს და მათ გამო უნდა ვწუხდეთ. ცოდვების დავიწყება ერთგვარი სულიერი მარცხია და თუ ის აღმოვაჩინეთ ჩვენს თავში, ღმერთს უნდა შევთხოვოთ საკუთარი ცოდვის ხედვისა და ხსოვნის უნარის მონიჭება.

მაგრამ აღსარება ჩამოთვლილი ცოდვების რაოდენობით

მაინც არ განიზომება. საშინელებაა აღსარების პროფანაცია და საიდუმლოს ფორმალობად ქცევა. ადამიანები ცოდვების ნუსხის შედგენას ეჩვევიან და სრულიად არ ესმით, რომ ღმერთი მათგან ცხოვრების გამოსწორებას ელის – სხვას არაფერს. შეიძლება წლების განმავლობაში ეზიარებოდე, ყველა შენს ცოდვას სათითაოდ ასახელებდე, მაგრამ არაფერს ცვლიდე. და შეიძლება ცოდვების ფორმალურად ჩამოთვლის გარეშეც ისე შეიცვალო, რომ ცოდვები უბრალოდ გაქრეს, რადგან თვითონ ცხოვრების წესი შეიცვალე, სხვა გზა აირჩიე. მაშინ ცოდვები თავისთავად გაიფანტებიან, როგორც მტვერი – ძლიერი ქარის დროს.

არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რაც უფრო მეტ ცოდვას ჩამოთვლიან აღსარების დროს, მით უფრო მეტად მიეტევებათ. ისინი ცდილობენ, ყოველი შემთხვევისათვის, რაც შეიძლება მეტი ცოდვა ჩამოწერონ, რადგან საკუთარი თავის არ სჯერათ და ღმერთს არ ენდობიან. მაგრამ მიტევება ხომ ჩამოთვლილი ცოდვების რაოდენობაზე არ გახლავთ დამოკიდებული. კაცი სხვა ადამიანი ხდება იმიტომ, რომ საკუთარი თავის გამოსასწორებლად ძალისხმევას არ იშურებს და არა იმიტომ, რომ ფორმალურად ჩამოთვალა ცოდვები, თუნდაც ისინი ნამდვილად მას ეხებოდეს.

უფლის სიტყვებში: „წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ“ (იოანე, 8,11) ძალიან მნიშვნელოვანია ყურად ვიღოთ ეს მოწოდება – „წადი“. ის, ვინც აღსარების შემდეგ ნამდვილად დაადგება ცოდვებთან ბრძოლისა და ცხონების გზას, აღარ შესცოდავს. ის კი, ვინც ცოდვების ჩამონათვალით ხელში ერთ ადგილს ტკეპნის, მთელი სიცოცხლე ცოდვების ჩამოწერას განაგრძობს.

ნუ ენდობი საკუთარ ცრემლებს

აღსარების დროს ან მისთვის მზადებისას ჩვენი ემოციურობა ხშირად ჩრდილავს სულიერებას. ზოგიერთი ბუნებით ძალიან ემოციურია, ცრემლი შეიძლება გულის აჩუყებამ ან ცუდმედიდობამაც გამოიწვიოს. ტირილი, როგორც სულიერი მდგომარეობის გამოვლინება, შეიძლება უხილავი და უხმო იყოს, ზოგჯერ კი ხილულიც, როგორც ეს წმინდა მამებს ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ამისგან შორსა ვართ. ჩვენი ცრემლი მგრძნობიაროობის გამოვლინებაა და არა სულიერების, ეს ჩვენი ემოციების, სენტიმენტალობის გარკვეული თვისებაა, ან შეიძლება ბუნებით ვიყოთ მტირალები – და არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს სულიერებაზე. ამას ფხიზელი თვალით უნდა შევხედოთ.

თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ხანდახან ჩვენს სინანულშიც გამოერევა ხოლმე ნამდვილი ტირილი, მაგრამ ეს ადამიანური ცრემლებია და სხვა არაფერი. წმინდა მამების ცრემლები სულ სხვა ბუნებისაა. მათი ცრემლები უეცარი განცდის კი არა, უვნებო მდგომარეობის შედეგია და ამ მდგომარეობასთან მიახლოება ძალიან ძნელია.

ზოგჯერ, როცა ადამიანი აღსარებისთვის ემზადება, იგი თავის ცოდვებს ძალიან ემოციურად განიცდის, მაგრამ ტაძარში, ღვთისმსახურებაზე დგომისას, როცა სულიერი რეალობის, ჭეშმარიტი ლოცვისა და სიწმინდის პირისპირ აღმოჩნდება, ემოციურობა უცებ სადღაც ქრება. ზედაპირული სულიერი განცდები კი, ჩვენი გარდაქმნა რომ არ ძალუძთ, უკან იხევენ და რჩება მხოლოდ ყველაზე მთავარი. ჩვენი ცრემლი ღრმა სულიერი განცდის შედეგი რომ იყოს და ჩვენი შეცვლა შეეძლოს, ეს ჩვენი მუდმივი სულიერი მდგომარეობა იქნებოდა.

აი, ჩვენ გარეგნულად ემოციურად განვიცდით, რომ ასეთი ცუდები ვართ, რომ გვიჭირს და არ გვსიამოვნებს საკუთარ თავთან ყოფნა, გული აგვიჩუყდა, როცა გავაცნობიერეთ, თურმე რა ცუდები ვყოფილვართ, ვილოცეთ, მერე წარმოვიდ-

გინეთ, რა კარგად მოვყვებით აღსარებაზე ყოველივე ამას და მოძღვარიც დაინახავს, თუ როგორ ვინანიებთ... ამის შემდეგ ღვთისმსახურებაზე მოვდივართ, აქ კი ცოცხალ ღმერთს ადიდებენ, უფალი ჩვენს წინაშე ცოცხლად წარმოსდგება და ყველაფერი, რაც გარეგნულია, ქრება. რჩება მხოლოდ ის, რაც გვაქვს – ძალიან მცირედი, არც ისე კარგი წარმოდგენა საკუთარ თავზე. სასარგებლო იქნება ამის გაცნობიერება.

გვინდა თუ არა, ემოციები მაინც არსებობს. სხვა საკითხია, რომ ჩვენ შეგვიძლია ისინი ნამდვილ გრძნობებად ვაქციოთ. თუ ეს ემოციები ჩვენთან დარჩებიან და შეგვცვლიან, ეს უკვე მათი ნამდვილობის ნიშანი იქნება.

მდუმარება საუკუნო ცხოვრების საიდუმლოა

შენს გულისსიტყვებს ყველას ნუკი გაუმხელ, არამედ მხოლოდ იმათ, ვისაც შენი სულის ცხონება შეუძლია.

ანტონი დიდი

ყველამ იცის, რომ არსებობს ასეთი ცნება – აღსარების საიდუმლო, მაგრამ ჩვეულებრივ რატომღაც ჰგონიათ, რომ იგი მხოლოდ მღვდელმა უნდა შეინახოს. სინამდვილეში ასე როდია. აღსარების საიდუმლო ყველას ეხება და იგი თვით აღმსარებელმაც უნდა შეინახოს.

ვფიქრობ, რომ აღსარების საიდუმლო, პირველ ყოვლისა, კრძალულებასთან არის დაკავშირებული, როგორც საკუთარი, ისევე სხვა ადამიანის სულიერი ცხოვრების მიმართ ფაქიზ დამოკიდებულებასთან.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ახლობელს გული გადავუშალოთ, და ძველ ეკლესიაში ასეც ხდებოდა, როდესაც ქრისტიანები თავიანთ ცოდვებს საჯაროდ აღიარებდნენ. ადამიანი ხომ ცოდვებს არა მხოლოდ ღმერთის, არამედ

სხვების წინაშეც ინანიებს. მაგრამ ეკლესიამ საჯარო აღსარებაზე ძალიან მალე თქვა უარი, რადგან იგი შესაძლოა სხვებისთვის დამაბრკოლებელი გამხდარიყო და თვითონ ადამიანისთვისაც ახლობელთა მხრიდან საცთურის მიზეზად ქცეულიყო.

სინამდვილეში ცოტა ვინმეს თუ შეიძლება რაიმე გაანდო. ეტყვი ერთს, არავის უთხრაო, ის კი მაშინვე სხვას გადასცემს და იმასაც დაამატებს, არავის უთხრაო. მერე კი შენი ამბავი, სრულიად სახეცვლილი, შენვე გიბრუნდება და ხვდები, რომ დიდი ხანია გაგაშიშვლეს, განგსაჯეს, რომ ახლა ყველას წინაშე სრულიად სხვა, დამახინჯებული სახით წარსდექი.

ეს ძალიან რთული საკითხია. რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის შესახებ რაც უნდა, ისა თქვას – ეს მისი უფლებაა. მაგრამ სულიერი თვალსაზრისით უმჯობესია ამისგან თავი შეიკავო კიდევ იმიტომაც, რომ ზოგჯერ საკუთარ ცოდვებზე ყოველგვარი სინანულის გარეშე ლაპარაკობ, მეტიც, შეიძლება მათ მიმართ თანაგრძნობაც კი გაგიჩნდეს – ასეც ხდება. მე ვფიქრობ, უმჯობესია ყოველთვის სულიერი კრძალულება და თავშეკავება დაიცვა.

ამგვარი თავშეკავება იმიტომაც არის საჭირო, რომ ეშმაკი ადამიანს არ იცნობს, შინაგანი კაცისა მისთვის დაფარულია. სატანამ არ იცოდა, რომ ქრისტე განხორციელდა. არ იცოდა, რომ ღმერთკაცი ძე ღვთისა იყო (მას ძე ღვთისას უწოდებდნენ, ის კი თავის თავს ძე კაცისას უწოდებდა). ეშმაკს არც ადამიანში შეღწევა ძალუძს, თუ კაცი ამას თვითონ არ დაუშვებს საკუთარი ცოდვების, საკუთარი ვნებების გამო. „დემონები არ იცნობენ ჩვენს გულებს, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია“ – ამბობს წმ. ევაგრე, – რამეთუ მხოლოდ გულთამხილავმა უფალმა იცის კაცის გონება... მაგრამ ხან იმ სიტყვებიდან, რასაც ადამიანი წარმოთქვამს, ხანაც სხეულის მიხრა-მოხრით დემონები ბევრ რამეს ხვდებიან, რაც კაცის გულში ხდება“.

ამიტომაც ყველაფერი, რაც ადამიანს შეემთხვევა, ყოველი მისი განსაცდელი, ყოველი შეცდომა, რომელსაც იგი შემდეგ ბოროტ ძალას მიაწერს, იმიტომ ხდება, რომ ადამიანი თვითონ უმხელს ეშმაკს თავის სულიერ ცხოვრებას. ზოგჯერ

შეიძლება სახის გამომეტყველებითაც გავცეთ თავი. ეშმაკს შეუძლია გულისსიტყვებით აცთუნოს და ასე გაიცნოს ადამიანი: მათი მეშვეობით ცდილობს ანკესზე წამოაგოს და თუ კაცი გულისსიტყვებთან ურთიერთობაში შედის და მათთან საუბარს იწყებს, გზა უკვე გაკაფულია, გული და გულისსიტყვები – გაცხადებული, ეშმაკისათვის ყველაფერი ნათელია, და მაშინ უკვე ადვილად შეუძლია დაამარცხოს ადამიანი. მაგრამ თუ კაცი თავშეკავებულია, მოკრძალებული, მრავლისმეტყველი არ არის, იგი ეშმაკისთვის უცნობი რჩება – ასეთი ადამიანის გულში შეღწევა მისთვის ძნელი ხდება.

ადამიანი ეშმაკისთვის აღსარების დროსაც მიუწვდომელია, მაშინ, როცა სინანულის საიდუმლო აღესრულება. ამიტომ ჩვენს შინაგან სამყაროსთან საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება გვმართებს. აღსარების საიდუმლოსა და სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელობის შესახებ სხვებთან საუბარს უნდა მოვერიდოთ. რა თქმა უნდა, შეიძლება ახლობელს შენი განცდები გაუზიარო, მაგრამ აქაც თავშეკავებაა საჭირო. როდესაც ორი ან სამი ქრისტეს სახელით თავს იყრის, იქ ეშმაკს არ დაედგომება, მაგრამ თუკი უბრალოდ უქმისმეტყველებას ვეძლევით, განვიკითხავთ ან თავს ვიქებთ და ამ დროს რაიმე მნიშვნელოვანი წამოგვცდება, ანუ როცა ჩვენს გულახდილობას სულ მცირე ვნებაც კი შეერევა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ მაცდური იქვე გაჩნდება და ამით უთუოდ ისარგებლებს.

საერთოდ, ადამიანის სულიერი ცხოვრება არ შეიძლება ღია და ყველასთვის დასანახი იყოს. კაცი უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ თავს და ღმერთთან საიდუმლო ურთიერთობას. არქიმანდრიტი სოფრონი ამბობს: „ყველაფერი – დიდი თუ მცირე, რაც კი თავს გადამხდენია, ღვთის წყალობაა ჩემდამი, კაცთა შორის ყველაზე ცოდვილისადმი, და მე აუცილებლად მიმაჩნია დავიცვა იგი უცხო თვალისგან, როგორც განუზომლად ძვირფასი განძი, რათა განძარცვული არ შევიქნე“.

ღმერთი განსჯის

უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო.

ესაია, 1,18.

ზოგიერთს სწყინს და უკვირს, თუკი აღსარების დროს მღვდელი არაფერს ეუბნება – მათი აზრით, ეს თითქოს აღარც არის აღსარება. მაგრამ სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ მოძღვრისაგან რაიმე რჩევა-დარიგებას მოველოდეთ. ადამიანი, რომელიც ამას ელოდება, აღსარებაზე ალბათ საკუთარი თავის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოელის, რაც არ არის სწორი. ასეთი დამოკიდებულება შემდგომში მას დაამძიმებს, ეცდება მოძღვრის თვალში ცოტათი უკეთესი გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია, ეცდება აღსარებისთვის განსაკუთრებული სიტყვები იპოვოს, ყურადღება ადამიანურ ურთიერთობებზე გადაიტანოს.

მოძღვარი ყველასთვის როდი პოულობს სიტყვებს. ხანდახან მან არ იცის, რა თქვას, რადგან ამ ადამიანში რაღაც არ ეხსნება. ზოგჯერ კი მღვდელს უნდა, რომ გაუგოს კაცს, მაგრამ ვერ ახერხებს, ისღა დარჩენია, ღმერთს მიენდოს და ილოცოს, რომ თვით უფალმა წარმართოს ყველაფერი მის გარეშე, დაანახოს ადამიანს ის, რაც მისთვის აუცილებელია. შემდეგ თითქოს რაღაც იფეთქებს და შეგიძლია კაცზე ძალიან ზუსტი რაღაცეები თქვა.

დიდი სამღვდელო ნიჭია, თუ მოძღვარს შესწევს უნარი, აღსარების დროს თითოეულ ადამიანს რაიმე უთხრას. შესანიშნავია, თუ ასეთი ნიჭი არსებობს. როცა კაცი მოძღვრისაგან რაღაც ისეთს ისმენს, რაც მის სულიერ ცხოვრებას ეხება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეცადეთ, მოძღვრის სიტყვები დიდი გულისყურით მოისმინოთ. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ეს სიტყვები შენ არ გეხება, რომ საუბარი სულ სხვა რამეზეა, მაგრამ ზოგჯერ მღვდელი ისეთ რამეს შენიშნავს ხოლმე, რისთვისაც შენ აღსარების დროს ყურადღება არ მიგიქცევია. ყური უგ-

დეთ, ეცადეთ დაიმახსოვროთ. შემდგომში ეს თქვენთვის აუ-ცილებლად გაცხადდება, გასაგები გახდება.

ბევრი მღვდელი, მადლმოსილი ბერებიც კი, აღსარების დროს საერთოდ არაფერს ამბობს. მაგრამ მათ შეუძლიათ ადა-მიანისთვის ისე ილოცონ, მისი ამბავი გულთან ისე ახლოს მიი-ტანონ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ადამიანისთვის ბევრ რამეს ნათელი ეფინება.

აღსარება პირველ ყოვლისა საიდუმლოა, რომლითაც კაცს ცოდვებთან ბრძოლის ძალა ეძლევა. მთავარი, რაც ამ საიდუმლოს დროს ხდება, ის კი არ არის, რომ ადამიანს ცოდ-ვები მიეტევება, და არც ის, თუ რა უთხრა მღვდელმა, არამედ ის, რომ თვითონ ამ საიდუმლოში, როგორც ეკლესიის წინაშე დამოწმებაში, ადამიანს ეძლევა მადლმოსილი ძალა საკუთა-რი თავის დასაძლევად. ცუდია, თუ ამას არ ვაკეთებთ. ადა-მიანს მადლის დაკარგვა როგორც ზიარების, ისე აღსარების და საერთოდ, ნებისმიერი საიდუმლოს შემდეგაც შეუძლია.

ის, რომ აღსარება საიდუმლოებითაა მოცული, აღსარე-ბის მადლმოსილება, სული წმიდის მონაწილეობა ამ საიდუმ-ლოში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავისთა-ვად კი არ იცვლება აღსარებით, არამედ ეძლევა ძალა ცოდ-ვასთან ბრძოლისათვის და ამ მადლმოსილი ძალით ავსებული მიდის. „წადი და ნულარა სცოდავ“ – ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი გეუბნება: „დაიწყე ბრძოლა. შენ გაიმარჯვებ, რადგან ძალა მოგეცა“. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად მტკიცეა ჩვენი გადაწყვეტილება და შეგვიძლია თუ არა ბრძოლა. აღსარების შემდეგ ხელჩართული ომი იწყება.

თავი VII

შევედით იწროისაგან ბჭისა

შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰ-ყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა.

მათე, 7,13.

ფართო და ვრცელი გზა, რომელსაც წარწყმედისაკენ მიჰყავს

ჩვენ კი, იმის მიუხედავად, რომ თვით უფლისგან გვესმა: „შევედით იწროისაგან ბჭისა... რომელი მიიყვანებს ცხორებასა“, მაინც ფართო და ვრცელ გზას ვარჩევთ, რომელსაც წარწყმედისაკენ მივყავართ. სამაგიეროდ, როცა უფალი მოვა ცოცხალთა და მკვდართა განკითხვისათვის, გვეტყვის: „წარვედით ჩემგან, წყეულნო.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

თუ ადრექრისტიანულ ლიტერატურას გადავხედავთ, მაგალითად, „თორმეტი მოციქულის სწავლებას“, მასში გარკვევით არის ნათქვამი, რომ არსებობს ორი გზა: ერთს ცხონებისაკენ, მეორეს კი სიკვდილისაკენ მივყავართ. ამ ორ გზას შორის უზარმაზარი განსხვავებაა. სახარებაც, ზოგადად, ერთობ კატეგორიული წიგნი, ფართო და ვიწრო გზაზე ლაპარაკობს. ესე იგი, ყველგან არის წამოყენებული მოთხოვნა უკომპრომისო დამოკიდებულებისა საკუთარი თავისა და საკუთარი სულიერი ღვაწლის მიმართ. მაგრამ ცხოვრებაში ქრისტიანობის ასეთი აბსოლუტური გამარჯვების აშკარა და თვალსაჩინო მაგალითებს ჩვენს ახლობლებში ვერ ვხედავთ. შეიძლება კი ამის გამო ქრისტიანთა ფარისევლობაზე, ორმაგ სტანდარტებზე, ორმაგ ცხოვრებაზე ლაპარაკი?

ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და მისი არსი გახლავთ ის, რომ ადამიანმა თავისი რწმენის აზრი იპოვოს და მასთან ერთად იპოვოს საკუთარი თავიც. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობს წმინდა სახარება ყველაზე ხშირად: თუ ყანაში საუნჯეა დაფარული, მაშინ აგარაკს ამ საუნჯის გამო ყიდუ-

ლობენ და სხვას ყველაფერს ყიდიან იმისათვის, რომ ერთი უძვირფასესი მარგალიტი შეიძინონ (იხ. მათე, 13,46). პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რამდენად შესწევს უნარი ადამიანს ნამდვილად და ბოლომდე გააცნობიეროს ღვთისადმი თავისი ერთგულება, ოღონდ არა როგორც საკუთარი ყოფიერების უკვე განხორციელებული კონსტანტა, არამედ ამ ერთგულების სურვილი: იმის გაცნობიერება, რომ არ არსებობს სხვა მყოფობა, გარდა ღმერთთან მყოფობისა, და რომ არ არსებობს რაღაც სხვა აბსოლუტური ჭეშმარიტება, გარდა სახარებისეული ჭეშმარიტებისა.

სახარებაში ნათქვამია, რომ ორი ბატონის მსახური ვერ იქნები, და ესეც ერთადერთი გზის აღიარებაა. მაგრამ ისეც ხდება, როგორც იაკობ მოციქულთან წერია: მოდის ადამიანი გაორებული აზრებით და თავდაპირველად ცდილობს, რომ ორ ბატონს ემსახუროს. ასეთ შემთხვევაში ღმერთის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის გარდა იგი თავის თავში სხვა „ჭეშმარიტებებსაც“ ატარებს, რომელთა მიმართაც ნდობა გააჩნია, მაგრამ ისინი ღმერთში არ არიან. მაშინ ქრისტესა და სახარების რწმენასთან ერთად იგი ცდილობს ირწმუნოს, რომ ქრისტეს მიღმაც შეიძლება რაღაც „ჭეშმარიტება“ არსებობდეს, რომ სახარებისეული ჭეშმარიტება აბსოლუტური არ არის და იგი სხვა რელიგიური და ფილოსოფიური სისტემებიდან მოითხოვს გარკვეულ შევსებას.

ამგვარი გაორება შეიძლება იმის ბრალი იყოს, რომ კაცი გარე ფაქტორებზე ამყარებდეს იმედს – ვთქვათ, საკუთარ გონებაზე ან ადამიანურ ურთიერთობებზე, შეიძლება, იგი ფილოსოფიურ საკითხებში გაიხლართოს ანდა ჭეშმარიტების სხვადასხვა ფსევდოსულიერი „ჭეშმარიტებებით“ თუ ცრურწმენებით განზავება სცადოს.

ქრისტეს რწმენას შეიძლება წარმართული მინარევებიც ახლდეს, მათ შორის ინტელექტუალურიც, როცა წარმოდგენები სულიერი ცხოვრების შესახებ მრავალფეროვან კულტუროლოგიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ, ნაციონალურ მითებთან არის შეზავებული, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანს სწამდეს

სახარების მიერ დადგენილი ცნებები. მაგალითად, ზოგიერთი ქრისტიანისთვის ჯოჯოხეთის სატანჯველის მარადიულობა მიუღებელია, რადგან მათი ეგრეთ წოდებული „ინტელიგენტობა“ ხელს უშლის ჯოჯოხეთის არსებობა უფლის მოწყალებასთან შეათავსოს; სხვები კი ფიქრობენ, რომ ქრისტიანობას შეუძლია განხორციელდეს მხოლოდ როგორც მონარქია. ეს და მრავალი სხვა მითი ადამიანებს აიძულებს ღმერთი წარმოიდგინონ ისეთი, როგორიც მათ მოსწონთ.

გარდა ამისა არსებობს ემოციური სფერო, სფერო ზნეობრივი ცხოვრებისა, და ადამიანი, რომელსაც სურს ეკლესიაში თავისი მოსვლა საკუთარ მანკიერებებსა და ვნებებთან შეათავსოს, ცდილობს ერთდროულად იყოს ღმერთთან, იცხოვროს მცნებების თანახმად, და ამავე დროს ოდნავ მაინც უწინდებური დარჩეს. მას არ სურს მიიღოს ქრისტე ისეთი, როგორიც იგი ჩვენს წინაშე სახარებასა და ეკლესიის სწავლებაში წარმოსდგება, რადგან არ ეთმობა თავისი ძველი შეხედულებები და მიდრეკილებები.

ადამიანებს, რომელთა ცთომილებანი მათ პრინციპულ პოზიციად (მათ შორის რელიგიურ პოზიციად) ყალიბდება და ამპარტავნების გამო აბსოლუტის რანგშია აყვანილი, როგორც ეკლესიური სწავლება, მწვალებლები ეწოდებათ. ადამიანი გარეგნულად შეიძლება ქრისტიანი იყოს: ყველა საეკლესიო წესს ასრულებდეს, მარხვებს იცავდეს, ტაძარში დადიოდეს, საიდუმლოებებში მონაწილეობას იღებდეს – მაგრამ მისმა სულიერმა ცხოვრებამ ისეთი ტრანსფორმაცია განიცადოს, რომ მისი გზა, რომელიც თვითონ ქრისტესკენ მიმავალი ჰგონია, ახალ-ახალ თავის მართლებათა მუდმივ ძიებად და საკუთარ „ჭეშმარიტებათა“ აპოლოგიად იქცეს. ამ „ჭეშმარიტებათა“ რიცხვი უფრო და უფრო გაიზრდება, ქრისტე კი დაკნინდება, და საბოლოო ჯამში მხოლოდ ქრისტიანობასთან შეზავებული სიცრუე და მართლმადიდებლობის ანტურაჟი დარჩება. ასე მაგალითად, ქრისტეს სახელით ცდილობენ ნებისმიერი შეხედულების შენიღბვას უკიდურესად მემარჯვენეებიცა და უკიდურესად მემარცხენეებიც, რომლებიც საბოლოო ჯამში ეკლესია-

სა და ქრისტეს ჭეშმარიტებისადმი ერთსულოვან სიძულვილში თანხმდებიან.

ასეთი აშკარა გამოვლინებები გვერდიდან კარგად ჩანს. მაგრამ საკუთარ თავში იმავეს ხშირად ვეღარ ვამჩნევთ, როცა ამა თუ იმ სახით ეკლესიას ვეწინააღმდეგებით. და მაშინ ღმერთისკენ მიმავალი ის გზა, ჩვენ რომ ავირჩიეთ, ფართო გზად იქცევა – ჩვენ მას შეგნებულად ვაფართოებთ საკუთარი ქიმერებით, ვნებებით, მიდრეკილებებითა და ჩვევებით, რომელთაგან განთავისუფლებაც არაფრით არ გვსურს.

სიმდაბლე და თავის უარყოფა

ღმერთთან მისვლა შეუძლებელია, თუ სრულიად არ დაგლახაკდი. ქრისტემ მდიდარ ჭაბუკს უთხრა: „უკეთუ გნებავს, სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა... და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე, 19,21). ამასვე გვეუბნება მოციქულთა საქმეების მეხუთე თავი: ანანია და საფირა მოდიან და თითქოს მთელი თავისი ქონება მოაქვთ მოციქულებთან, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ ნაწილია: ისინი რაღაცას უმალავენ ქრისტეს, ეკლესიას, მოციქულებს, უნდათ, რომ ცოტა რამ ძველი ადამიანისგანაც დაიტოვონ. როდესაც ღმერთთან მოდიხარ, უნდა შეგეძლოს სრულიად დაგლახაკდე, სწორედ აქედან იწყება ცხრა ნეტარება: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. მაგრამ განა ჩვენ ამისთვის მოვდივართ ეკლესიაში?

თანამედროვე ეკლესიის მდგომარეობა მძიმე მეჩვენება იმის გამო, რომ ბევრი ეკლესიაში იმისთვის მოდის, რომ რამე მიიღოს მისგან და თან წაიღოს. მაგრამ ეკლესიისაგან არაფრის წაღება არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მოხვიდე და მასში იცხოვრო. ამაზე დიდხანს შეიძლება ვილაპარაკოთ, ეს ყველა საიდუმლოსთან დამოკიდებულებას ეხება, მათ შორის აღსარებისა და ევქარისტიის საიდუმლოსაც. მასში მონაწილე

ადამიანები ხშირად ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რას აკეთებენ – არ ესმით, რომ ქრისტესთან იმისთვის მოდიან, რათა ქრისტემ მათი დიდი და მცირე ცოდვები საკუთარი სისხლით გამოისყიდოს – არც მეტი, არც ნაკლები.

როდესაც სახარებაში ვიწრო და ფართო გზის შესახებ ვკითხულობთ, ვფიქრობთ, რომ ჩვენ, მორწმუნეებმა, ვიწრო გზა ავირჩიეთ, ფართო გზით კი ურწმუნოები მიდიან – ისინი, ვინც ტაძარში არ დადიან, სახარებას არ კითხულობენ, ღმერთი არ სწამთ, ერთი სიტყვით, ქრისტიანები არ არიან. ჩვენ კი, ქრისტიანები, ვიწრო გზას დავადექით, ვიწრო ბჭით უნდა შევიდეთ... მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ქრისტიანები ხშირად ვირჩევთ უჩვეულოდ ფართო გზას – უფართოესს, რომელიც სულაც არ არის მაცხოვნებელი. რას ვეძებთ ქრისტიანობაში? იმას კი არა, რომ სხვა ადამიანებად გადავიქცეთ, არამედ იმას, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო კომფორტული გახდეს. გვინდა, რომ ყველა ადამიანი კარგად გვექცეოდეს, უპასუხისმგებლო ცხოვრებას ვეძებთ, არაფრის გაკეთება არ გვსურს არც ტაძრისთვის, არც მოყვასისთვის, არც შორიელისთვის და საერთოდ, არავისთვის. ტაძარში იმისთვის მოვდივართ, რომ ჩვენი ყველას ესმოდეს, მოძღვარი გვანუგეშებდეს, მრევლის ყველა წევრი ერთი დაძახებისთანავე ჩვენს დასახმარებლად გამორბოდეს – მოკლედ, ყველაფერი ჩვენთვის რომ იყოს. მაგრამ გვაქვს კი უფლება, რაღაც ნუგეშისცემას მოველოდეთ, თუ ეკლესიაში სულ სხვა რამისთვის უნდა მოვდიოდეთ?

თუმცა ეკლესიისგან ნუგეშის მოლოდინი სრულიად ბუნებრივია, რამეთუ ის, ვისაც უყვარს, ყოველთვის ანუგეშებს მას, ვინც იტანჯება. როდესაც კაცი ტაძარში მოდის, ესმის, რომ ეს შეიძლება ერთადერთი ადგილი იყოს ამქვეყნად, სადაც არა აქვთ უფლება, არ ანუგეშონ, რადგან ეკლესიას აქვს ეს ნუგეში და ადამიანს შეუძლია იგი სრულიად დაუმსახურებლადაც მიიღოს. სწორედ რომ დაუმსახურებლად. ჩვენს ცნობიერებაში კი ისე დამკვიდრდა, რომ ნუგეშს ისე ველოდებით, თითქოს ის კანონიერად გვეკუთვნოდეს, თითქოს ეს ქრისტეს მოვალეობა, ეკლესიის მოვალეობა იყოს. და თუ ნუგეში ვერ

მივიღეთ, მიგვაჩნია, რომ უფლება გვაქვს გავნაწყენდეთ, ზურგი შევაქციოთ ეკლესიას და ნუგეში მის გარეთ ვეძებოთ.

თუ საკუთარ თავს პირუთვნელად შევაფასებთ – როგორები მოვედით ეკლესიაში და როგორები მიგვიღო ქრისტემ, მხოლოდ გაკვირვების, საკუთარი უღირსობისა და უსაზღვრო მადლიერების გრძნობა უნდა დაგვეუფლოს. მას კი, ვინც ამგვარ გრძნობებს განიცდის, არ შეუძლია რაიმე მოსთხოვოს, რაღაც ანგარიშები წარუდგინოს ღმერთს ანდა უკვირდეს, ისე რატომ არ მოექცნენ, როგორც თვითონ მოელოდა.

და რატომ უნდა იგრძნო თავი უფრო მსუბუქად ეკლესიაში? პირიქით! მთელი სახარება გვეუბნება, რომ ეს ვიწრო გზაა (მათე, 7,14). თუ ეკლესიაში მოხვედი, უნდა მოკვდე ამა სოფლისთვის, თავი უარყო და აიღო ჯვარი შენი (მათე, 16,24)... სული უნდა წარიწყმიდო სახარებისთვის (ლუკა, 17,33)... ეს ყველა ქრისტიანის მიმართ არის ნათქვამი, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენა რატომღაც არავის სურს. ასე ჩამოყალიბდა იმ ადამიანის აზროვნების სტერეოტიპი, რომელიც ეკლესიაში მოდის: აღსარების შემდეგ უკეთ უნდა გავხდე, სიმსუბუქე და სიხარული ვიგრძნო. მაშინაც კი, როცა კაცი ტაძარში პირველად შედის, როცა თან მოაქვს თავისი არეულ-დარეული ცხოვრება – სრულიად საზიზღარი, ცოდვებით სავსე, უმსგავსო ქმედებები, რომლებიც ბოლომდე არც კი აქვს შეგნებული – იმისთვის კი არ მოდის, რომ გააცნობიეროს, რა ჩაიდინა, არამედ იმისთვის, რომ თქვას: „ცუდად ვარ და მინდა, რომ კარგად ვიყო“. რა სასიამოვნოა, დროდადრო შეხვიდე ეკლესიაში, აღსარება უთხრა მოძღვარს მხოლოდ იმისთვის, რომ თქვა: „რა კარგია, რა მსუბუქად ვგრძნობ თავს!“ – და ძველებური ცხოვრება განაგრძო, ცხოვრება, რომელიც სრულიადაც არ გავს ქრისტიანულს.

მაგრამ სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ აღსარებამ ადამიანს ტკბობა და კმაყოფილება მოჰგვაროს. თუმცა სახარება ბევრ რამეს სანუგეშოს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა სიხარული დგას ზეცაში თუნდაც ერთი ცოდვილის სინანულის გამო (იხ. ლუკა, 15,7). სასუფეველში მართლაც ასეა, მაგ-

რამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონანული ცოდვილი იმისთვის მოდის, რომ ზეციური სიხარული თან წაიღოს, და როგორც კი აღსარებას იტყვის, შვებით ამოისუნთქოს: „მადლობა ღმერთს, ყველაფერმა ჩაიარა, საკუთარი თავის შესახებ ყველაფერი ვთქვი და პასუხს აღარაფერზე ვაგებ“. თითქოს ღმერთმა ყველაფერი არ იცოდეს ადამიანის შესახებ. ჩვენს თავს ისე რომ ვხედავდეთ, როგორც უფალი გვხედავს, ისე შეგვეზიზღებოდა თავი, ველარც კი ვიარსებებდით. იმდენი რამ ჩავიდინე, რომ თავს ცუდად ვგრძნობ, მაგრამ მოვდივარ აღსარებაზე და მოველი, რომ კარგად გავხდე. რატომ? ღმერთს ჩვენთვის ეს საიდუმლო ამისთვის არ მოუცია. თუ ცუდად მოიქეცი, ისე იცხოვრე, რომ ეს ტკივილი შენთან დარჩეს და ისწავლე განიცადო იგი, როგორც ჭრილობა.

ყოველი ადამიანი ყურადღებით უნდა დაუკვირდეს საკუთარ თავს: არის თუ არა მისი ქრისტესთან მიახლება, მის მიერ თავისი სარწმუნოების აღიარება ქრისტესთვის დაგლახაკების სურვილი, უარის თქმა ყველაფერზე, რაც კი რამ მასში ყალბი და არასახარებისეულია, რაც ეკლესიის მიერ ჭეშმარიტების იდეალად დასახულს უპირისპირდება. ეკლესია ის ადგილია, სადაც ადამიანმა უნდა იმსახუროს და საკუთარი თავი ღმერთს და ადამიანებს შესწიროს, სადაც მან თავისი ჯვარი უნდა ზიდოს, ქრისტესთან ერთად ჯვარს ეცვას, მხნე იყოს, თავისი სისხლი სხვებისთვის დასთხიოს.

ცხადია, ქრისტესთან ჩვენი მისვლა არ ნიშნავს, რომ მყისვე იდეალურნი გავხდებით. მაგრამ საკითხავი ის არის, ვართ თუ არა მზად ნამდვილად დავგლახაკდეთ ქრისტესთვის, ვართ თუ არა მზად, რომ ჭეშმარიტების წინაშე გავშიშვლდეთ? იქნებ ჩვენს გულში იმის სურვილი იმალება, რომ ჭეშმარიტებას რამდენიმე იარლიყი მივაკრათ და თავი ისე დავიჭიროთ, ვითომ ესეც ქრისტიანობაა?

ჩვენი სული ამქვეყნად ძველთან ერთად მოდის

ჩვენი სული ამქვეყნად ძველთან ერთად მოდის, თუ ამ ძველ-მანებს არ წავართმევთ, სამუდამოდ ძველი დარჩება და ახალს გემოსაც ვერ გაუსინჯავს.

წმ. თეოფანე დაყუდებული

ადამიანს, რომელმაც ფართო გზა აირჩია, ძველი კაცი არ ამძიმებს, იგი მასთან შერიგებულია და ცხოვრება ასე თუ ისე უადვილდება. მთავარი, რაც მას აღიზიანებს, თვითონ ეკლესიის სწავლებაა, რომელიც მის ყალბ წარმოდგენებს არ ემთხვევა და რომელსაც იგი ებრძვის, თავის პროტესტს კი როგორც ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას და საკუთარი ჯვრის ტარებას, ისე აღიქვამს. სხვა მხრივ ადამიანს, რომელიც სხვა იდეალებით ცხოვრობს და ქრისტეს გარდა კიდევ რაღაც სხვა გააჩნია, ძველი კაცი დიდად არ აწუხებს.

სხვა საქმეა, თუ ადამიანი ქრისტესთან იმ სურვილით მიდის, რომ ნამდვილად დაგლახაკდეს, თუ სახარებაში მოხსენიებული ჭაბუკი კი არ განეშორება ქრისტეს, არამედ მზად არის თავისი სიმდიდრე გლახაკებს მისცეს, თუ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მისთვის არ არსებობს სხვა გზა, გარდა ქრისტიანულისა, თუ მისთვის არ არსებობს არავითარი სხვა ჭეშმარიტება, თუკი უბრალოდ არ სჭირდება სხვა ჭეშმარიტება, მაშინ იგი ქრისტესთან თავს კარგად გრძნობს, კარგად გრძნობს თავს ეკლესიაში. ახლა ჩვენ იმ ადამიანებზე ვლაპარაკობთ, ვინც ქრისტესკენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, დაადგა იმ გზას, რომელსაც სწორედ იმიტომ ეწოდა ვიწრო, რომ ადამიანი ჭეშმარიტების წყურვილით მოდის, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ არ ფლობს.

აი, ამ დროს იწყება ძველი ადამიანის პროტესტი, მისი მცდელობა ახალი ადამიანის დამარცხებისა. ძველი ადამიანი, პავლე მოციქულის თქმით, მთელი სიმახინჯით იწყებს თავის

გამოვლენას, მისი თანდათანობით გახრწნა აუტანელი ხდება და ვიწრო გზის მთავარ სიმძიმედ იქცევა: იგი ხელს გვიშლის ლოცვაში – გვინდა რაც შეიძლება მალე გადავდოთ გვერდზე „ლოცვანი“ და ტელევიზორი ჩავრთოთ, ხელს გვიშლის მარხვაში. ეს შინაგანი სიმძიმე გვაიძულებს განშვება, სიამოვნება ისევ რაღაც ძველში ვეძებოთ.

სწორედ ძველ კაცთან გამკლავების უუნარობა ბადებს ჩვენში ხშირად წუხილის განცდას, ჩვენს წინაშე დგება მძიმე პრობლემა – როგორ შევათავსოთ სახარებისეული მოთხოვნების კატეგორიულობა საკუთარ თავთან. მივედი ქრისტესთან თუ არა? მასთან ვარ თუ არა, თუკი ყველა ის საძაგელი ჩვევა შემომრჩა, ნათლობამდე რომ მქონდა? ჩვენი აღშფოთება, მოწყინება და სასოწარკვეთილება, ის სიმძიმე, რასაც სული განიცდის, ძველი კაცის განხრწნის მაჩვენებელია. თუ ტკივილს ვგრძნობთ, ესე იგი, ჩვენში ძველი კაცი იხრწნება.

ჰოდა, ეს არის სწორედ ნამდვილი სულიერი ბრძოლა. ძველი ადამიანის ხრწნის სიმყრალე ხშირად იმის ცოდანასაც კი გვაკარგვინებს, რას წარმოადგენს ჩვენი რწმენა, რადგან სიმყრალის სუნი იმდენად ძლიერია, რომ გვეჩვენება, თითქოს ეს სიძველე ჩვენ თვითონა ვართ.

სიძველე ხშირად გვამარცხებს, გვაიძულებს ისევ საკუთარ ძველ კაცს დავუბრუნდეთ. და შესაძლოა ისეც მოხდეს, ქრისტიანმა ირწმუნოს თავისი სიძველე, უარი თქვას სულიერ ბრძოლაზე და აღარ მოინდომოს ქრისტესკენ სვლის გაგრძელება. ქრისტესთან ერთხელ მისული ადამიანი შეიძლება უეცრად მის გარეშე აღმოჩნდეს, უკანმოუხედავად წავიდეს და აღარ დაბრუნდეს. უძღები შვილი დაბრუნდა, მაგრამ მას შეეძლო არც დაბრუნებულიყო. ზოგჯერ ხომ ასეც ხდება.

ძე შეცთომილი

ძე შეცთომილი შინიდან მხოლოდ ერთხელ მიდის. და ერთხელვე ბრუნდება შინ, მამასთან. მე კი განუწყვეტლივ გავრბივარ სახლიდან და ერთთავად მის გარშემო ვტრიალებ. არც ამ სახლში ცხოვრება ვიცი, არც მისგან შორს ღორების მწყემსვა.

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი)

უძღები შვილის ცნობილ იგავს ბოლო კეთილი აქვს: ყველაფერი ძალიან ცუდად იყო, მაგრამ კარგად დამთავრდა, რადგან მამას ძალიან უყვარს თავისი შვილი. შვილმა მამის მთელი ქონება გაფლანგა, მამამ კი მაინც სიხარულით მიიღო იგი (იხ. ლუკა, 15,11-32).

მაგრამ ყველა როდი ბრუნდება უკან, ვინც ღმერთს განეშორება და მის ნიჭებს უგუნურად განაბნევს. ზოგი სამუდამოდ რჩება ღორის სალაფავთან, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრისთვის მისაღებია. სახარებისეული შვილი ამას ვერ შეეგუა, მან ვერ შეძლო ღორის სალაფავით დანაყრება, ზოგი კი ამით სრულიად კმაყოფილია, შეუძლია თავფეხიანად გადაეშვას ღორის სალაფავში, ისე რომ ზოგჯერ ვერც გაარჩევ, სად ღორია და სად ადამიანი.

მაინც, რა არის იგავში მოხსენიებული ეს „შორი სოფელი“? ეს არ არის მემრუშეთა საკრებულო, არც გარყვნილების ბუდე – ეს ჩვენი ჩვეულებრივი ყოფაა, რომელიც ღმერთის გარეშე დარჩა და ცხოვრების კანონად სულ სხვა რამ დააწესა: მას სულ სხვა რამ სწადია, სხვა რამით საზრდოობს და თავის შვილებს იმით კი არ აპურებს, რასაც უფალი გვაძლევს და რასაც საუკუნო ცხოვრებისკენ მივყავართ, არამედ იმით, რასაც ღორები თქვლეფენ. და ბევრი ქრისტიანისთვის სწორედ ეს ქვეყანა გახდა თავისი, იგი უცხოდ არ ეჩვენება. სახარებაში ეს მხარე მოხსენიებულია როგორც უცხო, შორი ქვეყანა. ჩვენთვის სოფელი უცხო მხარეა, ჩვენი სამშობლო ცათა სასუფეველია. სამშობლო ეკლესიაა, ქრისტეს მშვიდობაა, საღმრთო სჯულია – აი, რა არის ჩვენი სამშობლო, სადაც უფა-

ლი სუფევს, განაგდებს ჩვენგან ყოველგვარ თავისმოყვარეობას, ყოველგვარ სურვილს, რომ რაიმე ჩვენს ნებაზე გავაკეთოთ, რათა შევძლოთ იმის მიღება, რასაც უფალი გვაძლევს.

„ჩემი ყოველი შენი არს“ (ლუკა, 15,31). ამ სიტყვებს უფალი ყოველ ჩვენგანს ეუბნება და თითოეული ჩვენგანი მის მიერ ბოძებულ ნიჭებს თავისებურად იყენებს. უფროსი ვაჟიც თავისი ნებისაებრ მოქმედებს და უმრწმესიც. ჩვენ კი ვამბობთ: „მომეცი მე ჩემი, რომ იგი ჩვენი კი არ იყოს, არამედ მხოლოდ ჩემი“. სოფელი ამ მთავარი კანონით ცხოვრობს, რომ შენი შენი იყოს, ჩემი კი – ჩემი. ჩემი პრობლემები ჩემი იყოს, შენი პრობლემები კი – შენი; რათა კაცთა შორის არასოდეს არავითარი ერთობა არ იყოს. „ჩემი“ – აი მთავარი სიტყვა, ამა სოფლის პაროლი.

თუ კაცი ასეთ ქვეყანაში ცხოვრობს, ეს საკვები მისთვის აუცილებელი და სასურველი ხდება, შეუძლია ამით გაძღეს, ამასთან, თავი სავსებით კომფორტულადაც იგრძნოს და ჩათვალოს, რომ თავის ადგილზეა: გაზარდოს თავისი ქონება, გაამრავლოს ეს „ჩემი“ და გააძევოს თავისი ცხოვრებიდან სხვა დანარჩენი. ცხადია, ეს მხოლოდ ილუზიაა: ამ საკვებით განძღომა ადამიანს არ შეუძლია, ყოველთვის შეაწუხებს შიმშილი და წყურვილი, მაგრამ თვით ეს შთანთქმის გრძნობა ყოვლისმომცველი ხდება.

სამწუხაროდ, ყველას არ ძალუძს გონს მოეგოს და თქვას: „რას ჩავდივარ მე უგუნური, მამაჩემის სახლში ხომ ყველაფერი ჩვენია“. ეს იგავი იმისათვის მოგვეცა, რომ შეგვეშინდეს მაინც ერთი უბრალო რამისა: რომ ეს შორი ქვეყანა ჩემია, ეს უცხო მხარე ჩემია, რათა თავზარი დაგვეცეს და უძღები შვილივით გამოვფხიზლდეთ, საკუთარ თავში წამოდგომის ძალა ვიპოვოთ, მოვიძულოთ ეს ღორის სალაფავი, ცას ავხედოთ და ვთქვათ: „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“, – და ღმერთისკენ მიმავალ გზას დავადგეთ, ნამდვილი სულიერი ღვაწლი ავიღოთ, რომელიც თავისუფალი იქნება საკუთარი თავისადმი ყოველგვარი სიბ-

რალულისგან – მხოლოდ იმისთვის, რომ სახარებისეული უძღები შვილის მსგავსად, შევძლოთ ფეხზე წამოდგომა და ღმერთთან დაბრუნება.

მოკვდი ყველაფრისათვის, რაც შენ გეკუთვნის

კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რითია გამოწვეული ჩვენი მდგომარეობა, რაშია ჩვენი გაორება: იმაში, რომ ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ და სრულიად სხვა მიმართულებით მივდივართ, რითაც ვშორდებით ქრისტეს, ან ქრისტესკენ მივდივართ, მაგრამ ძველი კაცი გვაიძულებს უწინდებურნი დავრჩეთ, მუდმივად გულმავიწყობა გვძლევდეს და ქრისტეს ვატყუებდეთ.

დიახ, ჩვენ მუდმივად ვატყუებთ ქრისტეს. მუდმივად ამ გზიდან გადახვევას ვცდილობთ. ხშირად აღარ გვინდა ის, რაც თავიდან გვსურდა. თავიდან ერთი გვინდა, მერე კი სულ მუდამ ახალ-ახალი სურვილები გვიჩნდება. ეს სულიერი ბრძოლის საკითხია, გულწრფელობის და იმის გაცნობიერების საკითხი, თუ რა გზას ავირჩევთ საბოლოოდ. ეს ჩვენი დასაბამიერი ერთგულების საკითხია.

თუ ადამიანი ერთხელაც დაინახავს, რომ იგი უბრალოდ არ არის ღმერთის ერთგული, მას შეუძლია გამოიძიოს, ვინ არის მასში ორგული. და თუ აღმოაჩენს, რომ ორგული ძველი კაცია, ამის არ უნდა შეეშინდეს, რადგან ქრისტესკენ მიმავალი გზა ძველი კაცის მუდმივი კვდომაა.

ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება, სამწუხაროდ, განწყობილებებისა და უეცარი ძვრებისაგან შედგება. როცა რაღაც შეგვემთხვევა და რაიმე კარგს გავაკეთებთ, საკუთარი თავით იმდენად კმაყოფილნი ვართ, იმდენად გვეამაყება, იმდენად აღგვაფრთოვანებს ეს მისწრაფება, რომ შემდეგ კარგა ხნით ვშორდებით ღმერთს და მის გარეშე ვრჩებით, სანამ ისევ რაიმე ახალი არ შეგვემთხვევა. ამ გზით მადლს ვერ მოვიხვეჭთ და

ქრისტიანები ვერ გავხდებით, რადგან ქრისტიანი ყოველთვის, ყოველ დროს ქრისტიანად უნდა დარჩეს. ამას გვასწავლის სახარებაც, როცა გვეუბნება, რომ „სარწმუნოი იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს“, (ლუკა, 16,10), რომ დიდს არ ანდობენ მას, ვინც მცირედში არ არის ერთგული.

ადამიანები აღსარებაზე მოდიან, მუდამ ერთსა და იმავე ცოდვებს ინანიებენ და განუკურნებელნი მიდიან. განა სინანულის საიდუმლოს დროს მადლი არ გვეძლევვა? – მადლი გვეძლევა, უდიდესი მადლი, რომელსაც ძალუძს წმინდანებად გვაქციოს, ჩვენ კი ამ მადლის მიღება არ ვიცით. აღსარებიდან ისევ ისეთები მივდივართ, როგორებიც მოვედით, ვკარგავთ მადლს ერთი უბრალო მიზეზის გამო – არა ვართ უფლის ერთგულნი. არ შეგვწევს უნარი, მუდამ მისი ერთგულები ვიყოთ, ვემსახუროთ მას ყოველდღე, დღესაც ისეთები დავრჩეთ, როგორებიც გუშინ ვიყავით. ჩვენ ძალიან ცვალებადნი ვართ, ბოლომდე არ გვჯერა, რომ უფალი გვაცხონებს, თუ მთელ სასოებას მასზე დავამყარებთ. და ყოველთვის, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ზურგს ვაქცევთ ქრისტეს.

აი, ეს უნდა იყოს აღსარების თემა: რა გვიშლის ხელს ქრისტესთან ყოფნაში. როდესაც ადამიანი აღსარებისათვის ემზადება, თავის თავს მხოლოდ ერთადერთი კითხვა უნდა დაუსვას: „რა მიშლის ხელს, რომ ქრისტესთან ვიყო? ვინ მიშლის ახლა ქრისტესთან ყოფნას?“ და აი, ამ დროს გაამხელს თავს ძველი კაცი.

სინანულის საიდუმლოს ნამდვილი აზრი ის გახლავთ, რომ შევძლოთ ჩვენს თავში ძველი კაცის მოკვდინება. ყოველთვის, ისევ და ისევ დავთრგუნოთ იგი, აღსარებით ვძლიოთ მას, რათა ყოველ ჩვენგანში, ყოველი აღსარების დროს ძველი კაცის ძალა განილიოს და განქარდეს.

თავი VIII

სინანული ძველის დატევება და მის გამო მწუხარებაა

ჰკითხეს ბერს: „რა არის სინანული?“ „სინანული ძველის დატევება და მის გამო მწუხარებაა“, – მიუგო ბერმა.

წმ. ისააკ ასური

მცირედი ცრემლით შეუძლებელია მრავალი უშჯულოების აღხოცვა

უნაყოფოა იმის სინანული, ვინც გულზე რამდენჯერმე დაირტყამს მჯიღს და ამით იმედოვნებს მრავალი ბოროტების აღხოცვას! საეჭვოა, რომ მიეტევოს ცოდვები მას, ვინც მცირედი ცრემლით, სინანულისათვის აუცილებელი შრომისა და ღვაწლის გარეშე ფიქრობს თავისი მრავალი უშჯულოების აღხოცვას.

წმ. დიმიტრი როსტოველი

სინანულის საიდუმლოს აზრი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეინანო და ამით ცოდვისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდე, არამედ ცოდვის დაძლევაში. როგორ ხდება ეს? თავდაპირველად ადამიანი აცნობიერებს თავის ცოდვას, შემდეგ გლოვობს მას, შემდეგ შეიძულებს, ცოდვასთან ბრძოლას იწყებს და ბოლოს, უფლის შეწევნით, იმარჯვებს მასზე. ამიტომ სინანული, როგორც საიდუმლო, დროის ჩარჩოებში არ ჯდება. იგი იწყება ღვთის წინაშე ფარული პირადი მონანიებით, როცა შენ, როგორც ნათანაელს ლეღვის ქვეშ, მხოლოდ უფალი გხედავს (იოანე, 1,48), გრძელდება ცოდვების აღიარებით ტაძარში, მღვდლის თანდასწრებით და სრულდება სინანულის ნაყოფის გამოღებით.

არ არის აუცილებელი სინანული და აღსარება დროში ემთხვეოდეს ერთმანეთს, ისინი ემოციურადაც სხვადასხვაგვარად განიცდება. საღამოს კანონის ბოლო ლოცვა ჩვენი ცოდვების ყოველდღიური აღსარებაა. მასში ყოველ ჩვენგანს ეძლევა საერთო ფორმა და მეტ-ნაკლებად აშკარა ცოდვების ჩამონათვალი. როცა ამ ლოცვას ფორმალურად ვკითხულობთ,

შეიძლება ის ცოდვებიც ვაღიაროთ, რომლებიც არ ჩაგვიდენია: მაგალითად, ბევრმა ალბათ არც იცის, რას ნიშნავს სახმართმოყვარება. მაგრამ ლოცვის ეს ფორმა შეგვიძლია ნამდვილი შინაარსით დავტვირთოთ და საძაგლისშეძინების, სახმართმოყვარებისა და მევახშეობის ნაცვლად გავიხსენოთ, თუ როგორ ვამპარტავნობდით, ვცრუობდით, უქმისმეტყველებას ვეძლეოდით, გულს ვტკენდით მოყვასს და ამ დროს ღმერთი გვავიწყდებოდა – ეს უკვე ფორმალური კი არა, ნამდვილი სინანული იქნება. ეს ერთგვარი აღსარება, ყოველ საღამოს თქმული, გვეხმარება გავიგოთ, თუ რომელ ცოდვებთან არის აუცილებელი ბრძოლა კერძოდ ამ დღეს, დავინახოთ, სად ვუღალატეთ ღმერთს. რამდენიმე დღის შემდეგ ჯვრისა და სახარების წინაშე ასეთი მწვავე და ღრმა განცდა რომც არ გვქონდეს, ნამდვილად ვიცით, რომ მაშინ, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილებმა, ჭეშმარიტი სინანული განვიცადეთ. ესეც საიდუმლოა, რომლის დროსაც უფალი გვისმენს და იწყნარებს ჩვენს სინანულს.

„კურთხევანში“ და სემინარიის სახელმძღვანელოებში აღწერილია პირობები, რომლებიც დაცული უნდა იყოს აღსარების დროს: მღვდელი, ოლარი, კურთხევანი, მონანული ცოდვილი, შენდობის ლოცვა. და აი, თითქოს ყველა წესი დაცულია, ყველა საჭირო სიტყვა ნათქვამია, მაგრამ თუ სინანული და ცოდვასთან მუდმივი ბრძოლის გადაწყვეტილება არ არსებობს, საიდუმლო შეიძლება არც აღესრულოს. სინანული მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა მას სულიერი ღვაწლი ახლავს თან.

ათგზის შეინანე, ყველაფერი გაიგე, ყველაფერი გააცნობიერე, აღსარების დროს შემუსვრილი გულით აღიარე შენი ცოდვები... და სინამდვილეში არაფერი გაგიკეთებია. აი, რა ადვილია არაფერი გააკეთო აღსარების შემდეგ. ისეთ თავისუფლებას გრძნობ, ისეთ სიმსუბუქეს, რომ გინდა მაშინვე სტუმრად წახვიდე, მეგობრებს ესაუბრო, ერთი სიტყვით, ყველაფერი აკეთო, ოღონდ საკუთარ თავზე არ იმუშაო. მეტწილად ხომ ასეც ხდება. ეს სიხარული და სიმსუბუქე, აღსარების

შემდეგ რომ დგება, სრული უკანდახევით მთავრდება. და მერე გიკვირს: „რა ხდება? მუდმივად ერთსა და იმავე ცოდვას რატომ ჩავდივარ?“

სინამდვილეში ყველაფერი ძალიან მარტივია: იქ, სადაც სულიერი ღვაწლი არ არის, სადაც საკუთარ თავზე არ მუშაობენ, იქ არც ნამდვილი სინანულია. შეიძლება იყოს ტაძარში მისვლის ფორმალური საბაბი, საკუთარი ცოდვის ემოციური განცდა, ალბათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებაც, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, როგორც იტყვიან, „რეპორტაჟი მომხდარის შესახებ“, მაგრამ აღსარება – არა.

პირადი სინანული, ეკლესიაში ნათქვამი აღსარება, შემდეგ კი სულიერი ღვაწლი – ესაა სულიერი ცხოვრების ერთიანი სივრცე, ესაა საიდუმლო: ცოდვებისაგან გათავისუფლება და სულიერი განკურნება ხდება არა მხოლოდ მაშინ, როცა ვაცნობიერებთ, თუ რა არის ცოდვა, არა მხოლოდ მაშინ, როცა მოძღვართან მივდივართ და ვამბობთ: „მე ესა და ეს დავაშავე“, არამედ მაშინ, როცა აღსარება და სინანული ერთიანდება და როცა ამის შემდეგ სინანულის ნაყოფს გამოვიღებთ.

გულის შემუსვრილებას გამოსწორება მოსდევს

ბიბლიური ამბავი ცოდვით დაცემის შესახებ შესაძლებელს ხდის დავუშვათ, რომ სინანულის საიდუმლო ჯერ კიდევ სამოთხეში იყო დაწესებული: „და უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქუა მას: ადამ, სადა ხარ?“ (დაბ. 3,9). ღმერთმა ადამს სინანულისაკენ მოუწოდა, და ჩვენს წინაპრებს რომ შეენანებინათ, მაშინვე მიიღებდნენ შენდობას, მაგრამ ასე არ მოხდა... ყოველ ჩვენგანსაც ასევე მოუწოდებს უფალი: „სადა ხარ?“ მაგრამ ჩვენც ისე ვემალებით ღმერთს, როგორც ადამი.

სინანულს ისევე სჭირდება სწავლა, როგორც ყველა სხვა სულიერ ღვაწლს. კაცის გული ხომ მეტწილად ქვისაა, სინანუ-

ლი კი – ზედაპირული: ადამიანმა იცის მცნებები, აქვს სინდისი, რომელიც კარნახობს, თუ როდის სცოდავს – ამაში ის თავს ვერ მოიტყუებს, მაგრამ ყოველთვის როდი აცნობიერებს ცოდვის მთელ სიღრმეს, ვერ გრძნობს, თუ როგორ დამახინჯდა ცოდვის შედეგად, არ არის შეძრწუნებული ამ დაცემის გამო.

იმისათვის, რომ ღრმა სინანული განიცადო, ხანგრძლივი და მძიმე სულიერი გზა უნდა განვლო. ეს გზა პირველ ყოვლისა ლოცვით იწყება, რომელშიც ადამიანი ღმერთს გულწრფელი სინანულის მინიჭებას ევედრება: ესენია სინანულის კანონები, სინანულის ფსალმუნი, შემუსვრილი გულით შესრულებული მეტანიები, თავის იძულება ამ ყოველდღიური ღვაწლისთვის. ესაა ღვთისადმი აღვლენილი ღაღადი, რათა მან ჩვენი ცოდვების ხედვა მოგვანიჭოს და გაგვიღოს გულის კარი სინანულისთვის.

ცხადია, კაცის ქცევების ინდიკატორი, პირველ ყოვლისა, სინდისია, ამიტომ ყოველ ადამიანს, მორწმუნეა იგი თუ ურწმუნო, სინანულის გარკვეული განცდაც აქვს და მონანიების სურვილიც. ადამიანში დასაბამიდან ჩადებული სინანულის განცდა თავიდან ჩნდება, როგორც სირცხვილი ჩადენილი ცოდვის გამო, მაგრამ კაცის შინაგანი გაორება სინანულს ბევრ დაბრკოლებას უქმნის. ზოგჯერ გული ღრმად აცნობიერებს, რომ რაღაც ვერ არის რიგზე, რაღაცას არასწორად აკეთებს, გონება კი ვერ ადგენს მიზეზს. ადამიანს თან ესმის, რა მოხდა სინამდვილეში, თან იმავდროულად თავის მართლებას ცდილობს. სინდისის მოწმობა – ეს იოანე ნათლისმცემლის მოწმობაა, სინანულისკენ მოწოდება. მაგრამ იგი შეიძლება დარჩეს ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა ზედა, თუ ეს მოწოდება არ შეეთვისა გონებას, რომელიც, ჰეროდეს მსგავსად, თავისი სიცრუის, თავისი ცოდვის გამართლებას ეძიებს, ცდილობს ჩაახშოს ეს მოწოდება, როგორც ჰეროდე ცდილობდა იოანე წინამორბედის დადუმებას. ადამიანის შინაგანი ღვაწლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორი სულიერი ძალა გაერთიანდეს, რომ გული და გონება შეთანხმდნენ და ერთად ეძიონ ღვთის სიმართლე საკუთარ თავში.

ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, ძველი კაცის ბუნება უჯანყდება სინდისის მხილებას, მთელი დაცემული მდგომარეობა ებრძვის ამას. როცა მოძღვარი მონანულს ეპიტიმიას უწესებს, სწორედ ეს არის მოწოდება, რომ მან საკუთარ თავზე იმუშაოს სინანულის მოსაპოვებლად. ეპიტიმია სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელი კი არ არის, ამა და ამ დანაშაულისთვის ამდენი და ამდენი წლით თავისუფლების აღკვეთა რომ მოგისაჯოს. ეს შენი გულის გალღობის, გაქვავებული სულის გაცოცხლების შესაძლებლობაა, რათა ძალიან ღრმად იგრძნო, რა საშინელებაა ცოდვა. ასეთი შინაგანი შრომა ადამიანს უკვე თავისთავად სხვა კაცად გარდაქმნის, რადგან როცა იგი საკუთარი დაცემის მთელ საშინელებას დაინახავს, მისი ცნობიერებაც თანდათან შეიცვლება.

ერთი ადამიანის ცოდვა ყველა მის ახლობელს კრავს

ცოდვას საშინელი, დამღუპველი ძალა აქვს არა მხოლოდ იმისთვის, ვინც მას სჩადის, არამედ მათთვისაც, ვინც ამ ადამიანს სისხლით ენათესავება. იგავში ორი მევალის შესახებ, სადაც ოჯახის ერთ-ერთი წევრის ვალის გამო მთელი ოჯახი მონად განისყიდება (მათე, 18,25), უფალი სულიერი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან კანონს გვიცხადებს: ერთი ადამიანის ცოდვა ყველა მის ახლობელს კრავს და ღვთისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებად ექცევა. ერთი ადამიანის ცოდვების გამო, უეჭველია, რომ ყოველთვის სხვებიც იტანჯებიან.

აღსარება ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ ყველა ახლობელი გაათავისუფლოს ცოდვითი კავშირისაგან. ასე შეინანა სახარებისეულმა მოვალემ: სთხოვა, ევედრა და უფალმა ყველას შეუნდო, ყველა გაათავისუფლა, ყველას შეხსნა ბორკილები, რომლებითაც იყვნენ შეკრულნი.

ყველაზე მჭიდრო კავშირი დაქორწინებულებს შორისაა. როგორც მადლი, ისევე ცოდვა განსაკუთრებით ჩვენს ახლობლებზე ვრცელდება, და თუ ორი ადამიანი ისეთ ერთობაში ცხოვრობს, რომ ერთ არსებად იქცევიან, მაშინ, რა თქმა უნდა, ცოდვისათვის პასუხს აგებს ის, ვინც დანაშაულს სჩადის, მაგრამ ამ ცოდვის გამო იტანჯება ისიც, ვინც უდანაშაულოა.

ქორწინება მხოლოდ მაშინ ხორციელდება, თუ მეუღლეები ერთმანეთს აცხონებენ, სხვა შემთხვევაში იგი უაზრობაა. თუ ადამიანები ერთად არ ცდილობენ ცხონებას, მაშინ ქორწინება არ შეიძლება არსებობდეს: იგი ან დარღვეულია, ან არ განხორციელებულა. ძნელი სათქმლია, როგორ ხდება ეს ურთიერთცხონება – იქნებ ერთ-ერთი მათგანის ლოცვამ და სიყვარულმა საბოლოოდ მეორე ცხონებამდე მიიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად განშორებულია უფლისაგან. შესაძლოა, თუ ადამიანებმა ცხოვრების გზა ბოლომდე ერთად განვლეს ქორწინებაში, ერთ-ერთი მათგანის დაუცხრომელი ლოცვისა და მოთმინების, მეუღლისათვის მუდმივი თანაჯვარცმის წყალობით მეორეც ცხონდეს. არ ვიცი... „საიდუმლოი ესე დიდ არს....“ (ეფეს. 5,32).

ახალ ცხოვრებას ვერ დაიწყებ, თუ ძველი არ შეინანე

ბევრ რამეს, რაც მოხდა, ვეღარ გამოასწორებ. ცხოვრება გადის, უკან მოიხედავ და შენს წარსულს, როგორც ჩაძირულ ხომალდს, ისე აღიქვამ. გარშემო დაკარგული მეგობრების, დაღუპული ცხოვრებების, ღალატების საფლავებია, კაცი კი გარშემო მიმოიხედავს და ფიქრობს, რომ შეიძლება თამაშთამაშ განაგრძოს ცხოვრება – ისე, რომ პასუხი არაფერზე აგოს, თითქოს ჭაობში კოლბოხიდან კოლბოხზე დახტოდეს. ეს უდიდესი შეცდომაა.

ჩვენ ვიცით, რომ ადამიანს ნათლისღებით ყველა ცოდ-

ვა მიეტევება. დღეს ბევრი ზრდასრულ ასაკში ინათლება და თავს მშვიდად გრძნობს, რადგან ყველა ძველი ცოდვა მიეტევა, მაგრამ შეიძლება კი იმის დავიწყება, რაც ნათლისღებამდე დავაშავეთ? არის თუ არა საჭირო იმ ცოდვების აღიარება, რომლებიც კაცმა ნათლისღებამდე ჩაიდინა? არა, არ არის საჭირო. მაგრამ ეს ნათლობამდე უნდა მოხდეს. ზრდასრული ადამიანის ნათლისღებას წინ უნდა უძღოდეს სრული, ღრმა და დაწვრილებითი აღსარება, რადგან ნათლისღებაც სინანულის საიდუმლოა.

თვითონ ადამიანი შეიძლება შეიცვალა, მაგრამ ისინი, ვისაც მან ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ცოდვისკენ უბიძგა, ისევ იმ ჯოჯოხეთში ტრიალებენ. რა უნდა ქნა? როგორ უნდა აპატიო საკუთარ თავს, როცა ჩადენილის გახსენებაც კი თავზარს გცემს?

ერთ დროს მეც ბევრ რამეს ვერ ვაცნობიერებდი. ახლა ერთი გარდაცვლილი მღვდლისთვის ვლოცულობ. როც იგი ახალგაზრდა იყო, მე შეცდომა დავუშვი, გზა გავუკვალე, რომ მღვდლად ეკურთხებინათ, მაგრამ მან ეს ჯვარი ვერ ზიდა, სმას მიჰყო ხელი და მღვდლობისაგან განყენებული გარდაიცვალა. იგი ნასვამი, გახდილი და ნაცემი იპოვეს. მე მაშინ კეთილმოწესე ვიყავი, ვხედავდი მის უძლურებას, მაგრამ ვფიქრობდი, რომ იგი იპოვიდა თავის თავში ძალას და შეებრძოლებოდა მემთვრალეობის ვნებას. ამას რაღა ეშველება? კაცი მოკვდა...

ძველი ცოდვებისათვის პასუხისმგებლობა ვერსად ვერ გაქრება. როგორ შეიძლება დარწმუნებული იყო ცოდვების მიტევებაში, როცა მათი ნაყოფი დღემდე ცოცხალია? ესე იგი, რაღაც უნდა იღონო. უნდა ილოცო მათთვის, ვინც შენი უგუნურების გამო აცდუნე და ცხონების გზას ააცდინე, სიკვდილამდე საკუთარ ცოდვას უნდა გლოვობდე, და რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიმშვიდო თავი იმ აზრით, რომ შენ უკვე სხვა ხარ, რადგან სინამდვილეში, თუკი შენ კარგი ხარ, ისინი კი იღუპებიან, ეს შენი ცოდვების ბრალიცაა. ადამიანი ამის გამო შინაგანად უნდა წუხდეს და სინანულის ნაყოფი გამოიღოს არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ

ყველა იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ოდესღაც ცოდვისკენ უბიძგა. ლოცვებში უნდა ვითხოვოთ, რომ უფალმა აცხონოს და შეიწყალოს, ვინც ჩვენი უგუნურების გამო ცხონების გზას ასცდა, და თავისი კეთილი განგებულებით ისინი კვლავ ცხონების გზაზე დააბრუნოს.

მაგრამ არსებობს უფლის განუზომელი მოწყალება, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, და ესაა ერთადერთი, რისი იმედიც უნდა გვქონდეს. ადამიანს შესწევს უნარი გზა ჩაუკეტოს ცოდვას საკუთარ თავში, შემდეგ კი კეთილი საქმეებით, სინანულის ნაყოფს რომ წარმოადგენს, განაახლოს თავისი ცხოვრება. სინანულის საიდუმლოთი წყდება კაცის ცოდვისმიერი კავშირი იმ საზოგადოებასთან, იმ სამყაროსთან, იმ ადამიანებთან, რომლებიც სიკვდილის ამ ორომტრიალში იყვნენ ჩათრეულნი. და მე ვფიქრობ, რადგან ადამიანი ეკლესიური არსებაა, მისი შემდგომი განკურნება შეიძლება ბევრისთვის მაგალითი გახდეს და შეეწიოს ცოდვის მოქმედებისაგან განთავისუფლებაში. შესაძლოა ასეც მოხდეს.

იმის გაცნობიერება, რომ მისი ცოდვა ჯერ კიდევ ცოცხლობს, ადამიანს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე დამშვიდების საშუალებას არ უნდა აძლევდეს. ყოველი მისი კეთილი საქმე, ყოველი ლოცვა, ყოველი შესაწირავი გარკვეულწილად თითოეული ადამიანისთვის გაღებული მსხვერპლი უნდა იყოს. შეიძლება კაცს ეს ბოლომდე გაცნობიერებული არც ჰქონდეს, ზოგიერთთან უკვე აღარ შეეძლოს ურთიერთობის განახლება, ეს იქნებ არც იყოს საჭირო. მაგრამ მისი კეთილი საქმეები საიდუმლოდ უნდა შეეხოს იმ ადამიანებსაც, ვისთანაც ოდესღაც ცოდვა აკავშირებდა.

ჩვენ ვამბობთ, რომ ცოდვა დროებითია, სიყვარული კი – მარადიული, და თუ შენი სათნოება, შენი ცხოვრება ქრისტეში მარადისობასთან არის კავშირში, მაშინ სხვა ადამიანის მარადიულობაც შეიძლება შენს სათნოებასთან იყოს დაკავშირებული. სხვაგვარად ყველაფერი აზრს კარგავს: გამოდის, რომ შენი პირადი ცხონება მხოლოდ შენი მესაკუთრული იდეების განხორციელება ყოფილა. ჩვენ ხომ ვერ ვიტყვით: „მე კი

ვცხონდები, მაგრამ თუ თქვენ არ გინდათ ან არ შეგიძლიათ, ეს უკვე თქვენი საქმეა“. რაკი ამქვეყნად ერთად ვიყავით, ალბათ შესაძლებელია, ცხოვრების გარკვეული გზის განვლის შემდეგ, რაღაც გავაკეთოთ მათთვის, ვისთანაც ცოდვა გვაკავშირებდა. შეიძლება ამით მათი ამქვეყნიური, დროებითი ცხოვრება ვერ შევცვალოთ, მაგრამ საუკუნო ცხოვრებაში მაინც შევეწიოთ მცირედით.

რადგან მიცვალებულთა აღდგომას მოველით, ჩვენ იმის იმედიც გვაქვს, რომ დროის საზღვარს მიღმაც არსებობს რაღაც შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება ღმერთმა შენი მეშვეობით განახორციელოს – შენი სინანულით, შენი ცხოვრებით ქრისტეში.

ქანანელი დედაკაცი

როცა დიდხანს სთხოვთ ღმერთს რაღაცას, ის კი არ გაძლევთ, იცოდეთ, რომ მიზეზი ამისა თქვენი ამპარტავნებაა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ღმერთს ჩვენი სიმდაბლით. მოდი, ასე ვთქვათ: „ღმერთო ჩემო, ერთი უმაქნისი კაცი ვარ. გევედრები, შემინდე და შემეწიე!

ბერი პაისი ათონელი

ლოცვის გარეშე, საკუთარი თავის იძულების გარეშე აღსარება ფორმალობად, ჩვევად იქცევა, რისი მოწმენიც ასე ხშირად ვართ. სინანული ხომ ცნობიერების რაღაც წამიერი გამოფხიზლება არ არის – ეს ცხოვრების წესია.

„შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს“ (მათე, 15,22) – ამბობს ქანანელი დედაკაცი, თუმცა მისთვის, როგორც წარმართისთვის, აღთქმა მესიის შესახებ უცხო იყო. უფალი მას პასუხს არ სცემს, მაგრამ ქანანელი დედაკაცი ახლოს მიდის და ევედრება: „შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო“. უფალი დუმს და უკანმოუხედავად გზას განაგრძობს, დედაკაცი კი ფეხდა-

ფეხ მისდევს და გაჰყვირის. მოწაფეებიც კი სთხოვენ უფალს: „განუტევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგვიდგს ჩვენ“. ამ სახარებისეულ ამბავში სიმკაცრე, რომელსაც ქრისტე ქანანელი დედაკაცის მიმართ იჩენს, იმდენად საკვირველია, რომ გაუგებრადაც კი გვეჩვენება. რატომ შეაქცია ზურგი მაცხოვარმა წარმართ დედაკაცს? განაჩენივით გაისმის სიტყვები: „არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა“ (მათე, 15,24). მძიმე მოსასმენია პასუხი, რომელსაც უფალი სასოწარკვეთილ დედას სცემს: „არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა“ (მათე, 15,26).

მაგრამ დედაკაცს რატომღაც თავი შეურაცხყოფილად არ უგრძნია, არც დაუწყევლია ქრისტე, არც იმის მოყოლა დაუწყია ყველასათვის, რომ მას უხეშად მოექცნენ, რომ ვერ გაუგეს, არ შეისმინეს მისი სიმწრით სავსე მუდარა. ამის მაგივრად მან მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები თქვა: აღიარა, თავის თავში დაინახა რაღაც ისეთი, რაც არ აძლევდა უფლებას, ისრაელის ასულად წოდებულიყო, მაგრამ ამავე დროს იმასაც მიხვდა, რომ ღმერთის გარეშე სიცოცხლე არ შეძლო. და როცა უფალი მის ვედრებას არ პასუხობდა, როცა მისკენ არც კი იხედებოდა, დედაკაცი მაინც შეუჩერებლივ უკან მისდევდა.

უფალი ქანანელ დედაკაცს მაშინვე არ გამოეხმიანა ერთი მარტივი მიზეზის გამო: მისცა საშუალება გაევლო მეტად მნიშვნელოვანი სულიერი გზა – ცოდვით შებღალული წარმართისაგან ისრაელის ასულამდე. ეს დედაკაცი იმდენ ხანს მისდევდა უკან ქრისტეს და სთხოვდა შეწყალებას, რომ მის გარეშე უკან დაბრუნება უკვე აღარ შეეძლო.

ჩვენ კი რა ხშირად გვემართება: უფალი მაშინვე თუ არ შეგვეწია, უმალვე ურვა და სასოწარკვეთილება გვიპყრობს, აღარ გვსურს გზის გაგრძელება, აღარ გვსურს ვზიდოთ საკუთარი ჯვარი და საერთოდ, არაფერი აღარ გვინდა... ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი ღმერთისკენ კი არ მიდიოდა, რაღაც თავის მიზანს მისდევდა, თავისი პატარა, უმ-

ნიშვნელო სურვილის განხორციელებას ესწრაფოდა... ცხოვრების ფერისცვალებას იგი არ ეძიებდა.

ადამიანმა ბოლომდე უნდა გაიაროს ეს გზა, რათა მიხვდეს, რომ ღმერთის გარეშე ამქვეყნად ცხოვრება შეუძლებელია, რომ ქრისტეს გარეშე იგი არაფერია. მისი ასული ქრისტეს გარეშე ჯანმრთელიც რომ იყოს, ეს მაინც სნეულება იქნება.

და აი, დედაკაცი, რომელმაც განვლო ასეთი მძიმე, თითქოსდა უმადლო გზა, უკან ქრისტიანად ბრუნდება, რადგან მან მთავარი გაიგო: მიხვდა, თუ რას წარმოადგენდა. ძალიან მნიშვნელოვანია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაინახო საკუთარი თავი ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ, გაიგო, რითია დაკავებული შენი გული. და როცა ეს ხდება, ადამიანში მეტად მნიშვნელოვანი გრძნობა იღვიძებს – ღრმა სინანული და გულის შემუსვრილება საკუთარი ცხოვრების გამო.

ეს სახარებისეული ამბავი გვასწავლის, თუ როგორ უნდა მივეახლოთ უფალს, გვასწავლის იმის შეცნობას, თუ რას ეხმიანება უფალი: უღრმეს სიმდაბლესა და გულის შემუსვრილებას საკუთარი ცოდვების გამო. სიმდაბლე კი იქიდან იწყება, რომ ადამიანს აღარ ეშინია დაინახოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც იგი სინამდვილეშია.

განსაცდელებს სინანულისკენ მივყავართ

მოულოდნელად თავს დამტყდარი განსაცდელები, ღვთის განგებით, შრომისმოყვარეობას გვასწავლიან და უნებლიეთ სინანულისკენ მივყავართ.

ღირსი მარკოზ მოღვაწე

ყოველთვის, როცა „მამაო ჩვენოს“ ვამბობთ, ვითხოვთ: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“. სიტყვა „განსაცდელს“ ჩვენი ცხოვრების სულ მცირე ორ გარემოებას ვუწოდებთ. პირ-

ველ ყოვლისა, განსაცდელი გვესმის, როგორც გარეშე მოვლენა, რომელიც ცოდვისკენ გვიბიძგებს, და ხშირად განსაცდელს მივაწერთ იმას, რაც პირადად ჩვენ, ჩვენს პირად ნებას, გულსა და გონებას ეკუთვნის.

ერთი მხრივ, ცხადია, ეშმაკია ჩვენი მაცდუნებელი. როგორც ვიცით, იგი უდაბნოში სამჯერ შეეცადა ქრისტეს ცთუნებას და ეს საცთურები დღემდე ჩვენი სულიერი ბრძოლის შუაგულია. მაგრამ არსებობს კიდევ ჩვენი თვითნებური მისწრაფება საკუთარ ნებაზე, საკუთარი თავისთვის ცხოვრებისკენ, მცდელობა ყველა გარშემომყოფში ჩვენი ცხონების დამაბრკოლებლების დანახვისა და მათში ისეთი თვისებების აღმოჩენისა, რომელთა მეშვეობითაც ყოველთვის შეგვიძლია საკუთარი უზნეობის გამართლება. სწორედ აქ ჩანს ღრმა გაუცხოება ღვთისაგან, განსაცდელი აქ არაფერ შუაშია. ეს ჩვენ თვითონ ვართ.

პატერიკში ასეთი შემთხვევაა მოყვანილი: დიდი მარხვის დროს იღუმენმა ძმების სენაკები შემოიარა და ერთ-ერთ სარკმელში ბერი შენიშნა სანთლით ხელში, რომელიც უძრავად იდგა, თითქოს ლოცულობდა. იღუმენი ფრთხილად შევიდა სენაკში და დაინახა, რომ ბერი სანთლის ალზე კვერცხს იწვავდა. ბერმა მოიხედა და, იღუმენი რომ დაინახა, აღმოხდა: „შემინდე, მამაო, ეშმაკმა შემაცდინა“. ამ დროს საწოლის ქვეშიდან ეშმაკი გამოძვრა და თქვა: „არა, მე არა, ეს თვითონ მოიფიქრა“.

ანდა სხვა შემთხვევა ავიღოთ ღირსი ამბროსი ოპტინელის ცხოვრებიდან. ერთხელ იგი სკიტისკენ მიდიოდა და დაინახა, ღობეზე ეშმაკი შემომჯდარიყო და ფეხებს იქნევდა. ღირსმა მამამ ჰკითხა: „აქ რას აკეთებ?“ იმან კი უპასუხა: „აბა რა ვქნა, თქვენს მონასტერში საჩემო საქმე არაფერია. ისეთი ბერები არიან, ცდუნებაც არ სჭირდებათ, უჩემოდაც ყველაფერი რიგზეა“.

მაგრამ განსაცდელები ნამდვილად არსებობს. ასე სცდიდა სატანა უფალს უდაბნოში ნათლისღების შემდეგ. იგი მას, როგორც კაცს, ისე სცდიდა (რადგან ღმერთის გამოცდა შეუძლებელია), და მისი სახით მთელ კაცობრიობას სცდის. ამიტომ

მთელი კაცობრიობა დღემდე ამ სამი ხერხით გამოიცდება.

პირველი საცთური ისაა, როცა ეშმაკი ეუბნება ქრისტეს, მშიერ ადამიანს, რომელმაც ორმოცი დღე იმარხულა და მოშივდა: „თქუ, რაითა ქვანი ესე პურ იქმნენ“ (მათე, 4,3).

დღეს კაცობრიობას შეუძლია, რომ ყოველივე უსიცოცხლო სიცოცხლის აუცილებელ წყაროდ აქციოს – ისევე აუცილებლად, როგორიც პურია. თანამედროვე პროგრესი, რომელიც ჩვენ გვასაზრდოებს, კაცმა რომ თქვას, სწორედ ის ქვებია, ჩვენთვის რომ პურად იქცა. ყველაფერი მატერიალური, უაზრო და უსარგებლო ამა სოფლისთვის მუდმივი მოხმარების წყარო გახდა. დღეს მსოფლიო უდიდესი მომხმარებელია.

პირველ რიგში შენდება არა საავადმყოფოები, არა მოხუცთა თავშესაფარები ანდა უპატრონო ბავშვთა სახლები, არამედ გიგანტური მაღაზიები. შეშლილი კაცობრიობა უსასრულოდ ცდილობს ამოივსოს თავისი გაუმაძღარი სტომაქი. აი, ეს გახლავთ ნამდვილი საცთური, რომელიც მსოფლიო პრობლემა გახდა. ადამიანი მომხმარებლად იქცა და მთელი კაცობრიობაც მომხმარებელია. მომხმარებლის უფლებები ახალი მორალის რანგშია აყვანილი. რომელიც კანონითაა განსაზღვრული: „მე მაქვს უფლება მოვიხმარო ის, რასაც საჭიროდ მივიჩნევ“.

ადამიანები იყენებენ ერთმანეთს და ყველაფერს თავის გარშემო. კაცს შეუძლია მოიხმაროს თავისი მსგავსი ადამიანები და საზოგადოება ამას არც გარყვნილებად, არც ცოდვად არ თვლის. „მე მოვიხმარ, მაქვს ამის უფლება! და რა მნიშვნელობა აქვს, ვის მოვიხმარ – საწინააღმდეგო სქესის ადამიანს თუ ჩემივე სქესისას. ვინც გაბედავს და იტყვის, რომ ისე არ ვიქცევი, როგორც წესია, ის კაცობრიობის მტერია“. ყოველგვარი მორალი, ზნეობა, საღვთო სჯული, რომელიც კაცთა შორის ურთიერთობის ნორმებს განსაზღვრავს, მათთვის მტრული კატეგორიებია.

ეს საცთური ყოველ დროში იდგა მთელი კაცობრიობისა და ცალ-ცალკე თითოეული ადამიანის წინაშე. თუ როგორი უნდა იყოს პასუხი, ამას უფალი გვიჩვენებს: „არა პურითა ხო-

ლო ცხოვნდების კაცი...“ (მათე, 4,4). „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე, 6,33).

მეორე განსაცდელის დროს სატანამ ქრისტე ტაძრის სახურავზე დააყენა და უთხრა: „გადაიგდე თავი ქვევით, რამეთუ წერია: „ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის და ხელთა მათთდა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი“...(მათე, 4,6). უფალმა მიუგო: „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მათე, 4,7).

ეს განსაცდელიც ყოველ ჩვენგანს ეძლევა: „მიმოიხედე, მთელი სამყარო შენს წინაშეა, მოდი, ავფრინდეთ! ყველაფერს მივაფურთხოთ და ყირაზე დავდგეთ! აი, ეს არის თავისუფლება! ჩიტებივით ვიფრენთ. არსებობს აბსოლუტური, უსაზღვრო თავისუფლება! რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. შეგიძლია უფსკრულშიც გადაეშვა. არაფერი მოგივა, მიდი, სცადე! ნუ გეშინია, შენ ხომ ანგელოზები აგიტაცებენ ხელში. წარმოიდგინე, რა თავისუფლებას იგრძნობ ფრენის დროს!“

მაგრამ საკითხავი ის არის, საით მიფრინავ? როგორც წესი, დაბლა ეშვები. მაგრამ რა გრძნობაა ფრენა! რა თავბრუდამხვევი აღტაცება გიპყრობს! მიწამდე ხომ ჯერ კიდევ შორია...

მეორე საცთური, რომელიც კაცობრიობას ეძლევა, უსაზღვრო თავისუფლებით ცდუნებაა. მოდი, ეს სცადე, ახლა კიდევ ესეც სცადე. საშიში არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება, ადამიანისთვის ხომ ყველაფრი ნებადართულია. თავისუფლება – სწორედ ეს გახლავთ იდეალი. არ არსებობს არავითარი ზნეობა, არსებობს თავისუფლება. არავითარი ზღვარი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ თავისუფლება, რომლის მიღმაც სინამდვილეში სიკვდილის გარდა არაფერია.

მესამე საცთური: „ესე ყოველი მოგცე შენ, უკეთუ დავარდე და თაყვანის-მცე მე“ (მათე, 4,9), – ეუბნება სატანა ქრისტეს და უჩვენებს ამა სოფლის ყველა სამეფოს და მათ დიდებას. რა უბრალო და ბანალური შეთავაზებაა: „თაყვანი მეცი და ყველაფერი გექნება. ისე მოიქეცი, თითქოს არც ღმერთი

არსებობს, არც არავითარი სულიერი ცხოვრება. ჩათვალე, რომ არსებობს მხოლოდ ამა სოფლის კანონები, და შენ ამქვეყნად ყველაფერს უნდა მიაღწიო, ოღონდ ღმერთის გარეშე“. ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ – თანამედროვე ადამიანისთვის ეს კარგად ნაცნობი რამ არის.

ადრე თუ გვიან ეს სამი განსაცდელი თითოეულ ჩვენგანს დაუდგება. როგორ შევხვდებით და როგორ შევებრძოლებით მათ? ამ დროს ჩვენთვის მაგალითი მაცხოვარი უნდა იყოს, რომელმაც ყოველ განსაცდელს, როგორც ადამიანმა, ისე უპასუხა, რადგან ეშმაკმა იგი, როგორც ძე კაცისა, ისე გამოსცადა.

ადამიანს უფალიც სცდის: ამის მაგალითებს წმინდა წერილში ვხვდებით. დაბადების წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ გამოსცადა უფალმა აბრაამი. აბრაამს სარასგან დიდ ხნის ნანატრი ძე, ისაკი შეეძინა. როდესაც მან სიმწიფის ასაკს მიაღწია, უფალმა გამოცდა მოუწყო აბრაამს და უთხრა: „მოიყვანე ძე შენი საყვარელი, რომელი შეიყუარე, ისაკი, და წარვედ ქვეყანასა მაღალსა და შეწირე იგი მუნ მსხვერპლად ერთსა ზედა მთათაგანსა, რომელსა გრქუა შენ“ (დაბ. 22,2). აბრაამმა შვილს მხრებზე ფიჩხის კონა აჰკიდა და ისინი გოლგოთის მახლობელ მთაზე ასვლას შეუდგნენ. ისაკმა ჰკითხა მამას: „აჰა ცეცხლი და შეშაი. სადა არს ცხოვარი მსხვერპლისაი?“ აბრაამმა მიუგო: „უფალმან იხილოს თავისა თვისისა ცხოვარი მსხვერპლისაი, შვილო“ (დაბ. 22,8).

აბრაამი, რომელსაც ღმერთმა აღუთქვა, რომ სწორედ ისაკისგან იკურთხებოდა და გამრავლდებოდა მისი მოდგმა, ვითარცა ზღვაში ქვიშა და ცაზე ვარსკვლავები, უფლის ნების აღსასრულებლად მიდის. მან შვილს ხელ-ფეხი შეუკრა, დანა აღმართა მის დასაკლავად და ამ დროს გამოჩნდა ანგელოზი, რომელმაც გაათავისუფლა ისაკი და იგი კრავით შეცვალა. აბრაამს ღმერთისგან მიეცა მცნება, რომ შვილი გაიღოს მსხვერპლად და იმავე დროს სჯერა, რომ ამ შვილისაგან წარმოსდგება კაცთა მოდგმა. აი, ეს არის განსაცდელი. მას აქეთ აბრაამი მორწმუნეთა მამად არის სახელდებული, რამეთუ მი-

სი რწმენა მხოლოდ იმ ცოდნით კი არ განისაზღვრება, რომ ღმერთი არსებობს და მისთვის მსხვერპლის შეწირვა მართებს, არც მხოლოდ იმით, რომ მისი ბრძანება უნდა აღასრულოს – არა, აბრაამს იმდენად სწამს ღმერთი, რომ შეუძლია თავის თავში სრულიად შეუთავსებელი საგნები შეათავსოს, ისე, რომ არც ერთ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო აღთქმაში ეჭვი არ შეიტანოს.

ეს განსაცდელი უაზრო და წარმოუდგენლად სასტიკი მოგვეჩვენება, თუ აქ მაცხოვრის გამომსყიდველ მსხვერპლს ვერ დავინახავთ. როგორც სატანის მიერ ცდუნების დროს ქრისტე მთელი კაცობრიობისათვის სცემს პასუხს და მთელი კაცობრიობის სახელით სძლევს სატანას, ასევე გამოიცდება უფლის მიერ აბრაამი, როგორც მთელი კაცობრიობა. მისი სახით უფალი ყოველ ჩვენგანს სცდის: ღირსია კი კაცობრიობა უფლის გამომსყიდველი მსხვერპლისა? როგორც იოანე ოქროპირის ლიტურგიაზე ევქარისტიულ ლოცვაში იგალობება: „რომელმან სოფელი შენი ესრეთ შეიყუარე, ვიდრე მიცემადმდეცა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისა მიმართ, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნო“. აბრაამი თავის მხოლოდშობილ ძეს სწირავს მსხვერპლად და უფალი, გამოსცდის რა მის ერთგულებასა და სიყვარულს, მსხვერპლს არ შეიწირავს, მაგრამ ამ ერთგულებისა და სიყვარულის სანაცვლოდ ყოველი ჩვენგანისათვის თავის მხოლოდშობილ ძეს გაიღებს მსხვერპლად. ამიტომ ყოველი ჩვენი განსაცდელი უფლის მიერ არის დაშვებული – ეს ჩვენი ერთგულებისა და სიყვარულის გამოცდაა.

არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ

როგორც ბავშვი იქცევა – მუდმივად ეხება ცეცხლს და, რამ-დენჯერაც შეეხება, იმდენჯერ ტირის, ისევე კაცობრიობა ეხე-ბა მუდმივად ცოდვისა და ვნების ცეცხლს, ტირის, იტანჯება, მაგრამ კვლავ და კვლავ ეხება... და ის კი არ ესმის, რომ სულიე-რად ბავშვია.

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი)

ცოდვა სნეულებაა, აღსარება კი ყოველთვის მყისიერი განკურნება არ გახლავთ. თუ ცოდვა ადამიანში ნამდვილად აღმოიფხვრება, მაშინ აღსარების შემდეგ მის მიმართ იმდენად ძლიერ სიძულვილს ვგრძნობთ, რომ ამ ცოდვაზე გაფიქრებაც კი მისდამი შინაგან წინააღმდეგობას იწვევს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ცოდვისაგან განიწმინდა და თავისუფალია. ისეც ხდე-ბა (მართალია, ძალიან იშვიათად), რომ ღრმა შინაგანი სინა-ნულის განწყობა ცოდვას ჩვენთან მოახლოების საშუალებასაც არ აძლევს. ცოდვილი გულისსიტყვის ყოველგვარი მოახლოება ჩვენში იწვევს სურვილს, მთელი არსებით წინ აღვუდგეთ მას. მაგრამ ზოგადად ცოდვა, განსაკუთრებით წვრილმანი ცოდვა, კაცის სულის ქრონიკული მდგომარეობაა. ამის გაცნობიერება ძალიან ძნელი და მტკივნეულია, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ადამიანი ჩვეულებრივ კარ-გა ხანს სუსტადაა, მაგალითად, მოტეხილობის მოშუშების შემ-დეგ უჭირს ფეხზე მყარად დადგომა, სიარულისას ყავარჯენს ეყრდნობა. აღსარების შემდეგაც ასეა: ცოდვა შეიძლება მი-გეტევოს, მაგრამ იმისათვის, რომ ცოდვის გარეშე ცხოვრე-ბა ისწავლოს, ახსოვდეს იგი და ცოდვის ჩადენის ეშინოდეს, უფალი ზოგჯერ ტოვებს ადამიანში ტკივილისა და შებოჭი-ლობის გრძნობას, რათა შემდგომი შეცდომებისაგან დაიცვას, რათა კაცი მუდამ იდანაშაულებდეს თავს და გრძნობდეს, თუ

რა საშინელებაა ცოდვა, რა მძიმე და შეუძლებელიც კია მასთან ერთად ცხოვრება. წუხილი და გულისტკივილი შეიძლება დიდხანს დარჩეს. ადამიანი წუხს, ცოტათი იტანჯება კიდეც, ზოგჯერ გული დამძიმებული აქვს, მაგრამ ეს მწუხარება და სიმძიმე მას მომავალი შეცდომებისაგან იცავს. თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის არა.

არსებობს ბევრი ისეთი ცოდვა, რომელსაც ადამიანი მუდმივად უნდა ინანიებდეს, ეს ცოდვები განსაკუთრებით ჩვენს ამპარტავნებას და შელახულ თავმოყვარეობას ეხება. თითქოს შეინანე, რომ წყენის პატიება გიჭირს, ძალიან გინდა ეს თვისება მოიშორო, რათა ნამდვილად განიკურნო, მაგრამ ეს ერთბაშად არ ხდება.

ადამიანები ხშირად შეცბუნებულები სვამენ შეკითხვას: „როდემდე შეიძლება, რომ აღსარების დროს ერთსა და იმავე ცოდვას ვინანიებდე?“ სინამდვილეში თუ ადამიანი სულიერ ძალისხმევას არ იშურებს, თუ შრომობს საკუთარი თავის გამოსასწორებლად, ცოდვა კი მაინც რჩება მასში, მაშინ ეს უკვე ის ცოდვა აღარ არის. სინანული თანდათან უკარგავს ცოდვას ძალას.

ჩვენ კვლავ და კვლავ ვიმეორებთ უწინ აღიარებულ ცოდვას, მაგრამ ყოველ ჯერზე უკვე სხვა საფეხურზე ვიმყოფებით: სხვაგვარად გავაცნობიერეთ ჩვენი ცოდვა, სხვა მხრიდან დავინახეთ. მას შეიძლება იგივე სახელი ჰქონდეს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ცოდვაა. ცოდვას ხომ მრავალი შრე აქვს – მასში ბევრი ზედაპირული და ღრმა დონეა, და ადამიანი ხშირად ხან ერთ ფენას გადაფხეკს, ხან მეორეს, სანამ შუაგულს არ მიაღწევს. ამას შეიძლება მთელი ცხოვრება მოვანდომოთ.

გვეჩვენება, თითქოს წრეზე დავდივართ, მაგრამ ეს უფრო სერპანტინით მთის მწვერვალზე ასვლას ჰგავს. ჩვენი მოძრაობა წრიული კი არ არის, არამედ სულიერი აღმასვლის სპირალი. მთავარია არ შეჩერდე, სულ წინ იარო, მხოლოდ ის კი არ აღიარო, რომ ცოდვა ქრონიკული დაავადებაა (მე ეს სენი მჭირს, შევეგუე მას, დაახლოებით ვიცი, როგორ გადავიტანო, მაგრამ არ ვიმკურნალებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს უსარ-

გებლო და უაზრო რამაა – ასე ფიქრი არასწორია), არამედ გვახსოვდეს, რომ ყოველგვარ სენს, თვით უკურნებელსაც კი, უფალი საკურნებელად გვიგზავნის.

ცოდვები მოგვეტევება, როცა ჩვენში მათ მიმართ მიდრეკილება აღმოიფხვრება

იმის მოწმობად, რომ ცოდვები მოგვეტევა, ის გამოდგება, როცა ვიგრძნობთ, რომ ჩვენი გულებიდან მათ მიმართ მიდრეკილება აღმოფხვრილია.

ღირსი იოანე კასიანე რომაელი

აღსარების დროს ყოველი ჩვენი შეცოდება უნდა აღიქმებოდეს, როგორც ღვთისგან განდგომა, სხვაგვარად აღსარება აზრს მოკლებულია, იგი ფსიქოთერაპიის სეანსად იქცევა, ერთგვარ სულიერ ქიმწმენდად, სადაც ადამიანი სულის დაბინძურებულ სამოსელს აბარებს და უკან სუფთას იბრუნებს. ადამიანი ღმერთს შენდობას სთხოვს და ფიქრობს, რომ უფალი უთუოდ შეუნდობს – ეს თითქოს ღმერთის მოვალეობაა. აღსარება კი ისეთ საიდუმლოდ არის მიჩნეული, რომლის დროსაც, გინდა თუ არა, ცოდვები მოგეტევება. რაკი საიდუმლოა, იგი აუცილებლად მოქმედია.

რა თქმა უნდა, აღსარების დროს ცოდვები მოგვეტევება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ცოდვისგან თავისუფალია. უფალი შეუნდობს, მაგრამ კაცი არ თავისუფლდება, რადგან თვითონ არ უნდა ბოლომდე გათავისუფლება, არ სურს თავი აიძულოს ცოდვასთან ბრძოლისათვის.

აღსარება ადამიანს ცხოვრებას უმსუბუქებს და მას ადვილად შეუძლია მიუბრუნდეს თავის ვნებებს. უკეთ გახდა, ისევ მიიღო შეწევნა და უმალ მისცა დავიწყებას ის წყალობა, უფალმა მისთვის რომ გაიღო, გულმავიწყობის გამო კი

ადვილად დაუბრუნდა წარსულს. მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ ფორმის – „მიგიტევებ და შეგინდობ“ – უკან შეიძლება სრული არმიტევება და არშენდობა იყოს. არსებობს ისეთი ცოდვები, ისეთი მდგომარეობა, რომ თუ მათ მოძღვარი ყურადღებით განიხილავს, შეიძლება არც წაუკითხოს ადამიანს შენდობის ლოცვა, სანამ იგი არ გამოსწორდება, სანამ მისი სინანული ნაყოფს არ გამოიღებს. თუ კაცი ზიარებაზე არ დაუშვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შენდობა ვერ მიიღო. ვიდრე ადამიანი ეკლესიისგან განყენებულია, ის ღმერთის გარეშე რჩება, ჯერ კიდევ არ არის გამოსყიდული, ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ცოდვებისგან განხსნა მიიღოს.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღსარება, რომელსაც სინანულის ნაყოფი არ გამოუღია, არც აღსრულებულა. საქმე ის კი არ არის, რამდენად აშიშვლებს კაცი საკუთარ თავს, როგორ აღწერს იგი თავის ცოდვებს. ადამიანის სული შეიძლება სხვადასხვა მდგომარეობაში იყოს: ზოგჯერ საკუთარი თავის ბოლომდე გაშიშვლება ტკივილს გვრის, ზოგჯერ კი სიამოვნებას. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ზოგს შეუძლია დაფაროს რაღაც მიდრეკილებები და თავისი ცოდვა ნაკლებად მძიმედ წარმოაჩინოს. მაგრამ არსებობს ადამიანის ამპარტავნებისა და საკუთარი თავით ტკბობის ისეთი სახეც, როცა ის მზადაა სრულიად გაშიშვლდეს აღსარების დროს. თუ აღსარებაზე მიდიხარ და ცოდვის ფორმალურ შენდობას ელოდები, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცოდვა შეგიძლია პირდაპირ დაასახელო, საკმაოდ სერიოზული განსაზღვრებაც მოუძებნო, იმდენად, რომ მიწასთან გაასწორო საკუთარი თავი, მაგრამ ამავე დროს იცი, რომ ეს ცოდვა შენთვის ჯერ კიდევ საყვარელია და მასზე ბოლომდე უარის თქმა არ გსურს, მაშინ ეს ცოდვა შენთანვე რჩება. ნიშანი იმისა, რომ არ შეგენდო, ის არის, რომ ისევ იმ ცოდვას სჩადიხარ – იგივე დარჩი, რაც იყავი.

სინანული ნაყოფით იზომება, ჭეშმარიტი სულიერი სინანული ცხოვრების შეცვლაა. როგორ მივაღწიოთ ამას? მხოლოდ ცოდვასთან ბრძოლის მტკიცე გადაწყვეტილებით. ადამიანი ხედავს თავის თავში და ნამდვილად განიცდის იმ ცოდვებს,

რომელთა დაძლევის უნარი შესწევს, რაც არ უნდა დიდად ეჩვენებოდეს ისინი. ცოდვა ზოგჯერ გოლიათად წარმოგვიდგება, მაგრამ ჩვენ მას დავითივით უნდა ვძლიოთ. ის, რასაც ჩვენს თავში ვხედავთ – ან მოძღვრის დახმარებით, ან სინდისის კარნახით, ან მოყვასის მხილების შედეგად – ყველაფერი, რაც ცოცხალი გამოცდილებით გვეძლევა, იმას მოწმობს, რომ ამ ცოდვებთან ბრძოლის უნარი შეგვწევს. და თუ მათ არ ვებრძვით, მაშინ ამისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად ჩვენ გვეკისრება.

იგავში ორი მევალის შესახებ მოთხრობილია, თუ როგორ აპატია ბატონმა ადამიანს ვალი და გაათავისუფლა იგი, მან კი მაშინვე მოსთხოვა თავის მოვალეს ვალის გადახდა – ესე იგი, პირველი შესაძლებლობისთანავე თავი ისეთად გამოავლინა, როგორიც მიტევებამდე იყო (მათე, 18). აი, მაგალითი იმისა, რომ ადამიანმა შენდობა მიიღო, მაგრამ ვერ განიკურნა და ისევ დილეგში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, აღიარებული ცოდვა ადამიანს მიეტევება. ნუ ვიფიქრებთ, რომ არსებობს რაღაც ზეციური ბუღალტერია, რომელიც ყველა ადამიანურ ცოდვით დაცემას ზედმიწევნით აღრაცხავს. მაგრამ ცოდვის შენდობის შედეგი მხოლოდ ცხოვრების შეცვლაა და თუ ასე არ ხდება, ადამიანი იძულებულია ზიდოს შედეგები ამ შენდობისა, რომელიც მხოლოდ მეტად სერიოზულ პასუხისმგებლობასთან ერთად ეძლევა. შენდობა მიიღე, ცხოვრება კი არ შეგიცვლია? მაშინ გამოცხადდები სამსჯავროზე, სადაც გეტყვიან, როგორც იმ მონას: „ვერ გამოხვალ იქიდან, ვიდრე უკანასკნელ წვლილსაც არ მისცემ“ (ლუკა, 12,59).

მაგრამ ისეც ხდება, რომ ადამიანმა შენდობა მიიღო და განიკურნა. ეს ნიშნავს, რომ სინანული მთელი სავსებით აღესრულა და უწინდელი ცოდვა აღარ განმეორდება, რადგანაც ადამიანმა გამოიღო ნაყოფი, ღირსი სინანულისა.

აღიღე ცხედარი შენი და წარვედ

შეცოდება ადამიანურია, მასში დარჩენა კი – ეშმაკისეული.

წმ. ტიხონ ზადონელი

ყველამ ვიცით სახარებისეული იგავი განრღვეულის შესახებ (იოანე, 5,2-14), რომელიც მრავალი წელი იყო დამბლადაცემული, დამოუკიდებლად მისვლა სამკურნალო საბანელამდე მას არ შეეძლო და არც არავინ ჰყავდა, რომ დახმარებოდა. განრღვეული იმ ადგილას იწვა, სადაც ადამიანები კურნებას ღებულობდნენ, თვითონ კი უკურნებელი რჩებოდა. ოცდათვრამეტი წელი დაჰყო მან მადლის მახლობლად, ელოდა იმ დროს, როცა ეს მადლი შეეხებოდა და იმედს არ კარგავდა.

ეს ჩვენც ხშირად გვემართება. ისეთ ადგილას ვიმყოფებით, სადაც ადამიანები ცოდვებს აღიარებენ და ეზიარებიან. ყოველი ადამიანისთვის დგება დრო, მაგალითად, მარხვის დღეები, როცა მის გულს ღვთის მადლი ეხება, მაგრამ მთავრდება მარხვა და ბრუნდება უძლურება, სისუსტე, იმის შეგრძნება, რომ ძალ-ღონის მოკრება და სულიერი ცხოვრების გაგრძელება არ შეუძლია. ადამიანს მონყინება და სასოწარკვეთილებაც კი იპყრობს, როცა თავის თავს დაინახავს და ესმის, რომ მასში არაფერი ხდება. ეკლესიაში კი დადის, მაგრამ შინაგანად არ იცვლება: როგორც ღიზიანდებოდა, ისევე ღიზიანდება, როგორი ზარმაციც იყო, ისეთივე დარჩა, რა დაუდევარიც იყო, ისევ ისაა. რატომ? ყველაფერი ხომ აქვეა – აქვეა ქრისტე, აქვეა საიდუმლოებები, ტაძარი სავსეა მადლით, რომელსაც ყველას განკურნება ძალუძს. მაგრამ გადის წლები და გვეჩვენება, რომ განკურნება არ ხდება. ასეა კი?

იგავში განრღვეულის შესახებ უფალი გვიჩვენებს, რომ საბანელთან გატარებულ ოცდათვრამეტ წელს განრღვეულისთვის ამაოდ არ ჩაუვლია. ამ კაცმა მთელი ცხოვრება მადლის გვერდით დაჰყო, იმ იმედით, რომ მოიძებნებოდა ვინმე, ვინც მას საბანელში ჩააგდებდა. იგი მთელი ოცდათვრამეტი წელი

ცოდვილი იყო და თითქოს არაფერს აკეთებდა, მაგრამ სინამდვილეში შინაგანად განკურნებისკენ ისწრაფოდა, რადგან როგორც კი უფლის ხელი შეეხო, განრღვეული მთელი არსებით გამოეხმაურა მას. უფალმა უთხრა: „აღიღე ცხედარი შენი და წარვედ...“, და მას არ დაუწყია მსჯელობა: „მე ხომ სნეული ვარ, უძლური, მე ხომ არ შემიძლია“, – უბრალოდ, აიღო თავისი სარეცელი და წავიდა, რადგან შინაგანი მზადყოფნა და ქრისტეს მიმართ სასოება მისი ცხოვრების ცენტრი იყო, ამ მზადყოფნამ, ამ სასოებამ შეასრულეს კიდეც თავისი საქმე – იგი განიკურნა.

უფალს ხომ მისთვის შემთხვევით არ მიუმართავს, მან იცოდა, როგორი სულიერი გზა განვლო ამ ადამიანმა, როგორი მნიშვნელოვანი საქმე აღასრულა, იცოდა, რომ იგი, მთელი ამ წლების განმავლობაში კურნების წყაროსთან მყოფი, ხორციელად სნეული რჩებოდა, მაგრამ შინაგანად განიკურნა.

ხშირად უფალი ჩვენგან მხოლოდ რწმენასა და სასოებას მოელის და, ხედავს რა ცოდვისადმი ჩვენს მიდრეკილებას, ჩვენს მერყეობას, სრულ განკურნებას არ გვაძლევს. იგი არ გვაძლევს ერთბაშად დიდ ნიჭებს, როგორც დიდ მამებს აძლევდა, რომლებსაც წმინდა ლოცვა ჰქონდათ, შეეძლოთ მოყვასის მსახურება და სული წმიდით იყვნენ განათლებულნი. ჩვენთან ასე არ ხდება.

უფალს ძალიან ხშირად განრღვეულის გზით მივყავართ, გვაძლევს საშუალებას მუდამ ვხედავდეთ საკუთარ არასრულყოფილებას, ვაცნობიერებდეთ ჩვენს ცოდვებს და ღმერთზე ვამყარებდეთ სასოებას. განრღვეულის სახე ჭეშმარიტი სულიერი მოთმინების მაგალითია, სულიერი ბრძოლის, საკუთარი ჯვრის ზიდვის და უფლის მიმართ სასოების მაგალითი. დაე ჯერჯერობით არაფრის ძალა არ შეგვწევდეს, მაგრამ თუ ვისწავლით, რომ სიმდაბლით გავაცნობიეროთ ჩვენი მდგომარეობა, უფალი მოვა ჩვენთან და გვეტყვის: „აღიღე ცხედარი შენი და წარვედ“, – ჩვენც წამოვდგებით და, განკურნებულნი, ქრისტეს გავყვებით.

ამ სახარებისეულ ამბავში კიდევ ერთი შესანიშნავი მო-

მენტია. ძველი აღთქმის ადამიანისთვის სულიერი ჯანმრთელობა ყოველთვის ხორციელ ჯანმრთელობასთან იყო დაკავშირებული: ხორციელი განკურნება სულიერი განკურნების ნიშანი გახლდათ. სახარებაში ხშირია მაგალითები, როცა ხორციელად სნეული სულიერადაც სნეულია. და აი, ქრისტე განკურნებულ ადამიანს ეუბნება: „ნუღარ შესცოდავ, რათა რაიმე უარესი არ შეგემთხვეს“ (იოანე, 5,14), რადგან ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება შეგვემთხვეს, ის არის, რომ ცოდვისაგან ძლეულნი აღმოვჩნდეთ, ხოლო განრღვეულობა სწორედ ცოდვასთან ბრძოლის სურვილის არქონაა.

თუ ქრისტესთან ყოფნა გვსურს, თუ ნამდვილად გვწყურია სულიერი ზრდა, მაშინ ყოველ ჩვენგანს ერთადერთი გზა აქვს – განუწყვეტელი ბრძოლა ცოდვასთან, რომელიც ქრისტესკენ სვლის საშუალებას არ გვაძლევს.

აღსარების საიდუმლოში ღმერთი ადამიანს მადლისმიერ ძალებს ანიჭებს ამ ბრძოლისათვის. ჩვენ ვგრძნობთ ძალას, მადლს, განახლებას, ვგრძნობთ, რომ არსებობს ნამდვილი სულიერი ცხოვრება. და უფალი ყოველ ჩვენგანს ამ სიტყვებით მიმართავს: „შენ განიკურნე, მაგრამ ამიერიდან ძველებურად ნუღარ იცხოვრებ! მე დაგეხმარე, რათა ფერი გეცვალა, მაშ, უკან ნუღარ მიბრუნდები! ბოლომდე განკურნებული დარჩი!“

თავი IX

სიმართლე, რომელიც უნდა აღსრულდეს

ცოდვა იმით გვიზიდავს, რომ ის „თავისუფ-ლებას წააგავს“, „რაღაც მადლის მსგავსია“. მოჩვენებითი თავისუფლება, ყალბი სიხარუ-ლი, ცრუ სივრცე. ადამიანი თავს იტყუებს და ესაა სწორედ ცოდვა.

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი)

სიმართლე ღმრთისა გამოჩინებულ არს

ახლა კი, გარდა რჯულისა, გამოჩნდა ღვთის სიმართლე, რასაც მოწმობენ წინასწარმეტყველნი და რჯული, ხოლო სიმართლე ღვთისა იესო ქრისტეს რწმენით – ყველა მორწმუნისათვის, ვინაიდან არ არსებობს განსხვავება.

რომაელთა, 3,21-22.

სახარება, რომელიც ნათლისღების დღესასწაულზე იკითხება, მოგვითხრობს, თუ როგორ მოდის მაცხოვარი იოანესთან იორდანეზე ნათლისღებისთვის. იოანე ხედავს, როგორ ჩაივლის მაცხოვარი ცოდვილთა შორის, იმ ადამიანთა შორის, ვინც უფლის მცნებებს განეშორნენ, მაგრამ გამოსწორება სურთ და იმიტომ მოვიდნენ. ისინი გრძნობენ თავის შინაგან უკეთურებას და მოდიან იორდანესთან, რათა სინანულის გზით მოემზადონ მესიის მისაღებად. იოანე მათ იორდანეს წყლით განბანს. წყალი მათი სინანულისა და შენდობის სიმბოლოა.

და აი, ამ ადამიანთა შორის უეცრად გამოჩნდება უფალი, თავად ჭეშმარიტება და სიმართლე, რომელიც მოდის იოანესთან და სხვებთან ერთად ნათლისღებას ითხოვს. იოანემ იცნო იგი და ეუბნება: „მე მიხმს შენ მიერ ნათლისღებაი და შენ ჩემთან მოხვალა?“ და რას პასუხობს ქრისტე? „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შვენის ჩვენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. მაშინ იოანე ნათელს სცემს მას, მაცხოვარზე სული წმიდა გადმოდის მტრედის სახით, ზეციდან კი მამის ხმა გაისმის: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“ (მათე, 3,13-17).

ეს არის სიტყვა სიმართლის შესახებ. როგორი სიმართლე უნდა აღსრულდეს? რომელ სიმართლეზეა ლაპარაკი? ადამიანური სამართლიანობის თვალსაზრისით, აქ არავითარ

სიმართლეზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. უცოდველი ქრისტე კაცობრიობის ცოდვებს თავის თავზე იღებს – სად ჩანს აქ სამართლიანობა? სამართლიანი ის იქნებოდა, თუ ცოდვილები თავიანთი ცოდვებისათვის განისჯებოდნენ, მოვალეებს ვალის დაბრუნებას მოსთხოვდნენ... მაგრამ უფალი ყოველგვარ სიმართლეს სხვა, უცნაური და საკვირველი სახით აღასრულებს – იგი თავს იდებს კაცობრიობის ცოდვებს. ამა სოფლის მთელ სიცრუეს, მთელ მის გაუკულმართებას მაცხოვარი თავის თავზე იღებს, რათა საკუთარი თავით და საკუთარი მსხვერპლით ადამიანებს ეს სიმართლე უბოძოს, ყველაფერი გამოასწოროს და საკუთარი თავით შეავსოს.

აი, რას ამბობს ქრისტე საკუთარ თავზე: „მე ვარ გზა, მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იოანე, 14,6). ეს სიმართლე თავად ქრისტეა. მხოლოდ მასთან ურთიერთობას და მასთან ზიარებას შეუძლია ჩვენი მტყუარი ბუნების გამოსწორება. მხოლოდ თვით ჭეშმარიტებას ძალუძს ჩვენი საკუთარი სიცრუე გადაფაროს.

მაგრამ სიმართლესთან უშიშრად შეერთება მხოლოდ თავად სიმართლეს შეუძლია. ხოლო თუკი შენ რამეში არა ხარ სიმართლე, მაშინ სიმართლესთან ზიარება მარტო მაშინაა შესაძლებელი, თუ თავად სიმართლეს – ქრისტეს – სურს თავის თავთან გაზიაროს და ამასთან არსებობს შენი სურვილი, შემუსვრილი გული და საკუთარი მტყუარი ბუნების სრული გაცნობიერება. ასე ხდება ჩვენი სიმართლესთან ზიარება, და ქრისტესთან მიახლების უფლებას სხვა არაფერი მოგვცემს.

ღმერთი მხოლო ჭეშმარიტ, და ყოველი კაცი ცრუ არს

არსებობს ამბა დოროთეს შესანიშნავი აფორიზმი: „მრუდე წესი მართალსაცა განამრუდებს“. მრუდე წესი იგივეა, რაც ჩვენი გაუკუღმართებული თარგი, ანუ შინაგანი კანონი, რომლითაც ვაფასებთ სამყაროს, საკუთარ თავს, მოყვასს, ვაფასებთ მათ საქციელს, გამოგვაქვს ჩვენი პატარა განაჩენი ან ვაფასებთ ამა თუ იმ მოვლენას – და რაც არ უნდა უცნაური და საშინელი იყოს, ყველაფერს მრუდე სარკეში ვხედავთ.

ამბა დოროთე გვირჩევს არ ვენდოთ საკუთარ გულისსიტყვებს, რადგან ჩვენი შეხედულება სამყაროზე შეიძლება არასწორი იყოს. თუ ადამიანი ენდობა თავის აზრს ამა სოფლის შეფასებაში, იმაში, თუ რა თვალით უყურებენ მას სხვა ადამიანები, იგი ეჭვიანი ხდება, მუდმივად განიცდის, რას იფიქრებენ მასზე და საკუთარი გამონაგონის სჯერა. სხვა ადამიანებს, მათ საქციელს და ურთიერთდამოკიდებულებას იგი ასევე მცდარად აფასებს, რადგან ენდობა თავის დამახინჯებულ აზრს მათ შესახებ. ეს ადამიანს ეჭვიანს ხდის, მერყეობას, მუდმივ მოწყინებას ბადებს მასში, აიძულებს ენდოს მითქმა-მოთქმას, ცილს სწამებს მოყვასს, ამახინჯებს ისედაც დამახინჯებულ აზრს და სხვებს, როგორც „გაფუჭებული ტელეფონი“, ისე გადასცემს.

ასევე სახიფათოა ენდო შენს წარმოდგენას საკუთარ თავზე. საკუთარ თავზე არასწორი წარმოდგენა ადამიანს იძულებულს ხდის ნებისმიერი უღირსი საქციელის გამო თავი იმართლოს და, საბოლოო ჯამში, ისევ იცრუოს. როცა ღვთაებრივი სიმართლე არავის სჭირდება, მაგრამ მთლად სიმართლის გარეშეც ადამიანს ცხოვრება არ ძალუძს, იგი იძულებულია ყოველი თავისი დანაშაული და მზაკვრობა გარეგნული სათნოებით გაამართლოს. წვრილმანებიდან დაწყებული, ეს თანდათან ჩვევაში გადადის და ადამიანი მხოლოდ გონებით კი არ ცრუობს, ანუ მხოლოდ თავის მცდარ შეხედულებებს კი

არ ენდობა, არც მხოლოდ სიტყვით ტყუის, ესე იგი, ამართლებს თავის უმსგავსო საქციელს, არამედ ცრუობს მთელი თავისი ცხოვრებით. ნაძირალას თავი კეთილშობილად მოაქვს, აქებს პატიოსნებასა და კეთილშობილებას. მემრუშე თავს უბიწოდ ასაღებს და უბიწოებას ასხამს ხოტბას, არა იმიტომ, რომ სურს უბიწო და პატიოსანი იყოს – ესმის, რომ ასეთი არ არის, რომ მისთვის ეს მიუღწეველი სიმაღლეა, არამედ იმიტომ, რომ გამიზნულად უბიძგოს სხვებს ცოდვისკენ, სატანის მსგავსად ნათლის ანგელოზად წარმოაჩენს თავს, რათა აცთუნოს ადამიანები. „რამეთუ ვერც სიცრუე, ვერც თვით სატანა, ვერც მწვალებლობა ვერავის აცთუნებს, თუ სათნოების ნიღაბს არ ამოეფარა“, – ამბობს ამბა დოროთე. კაცი, რომელიც მუდმივად თავს იმართლებს და ტყუილის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ტყუილს სხვების დასაღუპად იყენებს.

რა თქმა უნდა, ეს ტყუილის ჩვევის უკიდურესი გამოვლინებაა, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, ოდნავ მაინც რომ არ იყოს ტყუილით დამახინჯებული. ამიტომ უფალი არ გვაძლევს უფლებას ამა სოფლის საზომად ვიქცეთ. აღასრულებს რა ყოველგვარ სიმართლეს, უფალი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა აღსრულდეს იგი – თავისი მოვლინებით, თავისი ღვთაებრივი გამოცხადებით – და არ გვაძლევს საშუალებას, კაცობრივი საზომით ვეძიოთ სიმართლე და სამართლიანობა, არამედ მოწყალებისა და სინანულის გზას გვიჩვენებს.

ყველაფერი, რაც ცოდვით არაბუნებრივად გამრუდებული და დამახინჯებულია, სინანულით უნდა გამოსწორდეს და განიკურნოს – სხვაგვარად კაცს ჭეშმარიტებასთან ზიარების შესაძლებლობა არ ეძლევა. ჩვენი ერთადერთი მასწავლებელი და მოძღვარი (უფალი) ჩვენს ტყუილს თავის თავზე იღებს, თავისი მადლით ავსებს მის ნაკლულევანებას და ჩვენ ერთადერთ საქმეს გვიტოვებს – საკუთარ თავზე მუშაობას. მაგრამ პირველ რიგში ადამიანმა თავისი სიცრუე უნდა დაინახოს, უნდა განსაზღვროს საკუთარი უსჯულოების კრიტერიუმები, გააცნობიეროს, რაში სცოდავს მუდმივად პირადად იგი ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

სახარებისეულ ამბავში ბრმის შესახებ (ლუკა, 18,35-43) უფალი ეკითხება ბრმას: „რაი გნებავს, და გიყო შენ?“ ბრმა მიუგებს: „უფალო, რაითა აღვიხილნე თვალნი“. და იესო ეუბნება: „აღიხილენ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“.

უსინათლო ადამიანი გარესამყაროს მხოლოდ შეხებით აღიქვამს, შეხებით აღქმის ჩვევა ბრმადშობილში ძალიან ძლიერია – გარემოს აღქმის სხვა საშუალება მას არ გააჩნია. ასევე ჩვენც, მაშინაც კი, როცა ღმერთს შევუდგებით, ხშირად ბრმადშობილივით ვცხოვრობთ: მიჩვეულები ვართ, რომ მხოლოდ ის აღვიქვათ, რასაც შეიძლება შევეხოთ, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ. ჩვენ რომ ნამდვილად თვალხილულნი ვიყოთ, ყოველ მოყვასში ღმერთს დავინახავდით, მძიმე ცხოვრებისეულ გარემოებებში – ღვთის მოწყალებას, შემოქმედის მუდმივ ზრუნვას ჩვენზე. მაშინ თვალი აგვეხილებოდა და დავინახავდით, რომ ღმერთი აქვეა, სულ ახლოს, და არავითარი ცხოვრებისეული გარემოებები არ შეგვაშინებდა, არ გაგვაღიზიანებდა, არ დაგვამწუხრებდა. თუ უფლის სიტყვას მოვისმენდით, აღარასოდეს გაგვეკარებოდა უმწეობის განცდა და მოწყინება, რომელიც ჩვენი ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

ქრისტე მოდის, რათა განგვანათლოს. მაგრამ გვსურს კი, რომ თვალი აგვეხილოს? განა ჩვენ ისე ვითხოვთ, როგორც ის ბრმა ითხოვდა? მას აიძულებდნენ დადუმებულიყო, იგი კი გაჰყვიროდა. უფალმა ჰკითხა: „რაი გნებავს, რაითა გიყო შენ?“ ბრმას კი არც სიმდაბლე, არც მოთმინება და არც სხვა რამ არ უთხოვია. თუ ჩვენ ღმერთს მივმართავთ, ხომ ყველაფერს ერთად ვითხოვთ: „ღმერთო, ესა და ეს გვინდა, ჯანმრთელობა მოგვეცი, სამსახურშიც ყველაფერი კარგად იყოს, მოყვასთან ურთიერთობაშიც დაგვეხმარე, შეგვეწიე, შეგვეწიე, შეგვეწიე...“ თვალის ახელას კი არ ვითხოვთ, თითქოს ეს არც კი გვჭირდებოდეს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ თვალის ახელის გვეშინია. ვინ იტყვის ჩვენს შორის იმ ბრმასავით: „უფალო, მინდა, რომ თვალი ამეხილოს!“ ეს ხომ მეტისმეტად ძლიერი ნათქვამია! ეს ნიშნავს ყველაფერი დაინახო ისე, როგორც სინამდვილეშია და არა დამახინჯებულად – პირველ რიგში სა-

კუთარი თავი დაინახო სწორად. ეს კი მძიმე და უსიამოვნო გრძნობაა, რადგან ძალიან გვინდა, რომ საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა გვქონდეს.

უფალი არაფრისაგან ქმნის

როცა ადამიანი ნამდვილად გააცნობიერებს, რომ არაფერს წარმოადგენს, მაშინ ღმერთი მისგან რაღაც დიდის შექმნას დაიწყებს.

ღირსი ნექტარიოს ოპტინელი

რატომ არის, რომ სახარებაში ასე ხშირად ვხედავთ ფარისევლობის უარყოფას, მიუღებლობას და მხილებას? იმიტომ, რომ ფარისეველთა სიმართლე ნამდვილი არ არის. ყველაფერი კარგია, მაგრამ ყალბი. ის კი, რაც ნამდვილი არ არის, ნამდვილად ვერ ჩაითვლება, როგორც ყალბი ოქრო ვერ გახდება ნამდვილი. ნამდვილი კი ყოველთვის ნამდვილია. მაგალითად, ნამდვილი ცოდვილი შეიძლება ნამდვილი მართალი გახდეს, მაგრამ არანამდვილი მართალი ვერაფერი ვერ იქნება, რადაგან, როდესაც სცოდავს, მაშინაც არ შეუძლია თავი ნამდვილ ცოდვილად იგრძნოს – ყოველთვის მოახერხებს თავის მართლებას და იტყვის: „მე ხომ მართალი ვარ, ასეთი რამ როგორ უნდა მომსვლოდა!“

როდესაც კაცი თავის ცოდვებს დაინახავს, არ მოსწონს საკუთარი თავი და აღსარებაზე ხშირად უკმაყოფილო მოდის. უკმაყოფილება ამპარტავნების გამოვლინებაა, უკმაყოფილებასა და ამპარტავნებას გამოხატვის მსგავსი ფორმები აქვთ. კაცი ზოგჯერ ფიქრობს: „ცუდად მოვიქეცი, ეს საშინელებაა. მაგრამ ვერ გამიგია, ეს როგორ მოხდა. მე ხომ ძალიან კარგი ვარ, ასე საშინლად რატომ მოვიქეცი?“ იგი უკმაყოფილოა საკუთარი საქციელით და ამ უკმაყოფილებას შეეძლო მისთვის ბევრი რამ ესწავლებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს ასწავლის. მას არ სურს გაიგოს, რომ დაცემა, მცირე იქნება ის

თუ დიდი, ცოტათი მაინც ეხმარება საკუთარი თავის დანახვაში და, ესე იგი, დაეხმარება გამოსწორებაში. ადამიანს უბრალოდ არ სიამოვნებს, რომ ასეთია: მას ხომ საკუთარ თავზე სულ სხვა წარმოდგენა აქვს. იგი მზადაა აღიაროს, რომ ცუდად მოიქცა, მაგრამ საკუთარ თავზე აზრის შეცვლა მაინც არ სურს – ამიტომ ვერასოდეს დაინახავს სწორად თავის თავს. ყოველივე ნამდვილი მისთვის სავსებით დაფარულია, რჩება მხოლოდ ერთგვარი უნაყოფო უკმაყოფილება საკუთარი ცოდვების, როგორც მისატევებელი შეცდომის გამო: „ოჰ, რა საწყენია, ისევ მომიხდა მოყვასის შეურაცხყოფა... რაღაც უდროო დროს შემეფეთა! არ მინდოდა, მაგრამ ასე გამომივიდა.“ და ბოლოს და ბოლოს, მთელი მისი ცხოვრება შეიძლება ასეთი დასანანი შეცდომა აღმოჩნდეს.

და პირიქით, ადამიანს, რომელიც ნამდვილად ნანობს, საკუთარ თავზე სულ სხვა აზრი აქვს: „ჩემი თავი კარგი მეგონა, ახლა კი ვიცი, სინამდვილეში რასაც წარმოვადგენ“. ასეთმა ცოდნამ საკუთარი თავის შესახებ იგი შეიძლება ერთგვარად გაახაროს კიდეც. ის კი არ უხარია, რომ შესცოდა, არამედ ის, რომ შეუძლია სხვა გახდეს. რაში მდგომარეობს სინანულის სახარული? იმაში, რომ ადამიანს საშუალება ეძლევა შეიცვალოს. გულწრფელი სინანული შეიძლება ხშირად ძალიან უსიამოვნო და მტკივნეული გრძნობა იყოს, მაგრამ სასიხარულოცაა იმით, რომ როცა კაცი საკუთარ ცოდვას დაინახავს, იმავე დროს მას ამ ცოდვისაგან გათავისუფლების შესაძლებლობაც ეძლევა.

ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი ალბათ მაინც სულიერი ხიბლია – თავის მოტყუება. ჩვენ მართლაც ხშირად ვიტყუებთ თავს, როცა მხოლოდ ფასადს ვქმნით სულიერი ცხოვრებისა: ლოცვას ვესწრებით და არ ვლოცულობთ, ფიზიკურად ტაძარში ვართ, გონებით კი – სულ სხვაგან, ქრისტეს საიდუმლოებებს ვეზიარებით, მაგრამ ღმერთს არ ვუერთდებით. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში ბევრი სიყალბეა, ბევრია გარეგნული, ნამდვილი კი, ის, რაც უფალთან შეეერთების საშუალებას მოგვცემდა, ძალიან ცოტა.

ქრისტე ხომ ნამდვილად მოვიდა ნამდვილებთან. ცოდვი-

ლები უმალვე მიხვდნენ, რომ ისინი ნამდვილი ცოდვილები არიან, და რომ ცოდვა ნამდვილი სიკვდილია, მათთან კი ნამდვილი სიცოცხლე მოვიდა. და მაშინ მათ ეს ნამდვილი სიცოცხლე მოსწყურდათ და ნამდვილი მართალნი გახდნენ, წმინდანები, ღირსნი. მეზვერენი და მეძავნი პირველები შედიან ცათა სასუფეველში, მაგრამ არა როგორც მეზვერენი და მეძავნი, არამედ როგორც მართალნი, რადგან საკუთარი ცოდვების გაცნობიერებამ მათ ღმერთთან ურთიერთობის სიხარული მიმადლა.

გაიხსენეთ დილის კანონის მერვე ლოცვა. იგი გვიჩვენებს, თუ რა უსაზღვროა ღვთის მოწყალება, მიუხედავად ადამიანის არასრულყოფილებისა. იქ არის ასეთი სულის შემძვრელი სიტყვები: „უკეთუ მნებავს ანუ არა, ქრისტე, მაცხოვარო ჩემო, მსწრაფლ მეწიე მე, რამეთუ მოვსწყდები“. ამის თქმა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც იხრჩობა, თავისი დაცემის სიღრმიდან ითხოვს შველას და ესმის, რომ გადარჩენის ღირსი სულაც არ არის.

ალბათ გახსოვთ ერთი ამბავი ანტონი დიდის ცხოვრებიდან, თუ როგორ მივიდა იგი მეწაღესთან სულიერი ცხოვრების სასწავლად. მეწაღე იჯდა და ფიქრობდა: „ყველა ცხონდება ჩემს გარდა“. ესაა მონანული გულის ღაღადისი, როცა ადამიანი ნამდვილად გრძნობს, რომ იღუპება: „სხვები ცხონდებიან, უფალო, მე კი შენ მაცხოვნე! შენ თავად თქვი, რომ ვინც შენ გიწამებს, ის არ მოკვდება. და აი, მე მწამს! კეთილი საქმეები არ გამაჩნია, მხოლოდ სარწმუნოება მაქვს. დაე, ამ სარწმუნოებამ სძლიოს ყველაფერს. მსწრაფლ მეწიე, რამეთუ წარვწყმდები!“

თავი უშურველად დაიდანაშაულე, წაგებული რომ არ დარჩე

თავის მართლებას არაფერი აქვს საერთო სულიერ ცხოვრებასთან. როცა თავს იმართლებ, თითქოს კედელს აგებ შენსა და ღმერთს შორის, და ამგვარად წყვეტ მასთან ყოველგვარ კავშირს.

ბერი პაისი მთაწმინდელი

თუ კაცმა იცის უფლის მცნებები და უსმენს სინდისის ხმას, ის ყოველთვის გრძნობს, როდის შესცოდა, მაშინაც კი, როცა ცოდვა ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული. ამის შემდეგ მას სხვადასხვა გზები უდევს წინ, რომლებსაც მისი სული, მისი მდგომარეობა, მისი თავისუფალი ნება განსაზღვრავს.

არსებობს მრავალი მიზეზი, რომელიც ადამიანს თავისი საქციელის გამართლების უფლებას აძლევს და ხელს უშლის უბრალოდ აღიაროს სიმართლე საკუთარ თავზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ძალიან ხშირად ვცრუობთ, გაკვეთილზე დაგვიანებული ბავშვივით, რომელიც იმის მაგივრად, რომ აღიაროს, დილით ადგომა დამეზარაო, თავის გასამართლებლად ათას მიზეზს იგონებს. ჩვენც ამ ბავშვივით ვიტყუებით, ოღონდ საკუთარი თავი არ დავიდანაშაულოთ, არ დავმდაბლდეთ და ჩვენს ნებაზე ვიაროთ.

მადლობა ღმერთს, ჩვენ სხვა გზაც გვაქვს – სინანულისა და აღსარების გზა, გვაქვს საშუალება, რომ არასდროს ვიმართლოთ თავი. მაგრამ ზოგჯერ, როცა ადამიანი აღსარებაზე მიდის, მას არ შეუძლია თავი დააღწიოს ამ ჩვევას. აღსარებისთვის, ესე იგი, გამოსწორებისა და სიმართლესთან ზიარებისთვის, ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, როცა სინანულში თავის მართლებისა და ცხოვრებისეულ გარემოებათა მომიზეზების გარკვეული ელემენტი არსებობს: „ეს რომ არა, ასე არ მოვიქცეოდი... რა ცუდად გამოვიდა, რომ სწორედ ამ დროს...“

რატომ არის ცუდი თავის მართლება და რა ზიანი მოა-

ქვს მას? როცა ადამიანი თავს იმართლებს, საშუალებას არ იძლევა, რომ ეს ვინმე სხვამ გააკეთოს. მართლაც, რა ხდება აღსარების დროს? უფალი ჩვენ განგვამართლებს, თავისი სიმართლით იგი ჩვენს ცოდვებს ფარავს. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაძლევთ ღმერთს ჩვენი გამართლების საშუალებას, როცა საკუთარ თავს ვაყვედრით, ვადანაშაულებთ და ვსჯით.

მაგრამ ჩვენი აღსარება ხშირად იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ თავს თვითონვე ვპატიობთ. თვითონვე მივუტევებთ თავს ცოდვას და მერე ყოველი შემთხვევისთვის აღსარების სათქმელად მივდივართ, იმისათვის, რომ ჩვენი ცოდვების შენდობა ჩვენს მიერვე დადასტურდეს. სამწუხაროდ, ჩვენი სულიერი ცხოვრება ხშირად სწორედ ასე იგება: ყოველი ჩადენილი ცოდვა პირველ რიგში ჩვენს მიერვეა შენდობილი. ყოველ არაწმინდა გულისსიტყვას, ყოველ უკეთურ სურვილს, ყოველ წვრილმანს საკუთარ თავს წინასწარ შევუნდობთ და მერე ჩავდივართ მას – და დარწმუნებულები ვართ, რომ უფალი შეგვინდობს. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ საიდუმლო ამგვარად აღესრულებოდეს, რომ უფალი ასე მოგვიტევებს. უფალი თავისი მოწყალების გამო შეგვინდობს, ნამდვილ მოწყალებას კი არ შეიძლება ასე მოექცე. ნამდვილ სიყვარულთან ასე ხუმრობა არ შეიძლება. შეუძლებელია ყოველთვის ფორმალურად, გულგრილად მიეახლო ღმერთს, რათა უბრალოდ ანგარიში ჩააბარო შენი ცოდვებისთვის.

აღსარება ჩვეულებრივ ქმედებას ემსგავსება, ერთგვარ ოპერაციას, რომელსაც ადამიანი შეეჩვია, და არც ღვთის, არც სასჯელის შიშს, არც ძრწოლას ჩადენილის გამო ის უკვე აღარ განიცდის. მას მხოლოდ გონებით ესმის, რომ რაღაც ცოდვაა, სხვა რაღაც კი არა, ეს შეიძლება, ის კი არა. და თურმე ის, რისი გაკეთებაც არ შეიძლება, შეგიძლია გააკეთო, ოღონდ მერე აღსარებაზე უნდა მიხვიდე და ცოდვაც მოგეტევება. რა თქმა უნდა, უფალი ყველაფერს შეგვინდობს. არ არსებობს ცოდვა, ღვთის მოწყალებას რომ აღემატებოდეს. მაგრამ ბევრს არ შესწევს უნარი ეს მოწყალება მიიღოს, თუკი მათ სულ სხვა მისწრაფებები და სულ სხვა სურვილები აქვთ.

მაინც რა გვინდა: ცოდვების შენდობა თუ ის, რომ ნება მოგვცენ ვცოდოთ და დაუსჯელად დავრჩეთ? აი, ეს კითხვა უნდა დავუსვათ საკუთარ თავს. ისე არ გამოვიდეს, რომ შეგნებულად ვცოდავთ და უფალს ვთხოვთ, ეს როგორმე გადაფაროს, რათა შემდგომშიც ასევე უპასუხისმგებლო ცხოვრების შესაძლებლობა მოგვეცეს. შეიძლება რეგულარულად ამბობდე აღსარებას და საკუთარ ტყუილში რჩებოდე, კი არ ნანობდე, არამედ თავს იმართლებდე და ცრუობდე, შეეჩვიო, რომ ამ სიცრუემ შეიძლება შენი ხვედრი შეამსუბუქოს. იცრუებ, ესე იგი, სასჯელს თავს დააღწევ, მოიპოვებ იმის შესაძლებლობას, რომ შემდეგშიც იოლად იცხოვრო, როგორც გინდა, ისე მოიქცე. და აი, ადამიანი იქამდე მიდის, რომ არ შეუძლია არ იცრუოს. ნაცვლად იმისა, რომ თავს აყვედროს და სიმართლე თქვას, ათას რამეს იტყვის თავის სამართლებლად, ერთი სიტყვის გარდა: „შევცოდე“. და საბოლოოდ იგი ისეთი რჩება, როგორიც იყო, ადგილიდან არ იძვრის. ასეთების შესახებ ითქვა სწორედ: „სახელი გაქუს და ცხოველ ხარ და მკვდარ ხარ“ (გამოცხ. 3,1).

შიში შობს გლოვას, გლოვა კი – სიმამაცეს

თუ ადამიანს ღვთის სიყვარულის მოხვეჭა სურს, ჯერ ღვთის შიში უნდა მოიპოვოს. შიში შობს გლოვას, გლოვა კი – სიმამაცეს.

წმ. ანტონი დიდი

სინანულს, საკუთარი თავის დაძლევის მცდელობას სულიერი ბრძოლა ეწოდება და დიდ სიმამაცეს მოითხოვს. უფალი, ითვალისწინებს რა ჩვენს ძალებს, ყოველ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, რომ იგი მხნე იყოს, და ჩვენი ძალებისა და მხნეობის შესაბამისად გვანიჭებს საკუთარი ცოდვების ხედვას.

ხშირად, როდესაც აღსარებისთვის ვემზადებით, ყოველი შემთხვევისათვის საკუთარი ცოდვების უზარმაზარ ნუსხას ვადგენთ, მაგრამ რა აზრი აქვს ამას? ყველა ჩვენი ცოდვა ხომ მაინც არ ვიცით. უფალი თავისი სიბრძნისა და სიყვარულის გამო ცოდვებს ერთბაშად კი არ გვიჩვენებს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ვართ მზად და რამდენად შეგვიძლია ამ ცოდვების ძლევა. ღმერთს რომ უეცრად დაენახებინა, რას წარმოვადგენთ სინამდვილეში, სასოწარკვეთილება ბოლოს მოგვიღებდა, ამას ვერ გავუძლებდით – არც საკუთარ თავთან ბრძლის ძალა გვეყოფოდა, არც ცხოვრების გაგრძელებისა. ამიტომ მოწყალე უფალი ყველაფერს ერთბაშად არ მოითხოვს ჩვენგან, არამედ გვაძლევს დროს, რომ თანდათან განვიწმინდოთ. და მხოლოდ ჩვენი სულიერი ზრდისა და განმტკიცების შემდეგ ჩაგვახედებს საკუთარ უფსკრულში, გვაძლევს ცოდვასთან ბრძოლის უნარს და თანდათან გვმატებს ძალას. ყველა წმინდანი თავის თავს უდიდეს ცოდვილად მიიჩნევდა: მათ ჰქონდათ უდიდესი გამბედაობა საკუთარი თავის რეალურად ხედვისა.

ელემენტარული ადამიანური სიმამაცე იმაში მდგომარეობს, რომ არ გვეშინოდეს ღმერთისგან შეგონების მიღებისა. ხშირად ურევენ ერთმანეთში ორ ცნებას – სიმამაცესა და უშიშრობას, ისინი სინონიმები ჰგონიათ, მაგრამ ეს ასე არ არის. საფუძვლად ორივეს გამბედაობა უდევს, სიმხდალისა და შიშის დაძლევა, მაგრამ შიშის არქონა ყოველთვის კარგი როდია. მაგალითად, დღეს ჩვენს მოზარდებსა და ბავშვებს მისაბაძ მაგალითად უსახავენ და თავს ახვევენ საკულტო წარმოდგენას სიმამაცეზე, რომლის მიხედვითაც გმირი კაცობრიობის მხსნელის, მესიის როლში გვევლინება. მას მართლაც არაფრის ეშინია – და პირველ ყოვლისა, არ ეშინია ცოდვის.

სინამდვილეში ყოველ ადამიანს რაღაცის ეშინია, უმეტესად ეს სხვისი აზრის შიშია, რომელიც ხელს უშლის მას, რომ ღვთისა ეშინოდეს და სტაცებს ღვთის ნიჭებს. ასკეტური განმარტებით, კაცთმოთნეს არ შეიძლება ღმერთის ეშინოდეს. ნამდვილი სიმამაცე ღვთის შიშს უკავშირდება: ეს ის შიშია,

რომელიც ადამიანს საკუთარ თავს ავიწყებს, ეხმარება დარჩეს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, ეს ის შიშია, რომელიც თავის საუკეთესო გამოვლინებაში ღვთის სიყვარულს წარმოადგენს. ადამიანი, რომელსაც ღვთისა ეშინია, არ ფიქრობს, როგორი თვალით უყურებენ მას, დაუჯერებენ თუ არა, შეაქებენ თუ არა – იგი თავისუფალია ასეთი აზრებისაგან.

იმისათვის, რომ საკუთარ თავს დაუბრუნდე, უბრალოდ იყო ის, რაც ხარ, დიდი სიმამაცეა საჭირო – იმისათვის, რომ იყო და არა ჩანდე ასეთი, იმისათვის, რომ მუდმივად არ აიძულებდე თავს სხვისი როლის თამაშს, არ ცდილობდე ჩანდე ჭკვიანი, იყო ლამაზი, მომხიბლავი ან კიდევ რაიმე სხვა: ამ ცხოვრებაში ხომ ყველას თავისი როლი აქვს მორგებული და წვრილმანებამდე დამუშავებული.

სიმამაცის აღზრდა ოჯახში, ეკლესიაში, ასევე ამა თუ იმ მორჩილების შესრულებისას ხდება – პირველ რიგში, როგორც საკუთარ ქცევებზე პასუხისგების უნარი. სინდისი სიმამაცის აღზრდის საფუძველია, აქ მისი საწყისებია დაფარული. სიმამაცე მცირედში ერთგულებით იწყება და ადამიანში, როგორც სინდისის მოქმედება, ისე გრძელდება, შემდეგ კი სიმდაბლედ ვლინდება, რადგან სიმამაცე და სიმდაბლე შეიძლება ერთმანეთს გავუთანაბროთ, თუ ყველაფერში არა, გარკვეულ წახნაგებში მაინც – იქ, სადაც სიმამაცე სიმდაბლედ იქცევა, სიმდაბლე კი სიმამაცედ. თუმცა ეს ორი ცნება თავისთავად დიდი ცნებებია და ისინი ერთმანეთს ვერ ფარავენ, მაგრამ ყოველ ადამიანს შესწევს უნარი იმდენად აღზარდოს თავის თავში სიმამაცე, რომ არ შეეშინდეს იმის აღიარების, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში, ნამდვილად დაინახოს საკუთარი თავი და ეს ხედვა შეინარჩუნოს.

თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი

სახარებისეულ ამბავში იღბლიანი თევზაობის შესახებ პეტრე მოციქული ამბობს: „მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაი მოვიღეთ, ხოლო სიტყვითა შენითა გარდაუტეოთ ბადე“ (ლუკა, 5,5), როდესაც პეტრემ უფალს გული ბოლომდე გაუხსნა, ირწმუნა მისი და შეძლო მოქცეულიყო უფლის სიტყვისაებრ, მოხდა სასწაული: მებადურებმა წყლიდან ბადის გამოთრევა დაიწყეს და იმდენი თევზი ამოიყვანეს, რომ ნავმა ჩაძირვა დაიწყო. აი მაგალითი, თუ როგორ ეხმიანება უფალი ადამიანის გადაწყვეტილებას, მის სურვილს, იყოს ღმერთთან და დაუცხრომლად ეძიოს უფლის ნება, რა აბსურდული, უცნაური და წამგებიანიც არ უნდა ჩანდეს ეს ხანდახან პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე. და პასუხად კაცი უფლის წყალობას იღებს, მის უზომო მადლს და ღრმა განათლებას.

ღამე ხომ გადის, და როცა თენდება, სინათლე ყველაფერს გამოაჩენს. ამ ნათელში პეტრე დაინახავს, თუ რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო“ (ლუკა, 5,8) – ეუბნება იგი მაცხოვარს. პეტრესთვის ნათელი გამობრწყინდა, მან უცებ დაინახა, თუ როგორ ცხოვრობდა მთელი ამ წლების განმავლობაში, როგორი იყო მისი დამოკიდებულება ღვთისადმი, ადამიანებისადმი. და თანაც ესაა მომავალი მოციქული, ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანი, ვინც ერთი პირველთაგანი გაჰყვა ქრისტეს! და მანაც კი, როცა საკუთარი თავი დაინახა, თქვა: „განვედ ჩემგან, უფალო“. მაგრამ ქრისტემ უთხრა: „ნუ გეშინინ“ (ლუკა, 5,10). ნუ გეშინია, რომ ასეთი ხარ, ნუ გეშინია, რომ შენი ცოდვები დაინახე, ნუ გეშინია, რომ ბოლოს და ბოლოს შენთვის ნათელი გამობრწყინდა და საკუთარი ცოდვების დანახვის გამო შიშმა მოგიცვა. ნუ გეშინია!

ამ სიტყვებს უფალი ჩვენც გვეუბნება, როდესაც ნათლის სხივი ჩვენი სულის წყვდიადში შეაღწევს და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორები ვართ ღმერთთან მიმართებაში ჩვენს შეშლილ,

უაზრო, ასეთ წვრილმან და უმადლო ცხოვრებაში, როდესაც ძუნწი რაინდის მსგავსად ზურგს ვაქცევთ ღმერთს, რათა დაგროვილი სიმდიდრით სავსე სკივრები დავითვალოთ. და მაშინ გვინდა საკუთარ თავსაც კი დავემალოთ, გავექცეთ, არ დავინახოთ, ისე მოვიქცეთ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ასე ცხოვრებაც შეიძლებოდეს. ეს იმიტომ გვემართება, რომ ძალიან ძნელია საკუთარ თავს ასეთ ცოდვილად ხედავდე, ძალიან მძიმეა ამ ცოდნით ცხოვრება. უფალი კი გვეუბნება: „ნუ გეშინინ“, – რამეთუ მადლი, რომელსაც უფალი ადამიანს აძლევს, მთლიანად გარდაქმნის მას.

აი, კიდევ რას ეუბნება ქრისტე პეტრეს: „ნუ გეშინინ, სიმონ, ამიერითგან იყო კაცთა მონადირე“ (ლუკა, 5,10) – ანუ შენ თვითონ მოგეცემა კაცთა განათლების უნარი. საკუთარი ცოდვების, საკუთარი უძლურების, საკუთარი სიბნელის დანახვის გზით შენ სხვების განათლებას შეძლებ. და აი, რას აკეთებენ ეს ადამიანები, რომლებმაც ისმინეს უფლის სიტყვები: ისინი ტოვებენ ყოველგვარ საკუთრებას, ყველაფერს, რაც მათი ცხოვრების აზრს შეადგენდა და ქრისტეს მიჰყვებიან. ამიერიდან მოციქულებსა და ქრისტეს შორის უკვე არავითარი ზღუდე, არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს.

უფალი მოგვიწოდებს უხვად ვთესოთ, მივატოვოთ ყველაფერი – ჩვენი საქმეები, ჩვენი ოჯახები და მასთან ვიყოთ, რამეთუ ღამე წარხდება და დღე მოგვეახლება. ჩვენ ღამის შვილები კი არა ვართ, არამედ ძენი ნათლისანი.

თავი X

მორჩილების თავისუფლება

თავისუფალი იყავი, თუმცა ხორცის ბორკილებით ხარ შეკრული, და ქრისტეს გულისთვის დაამტკიცე შენი მორჩილების თავისუფლება.

წმ. ეფრემ ასური

არაფერი გვსურდეს, გარდა იმისა, რაც ღმერთს უყვარს და სურს

სულიერი ცხოვრება მსხვერპლზე გადის, და სხვაგვარად შეუძლებელიცაა: როცა ქრისტე მოდის, რათა აღასრულოს ყოველი სიმართლე, მას მსხვერპლად საკუთარი თავი მოაქვს. სიმართლის აღსრულება ყოველთვის ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის მიბაძვაა.

როდესაც ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ვეზიარებით, ევქარისტიული კანონის ლოცვაში ასეთი სიტყვები გვესმის: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა; სვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“.

განტეხილი ხორცი, დათხეული სისხლი... ეს ხომ ჯვარია. ბარძიმი, რომელიც მღვდელს ჩვენთვის გამოაქვს, ქრისტეს განხორციელებული ჯვარცმაა. ჯვარცმული ქრისტე თავისი განტეხილი ხორცით და დათხეული სისხლით მოდის ჩვენთან, და ჩვენ უბრალოდ ერთგვარ ენერგიებს კი არ ვეზიარებით იმ სურვილით, რომ მთელი ჩვენი არსება ბედნიერებამ და სიხარულმა მოიცვას, რომ ფიზიკური ძალებითა და ჯანმრთელობით სავსენი გავხდეთ... არა, ჩვენ ქრისტესთან მივდივართ, მის ჯვარცმასთან. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჯვარი მძიმეა, ჩვენი ცხოვრება, რომელსაც უფალს ვანდობთ, შეიძლება ძალიან შეიცვალოს, და შეიცვალოს ჩვენთვის არასასურველი მიმართულებით. მხოლოდ მაშინ, თუ უფალთან საკუთარი სურვილით მივდივართ – იმ სურვილით, რომ ჩვენი თავი მას მივუძღვნათ, მადლი, რომელსაც უფალი გვანიჭებს, მასთან გვაერთიანებს და გარდაგვქმნის.

ღმერთთან შეერთება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საკუთარ თავს მთლიანად მას შევწირავთ მსხვერპლად. სხვა ამბავია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი სრული თავგანწირვა, რადგან ჩვენში ყველაფერი გაუკუღმართებულია და საპირისპირო მიმართულებით მიიწევს. მაგრამ უფალი მხოლოდ ჩვენს გადაწყვეტილებასაც კი შეინირავს.

ნება ღვთისა და სიმართლე ღვთისა, არსებითად, ერთი და იგივეა. ადამიანი, რომელსაც სურს ღვთის ნებას მისდიოს, მუდამ უსმენს მის სიმართლეს. წმინდა წერილიდან კარგად ვიცით, რომ ტყუილის მამა სატანაა. რაც არ უნდა სასტიკად ჟღერდეს, თუ ჩვენი ნებით ვუერთდებით ტყუილს, ამით ღვთის ნებასა და ღვთის სიმართლეს კი არა, სატანის ნებას ვასრულებთ.

ღვთის ნების თანახმად ცხოვრება ღვთაებრივ თავისუფლებაში ცხოვრებას ნიშნავს. ეს არც ისე ადვილია. ძნელია დათმო შენი თავისუფლება – გაუკუღმართებული, დაბნელებული, თვითნებური თავისუფლება, მაგრამ სხვაგვარად, ამ მსხვერპლის გარეშე, თავისუფლებას ვერ ისწავლი.

საკუთარ თავს მინდობილთ იმთავითვე წარწყმედა გველოდა

რა ძნელი საქმეა საკუთარი თავის ღვთისათვის შეწირვა! ვიწრო და საჭირველია უფლისკენ სავალი გზა, მხოლოდ ღვთის შეწევნით მივიწევთ წინ... საკუთარ თავს მინდობილთ იმთავითვე წარწყმედა გველოდა.

წმ. ალექსი მეჩევი

კიდევ ერთი სახარებისეული ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ განკურნა უფალმა ბრმადშობილი (იოანე, 9,1). განკურნა რაღაც უცნაურად: ბრმას თვალებზე თიხა სცხო და სილოამის საბანელზე გააგზავნა.

ეს უბრალოდ ავადმყოფი კი არ იყო, არამედ ადამიანი, რომელსაც თვალის ჩინი დაბადებიდან არ დაჰყოლია, განკურნების არავითარი იმედი არ ჰქონდა და თავის მდგომარეობას სავსებით შეგუებული იყო. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ბრმა, მთელი სიცოცხლე ერთ ადგილას რომ იჯდა და მოწყალებას ითხოვდა, სრულიად დაუფიქრებლად, უფლის ერთი მოწოდებისთანავე მიდის იქით, საითაც ვიღაც მიუთითებს, ვისი ამბავიც ყურმოკვრით გაუგია და მხოლოდ ის იცის, რომ მას იესო ჰქვია. წესით, ბრმას უნდა შეშინებოდა და უნდა ეფიქრა: „კი მაგრამ, სად უნდა წავიდე, ან ეს საბანელი როგორ ვიპოვო, როცა მხოლოდ ის ადგილი ვიცი, სადაც ვზივარ?“ მაინც ადგა და წავიდა. ალბათ ყველა დასცინოდა, რადგან სახე თიხით ჰქონდა მოსვრილი, ბორძიკით მიდიოდა, მიდიოდა და ეცემოდა, დიდხანს მიდიოდა, სანამ იმ ადგილს არ მიაღწია, უფალმა რომ მიანიშნა. ადამიანი, რომელმაც ასე ბოლომდე მიანდო მაცხოვარს თავისი სიცოცხლე, საბანელამდე მივიდა, პირი დაიბანა და თვალი აეხილა.

რა ბედი ეწია ამ კაცს შემდგომში? ჯერ ერთი, მისი არავის სჯეროდა, ფარისევლები და მწიგნობრები ყოველნაირად აიძულებდნენ უარი ეთქვა ქრისტეზე, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მისი სულიერი განკურნება შემთხვევითი იყო, რაღაც დამთხვევა, რადგან შეუძლებელია სასწაული ქმნას ადამიანმა, რომელსაც ბრალად საღვთო შჯულის დარღვევა ედება. მაგრამ განკურნებული არ აჰყვა ცდუნებას, ეს ამბავი ისე აღექვა, როგორც რაღაც თავისთავად მომხდარი და შემთხვევითი, ამიტომ იგი კრებულიდან გააძევეს. როდესაც მას ქრისტე შეხვდა და ჰკითხა, სურს თუ არა ირწმუნოს ძე ღვთისა, მან მიუგო, რომ სურს, თაყვანი სცა უფალს და თავის მხსნელში ჭეშმარიტი ძე ღვთისა აღიარა.

ასეთია ბრმადშობილის ამბავი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენი რწმენა კაცთა მიმართ რწმენა როდია, ეს არც ფარისეველთა რწმენაა და არც მწიგნობართა, რომელთაც ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან ღმერთის შესახებ: „ჩვენ მოსეს მოწაფეები ვართ“, – ეუბნებიან ფარისევლები სიბრმავისგან

განკურნებულს, – „ჩვენ ვიცით, ვინ არის წინასწარმეტყველი, ვინ მართალი და ვინ ცოდვილი, ვის უნდა ვუსმინოთ და ვის არა“. მათ ბევრი გაუგიათ, ბევრი წაუკითხავთ, ყველაფერი იციან, მაგრამ მთავარი ვერ შეძლეს – ვერ შეძლეს თავიანთი ცხოვრება უფლისთვის მიენდოთ.

ჩვენი რწმენა ამ ბრმადშობილის რწმენის მსგავსი უნდა იყოს. დიახ, ადამიანი ჯერ კიდევ ბრმაა, მან თავის ცხოვრებაში ბევრი რამ არ იცის, ღმერთის შეცნობა მას არ ძალუძს, რამეთუ ღმერთი თავისთავად მიუწვდომელია. მას ვერც წიგნებით შეიცნობ, ვერც კანონებით, ვერც რაღაც გარეგნული ცოდნით. დიდი სულიერი სიბრმავე და ამპარტავნებაა, როცა ვინმეს ჰგონია, რომ ღმერთის შესახებ რაიმე გაეგება. სინამდვილეში ღმერთი მხოლოდ მან იცის, ვისაც შეუძლია თავისი ცხოვრება ყოველგვარი ეჭვის, ყოველგვარი მერყეობის გარეშე მიანდოს ღმერთს. „უფალო, არ ვიცი, საით წავიდე, რა გზას დავადგე, ჩემი ცხოვრების გზაზე არავითარი წარმოდგენა არ გამაჩნია“, – ბრმადშობილის მსგავსად ამბობს ადამიანი, როდესაც ცდილობს თავისი ცხოვრება ღმერთს მიანდოს. მხოლოდ მაშინ შეძლებ ბოლომდე მიენდო ღმერთს, თუ თავს ნამდვილად სულიერად ბრმად იგრძნობ.

ასეთ ადამიანს, ცხადია, თვალხილული წინამძღვარი ესაჭიროება, რომელსაც იგი სავსებით ენდობა – ბრმამ ხომ არ იცის, რა გზით მიჰყავთ, იგი გზას ვერ ხედავს. ბრმას მხოლოდ იმედი შეიძლება ჰქონდეს, რომ თვალხილული სწორ გზაზე დააყენებს და გზა არ აერევა.

როდესაც გვსურს, რომ ღმერთს მივენდოთ, იმ ბრმას ვემსგავსებით, ვისაც წინამძღოლის გარეშე სწორ გზაზე დადგომა არ ძალუძს, არ შესწევს უნარი საკუთარი ცხოვრების ცთომილებებს თავი დააღწიოს. წინსვლა მხოლოდ ასე შეიძლება, მაგრამ ეს გზა იოლი არ გახლავთ. ადამიანს ყოველთვის ეჭვი იპყრობს: „იქნებ სხვა გზით მივყავარ, იქნებ მატყუებს, იქნებ ჩემმა წინამძღოლმა შუა გზაზე მიმატოვოს და საბოლოოდ ამებნეს გზა? იქნებ ჯობდეს ადგილზე დავრჩე და ისევ მოწყალება ვითხოვო? ეს უფრო ადვილია და ვინძლო უფრო

საიმედოც“, მაგრამ არა. სახარებისეული ბრმა გვიჩვენებს სულიერი ცხოვრების ერთადერთ შესაძლებელ გზას, რომელიც უფალთან მიგვიყვანს.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვეშინია გვწამდეს ისე, როგორც სახარებისეულ ბრმას სწამდა. გვგონია, რომ ჩვენ თვითონ შეგვიძლია რაღაც მოვსინჯოთ, რაღაც დავინახოთ, ჩვენ თვითონ ვცდილობთ სულიერი ბილიკების გაკვლევას, მაგრამ ეს ბილიკები ყოველთვის ჩიხით მთავრდება.

როგორ გვაკლია რწმენა ამ ბრმისა, რომელსაც შეუძლია ბოლომდე მიანდოს ღმერთს თავი, არ შეორგულდეს, არ მერყეობდეს და არ აჰყვეს არც ცთუნებებს, არც ამა სოფლისეულ პროვოკაციებს – სოფელი ხომ ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ძალგვიძს ჩვენ თვითონ გავიკვლიოთ გზა, რომ ის საოცარი მოვლენები და სულიერი განახლება, რაც ჩვენში ხდება, უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი. „მადლობა უთხარი მას და შენი გზით იარე“, – ეუბნებიან ბრმას მწიგნობრები და ფარისევლები. მაგრამ ბრმა, რომელსაც თვალი აეხილა, მათ ყურს არ უგდებს. და მაშინ მას ქრისტე შეხვდება და აძლევს უმაღლეს ცოდნას თავისი თავის შესახებ: „ეს მე ვარ, ძე ღვთისა“, – და ბრმა თაყვანს სცემს უფალს.

და ჩვენც უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: ბრმანი ვართ თუ თვალხილულნი, ღმერთთან ვართ თუ არა, მივდივართ კი იქით, საითაც უფალი მიგვითითებს, შეგვიძლია თუ არა დავამოწმოთ ის ნათელი, რომელიც უფალმა მოგვმადლა, ვართ თუ არა მზად, ბრმადშობილის მსგავსად, თაყვანი ვცეთ უფალს სულითა და ჭეშმარიტებით?

მორჩილების ვიწრო გზით

დაე კაცმა თავი უფალს მიანდოს და მორჩილების ვიწრო გზით ვიდოდეს, დაე სიხარულით მოუდრიკოს თავი ქრისტეს ამ ტკბილ უღელს და შეუორგულებლად სწამდეს, რომ მორჩილება მას ცხონებას უმზადებს.

წმ. ეფრემ ასური

ყოველთვის, როცა ვლოცულობთ: „იყავნ ნება შენი“, ჩვენ ვითხოვთ, რომ აღსრულდეს ნება ღვთისა. მაგრამ ნამდვილად გვსურს თუ არა ეს? ნება ღვთისა ჯვარია. ვითხოვთ, მაგრამ მზად ვართ კი ვიშრომოთ ღვთის ნების შესაცნობად? ნება ღვთისა საიდუმლოა. როგორ გავიგოთ იგი?

ღვთის ნების ძიება არ არის რაღაც იდუმალი ხეტიალი მისტიკურ ნიშნებს შორის, რომლებსაც თითქოს უფალი გვიგზავნის, ჩვენ კი მათი გამოცნობა გვევალება. ასეთი წარმოდგენა ანტიკურ მითოლოგიას ენათესავება, გეგონება ღვთის ნების შესახებ ფრინველთა ფრენის ან ბანქოს მიხედვით ვმკითხაობდეთ. თუკი ნამდვილად არსებობს ნება ღვთისა ყოველი ჩვენგანის შესახებ, უფალი ცდილობს, რომ ადამიანმა ეს ნება გაიგოს და იგრძნოს. ნება ღვთისა ჩვენი სინდისის მეშვეობით, ცხოვრებისეულ გარემოებათა მეშვეობით, მცნებათა აღსრულების მეშვეობით გვეცხადება, ზოგჯერ კი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, განსაკუთრებული ადამიანების – სულიერად გამოცდილი ბერების მეშვეობით.

თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ღვთის ნებას მხოლოდ გამოცდილი ბერისაგან შეიტყობთ. ყოველ ადამიანს შესწევს უნარი და ევალება კიდეც, ღვთის ნების თანახმად იცხოვროს. ამისათვის უბრალოდ შინაგანი სიმდაბლეა საჭირო, საჭიროა გულწრფელად ისწრაფოდეთ ამ სიმდაბლისკენ და დაუცხრომლად ითხოვდეთ ღვთისგან გულისხმისყოფის მონიჭებას – და გწამდეთ, რომ უფალი აუცილებლად მიგიყვანთ თავისი ნების შეცნობამდე. ამ გზაზე გარდაუვალია შეცდომები და დაცემები, მაგრამ თუ კაცს ღვთის ნების თანახმად ცხოვრება სურს,

იგი აუცილებლად მოახერხებს ამას. ხოლო თუ არ სურს, რომელ გამოცდილ მოძღვართანაც არ უნდა მივიდეს, მაინც თავის ნებას დაუწყებს ძებნას, რათა ბერის პასუხი მისთვის სასიამოვნო და ხელსაყრელი იყოს: „თუ რაღაც ისეთს მეტყვის, რის მოსმენასაც ველოდები, მაშინ ის კარგი ბერია, თუ არადა ვინმე სხვას უნდა მივმართო, სანამ ისეთს არ ვნახავ, როგორიც მე მინდა. და მაშინ ჩემი ნება თითქოს ბეჭდით იქნება დამტკიცებული – ყველაფერი სწორია და შემიძლია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე ვიცხოვრო“.

ღვთის ნების შეცნობა ნიშნავს, რომ ყურადღებით მოვუსმინოთ ღმერთს, ყური დავუგდოთ საკუთარ სინდისს. ნება ღვთისა საიდუმლოა, მაგრამ არა დაფარული, იგი მუდამ გვეცხადება, და მხოლოდ ჩვენს სიყრუესა და სიბრმავეს მივყავართ იქამდე, რომ მას ვეწინააღმდეგებით.

შეიძლება თუ არა სულიერი სიყრუის განკურნება? რა თქმა უნდა, შეიძლება. ხშირად ბავშვზე, რომელსაც მუსიკალური სმენა არა აქვს, ამბობენ, დათვმა დააბიჯა ყურზეო. მაგრამ მისი მშობლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, ამეცადინებენ, აიძულებენ სოლფეჯიოს მოჰკიდოს ხელი – და ბავშვს სმენა თანდათან უვითარდება. სულიერი სმენაც ამგვარად ვითარდება და ამის მიღწევა მორჩილების გზით შეიძლება.

სულიერ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია ყურადღებით მოსმენის უნარი, მორჩილება. თავად ქრისტე იყო მორჩილი ვიდრე სიკვდილამდე (იხ. ფილ. 2,8). ამაოდ კი არ თქმულა, რომ მორჩილება მარხვასა და ლოცვაზე მეტია, და იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ ღმერთს ამ სიტყვებით მივმართავთ: „იყავნ ნება შენი“. ამ დროს პრინციპულ მზადყოფნას ვაცხადებთ მორჩილებისათვის, რჩევა-დარიგებების მიხედვით ცხოვრებისათვის, მხილების მიღებისათვის, საკუთარი სინდისის ხმის მოსმენისათვის. უამისოდ კი ნება ღვთისა არ აღსრულდება.

მორჩილების შესახებ ხშირად სრულიად მცდარი, მიუღებელი წარმოდგენები ვრცელდება. რა არის მორჩილება – მონობა თუ თავისუფლება? ადამიანები, რომლებსაც სურთ, რომ

მათ დაემორჩილონ, ცხადია, იტყვიან, რომ თავისუფლებაა, ბევრი კი ასე სრულიადაც არ ფიქრობს. მორჩილება ნიშნავს, რომ ვიღაცის დავალება უნდა შევასრულო, ანდა მეუბნებიან, რომ რაღაც უნდა გავაკეთო, მე კი ეს არ მინდა. კარგია თუ ცუდი მორჩილება? ალბათ კარგია, მაგრამ ჩემთვის – ცუდი. როცა ადამიანს მორჩილებით ცხოვრება არ სურს, იგი ყოველთვის მოიფიქრებს რამეს, ოღონდ კი თავის ნებაზე მოიქცეს.

საკუთარ ნებაზე მოქცევის სურვილი ადამიანს მნიშვნელოვან სათნოებას აკარგვინებს – იმის უნარს, რომ თავისი სიყრუე და სიბრმავე ღმერთს მიანდოს. ღმერთი კი „ამპარტავანთა შეჰმუსრავს“ (იაკ. 4,6; 1 პეტრ. 5,5), ამპარტავანი უფლის ნებას ვერასოდეს შეისმენს, უფლის ნებას ვერასოდეს აღასრულებს. იგი მხოლოდ საკუთარ თავს მოუსმენს. მორჩილება კი არის ის, როდესაც ადამიანს უფლის სიტყვა ესმის.

მორჩილება შეიძლება აღიქვა როგორც თავისუფლების შეზღუდვა, როგორც უფროსის დესპოტიზმი უმცროსის მიმართ ანდა ძლიერისა – სუსტის მიმართ. მაგრამ სინამდვილეში, როცა ადამიანი თავს იდებს მორჩილებას, იგი თავის სულიერ სმენას განავითარებს და ცდილობს თვით ღმერთის ხმა ისმინოს – უბრალო ადამიანის სიტყვებში გაიგონოს ხმა ღვთისა, რომელიც პირადად მას მიმართავს.

მორჩილება მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოიწრთობა: თავდაპირველად მშობლების მორჩილებით, რადგან ისინი შვილს ცხონებისაკენ მიუძღვიან, შემდეგ კი სულიერი მოძღვრის მორჩილებით.

პროტესტანტები გვსაყვედურობენ, რომ მღვდელს მამას ვუწოდებთ. მართლაც, უფალი ბრძანებს, რომ მამა და მოძღვარი არავის ვუწოდოთ, გარდა ღმერთისა, ჩვენ კი ვუწოდებთ. მაგრამ ყველა იმ ადამიანში, რომელსაც ღმერთთან მივყავართ, სინამდვილეში ზეციური მამის სახე აირეკლება, ამიტომაც ვუწოდებთ მღვდელს მამას. ამქვეყნიური მამობა, მასწავლებლობა და სულიერი დამრიგებლობა, თუ მათში ზეციური მამობა არ აისახა, მადლს მოკლებულია.

მამობა მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და იგი კაცს ეძლევა,

როგორც უდიდესი ნიჭი: მშობელი მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი მშობელი, თუ მას შვილი ღმერთთან მიჰყავს, მასწავლებელი მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი მასწავლებელი, თუ ღვთის სიმართლეს ასწავლის, სულიერი მამა მხოლოდ მაშინ არის მამა, თუ ადამიანები თავისკენ კი არა, ქრისტესკენ მიჰყავს. ხელისუფალნი, თუ ისინი ხალხის მიმართ მამობრივ მზრუნველობას არ იჩენენ, ან ტირანები და მტანჯველები არიან, ან მძარცველები, რომლებმაც სრულიად უარყვეს თავისი ხალხი.

თუ მშობელი მამა არავითარ კავშირში არ არის ზეციურ მამასთან, მას არ შეუძლია სიყვარულის სრული სავსების განხორციელება, მისი მამობა ნაკლულევანია და მეტწილად მხოლოდ ბიოლოგიური, ინსტინქტური ხასიათი აქვს. უფალი ამბობს: „და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი“ (მათე, 10,36), რადგან ხორციელი სიყვარული ადამიანის მისაკუთრებას ცდილობს. მაგალითად, როცა ვინმე მონასტერში მიდის იმ სურვილით, რომ თავი უფალს შესწიროს, ისე ჩანს, თითქოს ღმერთი დედას შვილს ართმევდეს. მაგრამ როდესაც მამობა ზეციურ მამობასთანაა დაკავშირებული, იგი მარადიულობას ეზიარება და ისეთივე თავგანწირული და უსაზღვრო ხდება, როგორიც ზეციური მამობაა: იგი საკუთარი შვილების ცოდვებსაც დაფარავს და მათი გადარჩენისათვის თავს წირავს. ხორციელი მამა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი მამა, თუ შვილს ქრისტესთვის ზრდის და მასვე მიანდობს.

ქრისტე ჩვენს მამად შეიქმნება, როცა ეკლესიაში შევაბიჯებთ – ჩვენს ახალ სულიერ ოჯახში, სადაც ჩვენი ამქვეყნიური კავშირები კი არ ირღვევა, არამედ გარდაისახება. და მაშინ ჩვენ უფლის მიერ განვისწავლებით მისი სიყვარულის მეშვეობით: უწინ დედა გვაპურებდა, ახლა კი ქრისტე გვზრდის და გვასაზრდოებს, მაგრამ არა რძით, არამედ თავისი სისხლითა და ხორცით. ჩვენ სკოლაში განათლებას ვიძენთ, მაგრამ ნამდვილ განათლებას ქრისტე გვაძლევს. ეს სწორედ ის უმაღლესი განათლებაა, როცა კაცი ღვთის ხატად გარდაიქმნება. ხშირად ჩვენ განსწავლას განათლებას ვუწოდებთ, მაგრამ განა ქრისტე არ განგვანათლებს თავისი ჭეშმარიტი ნათლით? როდესაც

მისი მამობრივი სიყვარული აღგვავსებს, სიყვარულის ყოველი სხვა გამოვლინებაც ფერს იცვლის: მათ ღმერთისგან არ უნდა განგვაშორონ, არ უნდა გვექცნენ დაბრკოლებად ქრისტესკენ მიმავალ გზაზე.

თუ ადამიანს ცხონებისკენ მივყავართ, თუ ღვთის სიმართლეს გვამცნობს – შესაძლოა ბოლომდე და ყველაფერში ვერა, მაგრამ ქრისტესკენ კი მივყავართ – მაშინ ის ნამდვილი სულიერი მამა ხდება ჩვენთვის. მაგრამ თუ მოძღვარს ადამიანი ღმერთთან არ მიჰყავს, იგი აუცილებლად თვითონ იკავებს ღმერთის ადგილს, და ესაა ის შედეგი, რაც სექტების ყალბ რელიგიურ ცხოვრებას მოსდევს. სამწუხაროა, მაგრამ ასეთი რამ მართლმადიდებლობაშიც ხდება.

მაგრამ თუ მოძღვარი ისე ხელმძღვანელობს სულიერ შვილებს, რომ თავისი პიროვნებით ღმერთი არ დაჩრდილოს, იგი პირველ ყოვლისა თვითონ სწავლობს ღმერთის ხმის მოსმენას და მერე სულიერ შვილებსაც ასწავლის. მაშინ სულიერი მამობაც უსაზღვრო ხდება და მოძღვრის გულს ეძლევა უნარი დაიტიოს მასთან მოსული ადამიანების მწუხარება, ზრუნვა, უბედურება, სნეულებები და ტკივილი. და როცა ადამიანი მზადაა მორჩილებისთვის, როცა იგი ყურადღებით უსმენს, რას ეუბნება მოძღვარი, მაშინ მისი სულიერი სმენა იმდენად ვითარდება, რომ უკვე შეუძლია გულისხმაყოს ნება ღვთისა, შეასრულოს იგი და ამით გაიხაროს. სადაც მორჩილებაა, იქ სიმდაბლის დასაბამია, და სადაც სიმდაბლის დასაბამია, იქ უფალი თავის თავს გვიცხადებს.

სულიერი მოძღვარი

სულიერი მოძღვარი ერთგვარი ანგელოზია, ზეცით მოვლენილი, რათა ადამიანს ღვთის ნება გამოუცხადოს.

წმ. ალექსი მეჩევი

ვინ არის სულიერი მოძღვარი? რას ნიშნავს „სულიერი შვილი?“ ძალიან ძნელი ასახსნელია, მაგრამ მაინც შევეცდებით, ზოგიერთი რამ განვმარტოთ.

ყველა, ვინც მღვდელთან დადის (თუნდაც რეგულარულად), მისი სულიერი შვილი ვერ გახდება. ყველა ადამიანისთვის ვერ იქნება სულიერი მოძღვარი მღვდელი, რომელსაც იგი აღსარებას აბარებს – ეს გასაგებია. ამისათვის განსაკუთრებული, საიდუმლო ურთიერთობები უნდა გაჩნდეს. თუ ეს ურთიერთობები სწორად ჩამოყალიბდა, მღვდელს მართლაც ეძლევა შესაძლებლობა გარკვეული მნიშვნელობით ბერი (სტარეცი) გახდეს, ესე იგი, სრული სიზუსტით გამოთქვას ღვთის ნება და ადამიანის წინაშე მთელი სიმკაცრით აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი სიტყვებისთვის.

ამ დროს სულიერ მოძღვარს რაღაც უფრო მეტი ეძლევა, ვიდრე მღვდელს, რომელიც აღსარებას იბარებს: ის უკვე არა მარტო სინანულის მოწმეა, არამედ შეიძლება რაღაც განსაკუთრებული ცოდნაც მიეცეს ამ ადამიანის შესახებ.

ადამიანი უდიდესი საიდუმლოა. ეკლესიის სწავლების თანახმად, იგი უსასრულო და შეუცნობელია. მეტიც, მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, რომ როცა ადამიანი ნამდვილად უერთდება ღმერთს და განღმრთობას აღწევს, იგი არა მხოლოდ უსასრულო, არამედ დაუსაბამოც ხდება. ამიტომ ძალიან ძნელია ვინმეზე რაიმე თქვა. ადამიანის გარკვეული გზით წარმართვა ან მისთვის რაიმე განსაკუთრებული ნაბიჯის გადასადგმელად კურთხევის მიცემა ძალიან ძნელი ან თითქმის შეუძლებელიც კია. უფლის სახელით ლაპარაკი მღვდელს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ იგი თავად არის ღმერთში და თუ სულიერ შვილთან მისი ურთიერთობა ღმერთში ნამდვილად იშვა.

ასეთი ურთიერთობა სასწაულებრივად იშვება. როგორ ხდება ეს, როდის ან რა ვითარებაში, ამის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ არსებობს გარკვეული პირობები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ეს ოდესმე მოხდეს.

მღვდელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პირველ რიგში მას ყველას მიმართ თანაბარი სიყვარული მოეთხოვება, ამასთან ძალიან ფხიზელი სიყვარული. რამდენად სრულია სიყვარული, მღვდლის სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს, რომ ყოველი, ვინც მასთან მიდის, მთლიანად და ბოლომდე იტვირთოს. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მღვდელს ლოცვის მადლი გააჩნდეს, მზად იყოს ისე ილოცოს თავისი სამწყსოსთვის, რომ ეს ლოცვა ადამიანის ბოლომდე მიღებას ნიშნავდეს. უამისოდ ნამდვილი სულიერი სიახლოვე შეუძლებელია.

ბუნებრივია, რომ მღვდლის შესაძლებლობები შეზღუდულია: როგორც ადამიანს, მას არ ძალუძს ყველა თანაბრად უყვარდეს ან ადამიანების უსასრულო რაოდენობა იტვირთოს. იქნებ მხოლოდ ერთი-ორ კაცს უხელმძღვანელოს ან ესეც კი ვერ შეძლოს. ეს ყველაფერი ძალიან რთულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზრდება მოძღვარი სულიერად. რა თქმა უნდა, როდესაც მღვდელი სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლის არის და ახლად ნაკურთხია, ის ჯერ ვერავის მოძღვარი ვერ იქნება, არცა აქვს უფლება ვინმეს სულიერ ცხოვრებას უხელმძღვანელოს და სხვა ადამიანზე აიღოს პასუხისმგებლობა. ამიტომ მღვდელს დიდი სიმდაბლე და პატიოსნება მართებს, რათა აღსარებაზე მოსულს უთხრას: „არ ვიცი, არ შემიძლია, მზად არა ვარ“. და კითხვაზე: „როგორ მოვიქცე, რა ვიღონო, მამაო?“ მას შეუძლია მშვიდად უპასუხოს: „არ ვიცი“. მღვდელს აქვს უფლება, რაღაც არ იცოდეს, და შეუძლებელია მოვითხოვდეთ მისგან ყოვლისმომცველ მადლისმიერ ცოდნას ღვთის ნების ან თვით ადამიანის შესახებ.

მომსვლელის მოვალეობაა მღვდლისგან, როგორც კაცისგან, არაფერს მოელოდეს, და არ მოსთხოვოს იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა მოგვარებაც მისი საქმეა. მღვდელმა

შეიძლება არ იცოდეს და არც არის მოვალე, ყველაფერი იცოდეს: შეიძლება იცოდეს, მაგრამ შეიძლება ცდებოდეს კიდეც. რა თქმა უნდა, მოძღვარს შეიძლება რჩევა ვთხოვოთ, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მისგან, როგორც ადამიანისგან ვითხოვთ რჩევას. თუ უფალი ჩვენთვის უცნობი სახით როგორღაც ერევა საუბარში, ეს ჩარევა მღვდელზე სულაც არ გახლავთ დამოკიდებული. ამიტომ, როცა ყოფით საკითხზე მსჯელობთ, მერწმუნეთ, ეს ადამიანური რჩევებია და იმაზე მეტს არაფერს ნიშნავს, ვიდრე კონკრეტული საკითხის შესახებ გამოცდილი კაცის რჩევაა. ამიტომ არ უნდა შევიქმნათ ილუზია და ამას რაღაც განსაკუთრებული სულიერი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ოღონდ, თუ რჩევას ვითხოვთ და თან ამ საკითხზე ღვთის ნებასაც ვეძიებთ, მაშინ უფალი როგორღაც გვაძლევს მიმართულებას. მაგრამ ამის გაკეთება თავადაც შეგვიძლია, თუ ძალიან გვსურს და ჭეშმარიტად ვეძიებთ ღვთის ნებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა უნდა გავითვალისწინოთ: თუ ადამიანი სულიერ ხელმძღვანელს ეძებს, იგი სულიერი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. თუ სულიერი ცხოვრებით არ ცხოვრობს, რომელ სულიერ ხელმძღვანელობაზე ვლაპარაკობთ? თუ კაცი გამუდმებით არ ცდილობს სულიერად იცხოვროს, თუ გამუდმებით არ მიისწრაფვის ცხონებისკენ, სულიერ ხელმძღვანელს ვერასოდეს იპოვის. სულიერი ხელმძღვანელობა ადამიანს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა უკვე გზაზე დგას, კარგა მანძილი განვლო და უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. აი, მაშინ იწყება სულიერი ხელმძღვანელობა. ადამიანი ნამდვილი აღსარების სათქმელად მოდის და მღვდელი ხედავს, რომ ეს კაცი მასთან როგორც ვაჭარი ან როგორც მათხოვარი, ისე კი არ მოსულა, არც იმას ცდილობს, რომ თავისი ჯვარი მოძღვარს აჰკიდოს, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც სულიერი ცხოვრება უნდა. და აი, მაშინ მათ შორის შეიძლება შედგეს სულიერი კავშირი. კაცი მოძღვარს თავის სულიერ ცხოვრებას ანდობს, ესე იგი, მასთან ბოლომდე გულახდილია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭიროა საგანგე-

ბოდ აღიარო შენი გულისსიტყვები – ეს სრულიად ბუნებრივად ხდება, უბრალოდ, ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას დაუფარავად და სინანულით უშლის თვალწინ მოძღვარს. ამ წუთიდან შეიძლება დაიწყოს ის სულიერი მოქმედება, რომელიც ადამიანს სულიერ შვილად შეიქმს, მოძღვარს კი – მამად, და ამას ეწოდება სწორედ მორჩილება.

დაუკვირდით, როგორ უსმენთ

სულიერი ცხოვრება მორჩილებით იწყება. რა არის მორჩილება? ექიმი ყურში ფონენდოსკოპს იკეთებს და თავის პაციენტს უსმენს. მღვდელთან დაკავშირებითაც რაღაც ამის მსგავსი ხდება. იგი ძალიან ყურადღებით უსმენს ადამიანს, მუდამ ცდილობს ღვთის შეწევნით გაიცნოს იგი, ჩასწვდეს მის სულს. და თუ მღვდელს ამის უნარი შესწევს, საჭიროა, რომ ადამიანსაც შეეძლოს ბოლომდე გახსნა. როდესაც პაციენტი ექიმთან მიდის, იგი თავის მტკივან ადგილებს აშიშვლებს ექიმის წინაშე და მაშინ ექიმი მის მოსმენას იწყებს. ერთგვარად იგივე ხდება, როცა ადამიანი ნამდვილად სულიერი საჭიროების გამო მიდის მოძღვართან. იგი ახერხებს როგორღაც გაიხსნას, ბოლომდე გულახდილი იყოს მღვდლის წინაშე, რათა მღვდელმა შეძლოს ღრმად ჩასწვდეს კაცის სულს. ამის საპასუხოდ აღმსარებელი მორჩილებას იჩენს, ყურადღებით ისმენს ყოველ სიტყვას, რასაც მღვდელი ეუბნება, რათა შემდეგ ეს ყველაფერი შეასრულოს.

ძველად „მოსმენის“ ცნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მოწაფეები თან დაჰყვებოდნენ ფილოსოფოსს და უსმენდნენ, რას ამბობდა. ადამიანები სინაგოგაში დადიოდნენ, თორას და მის განმარტებებს ისმენდნენ. წმინდა წერილები მხოლოდ სინაგოგაში იკითხებოდა და იქვე ინახებოდა, სახლში ისინი არავის ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რა ყურადღებით უსმენდნენ წაკითხულს მწიგნობრები და ფარისევლები, რომლებმაც წმინდა წერილის ტექსტები ზეპირად იცოდნენ. მერე ადამიანები

უსმენდნენ მოციქულებს, რომლებიც ქრისტეს ქადაგებდნენ, ისმენდნენ სახარებას ტაძარში. არც სახარება ინახებოდა სახლებში – ეს იშვიათობა იყო. ადამიანები ყურადღებით უსმენდნენ სახარების თითოეულ სიტყვას და ეს სიტყვები მთლიანად ცვლიდა მათ ცხოვრებას.

დღეს მთელი კაცობრიობა სანახაობებზეა გადართული და ყველაფერს მათი მეშვეობით აღიქვამს. მაგრამ სანახაობებზე დამოკიდებულება ხომ სულიერი დაკნინებაა.

ჯერ კიდევ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იოანე ოქროპირი და სხვა მამები თეატრებისა და სხვა სანახაობების წინააღმდეგ წერდნენ – მათ წარმართობის გადმონაშთს უწოდებდნენ. და არა მარტო იმიტომ, რომ თეატრში წარმართული ან უზნეო წარმოდგენები იმართება, არამედ იმიტომაც, რომ ეს სამყაროს სულ სხვაგვარი აღქმაა. ჩვენ შევეჩვიეთ ნებისმიერი ინფორმაციის მხედველობითი სახეებით აღქმას, არადა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ ვისმენთ.

ეპისკოპოსი ათანასე (ეფტიჩი) თავის ლექციაში ისიქაზმის შესახებ ძალიან საყურადღებო აზრს გამოთქვამს მორჩილების შესახებ: „ძველ აღთქმაში უპირატესი მნიშვნელობა მოსმენას ენიჭება, ანტიკური ბერძნები კი ყოველთვის მხედველობით აღქმას უსვამდნენ ხაზს: ირგვლივ ყველაფერი მშვენიერია, ყველგან სილამაზე, კოსმოსი... მთელი ბერძნული ფილოსოფია ესთეტიკამდე დადის. მამა გიორგი ფლოროვსკი წერს, რომ ეს გასული საუკუნის რუსულ ფილოსოფიასაც ახასიათებდა, სოლოვიოვსაც კი. ესაა სწორედ ესთეტიკის საცთური – გარშემო ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ზემოთქმული არ უარყოფს ხედვის მნიშვნელობას წმინდა წერილში. ლაპარაკი სხვა რამეზეა. მაგალითად, მე ლექციას ვკითხულობ და თქვენ გიყურებთ. ვინ უფრო ყურადღებიანია – ის, ვინც მიყურებს? შეიძლება თვალებში უყურებდე ადამიანს, ფიქრით კი სულ სხვაგან იყო. მაგრამ თუ ადამიანი ყურადღებით გისმენს, თუნდაც არ გიყურებდეს, შეუძლებელია ამ დროს იქ არ იყოს. იგი უფრო კონცენტრირებულია, როცა სმენით აღიქვამს. როცა ადამიანმა მოსმენა

იცის, ეს მორჩილებას ბადებს. ამ დროს კაცი ყურადღებით ადევნებს თვალს საკუთარ თავს და სულიერი მოძღვრის სიტყვებსაც გულისყურით ისმენს. სწორედ ასეთი მორჩილების წუთებში იბადება ურთიერთობა სულიერ მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის.

გარეგნულად მორჩილება აღიქმება, როგორც რაღაც მითითებების ზედმიწევნით შესრულება. სინამდვილეში მორჩილებას გაცილებით ღრმა შინაარსი აქვს: გულისყურით მოსმენა, ღრმად გააზრება იმ სიტყვისა, რომელსაც შენი სხვა ადამიანად გადაქცევა შეუძლია, ანდა შეუძლია რაიმე ნაბიჯის გადადგმისგან გაგაფრთხილოს, ან პირიქით, სულიერი წინსვლის იმპულსი მოგცეს, და ეს სიტყვა გულის სიღრმიდან უნდა იქნას გაგებული. ადამიანი საკუთარ თავს ანდობს მოძღვარს, რათა გაუგონ, რათა გულახდილი იყოს, რათა აჩვენოს, თუ რას წარმოადგენს, და ეს აძლევს საშუალებას, რომ საკუთარი თავის შესახებ სიმართლე გაიგოს. მაშინ მღვდელი უკვე ლაპარაკობს არა უბრალოდ როგორც მღვდელი, არამედ როგორც მადლმოსილი სულიერი მოძღვარი.

სულიერი მოძღვრისა და სულიერი შვილების ურთიერთობის ჩამოყალიბება გარეგნულად სრულიად მოუხელთებელ პირობებზეა დამოკიდებული. როდის და როგორ ხდება ეს, ვერავინ იტყვის, ამას ღმერთი იძლევა სწორედ მორჩილების საფუძველზე, და მაშინ მოძღვარი და მისი სულიერი შვილები უახლოეს ადამიანებად იქცევიან.

შეუძლებელია სულიერი ურთიერთობების ფორმალური განსაზღვრა. ვერ ეტყვი ადამიანს, მე შენ სულიერ შვილად გნიშნავო, ანდა ესა და ეს კაცი ჩემს სულიერ მამად ავირჩიეო. ურთიერთობები ხანგრძლივი მორჩილების შედეგად ყალიბდება. როდესაც მღვდელმა იცის, ვინ დგას მის წინაშე, აღმსარებელი კი თავის მხრივ ენდობა მას, ეს სულიერ ნათესაობასა და ურთიერთნდობას წარმოშობს. ხოლო თუ ადამიანს მინდობა არ შეუძლია, მაშინ სათქმელიც აღარაფერია: სულიერი საუბარი მშვინვიერ, გულთბილ, ყოველდღიურ, ფსიქოლოგიურ, ყოფით საუბრად იქცევა. ადამიანს ჰგონია, რომ ლოცვა-კურთხე-

ვა მიიღო და ახლა მისი ცხოვრება ღვთის ნებით წარემართება, მაგრამ ღვთის ნება აქ არაფერ შუაშია.

ცხადია, ერთსა და იმავე სულიერ დონეზე მდგომი ყველა ადამიანი, ვინც აღსარებას ამბობს, ერთნაირად მიმნდობი და გულახდილი ვერ იქნება და ვერც ყველა ერთნაირად გაიგებს, რას ეუბნება მოძღვარი. თავის მხრივ, მღვდელიც ყველას ერთნაირად ვერ გააგებინებს თავის სათქმელს – ამას გარკვეული დაბრკოლებები ეღობება წინ. მე არ ვიცი ამის მიზეზი, ეს საიდუმლოა. მაგრამ ერთი კი ვიცი: თუ ადამიანს სულიერი ცხოვრება სურს და მას ეძიებს, იგი მხოლოდ მორჩილების გზით მიეცემა – სხვა გზა არ არსებობს.

იფიქრე, რომ მოძღვარში სული წმიდაა დამკვიდრებული და იგი გეტყვის, რაც შენთვისაა საჭირო

ვინც თავის ცხოვრებას საკუთარი შეხედულებით კი არა, გამოცდილი მამების რჩევით წარმართავს, შეუძლებელია ეშმაკის საცთურის მსხვერპლი გახდეს.

წმ. კასიანე რომაელი

მდაბალს უფალი შეეწევა: თუ მას არა ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი, მაგრამ გააგრძელებს სიარულს ისეთ მოძღვართან, როგორიც ჰყავს, ამ სიმდაბლისათვის დაიფარავს ღმერთი. იფიქრე, რომ მოძღვარში სული წმიდაა დამკვიდრებული და იგი გეტყვის, რაც შენთვის საჭიროა.

წმ. სილუანე ათონელი

მორჩილების პრობლემას ყველა მღვდელი და ეკლესიის მამა ერთნაირად როდი უყურებს. მაგალითად, წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი წერს, რომ ის, რასაც წმინდა მამებისეული მნიშვნელობით ბერის მორჩილება ეწოდება, მონასტერშიც კი

აღარ არსებობს, რომ ეს შეუძლებელი და სარისკოცაა, რადგან დღეს სული წმიდის მადლით შემოსილი ბერები აღარ არიან, ხოლო ისეთი ადამიანის მორჩილებაში ყოფნა, რომელიც თვითონ არ განწმენდილა ვნებებისგან, უაზრო და სახიფათო საქმეა.

რა თქმა უნდა, ის სიფრთხილე და წინდახედულობა, რომლითაც წმ. ეგნატე სულიერი ცხოვრების შესახებ წერს, უდავო კრიტერიუმია თანამედროვე ცხოვრებისთვის: დღეს ხომ, ერთის მხრივ, ახალბედა მოძღვრების, ცრუმოძღვრებისა და ცრუწინასწარმეტყველების მოზღვავება იგრძნობა, მეორეს მხრივ კი ეგზალტირებული ახალმოქცეული ქრისტიანებისა, რომლებიც უეცარ გაცისკროვნებას, სულიერ ღვაწლსა და დაუყოვნებელ შედეგებს, რაღაც ზებუნებრივსა და გრძნობადს მოელიან. ამიტომ გონივრული სულიერი ხელმძღვანელობა დაკავშირებულია შინაგან სიფხიზლესთან, რომელიც დღეს ესოდენ აუცილებელია.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიაში მოსულ ადამიანს საერთოდ არ სჭირდება სულიერი ხელმძღვანელობა? მას დამრიგებელი, ცხადია, სჭირდება და ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი მადლმოსილი ბერის ძიება. ყველას, ვინც ლოცვა იცის, ლოცვის სწავლება არ შეუძლია. ყველა, ვინც მდუმარებაშია, მდუმარებას ვერ გასწავლის. ყველა, ვინც მოღვაწე ცხოვრებას ეწევა, მოძღვრობას ვერ გაგიწევს – ისევე როგორც ყველა ვირტუოზი, ვინც ბრწყინვალედ ფლობს ინსტრუმენტს, პედაგოგი ვერ იქნება. მაგრამ ძალიან ხშირად შესანიშნავი მასწავლებელი შეიძლება გამოდგეს არა ვირტუოზი, არამედ საშუალო დონის შემსრულებელი, რომელმაც იცის, როგორ ასწავლოს.

არადა, ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა სულიერ მოძღვრად ისეთ ადამიანს ირჩევენ, რომელსაც არავისთვის არაფერი უსწავლებია. თვითონ კი ისწავლეს, რაღაც საკუთარი გამოცდილებითაც მიიღეს პირადი მოღვაწეობის მეშვეობით, მაგრამ როგორ – ამის გადმოცემა არ შეუძლიათ.

ვთქვათ, მავანი გამოცდილი ბერია, მართლაც სამაგა-

ლითო სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, გარეგნულადაც კი ჩანს, როგორ ანათებს იგი. მაგრამ რჩევას ჰკითხავ და სრულიად მცდარ პასუხს გაძლევს, რომელმაც ადამიანის სულიერი ცხოვრება შეიძლება გააუკულმართოს. არიან ადამიანები, ვის სახლშიც მეორე სართული მშვენივრად შეთეთრებული და გამართულია, პირველი სართული კი – გაპარტახებული. სწორედ მათ მსგავსად, ზოგიერთმა ღვთის განსაკუთრებული განგებულებით სწრაფად მიაღწია რაღაც სულიერ დონეს, მათ ბევრი რამ გამოეცხადათ და პირდაპირ ძალიან მაღალ საფეხურზე აღმოჩნდნენ, მაგრამ იქ როგორ ავიდნენ, არ იციან, ეს სულიერი ცხოვრების საიდუმლოა. თუმცა, ვინაიდან მათ ეს კიბე ნაბიჯ-ნაბიჯ არ აუვლიათ, ამიტომ ახალმოქცეულს ვერაფერს ასწავლიან.

დღეს ძალიან პოპულარულია მღვდელმთავარ ეგნატე ბრიანჩანინოვის აზრი, რომ ბოლო ჟამს პირადი სულიერი ხელმძღვანელი არ შეიძლება არსებობდეს, და მთავარი ის კი არ არის, რომ სულიერ მოძღვარს დაუჯერო, არამედ წმინდა მამათა სწავლებებსა და წიგნებს უნდა დაეყრდნო, რომლებიც ადამიანს ცხონებისაკენ გაუძღვებიან. ამ მოსაზრებას გადაჭრით ეწინააღმდეგება ათონი, სადაც საკმაოდ გონივრული კრიტიკა გაჩნდა. მათ შორის გამოიცა მღვდელმონაზონ დორმიდონტის წიგნი „მორჩილების შესახებ“, სადაც ის ათონის ტრადიციებზე დაყრდნობით და წმინდა მამათა გამონათქვამების დამოწმებით მღვდელმთავარ ეგნატეს, ჩემი აზრით, ძალიან ღირსეულად ეკამათება. წიგნში ნათქვამია, რომ წმ. ეგნატეს გზა პირადული და უნიკალურია, რომ მისი შეხედულება წმინდა მამის კერძო შეხედულებაა, რომელიც ზოგადეკლესიური არ გახლავთ. რუსეთში კი იგი ზოგადეკლესიურად არის აღქმული და ხშირად საკმაოდ ცუდი ნაყოფი გამოაქვს.

თვითონ მღვდელმთავარი ეგნატეც, როცა იგი ამბობს, რომ ადამიანებმა წიგნებით უნდა იხელმძღვანელონ, ამას ამბობს სწორედ როგორც სულიერი მოძღვარი – ეს მოძღვრის რჩევაა.

ზოგიერთი ინტელექტუალი ასეც ფიქრობს: არავინაც არ მჭირდება, მხოლოდ წიგნები. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადა-

მიანები, უეცრად ასეთ უფსკრულში აღმოჩენილნი – როცა რელიგიურად სრულიად გაუნათლებელნი ვართ, როცა სულიერი ცხოვრების ტრადიცია დაკარგულია – წიგნს აიღებენ ხელში და უმალვე გაერკვევიან სულიერ ცხოვრებაში. შეიძლება მთელი ცხოვრება წიგნები იკითხო, საერთოდ არ გადიოდე სახლიდან, და ამ დროს სულიერ ცხოვრებასთან საერთო არაფერი გქონდეს, რადგან ეს მხოლოდ წიგნებია. მაგრამ არსებობს ეკლესიის ცხოვრება, რომელიც მხოლოდ წიგნებში კი არა, პირველ რიგში სულიერი ცხოვრების საერთო წყობაშია, რაც ლოცვას, ღვთისმსახურების რიტმს, ეკლესიის საიდუმლოებებს უკავშირდება, და მათ შორის წიგნებსაც, როგორც საეკლესიო ცხოვრების შემადგენელ ნაწილს.

წმინდა მამები და მათი თხზულებები ეკლესიის გარეშე არ არსებობენ, ისვეე როგორც წმინდა წერილი არ არსებობს ეკლესიის გარეშე. სწორედ ამიტომ არ შეიძლება იფიქრო, წიგნებს წავიკითხავ და სულიერი ცხოვრების შესახებ ყველაფერს გავიგებო. წიგნების უკან ეკლესიის კოლოსალური გამოცდილებაა, და ადამიანს, რომელიც ეკლესიურად არ ცხოვრობს, წიგნები მხოლოდ ავნებენ, თუ შეეცდება მათ მიხედვით ისწავლოს ის, რასაც ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრია.

მით უფრო, რომ წიგნები სხვადასხვაგვარი არსებობს: სხვადასხვა ადამიანების მიერ დაწერილი, სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ადამიანებისთვის და სხვადასხვა სულიერი დონისთვის. ყოველი წიგნი გულისხმობს პიროვნებას, რომელიც მას წერდა. ბევრი წიგნი, რომელიც ამჟამად გვაქვს, ჩვენთვის ძირითადად მიუწვდომელია, რადგან ის ცნებები და ის ენა, რომელზეც ეს წიგნებია დაწერილი, სულიერი ცხოვრების რთული ენაა. ყოველივე ამას თანდათან უნდა მივუახლოვდეთ. თუ სერიოზულ სულიერ საკითხებზე დაიწყებ კითხვას – მაგალითად, იესოს ლოცვის, მდუმარების, მაღალი ასკეტიკის ცნებების შესახებ, გარკვეული გამოცდილების გარეშე გაუგებარიც კი იქნება, რაზეა ლაპარაკი. იმის ძიება, რაზეც წმინდა მამები წერენ, როდესაც ამის გამოცდილება არ გაგვაჩნია და არც სულიერი მოძღვარი გვყავს, ვერ გვაცხონებს.

ყოველ პატარა ცოდვას დიდ ცოდვამდე მივყავართ

კაცის სული მარტივი არსებაა, და სულის თუნდაც წამიერი მოძრაობა ცოდვისკენ უკვე ცოდვაა. ამიტომ, რაკი ყოველ პატარა ცოდვას დიდ ცოდვამდე მივყავართ, ის მუდამ თავშივე ისჯება და თავშივე უნდა აღიკვეთოს.

წმ. იოანე კრონშტადტელი

ზოგჯერ მოძღვარს ადამიანზე რაღაც ისეთი ეცხადება, რასაც თვითონ კაცი თავის თავში ვერ ხედავს, მაგრამ რისი დაძლევაც შეუძლია. ხშირად ისეც ხდება, რომ ბევრი რამ, რაც ადამიანს მუდმივად ემართება და აშკარა ცოდვაა, შეგნებულად არ სურს, რომ ცოდვად მიიჩნიოს, რადგან ასე ცხოვრება უფრო უადვილდება. მას უბრალოდ არ უნდა თავისი ცოდვების დანახვა, რადგან ამპარტავნება, საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა, თავის გამართლების სურვილი უშლის ხელს. მღვდელს შეუძლია ამაზე მიუთითოს და ამხილოს კაცი. სწორედ ეს გახლავთ სულიერი ხელმძღვანელობის აზრი: მღვდელს შეუძლია შეეწიოს, შეუძლია იტვირთოს ასეთი შრომა – დაეხმაროს ადამიანს ცოდვასთან ბრძოლაში, და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი მხნეობა.

ასეთმა მხილებამ ადამიანი შეიძლება აღაშფოთოს – ძნელია მაშინვე დაეთანხმო მხილების სიტყვას. თუმცა ბევრი, მადლობა ღმერთს, შემდეგ მაინც ეთანხმება მოძღვარს. ცხადია, ღმერთი მოწყალეა, ისიც ცხადია, რომ მოძღვარს მამის მოვალეობა აკისრია; მას არ შეუძლია ადამიანი აღსარების დროს დასაჯოს, მაგრამ ქირურგიული ჩარევა შეუძლია, ოპერაციას კი ხშირად ტკივილიც თან ახლავს.

ადამიანის მძიმე ცოდვებში ჩავარდნა არც ერთბაშად ხდება და არც შემთხვევით. ეს მანქანის ქვეშ ჩავარდნა როდია – საკმარისია ცოტა ყურადღება მოადუნო და უკვე გვამი ხარ. მძიმე, სასიკვდილო ცოდვა ეტაპობრივად ვითარდება. წმინდა მამებთან აღწერილია, თუ როგორ ვითარდება ცოდვა, რა სტა-

დიებს გადის იგი. მაგრამ თანამედროვე ქრისტიანის ყოველ-დღიური ცხოვრებიდან თითქმის გამქრალია ღვთის შიშის ცნება, რომელიც დამცავი შიშია და კაცს ძალიან ადრეულ სტადიებზე იფარავს ცოდვისაგან. ადამიანებში ცოდვის მიმართ უგრძნობელობა ჭარბობს, მათ წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა მდგომარეობაში არიან, რამდენად ახლოს არიან ცოდვით დაცემასთან.

ვინაიდან საკუთარ თავს სწორად ვერ აფასებს, ადამიანს შეიძლება არ ესმოდეს, რომ სიტუაცია, რომელშიც იგი აღმოჩნდა, ან სხვა თანმხლები მდგომარეობები უკვე თავისთავად ცოდვილი მდგომარეობებია, თუმცა მას ჯერ ცოდვა არ ჩაუდენია. იგი თითქოს ჯერ შორს არის ცოდვისაგან, კონკრეტული ჯერ არაფერია – არც მოქმედება, არც სიტყვა, არც მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ცოდვად ჩათვალო, მაგრამ მიმართულება უკვე განსაზღვრულია.

და სწორედ ასეთ დროს, იმ პირობით, თუ ადამიანი მოძღვარს თავის თავზე ბევრ რამეს ეუბნება, მოძღვარს შეუძლია გააფრთხილოს იგი: „ამ გზით ნუ წახვალ, ამა და ამ კაცთან ურთიერთობას მოერიდე, ეს არ გააკეთო“, – და კაცს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ცოდვას გადაურჩეს. ადამიანს ხშირად არ ესმის აკრძალვის მიზეზი: „დიდი ამბავი, თუ ამ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, მას შეუძლია სხვებზე თავისუფალი იყოს, მეტი იცის, რა არის ამაში ცუდი... მე მე ვარ, ის კი ის არის“. და ვერ გაუგია, რომ ეს ადამიანი ცოდვის წინამორბედია, თუმცა თავისთავად მასთან ურთიერთობა შეიძლება არც იყოს ცოდვა.

ცხადია, უფალი აფრთხილებს ადამიანს სინდისის მეშვეობით, შინაგანი მდგომარეობით, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება. გულში შფოთია, ანდა რაღაც არაჯანსაღი აგზნება, რომელიც თითქოს თავბრუს ახვევს კაცს და აღტაცებას გვრის. ასეთი მდგომარეობა სასიამოვნოა, მაგრამ რაღაც არაჯანსაღია, ერთგვარი თრობაა, სიფხიზლის დაკარგვა, რომელიც გარკვეულ ურთიერთობებს, ცხოვრებისეულ გარემოებებს ან ძლიერ შთაბეჭდილებებს მოსდევს: ეს შესაძლოა გამოიწვიოს

მუსიკამ, რომელსაც იგი უსმენს, ან წიგნებმა, თუ, მაგალითად, თანამედროვე ლიტერატურას კითხულობს. ამ შემთხვევაში ის ფიქრობს: „მე ხომ შემიძლია იმის შეფასება, რასაც ვკითხულობ, და თუ რაღაც წიგნი ცუდია, ვაფასებ, როგორც ცუდს, ხოლო თუ კარგია, ვაფასებ, როგორც კარგს“. მაგრამ ის კი არ ესმის, რომ ადამიანს თავის თავში აბსოლუტური კრიტერიუმი არ გააჩნია, ყველა მისი კრიტერიუმი დამახინჯებულია.

და ამიტომ, თუ ადამიანი სულიერად ჯერ კიდევ ყრმაა, თუ სულს დაკარგული აქვს უმანკოება, მტკიცე სარწმუნოება არ გააჩნია, უფლის გზაზე მტკიცედ არ დგას, მან არ უნდა მისცეს თავს უფლება, რომ ცნობისმოყვარეობის გამო უფსკრულში ჩაიხედოს. დიდი სიმაღლიდან გადმოხედვა ყოველთვის თავბრუდამხვევია, შეიძლება წაბარბაცდე და ძირს გადაეშვა. უფსკრულში ჩახედვა, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უფსკრულში იმყოფები, მაგრამ ეს ის მდგომარეობაა, როცა შფოთი გიპყრობს, თავბრუ გეხვევა და შიში გეპარება. იგივე თვისება ახასიათებს ცოდვას, ასევე იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებმაც შეიძლება ცოდვისკენ გვიბიძგონ... ამას ყოველთვის გვკარნახობს სინდისი.

თუ ადამიანი ფხიზლად ადევნებს თვალს საკუთარ თავს, აუცილებლად უნდა თქვას აღსარებაზე, რაც იგრძნო. მოძღვარი თვითონ შეაფასებს მის მდგომარეობას, ეს უკვე სულიერი ხელმძღვანელობის სფეროა. ცხადია, ყველა მღვდელს არ შეუძლია ასეთი გულახდილი აღსარების მიღება, ხშირად არც არის იმის დრო, რომ დაწვრილებითი აღსარება მოისმინო. მაგრამ თუ შენს სულიერ მოძღვარს ესაუბრები, ყველაფერი გულახდილად უნდა უთხრა, რათა დროულად მიიღო გაფრთხილება და აუცილებლად გაითვალისწინო იგი. ვთქვათ, მოძღვარი გეუბნება, ნუ იმეგობრებ ამა და ამ ადამიანთან, ნუ გაერევი ამა და ამ წრეში, შეწყვიტე ესა და ეს ურთიერთობაო... „და მაინც რატომ? დიდი ამბავი“, – ფიქრობ შენ. საქმე ისაა, რომ როცა ადამიანი არ ღებულობს ასეთ უბრალო რჩევებს, რომელთა აზრიც არ ესმის, როგორც წესი, ყველაფერი ცუდად მთავრდება.

აჰა ესერა, მე და ყრმანი, რომელი მომცნა მე ღმერთმან

მოძღვარს ადამიანი გზის გარკვეულ საწყის მონაკვეთზე მიჰყავს, ფეხზე დააყენებს, შეაგონებს ღვთის წყალობით, მღვდლობის მადლით, რომელიც მას, როგორც მღვდელს, ისე მიეცა, თუმცა მოძღვარი შეიძლება ზოგჯერ არც იყოს სრულყოფილების მისაბაძი ნიმუში, მაგრამ უფალი მის ბევრ პირად ნაკლს სულიერი შვილების წინაშე უჩინარს ხდის. ისინი უბრალოდ მშვენიერ გარეგნულ მხარეს ხედავენ მღვდლობისას, რომლითაც იგი უფალმა დააჯილდოვა, და ხალისით ემორჩილებიან სულიერ მამას. შემდეგ კი, როცა ადამიანები უფრო ახლობლები ხდებიან, შეიძლება ერთმანეთის ნაკლოვანებებიც დაინახონ, როგორც ეს ოჯახურ ცხოვრებაშია. ზოგისთვის ეს შოკისმომგვრელია: „აი თურმე როგორი ყოფილა“! სხვები კი სიმდაბლით აღიქვამენ, როგორც ოჯახში – ესმით, რომ საჭიროა ერთმანეთის სიმძიმე ვიტვირთოთ და ასე აღვასრულოთ სჯული ქრისტესი (იხ. გალ. 6,2). მოძღვრისათვის ყოველთვის ხსნაა სულიერი შვილების ისეთი დამოკიდებულება, როცა ისინი მზად არიან დაითმინონ მისი უძლურებები და რაღაც სულიერი დაცემები, მზად არიან დაეხმარონ, რომ ის წამოდგეს და გზა განაგრძოს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროიდან შეიძლება ითქვას, რომ მოძღვარსა და სულიერ შვილებს შორის ნამდვილი სულიერი ნათესაობა და სულიერი სიახლოვე დამყარდა.

სულიერი ნათესაობა გულისხმობს ქრისტესკენ ერთობლივ სვლას, ორმხრივ სიყვარულსა და მხარდაჭერას. მოძღვარი თავისი ღვაწლით ხელმძღვანელობს სულიერ შვილებს, და თუ მათ არ სურთ სულიერი ზრდა, ამან შეიძლება თავად მოძღვარიც დააბრკოლოს, შეიძლება მან ხელიც ჩაიქნიოს. მაგრამ რაც უფრო მეტ სულიერ მოთხოვნას ვუყენებთ სულიერ მოძღვარს, მით უფრო მეტად ვუბიძგებთ მას წარმატების გზაზე და თვითონ ისიც მეტ საშუალებას გვაძლევს საკუთარ თავზე მუშაობისთვის.

შეცდომებს ყველა ადამიანი უშვებს. თუკი მოძღვარი სულიერი შვილების ყველა ცოდვას და შეცდომას იტვირთავს, მიუტევებს, განხსნის, ლოცულობს მათთვის, ბუნებრივია, რომ თქვენი და თქვენი სულიერი მოძღვრის ყველა დაცემა და შეცდომა საერთო ძალებით უნდა დაიძლიოს.

ალბათ მხოლოდ ღვთივგანათლებულ მოძღვრებს შეუძლიათ შეუმცდარად ილაპარაკონ, ანდა მაქსიმალურად იკავებენ თავს შეცდომების დაშვებისაგან და ძალიან ფრთხილობენ. ისინი შეკითხვასა და პასუხს შორის მნიშვნელოვან დისტანციას იცავენ, კონკრეტულ კითხვაზე ზოგჯერ ისეთ პასუხს იძლევიან, რომელიც ძალიან ფართოდ შეიძლება იქნეს გაგებული – იმიტომ კი არა, რომ შეცდომის დაშვებისა ეშინიათ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ადამიანს იმ შეცდომის დაშვებისაგან იცავენ, რომელიც მათ პასუხს შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად კონკრეტულ შეკითხვაზე: „რა მოხდება თუ ასე მოვიქცევი, რაკი სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია?“ – გამოცდილი მოძღვრის პასუხი დაახლოებით ასეთია: „შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ის, ვინც ამას აკეთებს, შეიძლება ცხოვრებაში ამას და ამას გადაეყაროს“. იგი არ ეუბნება: „არა, ეს არავითარ შემთხვევაში არ გააკეთო“, – თუმცა ასეთი პასუხი სწორია და ის შეიძლება ნებისმიერმა მღვდელმა გაგცეთ. მაგრამ გამოცდილი მღვდელი ასე არ პასუხობს, იგი ერიდება ადამიანის თავისუფალი ნების შეზღუდვას, რადგან ამ კაცის სულიერი მოძღვრისაგან განსხვავებით, შეიძლება არ იცოდეს მისი საქციელის მიზეზები, მთელი მისი ცხოვრება.

არ უნდა განვეწყოთ საიმისოდ, რომ მღვდელი ოდესმე აუცილებლად დაუშვებს შეცდომას, მაგრამ თუ მაინც შეცდა, ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ. შეცდომას ნებისმიერი ადამიანი უშვებს და გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. ეს კია, რომ შემდეგში რაღაცეების დათმენა მოგვიწევს და ცხადია, ყოველივე ამას მწუხარებებიც თან სდევს. ზოგჯერ გარკვეული განსაცდელების საშუალებით ღმერთი გვიჩვენებს, რომ შეცდომა დავუშვით – ეს იმაში გვეხმარება, რომ ასეთი შეცდომა აღარ გავიმეოროთ. ამის არ უნდა გვეშინოდეს. ცხა-

დია, თუ არაეკლესიურ, ცოდვილ საქმეზე გაკურთხებენ, ასეთი კურთხევა არ უნდა შეასრულო. მაგრამ თუ რამეს მორჩილებით, უბრალო გულით აკეთებ, ეს ცოდვად არ ჩაგეთვლება. თუ ურთიერთობა სულიერად სწორია, თუ ადამიანი უფალსაა მინდობილი და სულიერი მოძღვრის სიტყვებს ღვთის ნებად მიიჩნევს, მაშინ უფალი ბევრ რამეს თავად ფარავს და ბევრ რამეს თავად ასწორებს.

საღვთისმსახურო წიგნებში წერია: „სიკვდილის აჩრდილს საუკუნო ცხოვრებად გარდააქცევს“. თუ უფალს ძალუძს სიკვდილი ცხოვრებად გადააქციოს, თუ არა მარტო შეცდომები, არამედ მრავალი დანაშაულიც კი, მოყვასის მიმართ ჩადენილი, საბოლოოდ, ღვთის წყალობით, სიკეთედ გარდაიქმნება, მაშინ ცხადია, უფალი ადამიანის ცდომილებებსაც ფარავს, რომლებიც მან უმეცრებით, მაგრამ კეთილი განზრახვით ჩაიდინა. ხშირად ჩვენ ვერც კი ვხვდებით, როგორ ხდება ეს.

ისევე როგორც ყველა არასრულყოფილი ადამიანის ცხოვრებაში, ზოგჯერ მღვდლის ცხოვრებაშიც ხდება ჩავარდნა. ადამიანი სულიერი ცხოვრების დასაწყისში ან შუა გზაზე უცვალებელი ვერ იქნება: იცვლება თვითონ, იცვლება ცხოვრებისეული გარემოებებიც, მოძღვარს შეიძლება თავისი შინაგანი პრობლემები ჰქონდეს, რაღაც კრიზისი სულიერ ცხოვრებაში, თავისი სულიერი შეცდომები. და სწორედ მაშინ შეუძლიათ სულიერ შვილებს მხარში ამოუდგნენ მას – შინაგანი სიმტკიცე, სიყვარული და ნდობა გამოიჩინონ, არ მიატოვონ იგი სულიერი უძლურების ჟამს, არამედ ლოცვითა და სიყვარულით განამტკიცონ. სამწუხაროდ, ეს იშვიათად ხდება.

ხშირად ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ რა ადვილად ამბობენ ადამიანები უარს საკუთარ მოძღვარზე, შუა გზაზე ტოვებენ და ივიწყებენ, თუ რამდენი სულიერი შეწევნა მიუღიათ მისგან, რამდენი ლოცვა, ზრუნვა და გულისტკივილი. ეგრეთ წოდებული სულიერი შვილები ადვილად აქცევენ ზურგს და შორდებიან მოძღვარს, სრულიად ივიწყებენ ადამიანს, ვინც ხანგრძლივად იტვირთა ისინი, გარკვეულ საფეხურამდე ზიდა, მერე კი წაიბორძიკა და ძლიერ დაშავდა.

მღვდლისთვის ეს დიდი სულიერი განსაცდელია: როდესაც თანადგომა არ არსებობს, როცა ვერავის დაეყრდნობი, ასეთ დროს ძნელია სულიერი ცხოვრების გამოსწორება, ადამიანს არც სურვილი აქვს და არც ძალა ყოფნის, რომ ახალ-ახალი ღვაწლი იტვირთოს.

მაგრამ თუ თვითონ სულიერი შვილები იმისთვის კი არ ცხოვრობენ, რომ ისინი კეთილმა და განათლებულმა ადამიანებმა წარმართონ, არამედ იმისთვის, რომ ქრისტესკენ მიდიოდნენ, მაშინ ყველაფერს იღონებენ, რომ ქრისტესკენ თავიანთ მოძღვართან ერთად იარონ. ისინი მხარში ამოუდგებიან მოძღვარს, იტვირთავენ მას, ვიდრე ფეხზე არ წამოდგება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სულიერმა მოძღვარმა საშინელ სამსჯავროზე უნდა თქვას: „აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელი მომცნა მე ღმერთმან“ (ესაია, 8,18). არა მარტო მე, არა მარტო ისინი, არამედ აი, ჩვენ, უფალო, ყველანი ერთად ვართ.

მონანულს უფალი აძლევს თავის მშვიდობასა და თავისუფლებას – უყვარდეს იგი

ვწვალობთ ამა სოფლად და თავისუფლებას ვეძიებთ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რა არის თავისუფლება და სად არის იგი. მეც მინდა თავისუფლება და დღედაღამ დავეძებ მას. და მივხვდი, რომ ღმერთშია თავისუფლება და მისგან ეძლევა გულით მდაბალთ, ვინც შეინანა და მოიკვეთა თავისი ნება ღვთის წინაშე.

ღირსი სილუანე ათონელი

სიტყვა „თავისუფლებამ“ დიდი დევალვაცია განიცადა, მისი შინაარსიც კი შეიცვალა. რა სიტყვათშეხამებას არ ხმარობენ მასთან კავშირში და, მე ვიტყოდი, რომ ყოველი მათგანი ანეგდოტურად ჟღერს: სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვითი თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, სიყვარულის თავი-

სუფლება. და ეს ყველაფერი საშინელი დამახინჯებაა იმ თავისუფლებისა, როგორც იგი ჩვენ, ქრისტიანებს, გვესმის. თანამედროვე მსოფლიოს ამ ცნებებს, ეგრეთ წოდებულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, მსოფლიო თანამეგობრობა დღეს ქრისტიანულ ფასეულობებზე მაღლა აყენებს.

მაგრამ როგორ გვესმის თავისუფლება ჩვენ, ქრისტიანებს? შეიძლება კი თავისუფლად ვიგრძნოთ თავი, როდესაც არსებობს ბევრი რამ, რაც ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას – მოვალეობები, ზნეობით განსაზღვრული წესები, კანონი, უფულობა, დაბოლოს, სინდისი? ამას ყოველი ადამიანი გრძნობს. კანონი ბევრნაირი შეიძლება იყოს, სინდისი კი ყველა ადამიანისთვის ერთი და იგივე ცნებაა.

ამბა დოროთე სინდისს ბუნებით შჯულს უწოდებს, რომელიც უფლის მიერ ადამიანშია ჩადებული, როგორც ღვთის ხატი. რომაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული ამბობს, რომ ვინც შჯულის გარეშე კვდება, ის შჯულის გარეშე განისჯება, რამეთუ წარმართთათვის, შჯულის გარეშე რომ კვდებიან, სინდისი ბუნებითი შჯულია, რომლის მიხედვითაც ისინი განისჯებიან (რომ. 2,12). ესე იგი, ჩვენ სინდისს კაცობრივ შჯულთან კი არა, ბუნებით შჯულთან ვაიგივებთ, საღვთო შჯულთან, რომელიც ადამიანშია ჩადებული.

სახარებაში კი ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამიანებს თავისუფლება მოუტანა. „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოანე, 8,32). მთელი სახარება განთავისუფლების შესახებ გვესაუბრება, და ღმერთი არის კიდეც თავად თავისუფლება – სრული და აბსოლუტური თავისუფლება.

მაგრამ თუ სინდისი – ესაა ხმა ღვთისა, ხმა აბსოლუტური თავისუფლებისა, და ამასთან თვითონ იგი ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას, მაშინ წინააღმდეგობას ვაწყდებით: ის, რაც კაცში თავისუფლებას ზღუდავს, იმავე დროს თავისუფლებისაკენ მოწოდებაა.

მაშ სადღაა თავისუფლება? რაში მდგომარეობს იგი? რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ორ თავისუფლებას შორის: ერთია

ის თავისუფლება, რომელიც ღმერთშია და მეორე – ის, რომელიც ღმერთის გარეშეა: თვითნებობის, თვითრჯულობისა და უშჯულოების თავისუფლებასა და ქრისტეში თავისუფლებას შორის, რომელიცაა ცოდვისგან თავისუფლება, საუკუნო ცხოვრების თავისუფლება. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის სურვილი, მოიქცეს ისე, როგორც მას უნდა, არ არის თავისუფლება, ისევე როგორც ვერ ვიტყვით, რომ ადამიანი, რომელმაც ბოროტება აირჩია, არ არის თავისუფალი. როცა კაცი ბოროტებას ირჩევს, იგი თავისთვის ციხეს კი არ ირჩევს, მისთვის ეს თავისუფლებაა. ადამიანი თავისუფლად ირჩევს ბოროტებას და თავისუფლად ირჩევს სიკეთეს – ამიტომაც ვამბობთ, რომ კაცი არჩევანს ორ თავისუფლებას შორის აკეთებს, მას თავისუფალი არჩევანი აქვს მიცემული.

ანტონი დიდმა თქვა, რომ თავისუფალი ის კი არ არის, ვინც ბუნებით თავისუფალია, ვინც მდიდარია და სახელოვანი, რადგან ისინი ხშირად საკუთარ ვნებათა მონები არიან – სულის ჭეშმარიტი თავისუფლება არის სიწმინდე და ყოველივე წარმავალის უგულებელყოფა.

ეს კარგად ჩანს, როცა საკუთარ შვილებს ზრდი და ისინი შენს მორჩილებას არიან მიჩვეულნი. ზოგჯერ ხედავ, რომ მათ არავითარი სურვილი არა აქვთ, რომ დაგემორჩილონ – სრულიად საპირისპირო რამ უნდათ, მაგრამ ბავშვს უბრალოდ არ შეუძლია თავისი ცოდვილი სურვილის შესრულება. მას რაღაც ძალიან უნდა, გონება მთლიანად ამ სურვილისკენაა მიმართული, მაგრამ საამისოდ შინაგანი პოტენცია არ ყოფნის, იგი უძლურია მისდიოს თავის ცოდვილ ნებას, თუ მშობლის სიტყვა ამას უკრძალავს.

ეს ხშირად ხდება და არა მარტო ბავშვებთან დაკავშირებით. ზოგჯერ იძულებული ხარ რაღაც დააძალო ადამიანს, შენს ნებას დაუმორჩილო იგი, მაგრამ რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს მისთვის იმ დროს, ბოლოს გახარებული რჩება, საზღაურს ღებულობს და თავისი საქციელის გამო კმაყოფილება ეუფლება: მან მორჩილება გამოიჩინა და ამის კეთილი შედეგიც დაინახა.

სწორედ ამაშია სულიერი განსწავლის, დამოძღვრის ხელოვნება: ერთი მხრივ, მისცე ადამიანს შესაძლებლობა არ დაგემორჩილოს, არ გატეხო იგი, ყოველთვის დაუტოვო მას თავისუფლება, მაგრამ მეორე მხრივ, არ დაიშურო ძალისხმევა იმისათვის, რომ მაინც დაგემორჩილოს, და აუცილებლად მისცე საშუალება შინაგანად იგრძნოს მორჩილების სიკეთე.

სულიერი ხელმძღვანელობა ცდილობს მიაღწიოს, რომ ადამიანი შინაგანად უძლური აღმოჩნდეს თავისი ცოდვილი სურვილების შესასრულებლად, ვერ შეძლოს მოძღვრის ნების წინააღმდეგ წასვლა: შეიძლება მისი სული რაღაც მიზნისკენ მიისწრაფოდეს, შინაგანი გაუკუღმართება საკუთარი ნების შესრულებისკენ უბიძგებდეს, მაგრამ სწორედ ამ დროს ხდება მორჩილების მცირე სასწაული: ადამიანს შინაგანი შჯულის – სინდისის ხმა ჩაესმის, რომელიც უკრძალავს ცოდვილი თავისუფლების აყოლას.

ეს ზოგჯერ უსიამოვნოა, ადამიანი თავს ცუდად გრძნობს, უმძიმს, შეიძლება შინაგანი პროტესტიც გაუჩნდეს, მაგრამ ქრისტესკენ მიდის, რადგან სხვაგვარად უკვე აღარ ძალუძს. ხოლო როცა ქრისტესკენ მიდის, იგი ყოველთვის მონობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას ადგება. როცა ადამიანი მორჩილი ხდება, მას ესმის ხმა ღვთისა, რომელიც ანიჭებს სრულ თავისუფლებას – თავისუფლებას ღმერთში.

ყველაზე საშინელი ჯვარი, რომელიც გვეძლევა, არჩევანის თავისუფლებაა

აღსარება ადამიანის დაპირებაა, რომ ცოდვას შეებრძოლება, ეს მისი ფიცია. როცა აღსარების დროს კაცი ჯვარსა და სახარებას ემთხვევა, ამით იგი ფიცს დებს, რომ ჯვარს იტვირთავს და სახარების თანახმად იცხოვრებს.

სახარებაში არის ერთი ადგილი, რომელიც შენთვის ყოველი ახალი წაკითხვისას რაღაც საშინელი სამსჯავროს მსგავ-

სია: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (მათე, 16,24). საშინელი სიტყვებია, სულიერი ცხოვრების არსს რომ ასახავენ და ყოველ ჩვენგანს ბოლომდე ამხილებენ, განმსჭვალავენ, ღვთის წინაშე სიტყვისგების უნარს გვართმევენ, რადგან ჯვარი ქრისტესი სრულად განსაზღვრავს კაცის არსს, მისი მყოფობის გულისგულს.

სიტყვა „ჯვარი“ ყოველ ჩვენგანს თავისებურად ესმის. ძირითადად ესაა გადაულახავი პრობლემების ტვირთი, რომელიც თითქოს გვთრგუნავს და მიწასთან გვასწორებს. ადამიანების ცხოვრება ზოგჯერ ძალიან მძიმეა – სიღატაკე, სნეულებები, იმედების გაცრუება – ისინი სიბერეში კვდებიან სრულიად განადგურებულნი, მაგრამ ცათა სასუფეველში ვერ შედიან. ვერ შედიან იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ჯვარი – ის ჯვარი, რომელიც თავად არის სიხარული, ჰქონდათ მხოლოდ მწუხარება, გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეული გაუთავებელი მწუხარება. ასეთ სიცოცხლეს თუმცა კი ბუნებრივი დასასრული აქვს, მაინც თვითმკვლელობას ენათესავება, რადგან ადამიანმა ვერ ჰპოვა სიხარულის გამოსავალი, ვერ ჰპოვა ქრისტესკენ მიმავალი გზა, ვერ ჰპოვა ღმერთთან ყოფნის შესაძლებლობა.

ყველაზე საშინელი ჯვარი, რომელიც კაცს ეძლევა, არჩევანის თავისუფლებაა. ჭეშმარიტ თავისუფლებას არჩევანი არ გააჩნია, იგი სუნთქვას ჰგავს, ფრენას. ფრინველს არა აქვს არჩევანი, იფრინოს თუ არა, ის უბრალოდ დაფრინავს. არც თევზს გააჩნია არჩევანი, ცურავდეს თუ არა, იგი უბრალოდ დაცურავს. ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ აბსოლუტური შეიძლება იყოს. ეს არის ან სრული შემსჭვალვა ღმერთთან, როგორც აბსოლუტური თავისუფლების წყაროსთან, ან მისი სრული უარყოფა, როგორც ღმერთისგან სრული თავისუფლების გაცნობიერება. სიკვდილიც თავისუფლებას ენათესავება, ესაა აბსოლუტური არარა ღმერთისაგან აბსოლუტური განშორების გამო.

ადამიანი, რომელმაც ღმერთის გარეშე იცხოვრა, მერე კი მოექცა, უცებ დაინახავს, რომ სიცოცხლის თავისუფლება

და სიკვდილის თავისუფლება – ეს ორი ისეთი რამ არის, რომელთა შორის არჩევანი არ არსებობს. გასაგებია, რომ თავისუფალი ცხოვრებით უნდა იცხოვრო. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შეძლო, საკუთარი არსებიდან ყოველგვარი სიკვდილი უნდა გამორიცხო. და ესაა ყველაზე საშინელი და ყველაზე მძიმე რამ, რაც კი ადამიანს შეიძლება შეემთხვეს, რადგან არჩევანი სიცოცხლის თავისუფლებასა და სიკვდილის თავისუფლებას შორის, ეგრეთ წოდებული არჩევანის თავისუფლებაა სწორედ ჯვარი, ესაა ადამიანის მუდმივი სატანჯველი – ყოველთვის აირჩიოს ღმერთი, მაშინ როცა ამას მთელი მისი არსება ეწინააღმდეგება. ასეთი არჩევანი ქრისტესთან თანაჯვარცმაა.

მე ვფიქრობ, მშვიდად უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი არ არის თავისუფალი – ენა არ მოგიტრიალდება კაცს, რომ არჩევანის თავისუფლებას თავისუფლება უწოდო. პირიქით, ესაა საშინელი ბორკილები, ესაა ტანჯვა, ეს ბორკილები და ეს ტანჯვა შეადგენენ კიდეც კაცის ნამდვილ ჯვარს. ადამიანი სრულიად ალოგიკურად, თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ, ყოველივე იმის საწინააღმდეგოდ, საითაც მისი მოკვდავი ხორცი მიისწრაფვის, ირჩევს სიცოცხლეს, ირჩევს ქრისტეს, ირჩევს თავისუფლებას, რომელიც საშინელი ტანჯვაა, მაგრამ ამასთან იგი უეცრად აცნობიერებს, რომ ნამდვილად თავისუფალია, ესმის, რომ ჭეშმარიტ ცხოვრებას ეზიარება, რომელიც მასში აღმოცენდება და, როგორც სამარიტელ დედაკაცში – ქრისტესთან საუბრის შემდეგ, საუკუნო ცხოვრების წყაროდ იქცევა.

ეს პროცესი – ადამიანის სულიერი ჩამოყალიბება – ერთბაშად არ ხდება. მაგალითად, ეს არ ყოფილა უეცარი ფერისცვალება მარიამ ეგვიპტელისთვისაც: მთელი მისი ცხოვრება უდაბნოში საკუთარი თავის მუდმივი მოკვდინება, ქრისტესთან თანაჯვარცმა იყო, რამეთუ მთელი მისი მოკვდავი არსება უდაბნოდან გასვლას აიძულებდა და მხოლოდ სიცოცხლის სიყვარული ეწეოდა უკან, უდაბნოსაკენ.

ეს ძალიან ნათელი სურათია. ადამიანისთვის ცხოვრება იქ არის, სადაც ყველაფერი დუღს და გადმოდუღს, სადაც

ხორციელი მყოფობის სრული სისავსეა, და ეს სისავსე ანდამატივით იზიდავს ხორცს. უდაბნო კი, სადაც ცოცხალი არაფერია, თითქოს სიკვდილის სიმბოლოა. და აი, ადამიანი სიკვდილში სიცოცხლეს ჰპოვებს, სიცოცხლეში კი – სიკვდილს. სწორედ ამის შესახებ ამბობს ასე პარადოქსულად სახარება: „რომელმან მოიპოოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი“ (მათე, 10,39).

ეს ნიშნავს, რომ უნდა უარვყოთ თავი, განვაგდოთ ყოველივე, რასაც „ჩვენსას“ ვუწოდებთ, რაც შევისისხლხორცეთ, რაც ნიღბად გვექცა, რომელმაც ჩვენი ნამდვილი სახე დაამახინჯა, რა მტკივნეული, მტანჯველი, საშინელიც არ უნდა იყოს ეს. თუ შევძლებთ განვიძარცვოთ ყოველივე, თუ არ შეგვეშინდება დავკარგოთ ჩვენს მიერ შეთხზული, ცარიელი, უაზრო ცხოვრება, მაშინ შევიძენთ ქრისტეს, შევიძენთ ჭეშმარიტ საუკუნო ცხოვრებას, რომელიც უფალმა თავისი ჯვარცმითა და აღდგომით მოგვანიჭა.

თავი XI

სულიერი გზის დასაბამი და დასასრული ღვთის შიშია

დასაბამი და დასასრული სულიერი გზისა არის შიში ღვთისა.

პიმენ დიდი

განღებულ არს ჩვენს წინაშე ჯოჯოხეთის უფსკრული

მთელი ბოროტება, რომელსაც სხვებს (ანუ საკუთარ თავს) ვუკეთებთ, ჩვენი სიცარიელისაგან გამომდინარე ბოროტებაა, ეს ის სიცარიელეა, რომელსაც ღვთის ნათელი არ ავსებს. ჯოჯოხეთის უფსკრული მუდამ განღებულია ჩვენს წინაშე და ჩვენ, თუმცა კი ბრმად გვეშინია მისი, ასევე ბრმად ვეჯაჭვებით იმას, რაც თვითონ არ არის მარადიული, რაც მხოლოდ ნისლია, უფსკრულის თავზე ჩამომდგარი. სიკვდილი ფანტავს ნისლს და უფსკრულს ტოვებს.

მთავარეპისკ. იოანე (შახოვსკი)

ჩვენს მრავალრიცხოვან ცოდვებს შორის ყოველთვის მოიძებნება ისეთები, რომლებსაც არ ვებრძვით, რომლებთან ერთად ცხოვრებაც შეგვიძლია. მაგრამ საშინელება ისაა, რომ ეს წვრილ-წვრილი, ასეთი ადვილად მისატევებელი, სრულიად შეუმჩნეველი ცოდვები, რომლებსაც ჩვენ შინაგანად ვეთანხმებით, შეიძლება სამუდამოდ ჩვენთან დარჩნენ, ბორკილები დაგვადონ და ღმერთთან მიახლოების საშუალება არ მოგვცენ.

ბავშვობიდან მახსოვს ერთი შესანიშნავი სურათი ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობიდან“: უზარმაზარი გულივერი მიწაზე წევს და ლილიპუტებს წვრილი ძაფებით მიწაზე ჰყავთ მიბმული. ლილიპუტები მის სხეულზე დარბიან, დასცინიან, მას კი წამოდგომა არ შეუძლია, რადგან ვეებერთელა გულივერი წვრილ ძაფებს მაგრად შეუკრავთ და იგი უძლურია რაიმე იღონოს. და ჩვენც ჩვენს ადამიანურ ყოფაში, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ნორმალურ, მოწესრიგებულ ცხოვრებაში, ხშირად აღმოვჩნდებით ხოლმე წვრილ-წვრილი ცოდვებით შეკრულნი და არ ძალგვიძს ღმერთთან მიახლება,

მასთან ყოფნა. როგორც ამბა დოროთე ამბობს თავის წიგნში „სულის სასარგებლო სწავლანი“: „დაღაცათუ ერთი ვნება აქვნდეს კაცსა ჩვეულებით, სასჯელსა ქვეშე არს“.

ამბა დოროთეს ერთი ასეთი თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავს: არწივი შეიძლება მთელი სხეულით მახის გარეთ იყოს დარჩენილი და მასში მხოლოდ ერთი ბრჭყალით გაებას, მაგრამ ამ უბრალო რაღაცის გამო მთელ ძალას კარგავს, რადგან განა არწივი უკვე მახეში არ არის, თუმცა მთლიანად მის გარეთაა და მხოლოდ ერთი კლანჭი აქვს დაბორკილი? ხომ შეუძლია მისი შეპყრობა მონადირეს, თუ მოინდომებს? ასევეა სულიც: თუ ერთი ცოდვა მაინც ჩვევად ექცა, ეშმაკი, როცა მოინდომებს, მაშინ დაამარცხებს მას“. არწივი თითქოს თავისუფალია, მაგრამ სინამდვილეში იგი ტყვეა; ადამიანსაც ერთადერთი ბოროტი ჩვევა ექცა ვნებად, მაგრამ იგი უკვე ჯოჯოხეთის კერძია.

ადრე თუ გვიან ყველა დაფიქრდება იმაზე, თუ რა არის ჯოჯოხეთი, რა არის საუკუნო ტანჯვა და რამდენად რეალურია იგი. ეკლესიის სწავლება გვეუბნება, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვა საუკუნოა, რომ ადამიანი ჯოჯოხეთში ხორციელად, მშვინვიერად და სულიერადაც იტანჯება, ესე იგი თავისი კაცობრივი ბუნების მთელი სავსებით, რადგან ადამიანი ასევე ხორციელადაც აღდგება, აღდგება მთელი თავისი კაცობრივი სავსებით.

ძალიან ადვილია იგრძნო, რა არის ჯოჯოხეთი, დიდწილად ამას თანამედროვე ცხოვრებაც მოწმობს. თავის ლექსში „საუბარი ამხანაგ ლენინთან“ მაიაკოვსკი წინასწარმეტყველურად წერს: „ჯოჯოხეთი თავის საქმეს გააკეთებს, და უკვე აკეთებს კიდეც“. მართლაც ასეა. ეს სოფელი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უფრო და უფრო ემსგავსება ამ საშინელ მდგომარეობას, მაგრამ ჯერ კიდევ დროში არსებულს. ჯოჯოხეთი კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ადამიანის ცოდვილი მდგომარეობა, მარადისობაში განხორციელებული. კაცი ეგუება თავის ცოდვებსა და ვნებებს, და თუმცა ეს, უეჭველია, გარკვეულ ტანჯვას აყენებს, მაგრამ სანამ ცოცხალია, მაინც ახერხებს თავის მოტყუებას.

ქრისტე ამბობს: „სასუფეველი ღმრთისა შორის თქუენსა არს“ (ლუკა, 17,21). მაგრამ კაცში ზუსტად ასევე შეიძლება შე-

ვიდეს ჯოჯოხეთიც და სამუდამოდ მასთან დარჩეს. სამუდამოდ ცოდვასთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობა, საუკუნოდ ღვთის გარეშე – საკუთარ სიძულვილთან, ტყუილთან, გარყვნილებასთან, სისაძაგლესთან დარჩენა – აი, რა არის საშინელი, ბევრად უფრო საშინელი, ვიდრე ის სურათები, სადაც გავარვარებული ტაფები და ცოდვილებით სავსე მდუღარე ქვაბებია გამოსახული. სწორედ ცოდვაა ის ტანჯვა, რომელიც ჯოჯოხეთში ცოდვილს აწამებს, ის ვნება, რომლითაც ადამიანი მისტიკურად ჯოჯოხეთს უერთდება. ცოდვაა სულის ის სნეულება, ის გაუკუღმართება და არაბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც ცოდვილს სამოთხეში არ უშვებს.

აი, ამ მდგომარეობის, საუკუნო ტანჯვის მდგომარეობის (რომელიც ჩვენთვის უკვე არსებობს დროში) უნდა გვეშინოდეს – სხვა არაფრის. და ერთხელაც შეიძლება დადგეს წუთი, როცა ადამიანს შიში შეიპყრობს და ღმერთისთვის შრომას შეუდგება.

მხოლოდ ერთი რამაა საშიში – კერძოდ, ცოდვა

ოლიმპიადა, ერთია მხოლოდ საშიში, ერთი საცთური – კერძოდ, ცოდვა, და მე არ მომწყინდება შენთვის ამის შეხსენება, სხვა ყოველივე იგავ-არაკებია. მზაკვრობას დამისახელებ, სიძულვილს, ვერაგობას, ცრუ ბეზღობას, ქონების დაკარგვას, სამშობლოდან განდევნას, ბასრ მახვილებს, მსოფლიო ომებს – რა საშინელიც არ უნდა იყოს ეს ყველაფერი, მაინც დროებითია და მსწრაფლწარმავალი, მოკვდავ ხორცს არ ეხება და არც მღვიძარე სულს ვნებს რამეს.

წმ. იოანე ოქროპირი

თავისუფლებაზე უკვე ვილაპარაკეთ, ახლა შიშზე ვისაუბროთ. შიში და თავისუფლება – რამდენად შესაძლებელია ამ ორი ცნების შეთავსება? ამქვეყნიური გაგებით შიში მონური მდგომარეობაა, რომელიც ადამიანს მონად აქცევს. როგორც სიმამაცე განსხვავდება უშიშრობისგან, ისე ღვთის შიში გან-

სხვავდება ამა სოფელს სხვა შიშებისგან. „მუნ შეეშინა შიში, სადა იგი არა იყო შიში“ (ფსალ. 15,3) – ამბობს დავით მეფ-სალმუნე. ყველაფერს, რისიც ამქვეყნად გვეშინია, არაფერი აქვს საერთო იმ უმაღლეს შიშთან, რომელიც ადამიანს ღვთის შვილად ქმნის და ცხონებისაკენ მიუძღვის.

პავლე მოციქული ამბობს: „სასყიდლით სყიდულ ხართ, ნუ იქმნებით მონა კაცთა“ (1 კორ. 7,23). თავისი სიკვდილითა და აღდგომით ქრისტემ ცოდვისა და სიკვდილის მონობისაგან განგვათავისუფლა, ჩვენ თავისუფალნი ვართ და არ უნდა ვიყოთ ამა სოფლის მონები, არ უნდა გვეშინოდეს მისი.

მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ყველაზე მეტად იმის გვეშინია, რომ უფალი ამ, წარმავალ ცხოვრებაში დაგვაკლებს რაღაცას, რაღაცას არ მოგვცემს, დაგვსჯის უბედურებებით, სნეულებებით, ახლობელთა სიკვდილით, კომფორტის დარღვევით. დროებითი კეთილდღეობის ჩვეულ ძიებაში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არ მოგვაკლდეს ის საფუძველი, ურყევი რომ გვგონია. სხვანაირ სასჯელს ჩვენ არ ვიცნობთ და ვერც წარმოგვიდგენია. ცოდვისა იმიტომ კი არ გვეშინია, რომ სულის ცხონებას ვერ შევძლებთ, რომ ზეცათა სასუფეველს, ქრისტეს პირს ვერ ვიხილავთ – არა, წარმართული შიში გვაქვს იმისა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ახლა რაღაც ცუდი შეიძლება მოხდეს, და არ გვინდა გავიგოთ, რომ თუ უფალი გვსჯის, გვსჯის იმიტომ, რომ სურს გამოგვაფხიზლოს, შეგვაგონოს, საფრთხე აგვაშოროს და ცხონების გზაზე დაგვაყენოს. ჩვენ თვითონ სიტყვა „სასჯელიც“ არასწორად გვესმის. სასჯელი სწავლებაა, რომლითაც უფალი სიყვარულით გვწვრთნის. „შვილო, ნუ სულმოკლე იქნები სწავლასა უფლისასა“, – ამბობს წმინდა წერილი, – „რამეთუ რომელი უყვარნ უფალსა, სწავლის და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის“ (იგავ. 3,11-12).

თუ ადამიანს აღსარების შემდეგ ცოდვები მიეტევა, ის კი არ განიკურნა, მაშინ კურნება შეიძლება სასჯელის გზით მიეცეს, ცხოვრებისეული გარემოებების მეშვეობით: ამ დროს მან შეიძლება კისერი მოიტეხოს, მაგრამ გონს მოვიდეს და მიხვდეს, რომ ასე ცხოვრებას ვერ გააგრძელებს, და კურნების საკუთარ გზას შეუდგეს.

როცა უფალი გვსჯის, ის ამით გვაცხონებს. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ღმერთი აღარ სჯის, რადგან ეს უაზრობაა – აი, რა არის საშინელება. „ნუ ამხილებ უკეთურთა, რათა არა მოგიძულონ შენ, ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროს შენ. ეც ბრძენსა მიზეზ და უბრძენეს იყოს“ (იგავ. 9,8-9), – ნათქვამია წმინდა წერილში.

ყველაზე დიდი არა ამქვეყნიური, არამედ მომავალი ცხოვრების სასჯელია. სწორედ იმითაა საშინელი შეუნანებელი ცოდვა, რომ მისთვის პასუხი საშინელ სამსჯავროზე უნდა ვაგოთ, როცა სინანულისა და გამოსწორების დრო უკვე აღარ გვექნება. თუ უფალი ამ სოფელში თუნდაც მწუხარებებისა და იმედების მსხვრევის გზით გვიცხადებს თავის თავს, ეს ნიშნავს, რომ მას სურს თავისთან დაგვაბრუნოს. და მაშინ ჩვენში თანდათანობით იღვიძებს იმის შიში, რომ ჩვენი დროებითი ცოდვები შეიძლება მარადიულნი გახდნენ. მაგრამ ეს შიში ადამიანს მხოლოდ მას შემდეგ უჩნდება, როცა ნამდვილად იგრძნობს, რომ უფალი სახიერია, რომ არსებობს საუკუნო ცხოვრება, და რომ ეს საუკუნო ცხოვრება ყველასათვის მისაწვდომი რეალობაა.

ბევრმა, ვინც ახლობლების სიკვდილი ან სხვა განსაცდელები გადაიტანა, რასაც ჩვენ სასჯელად აღვიქვამთ, მოულოდნელად უფალში არა დამსჯელი და ჯალათი, არამედ მოსიყვარულე მამა შეიცნო. ურწმუნოთათვის ეს პარადოქსად ჟღერს, მაგრამ ბევრმა სწორედ მწუხარების გზით გაიგო, რომ უფალი ჭეშმარიტად სახიერია. „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე“ (ფსალმ. 118,71), – ეს სიტყვები თავისი ქოხის კედელს წააწერა ადამიანმა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, რაც გააჩნდა და საყვარელი ქალ-ვაჟი მოუკვდა. ეს იყო ალექსანდრე მენშიკოვი, პეტრე დიდის ყოფილი ფავორიტი.

თუ ადამიანს შესწევს უნარი ცხოვრებისეულ უბედურებებსა და წარუმატებლობებში დაინახოს გაკვეთილი, რომლითაც უფალი განსწავლის, მაშინ ყველაფერს, რაც მის თავს ხდება, ღვთის ნების აღსრულებად აღიქვამს და სასჯელს უდიდესი მადლიერებითა და სიყვარულით ღებულობს. აი, ასეთ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის მონა ღვთისა.

სრულყოფილებას იმისთვის ვესწრაფვი, რომ რაც შეიძლება მეტი მივცე ღმერთს

ცოდვას დამონებული ადამიანები ღმერთს ვერ ემსახურებიან. ისინი უშიშრად ცხოვრობენ, სცოდავენ და უფლის არ ეშინიათ, მაგრამ განა მრავალი სხვა ამაო შიშისაგან თავისუფალნი არიან? კაცი, რომელიც ამა სოფლისათვის ჩვეული შიშებისგან არ გათავისუფლებულა, თავისუფალი ვერ იქნება. ღვთის შიში მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ესაა მაღალი შიში სიყვარულისა.

წმინდა მამები შიშის სამ საფეხურს განასხვავებენ, ამათგან პირველი და ძალიან მაღალი წოდებაა მონა ღვთისა. მონა ღვთისა თავისუფალი ადამიანია. ასეთ კაცს ამქვეყნიური სასჯელის არ ეშინია, მას ეშინია საუკუნო ტანჯვისა, რადგან საუკუნო ტანჯვა სასჯელი არ არის, ესაა სულის გარკვეული მდგომარეობა მარადისობაში. ღვთის მონის მდგომარეობა ადამიანური სიწმინდის საზომია და მას, ვინც თავისი ცხოვრება ამ გზით წარმართა, მოღვაწე ეწოდება.

შემდეგ საფეხურზე ადამიანს საუკუნო ტანჯვის შიში აღარ აქვს, რადგან იცის, რომ სათნოებებს უფალი ნეტარებით აჯილდოებს, და იგი ღმერთისთვის იღვწის სულიერი საზღაურის მოლოდინში. დაქირავებული მუშაკი, როგორც ასეთ მოღვაწეს წმინდა მამები უწოდებენ, სიწმინდის მაღალი ხარისხია, მაგრამ ასეთი მდგომარეობა, როგორც მოწმობა ზეცათა სასუფეველის შესახებ, გარკვეული საზომით ყველა ქრისტიანისთვის მისაწვდომი უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანმა ღმერთი შეიყვაროს, თუკი არ იცის, რომ იგი სახიერია. აღდგომის დღესასწაულზე ჩვენ ყველანი ვეზიარებით, ვზეიმობთ და შეგვიძლია ყველას მივუტევოთ, ყველა გვიყვარდეს გარკვეული დროის განმავლობაში, თუნდაც ცოტა ხანს. წარმოიდგინეთ, რომ შესაძლებელია მუდმივად ასეთ მდგომა-

რეობაში ყოფნა. ნუთუ კაცი ამის მისაღწევად ღვთის გულისათვის შრომას დაიშურებს?

ადამიანი, რომელსაც ტანჯვის ეშინია ან მადლის მოპოვებისათვის იღვწის, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი თავის თავისუფლებაში. შვილებრივი შიში, რომელიც ათავისუფლებს კაცს ტანჯვასა და საზღაურზე ფიქრისგანაც კი, თავისუფლებას სრულყოფილს ხდის. ასეთი კაცი აღარც ცხონებაზე ფიქრობს, აღარც ჯოჯოხეთის ეშინია, იგი ყველაფერს ღმერთისთვის აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ შვილებრივი სიყვარულის გამო.

შვილობა – ეს სიწმინდის სრულყოფილებაა, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების მიზანია, ყოველი ჩვენგანის ცხოვრების მიზანი. შვილი ღვთისათვის სატანჯველის შიშით არ იღვწის, არც რაიმე ჯილდოს იმედით, არამედ მხოლოდ სიყვარულის გამო. ღირსი ამბა დოროთე ამბობს, რომ ღვთის შიში სიყვარულია, ჭეშმარიტი სიყვარული. უფალმა ყოველ ჩვენგანს მისცა საშუალება, რომ მას მამა ვუწოდოთ, და თუ ამას მიზნად არ დავისახავთ, მაშინ არც ვიცი, როგორღა უნდა ვცხონდეთ. თუ ჯოჯოხეთის საშინელი სატანჯველისაც კი არ გვეშინია, ვერასოდეს გავიგებთ, რა არის ღვთის შიში – უბრალოდ ვეცდებით, ღვთის წინაშე დროებითი კეთილდღეობა მოვიპოვოთ მარხვით, ლოცვით, წვრილ-წვრილი კეთილი საქმეებით, რომლებიც ჩვენს არსებას ვერ შეცვლიან. ჩვენ სასოწარკვეთილებას ვეძლევით, როდესაც ფეხქვეშ რაღაც დროებითი საყრდენები გვეცლება, ზეცათა სასუფეველში კი არაფერია მატერიალური, არაფერია ისეთი, რაც ამ სოფელში გვიყვარს, რასაც ვებღაუჭებით, რაც ჩვენთვის ძვირფასია, რის გამოც ხშირად ასეთი მძაფრი განცდები გვიპყრობს. ზეცათა სასუფეველში სულიერი ცხოვრების გარდა არაფერია.

ის, როგორადაც ღმერთი ხედავს ადამიანს და რისკენაც მას მოუწოდებს, უსასრულოდ მაღალია და ერთი მხრივ, ძალიან შორსაა ჩვენგან, მეორე მხრივ კი ყველასათვის მისაწვდომია, და არ არსებობს ამქვეყნად ისეთი ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ განეცადოს ერთ-ერთი ამგვარი მდგომარეობა, ადამიანი, რომელშიც უფალი თავის სრულყოფილ შვილს არ ხედავდეს.

ის, ვინც მიწიერსაა მიჯაჭვული, შეუძლებელია ზეციერს ესწრაფოდეს

შენი ლოცვა შენსავე ცხოვრებას უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ის, ვინც მიწიერსაა მიჯაჭვული, შეუძლებელია ზეციერს ესწრაფოდეს და ის, ვინც ამა სოფლის საქმეებითაა მოცული, შეუძლებელია ღვთაებრივს ითხოვდეს. ყოველი კაცის სურვილებს მისი საქმეები ამჟღავნებს: რაშიც მცდელობას არ იშურებს, იმასვე ითხოვს ლოცვაშიც. ვინც რაღაც დიდს ესწრაფვის, იმას ნაკლებად მნიშვნელოვანი არ აინტერესებს.

ღირსი ეფრემ ასური

ჩვენი სული გრძნობს, რომ ღმერთი იმდენად შორს არის, იმდენად შეუცნობელია, იმდენად დიდებული, რომ უთხრა მას „შენ“, როგორც ამას ლოცვაში ვამბობთ, პრაქტიკულად შეუძლებელია. ღმერთს ჩვენ შენობით მივმართავთ, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის შენთვის ახლობელია, როცა ის შენია და შენ მისთვის უცხო არა ხარ.

ჩვენ სულ რაღაცას ვითხოვთ ღმერთისგან, მაგრამ როცა მას მივმართავთ და ვეუბნებით: „მამაო ჩვენო“, ზოგჯერ არ გვინდა და არც ვეძიებთ მასში მამას. ჩვენ მას მივმართავთ, როგორც ქვეშევრდომნი ბატონს, როგორც გლახაკნი მდიდარს, ვისაც ყველაფერი აქვს და თავისი აურაცხელი ქონებიდან ჩვენთვის რაიმეს მოცემა შეუძლია, ან როგორც მადლის, კურნებათა და სასწაულთა დიად, უცნობ და გამოუკვლეველ წყაროს, მაგრამ თითქმის უპიროვნო, შეუცნობელ, ჩვენთვის სრულიად უცხო ძალას. ეს ხომ გაცილებით ადვილია – ღმერთს, როგორც განყენებულ, ყოვლისშემძლე არსებას, ისე მიმართო. მაგრამ რადგანაც იგი მამაა და ამ ლოცვაში თავის თავს ასეც გვიცხადებს, ესე იგი, მასში არსებობს ღრმა შესაძლებლობა შეცნობისა, ასე რომ არ იყოს, ყოველი ლოცვა აზრს დაკარგავდა. მაგრამ ჩვენი ლოცვა ამ

სიტყვების – „მამაო ჩვენო“-ს წინაშე, როგორც გადაულახავი დაბრკოლების წინაშე, ისე შედგება, თუ ჩვენ მათ წარმოთქმას ვაპირებთ, ღვთის შვილებად ყოფნა კი არ გვინდა. უფალი თავისი მოწყალების გამო გვაძლევს, რასაც ლოცვაში ვითხოვთ, მაგრამ ხშირად ჩვენ თვითონ არ გვჯერა, რომ მას შეუძლია ასე უხვად გვიბოძოს წყალობა. და თან რამოდენა ნიჭებს ვითხოვთ მისგან! მაგალითად, ეფრემ ასურის ლოცვაში ჩვენ სიმდაბლეს, უბიწოებას, მორჩილებას ვითხოვთ – ცათა სასუფევლის მადლმოსილი ცხოვრების მთელ სავსებას... და არ კი გვჯერა, რომ შეგვიძლია ამის მიღება.

„შენ ხომ ყველაფერი ძალგიძს, გენანება თუ რა?“ – ხშირად ვეუბნებით ღმერთს, როცა ჩვენს ცხოვრებაში ჩარევას ვევედრებით. ცხადია, არ ენანება, მაგრამ ის, რასაც ჩვეულებრივ უფალს ვთხოვთ ხოლმე, შეიძლება მხოლოდ შენიანს მისცე, და არა უცხოს.

როგორ უნდა გავხდეთ უფლისანი? ცხადია, ამისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა, ეს მხოლოდ ქრისტეს მიერ, ეკლესიის მიერ, საიდუმლოებებთან ზიარებით, მოღვაწეობით მიიღწევა. შვილობას ჩვენს მიღმა, წიგნებში ან სახელმძღვანელოებში კი არ უნდა ვეძიებდეთ, იგი ჩვენშია ჩადებული, როგორც ღვთის ხატი და მსგავსება. შვილობის საწინდარი ყოველ ადამიანშია, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა ჯვარზე გადის, ისევე როგორც ძე ღვთისა კაცობრიობას გამოიხსნის და ღვთაების თანაზიარს ხდის თავისი ჯვარცმით, სიკვდილითა და აღდგომით.

„ეძიებდით და ჰპოოთ“ (მათე, 7,7), – ამბობს უფალი. მაგრამ პირველ ყოვლისა ჩვენში ღვთის შვილობის ღრმა, ცოცხალი სურვილი უნდა არსებობდეს, და ეს სურვილი არ უნდა ცხრებოდეს. შეუძლებელია რაღაც დროს ღვთის შვილი იყო, მერე კი თქვა: „ახლა კი თავი დამანებეთ, იმდენი მომეცა, რამდენიც მჭირდებოდა, მეტი აღარ მინდა“.

„ქრისტიანობის“ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ მეტწილად ვიმყოფებით, არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ საკუთარ თავს შვილები ვუწოდოთ, რადგან შეუძლებელია

ჭეშმარიტებასთან ზიარება მხოლოდ ნაწილობრივ ან მცირე ხნით. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ მთელ არსებასა და მთელ ცხოვრებას ქრისტეს მივუძღვნით, და მაშინ შეიძლება მთელი ჩვენი ცხოვრება, როგორც ღვაწლი, ისე გაცხადდეს.

ღვთის შვილობისაკენ მიმავალი გზა სინანულია

როცა ძე შეცთომილი მამისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა, თქვა: „არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“ (ლუკა, 15,11). ეს იმ ადამიანის მდგომარეობაა, რომელსაც აღსარებაზე მთელი თავისი თავი მიაქვს და მზადაა ყველაფერი მიიღოს, ოღონდ ღვთისაგან, მზადაა ნებისმიერ ცხოვრებაზე, ნებისმიერ პირობებზე, ოღონდ ქრისტესთან ერთად იყოს. სინანულის საიდუმლო საკუთარი თავის მუდმივი მიტანაა ღმერთთან, ძე შეცთომილის მდგომარეობა, რომელშიც ღმერთის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

ზოგჯერ ხდება, რომ მცირე ცოდვაც კი მოულოდნელად ადამიანის ყველაზე მოწყვლად მხარეს წარმოაჩენს. თითქოს საშინელი არაფერი ჩაუდენია, შეიძლება ზედმეტი სიტყვა წამოსცდა და ეს არავის შეუნიშნავს, თვითონ ადამიანი კი ამ პატარა, შეუმჩნეველ ცოდვას ისე განიცდის, როგორც ქურდობა ან მრუშობაც არ განუცდია. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა არარაობას წარმოადგენს და ასე ცხოვრება მისთვის შეუძლებელი გახდა.

ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენა აუტანელი სიმძიმეა – გინდა დაიმალო, სადმე გაიქცე, რომ ტკივილი შეიმსუბუქო, სულის კივილი ჩაიხშო. და მაშინ ადამიანი აღსარებაზე მიდის, რადგან უცებ ხვდება, რომ ასე ცხოვრება აღარ შეუძლია, რომ აუცილებელია ღმერთთან

დაბრუნება. დაე უმძიმდეს და უჭირდეს, დაე ეს მდგომარეობა გაგრძელდეს, მაგრამ ის მაინც ეცოდინება, რომ ღმერთი მას არ უარყოფს. ასეთ დროს ადამიანი აღარ ფიქრობს, შეუმსუბუქდება თუ არა მდგომარეობა, მხოლოდ ის ადარდებს, რომ ღმერთმა არ განაგდოს პირისაგან თვისისა.

ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდება. „წავალ აღსარებაზე, – ფიქრობს ადამიანი, – რადგან საკუთარ თავთან ყოფნა მიმძიმს, მე კი კომფორტული ცხოვრება მინდა. ვიცი, რომ აღსარების დროს ღმერთი მოწყალეა, იგი შემინდობს ცოდვებს, სიმძიმე მომშორდება და ისევ სიმსუბუქეს ვიგრძნობ“. ამ შემთხვევაში ცხოვრება უწინდებური დარჩება, უბრალოდ, ადამიანი უფრო ფრთხილი გახდება, მოერიდება ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს. მაგრამ თუ იგი არ შეიცვალა, ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს საკუთარ თავზე პასუხისგება.

შეუძლებელია, კაცს ცოდვა რაღაც უბრალო სარეველასავით ამოგლიჯო გულიდან. შეუძლებელია ცოდვილი საქციელი განაცალკევო ცოდვილი გულისსიტყვისგან, ცოდვილად ჩამოყალიბებისგან – ცოდვა თავისთავად ვერ იარსებებს, თუ რაღაც მოვლენებს, სხვა ადამიანებთან შეხვედრებს, ადამიანის ცხოვრების მთლიანობას არ მოეჭიდა. ამიტომ, როცა ადამიანი აღსარებაზე მიდის, არ შეიძლება თავისი თავის მხოლოდ ნაწილი მიიტანოს – მან თავისი თავი მთლიანად უნდა წარმოაჩინოს.

ასეა თუ ისე, სული წმიდის მადლი სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებებთან თუ სხვა ადამიანებთან შეჯახების მეშვეობით გვაიძულებს, რომ შევიცვალოთ. ამბროსი ოპტინელი ამბობდა, თიხის ქოთნებიც კი ეხეთქებიან ერთმანეთსო. ადამიანებიც ქოთნებივით ეხეთქებიან ერთმანეთს და იმსხვრევიან, საკუთარი თავისგან შექმნილი ამ კერპის, ამ თიხის ქოთნის დამსხვრევას კი კაცი იმის გაცნობიერებამდე მიჰყავს, რომ ის თითქოს სულიერად ცხოვრობდა, ეკლესიაში დადიოდა, ეზიარებოდა, მაგრამ ახლაღა მიხვდა: აღსარების დროს ღმერთს თურმე ცალკეული ნამსხვრევები კი არა, მთლიანად გატეხილი ქოთანი უნდა მიუტანოს.

ხშირად უნდა ჩაუღრმავდე საკუთარ თავს და ჰკითხო: სად ვარ მე?

თუ გსურს, რომ სულის მშვიდობა შეინარჩუნო, ხშირად უნდა ჩაუღრმავდე საკუთარ თავს და ჰკითხო: სად ვარ მე?

ღირსი სერაფიმე საროველი

შეუძლებელია ძველი კაბის ყოველი ძაფი განაახლო. თუ ტანსაცმელი დაიძენძა, იგი უნდა შეიცვალოს. ბევრ ცოდვას კაცი ხშირად სახელსაც ვერ არქმევს, საამისოდ საჭირო სიტყვებს ყოველთვის ვერ პოულობს. ზოგი ცოდვა კი ისეთია, არც იცი, რა უწოდო, რადგან ეს მოქმედება კი არა, მდგომარეობაა, რაღაც ისეთი, რისი აღწერაც შეუძლებელია: ყველაფერი ძალიან ცუდად არის, როგორც იტყვიან – საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ამიტომ უფალი სინანულის საიდუმლოში ადამიანს, რომელსაც ძველ კაბაში ცხოვრება აღარ შეუძლია, სამოსელს განუახლებს. საკერებლებს კი არ ადებს ნახვრეტებზე, არამედ მთელ ცხოვრებას განუახლებს, ცოდვის ბორკილებისგან ათავისუფლებს.

უფალი მთავარს – ცოდვის ფესვებს გვიჩვენებს, ეს ფესვები უნდა გამოვასწოროთ საკუთარ თავში და მათთან ერთად სხვაც ბევრი რამ გამოსწორდება, ის, რასაც ჩვენ ვერც კი ვაცნობიერებთ. აი, ამაშია აღსარების მნიშვნელობა. შეიძლება ჩვენს სიცოცხლეში ვერ გავიგოთ, რა შეიცვალა ჩვენში, რა ცოდვები შეგვინდო უფალმა თავისი მოწყალებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების სხვა გზა ავირჩიეთ.

სწორედ ამიტომ არ შეიძლება, რომ აღსარება ფრაგმენტული იყოს. ადამიანი აღსარებაზე მთელი თავისი სავსებით უნდა მიდიოდეს. და თუ ამას შეიგნებს, მაშინ აღსარებიდან აღსარებამდე კი არ იცხოვრებს, არამედ სინანული მისი ცხოვრების გულისგული გახდება.

ასეთი ცხოვრება შეიძლება აუტანელი მოგვეჩვენოს, მაგრამ რაც არ უნდა საოცარი იყოს, სწორედ ესაა ცხოვ-

რების სავსება. ჩვენ ვისაუბრეთ სიხარულზე, სიყვარულზე, იმაზე, რომ ერთი მონანული ცოდვილის გამო მთელი ცათა სასუფეველი ხარობს. ეს სიხარული იმით არის გამოწვეული, რომ კაცი მთელი თავისი სავსებით ხდება კაცი, ბოლოს და ბოლოს ხდება მონა ღვთისა. ეს უდიდესი სიხარულია, ეს ის წყალობაა, რომელიც ადამიანს მამისაგან ეძლევა.

ყველა სერაფიმე საროველი ვერ იქნება, ყველა ღირსი სილუვანეს სიწმინდეს ვერ მიაღწევს, მაგრამ უფალი ყოველ ადამიანს აძლევს სრული სიწმინდის სავსებასთან შეხების შესაძლებლობას, ყოველ ჩვენგანს ეძლევა შვილობა გარკვეული საზომით, რამეთუ სავსება ცათა სასუფეველში ყველასათვის სავსებაა. ერთმა მღვდელმა ასეთი მაგალითი მოიყვანა: ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ყველა სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვადასხვა პირობებში, ზოგი მონასტერში მოღვაწეობდა, ზოგი დაზგასთან იდგა ან მიწას ხნავდა... დიახ, ყველა ადამიანი სხვადასხვაა, მაგრამ სავსება ყველასთვის ერთია, ყველა სავსეა. წარმოიდგინეთ: კასრი შეიძლება პირთამდე ავავსოთ და იგი სავსე იქნება, მაგრამ შეიძლება სათითურიც ბოლომდე ავავსოთ და ისიც სავსე იქნება. სათითურს მეტს ვეღარ დაუმატებ, მას პრეტენზიაც ვერ ექნება, რომ სავსე არ არის – ყველაფერი აქვს, რისი დატევნაც შეუძლია. კასრში მეტია, ვიდრე სათითურში, მაგრამ სათითურს ამის გამო არაფერი აკლდება, იგი ამის გამო არ იტანჯება, არა აქვს იმის განცდა, რომ სავსე არ არის.

იგივე ხდება ყველა ადამიანისათვის ცათა სასუფეველში: თუ ღვთის წყალობით იქ მოვხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველანი ძალიან განსხვავებულნი ვართ და უფალთან სხვადასხვა გზით მივედით, შვილობის სავსება ყველას აუცილებლად გვექნება. მაგრამ ზოგიერთი ამ საზომს სიცოცხლეშივე მიაღწევს და მას თავის თავში განახორციელებს, ზოგი კი ცათა სასუფეველში, როგორც ღვთის ნიჭს, ისე მიიღებს.

მაგრამ როცა ცათა სასუფეველზე ვფიქრობთ, ჩვენ ვიცით, რომ ეს სიყვარულის სამეფოა, სიხარულისა და საუკუნო

ნეტარების სამეფო. ჩვენ არ გვჩვევია მომავალ ცხოვრებაზე ისე ვიმსჯელოთ, როგორც რაღაც საშინელზე. და ამ დროს ისევ წინააღმდეგობაში ვვარდებით, რადგან სადაც სიყვარულია, იქ შეუძლებელია შიში იყოს. თავის პირველ კათოლიკე ეპისტოლეში იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ „სრულმან სიყვარულმან გარე განდევნის შიში“, და რომ „მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (1 იოანე, 4,18). ამიტომ ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ერთდროულად ღვთის წყალობა და საშინელი სამსჯავრო. ძნელია ერთი უბრალო მიზეზის გამო: ჩვენი ამპარტავნება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თავი დასჯილებად წარმოვიდგინოთ, იმათ როლში, ვინც მუდამ დამნაშავეა ღვთის წინაშე. ჩვენ მზადა ვართ შევუნდოთ საკუთარ თავს სისუსტის, ღვთისაგან ერთგვარი განდგომის, თვით ღალატის ყოველი წამი და ამიტომ ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება, რომ სხვებმა არ მოგვიტევონ. ჩვენ ხომ ვპატიობთ საკუთარ თავს – და ძალიან ძნელია იმის დაშვება, რომ შეიძლება საბოლოოდ დავისაჯოთ, დავისაჯოთ მარადისობაში.

მოდი, ვიფიქროთ ამაზე. მოდი, ნამდვილად შეგვეშინდეს იმის გამო, რაც ჩვენი კუთვნილებაა. რატომ არის, რომ ჩვენ ყველამ უკვე წინდაწინ ვაცხონეთ თავი? რატომ გავუღეთ სამოთხის კარი ჩვენსავე თავს? რატომ ვცხოვრობთ ისე ზერელედ, თითქოს არ მოგველოდეს უფლის წინაშე წარდგომა და მისთვის თვალის გასწორება, არ მოგველოდეს ხილვა მისი გაბრწყინებული პირისა, რომელიც ბოლომდე გამოაჩენს თითოეულ ჩვენგანს და დაგვანახებს, ვინა ვართ და რა არის ჩვენში ნამდვილი?

თავი XII

სასუფევლის კარიბჭესთან

შენს სვლას საფუძვლად ღვთის შიში დაუდე
და მალე აღმოჩნდები სასუფევლის კართან.

წმ. ისააკ ასური

ცხოვრება ღმერთში

რამეთუ ჩემდა ცხორება ქრისტე არს და სიკუდილი – შესაძინელ.

ფილიპელთა, 1,21.

იყო ერთი მდიდარი კაცი, ცხოვრობდა ლაღად და ფუფუნებით. სხვა კაციც იყო, ლაზარე, რომელიც მის კართან იწვა ჩირქოვანი წყლულებით სავსე და ნატრობდა, მდიდრის ტაბლიდან გადმოცვენილი ნამცეცებით მაინც გამძღარიყო, მაგრამ ლუკმასაც არავინ აწვდიდა. მოკვდა ორივე. ლაზარე აბრაამის წიაღში მოხვდა, მდიდარი კი სატანჯველში. და აი, მდიდარი აბრაამს ევედრება, მოვიდეს ლაზარე, თითი წყალში დაასველოს და ტანჯვა შეუმსუბუქოს, მაგრამ აბრაამი ამ მოწყალებაზე უარს ეუბნება. მაშინ მდიდარი სთხოვს, რომ ლაზარე მის ძმებთან მივიდეს და გააფრთხილოს, რათა ისინი მაინც გადაურჩნენ დაღუპვას. აბრაამმა მიუგო: „ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი და მათი ისმინონ“. „არა“, – ამბობს მდიდარი, – „არ მოუსმენენ. არამედ მკვდართაგან თუ ვინმე მივა, შეინანებენ. აბრაამი კი პასუხობს: „თუ მოსეს და წინასწარმეტყველებს არ მოუსმენენ, მკვდრეთით თუ ვინმე აღდგება, არც იმისას ირწმუნებენ“ (იხ. ლუკა, 16,29).

ასეთია კაცის ცხოვრების დასასრულისა და სამსჯავროს ამბავი – ამბავი იმისა, თუ როგორ უნდა მოვკვდეთ, რამეთუ არაფერია ისეთი ცხადი ადამიანისთვის, როგორც ის, რომ მისი საბოლოო ხვედრი სიკვდილია. საკუთარი ბედისწერის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით – ისიც კი არ ვიცით, რა მოგველის ათი წუთის შემდეგ. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, ის არის, რომ ოდესმე მოვკვდებით, ისევე როგორც სხვები დაი-

ხოცნენ ჩვენამდე. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცის, რომ მოკვდება, ყველაზე ნაკლებად სწორედ სიკვდილზე ფიქრობს, ნაკლებად ცდილობს გაიგოს, თუ როგორ უნდა იცხოვროს, რათა სატანჯველში არ მოხვდეს.

რისთვის იტანჯებოდა მდიდარი? კაცმა რომ თქვას, ცუდი რა ჩაიდინა? სახარება არ გვეუბნება, რომ იგი ცუდი კაცი იყო. თვითონ იტანჯებოდა, მაგრამ ტანჯვას არავის უსურვებდა: ჯოჯოხეთში მყოფიც კი თავისიანებზე ზრუნავდა, რომ არ წარწყმედილიყვნენ. მდიდარს, რომელიც ჯოჯოხეთში მოხვდა, კეთილი გული ჰქონდა.

აი, ასეთი ჩვეულებრივი ადამიანი, ისეთივე, როგორიც სხვები, ოღონდ მდიდარი, სიკვდილის შემდეგ სატანჯველში ხვდება. და არა იმიტომ, რომ სიმდიდრე ცუდია, სიღარიბე კი კარგი. სიმდიდრე აქ სულ სხვა რამეს – თვითკმარობას ნიშნავს, როცა ადამიანი თავის ჩაკეტილ სამყაროში ცხოვრობს და ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევს. ჩვენც ასეთ სამყაროში ვცხოვრობთ ან ამისკენ მივისწრაფვით: გვინდა, რომ ჩვენს გარშემო კედელი აღვმართოთ და არავინ შემოვუშვათ: „თქვენი პრობლემები ჩვენი პრობლემები არ გახლავთ, ჩვენ საკუთარ პატარა, მყუდრო სამყაროში ვცხოვრობთ და აქ თავს ჩინებულად ვგრძნობთ. ღმერთი? რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ღმერთი არსებობს და ეს ჩვენთვის საკმარისია“. მოწყინებასა და სასოწარკვეთილებაშიც კი ვვარდებით, როცა ამ ჩვენს თვითკმარ, თვითკმაყოფილ სამყაროში უფალი ერევა და ჩვენს გამოფხიზლებას ცდილობს. მის ასეთ ჩარევაში ჩვენ წყალობას ვერ ვხედავთ. მაგრამ ეს ის მშვიდობაა, რომელზეც წმინდა მამები ამბობდნენ, რომ უმჯობესია ბრძოლა, ვიდრე მშვიდობა, რომელიც ღმერთს განგვაშორებს.

სახარებისეული მდიდარი არც მძარცველი იყო და არც ყაჩაღი, იგი არც ბოროტმოქმედი ყოფილა. ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და სატანჯველში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ თავისი სამყარო ღვთისაგან განაცალკევა. მდიდრის სამყარო ჩაკეტილი იყო და სწორედ ამიტომ ღვთის სასუფეველიც ჩაკეტილი აღმოჩნდა მისთვის.

ასე ვართ ჩვენც: ვიცით, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ისე ვცხოვრობთ, თითქოს არ არსებობდეს, თითქოს მასთან შეხვედრა არ მოგველოდეს. ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე კიდევ გვექნება დრო, რომ ღმერთისთვის ვიცხოვროთ. შეიძლება დიდმარხვა დადგეს და მაშინ... ამ დიდმარხვაში არაფერი გამოგვივიდა, იქნებ ერთი წლის შემდეგ მოვახერხოთ რამე... მაგრამ ხომ შეიძლება მორიგი დიდმარხვა ჩვენთვის აღარც დადგეს. შეიძლება დღეს ტაძრიდან გავიდეთ და აღარასოდეს დავბრუნდეთ – მაშინ ვეღარასოდეს ვერაფერს გავაკეთებთ ღვთისთვის, ვერაფრით ვეღარ მოვემსახურებით. და ასე აღსრულდება აბრაამის მიერ მდიდრისათვის ნათქვამი სიტყვები, მკვდრეთით რომ ვინმე აღდგეს, არც იმისას ირწმუნებენო. იწამო – არ ნიშნავს, რომ დარწმუნდე. იწამო – ნიშნავს იმას, რომ რწმენა სავსებით და ბოლომდე შემოუშვა შენს ცხოვრებაში, ამ რწმენით იყო შთანთქმული, იცხოვრო ქრისტესთან ერთად.

წინასწარმეტყველები და წმინდა წერილი გვეუბნებიან, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია: „მე საწერტელნი იგი უფლისა იესუისნი ხორცთა შინა ჩემთა მიტვირთავნ“ (გალ. 6,17), ან „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე“ (გალ. 2,20). ხოლო რომელ ადამიანშიც ღმერთია დამკვიდრებული, იმას სიკვდილისა არ ეშინია. „ჩემდა ცხორება ქრისტე არს და სიკვდილ შესაძინელ“ (ფილ. 1,21), ამბობს მოციქული, რამეთუ იგი ქრისტესთან ერთად ჯვარს ეცვა.

წმინდა წერილი, რომელსაც ჩვენ ხშირად ვუსმენთ, მაგრამ ყოველთვის არ გვესმის, გვასწავლის, რომ ცხოვრება ღმერთში მასთან ერთად ჯვარცმაა. და მაშინ ლაზარე წარსდგება არა როგორც გლახაკი სნეული, არამედ ქრისტესთან თანაჯვარცმული, რომელმაც ღვთისაგან მიიღო სიცოცხლე, როგორც წყალობა, როგორც მასთან ერთად ვნების შესაძლებლობა, და როგორც შესაძლებლობა, რომ ამ მცირედი ღვაწლით ქრისტეთი გამდიდრებულიყო. ამიტომაა, რომ სახარებაში ლაზარე სახელით იხსენიება, მდიდრის სახელი კი უცნობია – მისი სახელი ამოშლილია ცხოვრების წიგნიდან.

ჩვენ კარგად ვიცით სახარების სიტყვები, რომლებიც ლიტურგიაზე იგალობება: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურდეს სიმართლისათვის“ (იხ. მათე, 5), მაგრამ ეს სიტყვები თითქოს ჩვენთვის არ დაწერილა. სინამდვილეში კი ეს ნეტარების მცნებებია, მაგრამ ისეთი ნეტარებისა, ისეთი ბედნიერებისა, რომელიც საკუთარი თავისთვის არავის უნდა, მას არავინ ესწრაფვის და მის მისაღწევად არავინ იღვწის, იმიტომ, რომ ჩვენი ნეტარება თვითკმარობაშია, ჩვენი ნეტარება კომფორტშია, ჩვენი ნეტარება იმაში მდგომარეობს, რომ არავინ შეგვაწუხოს. აი, რა აკარგვინებს პიროვნულობას თითოეულ ჩვენგანს და რა არ გვაძლევს საუკუნო ცხოვრებასთან ზიარების საშუალებას.

მდიდრისა და ლაზარეს ამბავი მოგვითხრობს, თუ რა ადვილად შეუძლია ადამიანს გვერდი აუაროს საკუთარ ცხონებას, რა უნაყოფოდ შეიძლება დამთავრდეს ცხოვრება, რომელსაც ჩვენს კეთილმოწყობილ, პატარა სამყაროში ვატარებთ.

გახსოვდეს სიკვდილი

სიკვდილის ხსოვნა ის სათნოებაა, რომელზეც ჩვეულებრივი ადამიანები ნაკლებად ფიქრობენ, მაგრამ მის შესახებ ბევრს საუბრობენ წმინდა მამები – სიკვდილის ხსოვნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პოტენციალია ადამიანში. ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ თუ სიკვდილზე ვიფიქრებთ, ჭკუიდან შევიშლებით. სინამდვილეში ადამიანებს სიკვდილზე ფიქრი იმიტომ აშინებთ, რომ საერთოდ ცხოვრებისა ეშინიათ. ჩვენს დროში ჩვევად იქცა დროსტარება და არა ცხოვრება. ადამიანები არა მარტო დროს ატარებენ, არამედ იმაზეც კი ფიქრობენ, თუ როგორ მოკლან იგი. ერთის მხრივ, დრო თითქოს არ გვყოფნის, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ზედმეტიც კია, იმიტომ რომ... ცხოვრება მოსაწყენია.

იცხოვრო ისე, რომ მუდამ გახსოვდეს სიკვდილი, საშინელებაა, რადგან მაშინ ყველაფერი უნდა შეიცვალოს: ყოველი წუთის ფასი უნდა იცოდე, ყოველი საათი შემოქმედებითად უნდა გაატარო, რათა ღრმა შინაარსით აავსო იგი. როცა დედის გარდაცვალებას იხსენებდა, მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი ამბობდა, რომ მისი გარდაცვალების წელი მათ ურთიერთობაში ყველაზე ბედნიერი იყო. არავინ იცოდა, როდის დასრულდებოდა მისი მძიმე სნეულება, ყოველ დღეს, როგორც უკანასკნელს, ისე ხვდებოდნენ და ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის რაც შეიძლება მეტი სიყვარული მიეცათ, რადგან იცოდნენ, რომ ხვალინდელ დღეს ამის საშუალება შეიძლება აღარც ჰქონოდათ.

როდესაც ადამიანს მუდამ ახსოვს სიკვდილი, მისი ცხოვრება მთლიანად იცვლება. თუ ეს დღე შენთვის უკანასკნელია, მაშინ, რა თქმა უნდა, სისულელე იქნება შესცოდო, სისულელე იქნება დროის ფუჭად გატარება: კროსვორდების ამოხსნა, დეტექტივების წაკითხვა, არ ღირს ჩხუბი, კამათი, არ ღირს სხვა ადამიანებზე განაწყენება. რა აზრი აქვს გაბუტვას, თუ ეს დღე შენთვის უკანასკნელია – უმჯობესია შეუნდო და ეს დრო სიკეთითა და სიყვარულით აავსო. კაცმა კიდევაც რომ შესცოდოს, არ დააყოვნებს, მაშინვე შეინანებს და პატიებას ითხოვს. და აი, ასეთი უნდა იყოს მისი ყოველი დღე მთელი ცხოვრების მანძილზე, სანამ არ მოკვდება. თუ კაცი თავის თავში ასეთი ცხოვრების ძალას იპოვის, მისი ცხოვრება ძალიან აზრიანი, ძალიან ბედნიერი და სავსე ხდება. მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია: ლოცულობს თუ სხვა ადამიანებს ესაუბრება, ლექსებს წერს თუ ხატავს, გამომგონებელია თუ მშენებელი, ესმის, რომ შეიძლება სიცოცხლეში უკანასკნელად ეძლეოდეს საშუალება, რომ რაიმე სასარგებლო გააკეთოს, მოყვასისთვის გაისარჯოს. ასე და ამგვარად, ადამიანისთვის ყველაფერი ახალ აზრს იძენს. აი, რას ნიშნავს სიკვდილის ხსოვნა.

სიკვდილის ხსოვნამ შეიძლება გამოაცოცხლოს და შეავსოს ჩვენი ლოცვითი კანონი. ძილი სიკვდილის სახეა, ცხოვრებიდან გასვლა, და ძილად მისვლის ლოცვებს ღრმა სინანუ-

ლისა და შერიგების ხასიათი აქვთ. დილის ერთ-ერთ ლოცვაში კი ვკითხულობთ: „რათა ღირს ვიქმნეთ... მოსლვასა მისსა დიდებით განსჯად ყოველთა კაცთა და მიგებად თითოეულსა საქმეთა მათთაებრ, რათა არა განგდებულ ვიქმნეთ უდებებითა, არამედ რათა მღვიძარედ ვიპოვნეთ აღდგომილნი საქმითა კეთილითა, მომლოდებელნი წარდგომად სიხარულსა და შესლვად საღმრთოსა სასძლოსა დიდებისა მისისასა, რათა ჩვენცა მკვიდრთა მას შინა წმიდათა თანა ღირს ვიქმნეთ დღესასწაულობად ხმასა მას საღმრთოსა დიდებისა მისისასა მოუკლებელად“.

ბასილი დიდის ეს ღრმა და პოეტური ლოცვა ერთ ძალიან მნიშვნელოვან აზრს შეიცავს – თუ როგორ უნდა წარსდგეს ადამიანი საშინელი სამსჯავროს წინაშე. ბასილი დიდი კაცის ცხოვრებას ღამეს უწოდებს და ამბობს, რომ დღე ქრისტეს მოსვლით იწყება. ეს ლოცვა ესქატოლოგიური ჟღერადობისაა და ცათა სასუფევლის მოწოდებას შეიცავს. როგორც წმინდა წერილი სრულდება სიტყვებით: „ჰე, მოვიდოდე, უფალო იესუ“ (გამოცხ. 22,20), ანდა როგორც „მამაო ჩვენოში“ ვამბობთ: „მოვედინ სუფევა შენი“, ბასილი დიდის ლოცვის მთავარი აზრიც სწორედ ამ სიტყვებში მდგომარეობს, ოღონდ ღრმა საღვთისმეტყველო გაგებითაა გადმოცემული. ამ ლოცვაში სრულიად ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანი ყოველ დილას ღმერთთან შეხვედრისათვის ემზადება, და რომ ყოველი დღე მისთვის შეიძლება საშინელი სამსჯავროს წინაშე წარდგომის დღედ იქცეს. უნდა გვესმოდეს, რომ როცა ახალ დღეს ვიწყებთ, ღმერთთან შეესახვედრად მივდივართ და შეიძლება საშინელ სამსჯავროზე წარვდგეთ. ჩვენ, ქრისტიანები, მოველით იმ დღეს, როცა მსაჯული მოვა და ყველას თავ-თავის საქმეთა მიხედვით მიუზღავს, ამიტომ მღვიძარენი ვიყოთ და ასე შევეგებოთ მაცხოვარს ჩვენსას.

შიში და სიყვარული ერთად შევკრათ

უფალი მოგვითხრობს იგავს საშინელი სამსჯავროს შესახებ – თუ როგორ დაჯდება ძე კაცისა დიდებითა თვისითა და განსჯის ყველა ადამიანს. იგი ზოგს მარჯვნივ დაიყენებს, ზოგს მარცხნივ, ერთნი იქნებიან, ვითარცა ცხვრები და სხვები – თიკნები. მაშინ ეტყვის უფალი მარჯვნივ მყოფთ:

– მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი სოფლის დასაბამიდან, რამეთუ მშიოდა, და მომეცით მე ჭამადი, სნეული ვიყავი და მომხედეთ მე, საპყრობილეს ვიყავი და მოხვედით ჩემთან.

მაშინ მართალნი ჰკითხავენ:

– უფალო, ოდეს ვიქმოდით ამას?

და უფალი მიუგებს:

– რაც ერთ ჩემს ძმათაგანს უყავით, მე მიყავით.

მარცხნივ მყოფთ კი უფალი ეტყვის:

– წარვედით ჩემგან, წყეულნო, რამეთუ მშიოდა და არა მომეცით მე ჭამადი, მწყუროდა და არ მასვით მე, უძლური ვიყავ და საპყრობილეს და არ მოხვედით ჩემთან.

მაშინ ისინი მიუგებენ:

– უფალო, როდის არ გემსახურეთ შენ?

– რაც ერთ ამ მცირეთაგანს არ უყავით, ის მე არ მიყავით.

და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხოვრებასა საუკუნესა (იხ. მათე, 25,34). აი, რას ამბობს სახარება საშინელ სამსჯავროზე.

ადამიანი საკუთარ თავზე მუშაობას იწყებს, ღვთისკენ მიისწრაფვის და უცებ ხვდება, რომ ცოდვებშია ჩაფლული და ის მდგომარეობა, რომელშიც ახლა იმყოფება, სრულიად უცხოა ცათა სასუფეველისთვის, რომ მისი ხვედრი გეენია და ტანჯვაა, რომ სიტყვები: „განვედით ჩემგან, წყეულნო“ არა ვიღაც უცნობ ადამიანებს, არამედ პირადად მას ეხება.

ვინ არიან ისინი, ვისაც უფალმა „წყეულნი“ უწოდა? აქ ხომ ყაჩაღებსა და მკვლელებზე არ არის ლაპარაკი. არც ერთი მათგანისთვის არ უთქვამს: „განვედით ჩემგან, რამეთუ თქვენ კლავდით, ქურდობდით, მრუშობდით, ბევრ უსჯულოებას სჩადიოდით“. უფალი ამ ადამიანების არც ერთ ცოდვას არ ასახელებს. ამ „წყეულებმა“ ცხოვრება ალბათ ისე განვლეს, როგორც ბევრმა ჩვენგანმა: ისინი მხოლოდ საკუთარი თავით იყვნენ დაკავებულნი და სხვებს ვერც კი ამჩნევდნენ, ეს იყო და ეს. მათ ისეთი საზარელი არაფერი ჩაუდენიათ, საკუთარი თავი მკაცრად რომ განესაჯათ, მაგრამ მათი ცხოვრება წყევლას დაექვემდებარა.

მაშ, რა აზრი აქვს ჩვენს ქრისტიანობას? რატომაა, რომ უფალი ასე მკაცრად გვთხოვს პასუხს? რითი განვსხვავდებით დანარჩენებისგან? ღმერთი ერთია, ადამიანები კი ბევრნი არიან და ბევრი სხვადასხვა სარწმუნოებაც არსებობს. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ღმერთი სწამს ადამიანს? ყველა რელიგია მოითხოვს, რომ ვიყოთ პატიოსნები, კარგები, არა კაც ვკლათ, არ მოვიპაროთ. ყველა ასე ფიქრობს და მათ შორის ქრისტიანებიც. რა მომეთხოვება მე, როგორც ქრისტიანს? სხვას ხომ არაფერს ვუშავებ: სესხს იმას ვაძლევ, ვინც ვალს უკან მიბრუნებს, იმას ვეხმარები, ვისაც ეს სჭირდება, მიყვარს ისინი, ვისაც მე ვუყვარვარ. და მე, ქრისტიანს, ყველაფერი წესრიგში მაქვს. სინდისი არ მამხილებს. აი, სახარება კი მამხილებს.

რა აზრი აქვს ჩვენს ქრისტიანობას, თუკი ისევე ვგრძნობთ, ისევე ვფიქრობთ, ისევე ვიქცევით, როგორც ყველა ჩვენი გარშემომყოფი, არცთუ უკეთესად, ხოლო ზოგიერთი უარესადაც კი? რაში მდგომარეობს ჩვენი სარწმუნოების აზრი, თუკი გვიყვარს ისინი, ვისაც ვუყვარვართ, ვეხმარებით მათ, ვინც გვეხმარება, ვზრუნავთ მათზე, ვინც ჩვენზე ზრუნავს? რა აზრი აქვს ამას ჩვენი სარწმუნოებისთვის? არავითარი, რადგან ქრისტიანული სარწმუნოების არსი სულ სხვა რამეშია. უფალს ჩვენდამი სულ სხვა დამოკიდებულება აქვს. იგი ჩვენ შვილებს გვიწოდებს, თავის თავს კი – მამას. „იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაი თქუენი მოწყალე არს“ (ლუკა, 6,36). ესე იგი, იყავით

არა მორწმუნენი, არა რელიგიურნი, არამედ ღვთის შვილები. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს უნდა შევუერთდეთ, ჭეშმარიტად მისი თანასწორნი უნდა გავხდეთ, სულ სხვა გრძნობებით ვგრძნობდეთ, სულ სხვა ქმედებებით განვსაზღვროთ ჩვენი ცხოვრება – ისე, როგორც ამას უფალი გვიბრძანებს.

და შეიძლება ისე მოხდეს, რომ სიყვარულის სასუფეველი, რომლისკენაც ადამიანები როგორღაც მიისწრაფოდნენ და როგორიც ის მათ წარმოდგენაში იყო, უცებ მიუწვდომელი აღმოჩნდეს ერთი მარტივი მიზეზის გამო – სიყვარულის სასუფეველი მათ სხვაგვარად წარმოედგინათ, ვიდრე იგი სინამდვილეშია. აქ სხვა სიყვარულზეა ლაპარაკი: იმ სიყვარულზე, რომელიც ადამიანს მოწყალეს ხდის; იმ სიყვარულზე, რომელიც ადამიანს მდაბალს ხდის; იმ სიყვარულზე, რომელიც ადამიანს ქრისტეს მიერ სრულყოფილს ხდის.

ზეცაში საკუთარი თავის განსჯა აღმოჩნდა სწორედ სიყვარულის სავსება

ზეცათა სასუფევლის კანონებით ცხოვრება ჩვენთვის აუტანლად მძიმეა – და ამაშია საფუძველი ყველაზე საშინელი ტანჯვისა. კაცისთვის მტანჯველია სულიერი ცხოვრებით ცხოვრება, მტანჯველია ქრისტეს გვერდით ყოფნა. ძალიან ძნელი და უსიამოვნოა ბოლომდე დაემორჩილო სწორედ იმ სიყვარულის კანონებს, რომლითაც ზეცათა სასუფეველი ცხოვრობს და რომლის მიხედვითაც საშინელი სამსჯავრო აღესრულება. მაგრამ სამსჯავრო არ არსებობს – უბრალოდ, სიყვარული, უფლის მიერ სოფელში მოტანილი, გახდება ის სინათლე, რომელშიც ყოველი ადამიანი გამოჩნდება: თვისია იგი ქრისტესთვის თუ უცხო, არის კი მასში თუნდაც სულ ცოტა ასეთი სიყვარული თუ მთელი სიცოცხლის მანძილზე არაფერი შეუძენია.

აი, ეს არის სამსჯავრო. უფალი სხვას არაფერს მოგვკითხავს, ამის მეტს სიტყვასაც არ გვეტყვის. უბრალოდ, ჩვენდამი მისი სიყვარული იმდენად მწველი იქნება, რომ ზოგიერთისთვის ეს სიყვარული ჯოჯოხეთის ცეცხლად იქცევა. დიახ, ეს უსასრულო მოწყალებისა და უსასრულო სიყვარულის სამსჯავროა, მაგრამ იმ სიყვარულისა, რომელიც ჯერ არ გაგვაჩნია, იმ სიყვარულისა, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია.

ჩვენ გვეშინია დავიჯეროთ, რომ ღვთის სიყვარული შეესაძლოა ჩვენი ნეტარება იყოს, საბოლოო ნეტარება. ამიტომ ვზღუდავთ საკუთარ ცხოვრებას, უფალთან ჩვენს ურთიერთობას და ერთგვარად ვცრუობთ: სიკეთეს გავაკეთებთ, ცოტა ხანს სულიერი ცხოვრებით ვიცხოვრებთ, მერე კი ისევ ძველ საკუთარ თავს ვუბრუნდებით, იმას, რაც ჩვენში გვიყვარს, რასაც შევეჩვიეთ, რათა ვიცხოვროთ მყუდრო, ჩვეული, გამოზომილი ცხოვრებით – ცათა სასუფევლის მიღმა.

ამბა დოროთე ამბობს: „ის კი არ არის მოწყალე, ვინც ოდესღაც მოწყალება გაიღო, ის კი არ არის მდაბალი, ვინც ერთხელ თავი დაიმდაბლა, ის კი არ არის უბიწო, ვინც ოდესღაც არ დაეთანხმა ცოდვას, არამედ ის, ვინც მთელი თავისი ცხოვრების ყოველ წუთს ასეთია“. მოწყალეა ის, ვისთვისაც მოწყალება ბუნებრივი მდგომარეობაა, ეს მისი ხასიათი, ჩვევა, მისი პიროვნება გახდა. ადამიანი მხოლოდ მაშინ ვერ შეამჩნევს თავის მოწყალებას, როცა იგი ჭეშმარიტად მოწყალეა, როგორც ჩვენ ვერ ვამჩნევთ იმას, რომ ვსუნთქავთ. „უფალო, როდის ვიქმოდით ჩვენ ამას, როდის გმსახურეთ შენ?“ – უკვირთ ასეთ ადამიანებს, რადგან ეს მათთვის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა. ისინი უკვე ამა სოფელში შედიან სიყვარულის სასუფეველში. მათთვის არ არსებობს საშინელი სამსჯავრო, რადგან განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა, მათ თვითონვე გამოუტანეს საკუთარ თავს – ყოველი ღალატისთვის, ყოველი შეცოდებისათვის და ყოველთვის, როცა ქრისტეს არ უერთგულეს. ესენი ნამდვილი, მართალი ადამიანები არიან, რადგან ყველაფერი ისე აქვთ, როგორც მზეს სიმართლისას, ყველაფერი ისე აქვთ, როგორც ღმერთს.

პირველ ყოვლისა – ღვთის სიყვარული

შეგვიძლია კი ვიფიქროთ, რომ ღმერთი ჩვენთვის მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ჩვენი ამოსუნთქვა მასთანაა დაკავშირებული, რომ მზად ვართ ყველაფერი დავივიწყოთ მისთვის? რა ადგილს ვუთმობთ ჩვენს გულში ღმერთს?

კითხვაზე: „მოძღვარო, რომელი მცნებაა მთავარი სჯულში“? – ქრისტემ მიუგო: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (მათე, 22,36).

სახარება ყოველთვის მთავარზე გველაპარაკება. გველაპარაკება მარტივად, პირდაპირ, ღიად და არავითარ საშუალებას არ გვიტოვებს ამ სიტყვების ჩვენებურად განმარტებისთვის. თუმცა მეორე მხრივ ეს სიტყვები ადამიანისთვის შეუძლებელს ხდის ბოლომდე ჩასწვდეს მათ უბრალოებას. თითქოს ყველაფერი მარტივია – უფრო მარტივად ვერც კი იტყვი. რა უნდა იყოს კაცისთვის საუკუნო ცხოვრებაზე უფრო მნიშვნელოვანი? რა უნდა იყოს ღმერთზე მნიშვნელოვანი? თუ ჩვენ ერთხელ გვითქვამს მისთვის: „მრწამს, უფალო, და ვაღიარებ“, თუ ნათლისღების საიდუმლოს დროს წარმოვთქვით ეს ფიცი და თაყვანი ვეცით მას, როგორც მეფეს და ღმერთს, ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანის ცხოვრებაში ამაზე მნიშვნელოვანი აღარაფერი შეიძლება იყოს. რა მარტივია, მაგრამ რა შორს არის ეს ჩვენგან! ადვილია იმის გაგება, რომ ღმერთს შეიძლება რაღაც მსხვერპლი შესწირო, რაღაც წეს-ჩვეულება შეასრულო. მაგრამ როგორ უნდა შევიგნოთ, რომ მთელი არსებით უნდა გვიყვარდეს ღმერთი?

როცა პირველი საუკუნეების წმინდანების ცხოვრებებს ვკითხულობთ, ჩვენ ვიგებთ, თუ როგორ ლოცულობდნენ ისინი, როგორ მარხულობდნენ, როგორ იხვეჭდნენ სიმდაბლეს, ბოლოს კი ნეტარი აღსასრულის ღირსნი ხდებოდნენ და უფალი მათ განადიდებდა.

აი ქრისტიანული ცხოვრება! მაგრამ ჩვენ სხვა დროში ვცხოვრობთ. რას ნიშნავს ჩვენთვის ღვთის სიყვარული? ხომ არ შეიძლება ამ სიყვარულით გაჩნდე! უნარი – მთელი არსებით უყვარდეს უფალი – ადამიანს დაბადებიდან არ ეძლევა. ქრისტესნი ისინი არიან, ვინც „ხორცნი თვისნი ჯვარს-აცუნეს ვნებითურთ და გულისთქმით“ (გალ. 5,24). აი, რა არის ქრისტიანული ცხოვრება, აი, საიდან იწყება ღვთის სიყვარული. სიყვარული ჯვარცმაა. ქრისტემ ჯვარით მოგვიტანა ეს სიყვარული და გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს მთელი გულით და სულით გიყვარდეს ადამიანი. მან თავად გვაჩვენა, როგორ უყვარს ღმერთს ადამიანი და კაცობრიობას სიყვარულის ერთადერთი შესაძლებლობა დაუტოვა. ჩვენთვის სიყვარულის სხვა შესაძლებლობა არ არსებობს.

უფალი ამბობს: „რომელსა უყვარდეს მამაი ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“ (მათე, 10,37) ჭეშმარიტად, მას, ვინც რაიმე მიწიერს თუნდაც ყველაზე კეთილშობილური ზრახვებით სულიერზე მაღლა, ღვთის სიყვარულზე მაღლა დააყენებს, შეიძლება საკუთარი ცხონება განზე დარჩეს. იმიტომ, რომ ცხონება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანი ცდილობს უყვარდეს ღმერთი ისე, როგორც საკუთარი მამა.

ამ სიტყვების მოსმენისას უნებლიეთ გულის სასწორზე ვიწყებთ აწონას, ვინ უფრო მეტად გვიყვარს – ღმერთი თუ მშობლები, ღმერთი თუ შვილები, ღმერთი თუ სამშობლო? ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, მაგრამ სინამდვილეში მიწიერი სამშობლო მხოლოდ ზეციური სამშობლოს ძიების ღვაწლით იკურთხება, და თუ ადამიანი სამშობლოში მხოლოდ მიწიერს ეძებს, ის მიწიერ სამშობლოსაც კარგავს და ვერც ზეციურ სამშობლოს დაიმკვიდრებს.

ამიტომ, როცა ღვთის სიყვარულზეა ლაპარაკი, ეს ახლობელთა და შორიელთა მიმართ ჩვენს დამოკიდებულებასაც ეხება, და ბოლოს, ეს ჩვენი სიწმინდის საკითხია. სიწმინდისაკენ მიმავალი გზა ჩვენი ცხოვრების აზრია და ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შევიყვაროთ უფალი მთელი გულით, მთე-

ლი სულით, მთელი გონებით, მთელი არსებით, მერე კი შე-ვიყვაროთ მოყვასი, ვითარცა თავი ჩვენი (მარკ. 12,30). ამასვე ამბობს უფალი: „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაი თვისი და დედაი თვისი და ცოლი და შვილნი და ძმა-ნი და დანი და მერმე კვალად სულიცა თვისი, ვერ ხელეწი-ფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა, 14,26). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მივატოვოთ ახლობლები ან სრულიად დავივიწყოთ ისინი. პირიქით, ის, ვისაც ნამდვილად უყვარს ღმერთი, შეიძენს დედას და მამას, ქმარს, ცოლს და შვილებს – და საერთოდ, ყველას, რამეთუ ღვთის სიყვარული ადამიანს აქცევს წმინდანად, სრულყოფილად, უსასრულოდ, ღვთის შვი-ლად, ხოლო ღვთის შვილს ეკუთვნის ყველაფერი: ცხონებაც, საუკუნო ცხოვრებაც და სამსჯავროც.

მთელი სამსჯავრო ის გახლავთ, რომ უფალი მოვიდა ჩვენთან. მოვიდა თავისი სიყვარულით, თავისი ვენახით, თავი თვისი მოგვცა საზრდელად. რა შეიძლება იყოს ამ სამსჯავრო-ზე საშინელი, თუკი ჩვენ მას უარვყოფთ, არ ვღებულობთ, თუ ქრისტე არ გვჭირდება, სიყვარული არ გვჭირდება და მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ჩვენს ნებაზე ცხოვრება გვინდა? სწო-რედ ესაა საშინელი სამსჯავრო – როცა უფალი შენთან სიყვა-რულით მოდის, შენ კი ზურგს აქცევ მას.

ჩვენ ყველაფერი მოგვეცა. ღვთის მოწყალებისა და სუ-ლიერი ცხოვრების დაულევნელი სიმდიდრე ყოველ ჩვენგანს ეკუთვნის. მაშ, რატომ ვცხოვრობთ ასე უცნაურად? რატომ გაგვირბის თვალი მუდამ სულ სხვა მხარეს? თავად უფალი მოვიდა ჩვენთან, თავისი თავი მსხვერპლად შემოგვწირა – ნუ-თუ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი ოდნავ მაინც შეგვეყვარებინა?

ერთსულ უნდა ვიყოთ ღმერთთან

ერთსულ უნდა ვიყოთ ღმერთთან – ვგულისხმობ სულს სიწმინდისას, სიკეთისას, სიმდაბლისას, სიყვარულისას და მოწყალებისას. ვისაც არ ეგულება ეს სული თავის თავში, იგი ღვთისგან არ არის. ამგვარად, სრული სიყვარული უნდა შევიძინოთ, რათა „ყოველნი ერთ იყვნენ“. იყავნ! უფალო, შეგვეწიე.

წმ. იოანე კრონშტადტელი

მაგრამ აი, ადამიანი თანდათან ხვდება, რომ მართლაც ძალიან შორსაა იმ სიყვარულისგან, რომლითაც ზეცათა სასუფეველი ცხოვრობს, რომ ეს სიყვარული მისთვის არა მარტო მიუწვდომელი, ზოგჯერ უსიამოვნოც კია. ეს იმიტომ ხდება, რომ მას სიყვარულის სასუფეველი წარმოუდგენია, როგორც პირადად მისდამი სიყვარული, სახარება კი ამბობს, რომ ესაა მოყვასის სიყვარულის სასუფეველი. ამ სასუფეველში საკუთარ თავს ვეღარც კი ამჩნევ. და ეს ნეტარი გაუჩინარება უფლის წინაშე, წმ. იოანე კრონშტადტელის თქმით, ჩვენი ეგოისტური ცნობიერებისთვის ძალიან ძნელია. გიყვარდეს მოყვასი ისე, რომ მასში მუდამ ქრისტეს ხედავდე, ხედავდე ქრისტეს თვით ყოველ აუტანელ, უსიამოვნო ადამიანშიც კი – აი, როგორია სიყვარულის სასუფეველი! ამ გრძნობის არამცთუ განცდა, მასზე დაფიქრებაც კი არ გვსურს, იმდენად უსიამოვნოა იგი. მაგრამ სწორედ ეს გახლავთ ის, რაც სასუფევლისაგან განგვაშორებს და ის, რაც ღმერთს განგვაშორებს.

თუმცა უფალი ჩვენგან მეტსაც მოითხოვს. „შეიყვარეთ ისინი, ვისაც თქვენ სძულხართ“, გვეუბნება იგი. და როგორ უნდა გვიყვარდეს, ვისაც ვძულვართ? განა შეიძლება მტერი გიყვარდეს? არა. ისევე როგორც არ შეიძლება ფული ასესხო მას, ვინც ვალს არასოდეს დაგიბრუნებს. ისევე როგორც არ შეიძლება გული გადაუშალო მას, ვინც აუცილებლად გიღალატებს... შეუძლებელია. ეს კაცის ძალებს აღემატება. უფალი კი ამბობს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება მოქცევა. სწორედ ასე, თუ გვინდა, რომ ღვთის შვილები ვიყოთ. სილუანე ათონე-

ლიც ამოწმებს, რომ ერთადერთი, რაც ქრისტიანებად გვხდის, მტრების სიყვარულია – სხვა არაფერი.

კი მაგრამ, როგორ? რა საჭიროა ასეთი რწმენა? ბევრი ურწმუნო ადამიანისთვის, არაქრისტიანისთვის, ვისაც მიაჩნია, რომ „ღმერთი მის სულშია“, ეს სრული უაზრობაა. და თუ გონებით განვსჯით, ყველაფერი ის, რასაც ქრისტიანობა კაცობრიობისაგან მოითხოვს, სრულიად არასწორია, იმიტომ რომ სწორია არ გიყვარდეს მტერი, ასესხო მას, ვინც ვალს დაგიბრუნებს, სიკეთე უყო მას, ვინც სიკეთით გიპასუხებს. ყველა ასე იქცევა და ადამიანური თვალსაზრისით ეს სწორიცაა. ღმერთისთვის კი არ არის სათნო.

ჩვენი რწმენა იმაში არ მდგომარეობს, რომ სიკეთე კეთილ ადამიანებს ვუყოთ ან გვიყვარდეს ისინი, ვისაც ვუყვარვართ, და არც იმაში, რომ წესიერები გავხდეთ, რადგან ქრისტიანობა არ გახლავთ წესიერი ადამიანების რელიგია, თუ გნებავთ, ეს უწესო ადამიანების რელიგიაც კია. მთელი სახარება გვეუბნება, თუ როგორ მოვიდა უფალი უწესო ადამიანებთან. აი, ასეთი „შეშლილი“ სარწმუნოებაა: სასუფეველს „უწესონი“ იმკვიდრებენ, ხოლო „წესიერნი“ გაიძახიან: „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე!“

მთელი ახალი აღთქმა გვიჩვენებს, რომ ცათა სასუფეველში ყველაფერი სხვაგვარადაა, არა ისე, როგორც ამქვეყნად. სულ სხვადასხვა კანონებია: სხვაა სულიერი ცხოვრების კანონები და სხვა – ამა სოფლის.

უფალი თავისი ბუნებით სახიერია. იგი სიყვარულია. ამიტომ თუ ჩვენში არის რაიმე ღვთისაგან, მაშინ სწორედ ამით უნდა ვიყოთ სავსენი. შეუძლებელია ღმერთისგან მცირე მადლი მივიღოთ, რათა წესიერი ადამიანები გავხდეთ: ღმერთი თავის თავს მხოლოდ მთლიანად იძლევა. და როცა ეკლესიაში მივდივართ, ან ყველაფერს ვღებულობთ, ან ცარიელნი ვრჩებით. მაგრამ მიხვიდე, მცირე მადლი მიიღო, დანარჩენი კი უარყო, შეუძლებელია. ეს არავის სჭირდება, რადგან ვერავის აცხოვნებს. თავისთავად წესიერება სრულიადაც არ წარმოადგენს საშვს ცათა სასუფეველში შესასვლელად. ვერ შეხ-

ვალ სამოთხეში იმიტომ, რომ უბრალოდ კარგი ადამიანი ხარ. ამისათვის ფერი უნდა იცვალო, სრულიად სხვა უნდა გახდე, როგორც პავლე მოციქულმა თქვა: „განიშორეთ ძველი იგი კაცი და განახლდებოდეთ სულითა, შეიმოსეთ ახალი იგი კაცი ღვთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმინდითა ჭეშმარიტებისათა“ (ეფეს. 4,22). ამისათვის აუცილებელია ისე გავუღოთ უფალს ჩვენი თავი – გული, სული, მთელი ჩვენი გონება, მთელი ჩვენი ცხოვრება – რომ უფალი მთლიანად სუფევდეს ჩვენში, პირთამდე აღგვავსოს თავისი თავით. სხვაგვარად შეუძლებელია. ხოლო თუ ღმერთს მხოლოდ პატარა ადგილს გამოვუყოფთ, და ისიც არა მთავარს, დანარჩენს კი ჩვენი წესიერებით შევავსებთ, საყრდენს ვერაფერში ვპოვებთ. იმიტომ რომ საყრდენს ღმერთში კი არა, ხრწნილებისა და სიკვდილის კანონებში ვეძებთ.

როცა პავლე მოციქულმა უფალს ამქვეყნიური, კაცობრივი ძალების მინიჭება სთხოვა, უფალმა უთხრა: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“. და მოციქულმა მიუგო: „უფროის ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რაითა დაიმკვიდროს ჩემთანა ძალმან ქრისტესმან“ (2 კორ. 12,9).

ყოველი ჩვენგანი გრძნობს საკუთარ უძლურებას. ყველამ ვიცით, თუ რა ძნელია ტაძარში სიარული, კანონების წაკითხვა, აღსარებაზე მისვლა, სნეულთა მონახულება, რა ძნელია წყენის პატიება – საშინლად ძნელი. აი, რა უძლურები ვართ! სადღაა ჩვენი ძალა? რატომ არ მჟღავნდება იგი ჩვენს უძლურებაში? რატომ ხდება, რომ როცა ღმერთისთვის რაიმეს გაკეთებაა საჭირო, არაფრის ძალა არ შეგვწევს. მაგრამ რა ძალა აღმოგვაჩნდება ხოლმე, როცა ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მოწყობა დაგვჭირდება! რა კარგად ვიცით საკუთარი თავისათვის გარჯა! ძილიც კი გვავიწყდება, ისე მუხლჩაუხრელად ვშრომობთ! და აღმოჩნდება, რომ ჩვენი ამქვეყნიური ყოფის გასამართად საკმაოდ ძლიერნი ვართ. მაგრამ ასეთ ძალას ღმერთი წინ აღუდგება, იგი განეშორება ასეთ ძალას. ხოლო როცა ადამიანი უძლურია ამქვეყნიური კანონებით ცხოვრებისათვის, უფალი აძლევს ძალას, რათა სძლოს ამა სოფელს.

და მაშინ სოფელი ვეღარ ბატონობს ასეთ კაცზე, არ შეუძლია დაიმორჩილოს და თავისად აქციოს იგი. მაშინ ადამიანისთვის გასაგები ხდება, როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, ვისაც სძულხარ, ხელი გაუმართო მას, ვინც გაწყენინა, დაედევნო შენს ყოფილ მოწაფეს, რომელმაც რწმენა დაკარგა და ავაზაკი გახდა, ისე როგორც იოანე ღვთისმეტყველი დაედევნა, რათა გადაერჩინა იგი და სიყვარულით ჩაეკრა გულში. იმიტომ რომ მაშინ ყოველ ჩვენგანში არა კაცობრივი, არამედ ღვთაებრივი ძალა ვლინდება.

ადამიანს შესწევს უნარი, რომ უფლის წინაშე გაიხსნას, თავი დაანებოს ამა სოფლის გონებით ცხოვრებას და ღვთის გონებით ცხოვრება დაიწყოს, სასოება ამა სოფლის კანონებზე კი არ დაამყაროს, საღვთო შჯულში განმტკიცდეს; აღარ იცხოვროს ისე, როგორც საზოგადოდ მიღებულია და ყური მიუგდოს, თუ როგორ უცხადებს უფალი თავის ნებას. მხოლოდ მაშინ ეძლევა ადამიანს თავის თავში ღმერთის მიღების უნარი.

ხოლო როცა ჩვენს თავში ღმერთს ვღებულობთ, ჩვენს წინაშე აღარ დგება კითხვა, ვინ გვიყვარდეს და ვინ არა, ვინ დავიახლოვოთ და ვინ განზე გავწიოთ. იმ კაცისთვის, რომლის გულშიც უფალი სუფევს, არ არსებობს განყოფა, ისევე როგორც არ არსებობს განყოფა ღვთისთვის. ღმერთს არ შეუძლია ზოგი უყვარდეს და ზოგი არა, მოვიდეს, რათა იხსნას ერთნი და არ მოვიდეს სხვათა ხსნისათვის. ჩვენ მისთვის ყველანი შვილები ვართ, თითოეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად. იმ ადამიანისთვის, რომელიც ღმერთთან არის, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ უყვარს: მოყვარენი თუ მოძულენი, მას არ ესმის, როგორ შეიძლება ვინმე არ უყვარდეს, როგორ შეიძლება ვიღაცისთვის არ იტანჯოს. არ ესმის, რადგან მასში უკვე არა კაცობრივი, არამედ ღვთაებრივი ძალა მოქმედებს.

მოდი, ვკითხოთ საკუთარ თავს: „ვინა ვართ? რისთვის მოვედით ტაძარში? რომელ ღმერთს ვცემთ თაყვანს და ემბაზში რისთვის ნათელ-ვიღეთ? იმისათვის, რომ წესიერები ვიყოთ თუ იმისათვის, რომ ღვთის შვილები გავხდეთ?“ და თუ იმისათვის მოვედით, რომ ღვთის შვილები გავხდეთ, მაშინ მთელი

ჩვენი სულიერი ძალები იმას უნდა მოვახმაროთ, რომ უფალი ყოველ ჩვენგანში სუფევდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ ღვთის შიშით შეიძლება, ამიტომაც ეწოდება სამსჯავროს საშინელი. თუ ამას ნაწილობრივ მაინც მოვახერხებთ, თუ ამას ჩვენი სულიერი ცხოვრების კონსტანტად ვაცქევთ, თუ შევეცდებით, რომ ეს ჩვენი მუდმივი მდგომარეობა გახდეს და არასოდეს განგვეშოროს, მაშინ ეს ნამდვილად ჩვენს მიერ უფლისადმი აღვლენილი დიდება იქნება. და თუ ნამდვილად გვიყვარს ქრისტე, თუ გვინდა გვიყვარდეს მოყვასი და ვაცხონოთ სული ჩვენი, მაშინ განუწყვეტლივ უნდა მივისწრაფოდეთ ღვთისკენ, საკუთარ თავზე ვიმუშაოთ, თავი განვიკითხოთ, ცოდვები შევინანოთ – და ეს ყველაფერი არასოდეს მოგვწყინდეს, არასოდეს დავისვენოთ.

და მაშინ უფალი დიდითა წყალობითა თვისითა ღირს-გვყოფს, რათა გვესმას მისი ტკბილი ხმა: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი სოფლის დასაბამიდან“ (მათე, 25,34).

ამინ!

სარჩევი

თავი I. სიტყვა „შემინდე“ სძლევს სატანას 3
დიდია ადამიანის ღირსება 4
ბოროტება თავისთავად არაფერია 6
ასეთ სიკეთეთა მიმღებელმა ესოდენი ბოროტება როგორ აირჩიე? 9
ერთი კაცის მორჩილებით მრავალნი გახდებიან მართალნი 11
ჩემი ცოდვა სამყაროს ამახინჯებს 12
ყოველი სიტყვის პასუხად მივუგოთ: „შემინდე “ 14

თავი II. ცოდვებისგან სინანულის გზით ვთავისუფლდებით 16
უფალი სულგრძელია ჩვენდამი, რამეთუ არავის
წარწყმედა არ ნებავს 17
ღვთის მაცხოვნებელი ძალა 22
შვილო, შენი ცოდვები ჩემს კისერზე იყოს 26
ვინც იბრძვის, გადარჩება 29
საქმე, რომელიც ყველა სხვა საქმეს მოიცავს 32
ეკლესიაში ყველაფერი საყოველთაოა 34
ღვთის ნების მყოფელი წარუვალია უკუნისამდე 35

თავი III. საიდუმლოთა საიდუმლო 37
ყოველი მღვდელმოქმედების დასასრული წმინდა ზიარებაა 38
მსწრაფლ განვიბანოთ ბიწი ცოდვისა 40
წინაშე კარსა ტაძრისა შენისასა წარდგომილ ვარ 41
რამეთუ უღირსად მოვიღებ... 43

თავი IV. სიყვარული განდევნის შიშს 46
უსაზღვროა უფლის კაცთმოყვარება 47
არ არსებობს მიუტევებელი ცოდვა, გარდა შეუნანებელისა 50
როცა ხელახლა დაეცემი, ხელახლა შეინანე 52

ცოდვა თქვენზედა არა უფლებდეს 54
მოიძულე ცოდვა და გიყვარდეს ცოდვილი 55
ცოდვის შიში ვერ გვიხსნის ცოდვისგან, უფლისმიერი სიხარული
კი გვაცხონებს 58
ჩემი დაფარული ისეთი არ არის, როგორიც ხილული 59

თავი V. ყოველი დაბადებული მცირე ჩანასახით იწყება 62
განუმზადეთ გზა უფალს 63
ორღანივით მომართეთ თავი 64
საიდან დავიწყოთ? 68
ღმერთისკენ მიმავალი გზა ლოცვაა 70
ვილოცოთ ისე, რომ ჩვენი ლოცვა შესმენილ იქნეს 72
ლოცვითი კანონი ჩვენი უძლურების გამო არსებობს 75
ვენახის პატრონი სულ ახლოსაა 77
კერპნი ვნებათანი აღვმართენ მე უბადრუკმან 82

თავი VI. წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ 86
არ არის საკმარისი თქვა: „ცოდვილი ვარ“ 87
ცოდვილი ინანიებს და მოექცევა, ცრუსულიერი კი წარსაწყმედად
არის განწირული 92
ცოდვა, რომელიც სინდისისს ამძიმებს, არ გვავიწყდება 95
ნუ ენდობი საკუთარ ცრემლებს 97
მდუმარება საუკუნო ცხოვრების საიდუმლოა 98
ღმერთი განსჯის 101

თავი VII. შევედით იწროისაგან ბჭისა 103
ფართო და ვრცელი გზა, რომელსაც წარწყმედისაკენ მიჰყავს 104
სიმდაბლე და თავის უარყოფა 107
ჩვენი სული ამქვეყნად ძველთან ერთად მოდის 111
ძე შეცთომილი 113
მოკვდი ყველაფრისათვის, რაც შენ გეკუთვნის 115

თავი VIII. სინანული ძველის დატევება და მის გამო მწუხარებაა 117
მცირედი ცრემლით შეუძლებელია მრავალი
უშჯულოების აღხოცვა 118
გულის შემუსვრილებას გამოსწორება მოსდევს 120

ერთი ადამიანის ცოდვა ყველა მის ახლობელს კრავს 122
ახალ ცხოვრებას ვერ დაიწყებ, თუ ძველი არ შეინანე 123
ქანანელი დედაკაცი 126
განსაცდელებს სინანულისკენ მივყავართ 128
არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ
რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ 134
ცოდვები მოგვეტევება, როცა ჩვენში მათ მიმართ
მიდრეკილება აღმოიფხვრება 136
აღიღე ცხედარი შენი და წარვედ 139

თავი IX. სიმართლე, რომელიც უნდა აღსრულდეს 142
სიმართლე ღმრთისა გამოჩინებულ არს 143
ღმერთი მხოლო ჭეშმარიტ, და ყოველი კაცი ცრუ არს 145
უფალი არაფრისაგან ქმნის 148
თავი უშურველად დაიდანაშაულე, წაგებული რომ არ დარჩე 151
შიში შობს გლოვას, გლოვა კი – სიმამაცეს 153
თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი 156

თავი X. მორჩილების თავისუფლება.....158
არაფერი გვსურდეს, გარდა იმისა, რაც ღმერთს უყვარს
და სურს 159
საკუთარ თავს მინდობილთ იმთავითვე წარწყმედა გველოდა 160
მორჩილების ვიწრო გზით 164
სულიერი მოძღვარი 169
დაუკვირდით, როგორ უსმენთ 172
იფიქრე, რომ მოძღვარში სული წმიდაა დამკვიდრებული და
იგი გეტყვის, რაც შენთვისაა საჭირო 175
ყოველ პატარა ცოდვას დიდ ცოდვამდე მივყავართ 179
აჰა ესერა, მე და ყრმანი, რომელი მომცნა მე ღმერთმან 182
მონანულს უფალი აძლევს თავის მშვიდობასა და
თავისუფლებას – უყვარდეს იგი 185
ყველაზე საშინელი ჯვარი, რომელიც გვეძლევა,
არჩევანის თავისუფლებაა 188

თავი XI. სულიერი გზის დასაბამი და დასასრული ღვთის შიშია 192
განღებულ არს ჩვენს წინაშე ჯოჯოხეთის უფსკრული 193
მხოლოდ ერთი რამაა საშიში – კერძოდ, ცოდვა 195
სრულყოფილებას იმისთვის ვესწრაფვი, რომ რაც შეიძლება
მეტი მივცე ღმერთს 198
ის, ვინც მიწიერსაა მიჯაჭვული, შეუძლებელია ზეციერს
ესწრაფოდეს 200
ღვთის შვილობისაკენ მიმავალი გზა სინანულია 202
ხშირად უნდა ჩაუღრმავდე საკუთარ თავს და
ჰკითხო: სად ვარ მე? 204

თავი XII. სასუფევლის კარიბჭესთან 207
ცხოვრება ღმერთში 208
გახსოვდეს სიკვდილი 211
შიში და სიყვარული ერთად შევკრათ 214
ზეცაში საკუთარი თავის განსჯა აღმოჩნდა სწორედ
სიყვარულის სავსება 216
პირველ ყოვლისა – ღვთის სიყვარული 218
ერთსულ უნდა ვიყოთ ღმერთთან 221

წიგნი გამოსაცემად მომზადდა
თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერში

თარგმანზე მუშაობდნენ:
მონაზონი ანისია (ქობალია)
მონაზონი ირინე (იოსელიანი)

დამკაბადონებელი მაკა ცომაია
ყდის დიზაინი რუსუდან ერისთავი
კომპიუტერული მომსახურება მაგდა გიგლემიანი

	სსამეზრდ	სრ
	23.05.2016	№ 618

ISBN 978-9941-0-8859-9
9 789941 088599

დეკანოზი ალექსი უშინსკი მოსკოვის ცხოველსმყოფელი სამების ტაძრის წინამძღვარია. სასულიერო მოღვაწეობისთვის იგი არქიმანდრიტმა იოანე კრესტიანკინმა აკურთხა. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ავტორია მრავალრიცხოვანი პუბლიკაციისა ქრისტიანული პედაგოგიკის თემაზე, დღემდე ნამყვანია სატელევიზიო გადაცემისა „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“. საკმარისია, მამა ალექსის მოუსმინო ტაძარში, უყურო ტელეგადაცემას მისი მონანილეობით, წაიკითხო ინტერვიუ ან ნებისმიერი პუბლიკაცია, პირველი, რაც გაოცებას იწვევს, არის მისი უნარი, წარმოაჩინოს თემა სრულიად ახლებურად და მოულოდნელი კუთხით, საინტერესოდ მიაწოდოს მსმენელს მთელი მისი სიღრმე და მშვენიერება.

რაზე მოგვითხრობს წიგნი?

ვიდრე ადამიანი აღსარებაზე მივიდოდეს, ვიდრე ხელში აიღებდეს წიგნს ცოდვების ჩამონათვალით, მან სახარება უნდა წაიკითხოს და დაინახოს, თუ როგორ მიდიან უფალთან ცოდვილები: როგორ მიდის მასთან მეძავი და უფალი მას შეუნდობს, როგორ მიდის მასთან უძღები შვილი და იგი მას ღებულობს, როგორ მიდიან მასთან სრულიად სხვადასხვა ადამიანები, შემზარავები და სნეულები, და როგორ ეძცევა იგი მათ, რა სიყვარულით უმზერს ადამიანებს, რომლებიც მას ჯვარს-აცვამენ, აფურთხებენ, სილას ანნავენ! თუ ადამიანი ამას დაინახავს, მას ცხოვრებისა აღარ შეეშინდება. იგი მიხვდება, რომ ქრისტე სიცოცხლეს ნებისმიერ ადამიანს ანიჭებს, ყველაზე საშინელსა და უვარგისსაც კი. ადამიანი იგრძნობს, რომ ქრისტეა მასთან, რომ ქრისტე სძლევს მის ნაცვლად ცოდვას. და მაშინ კაცი ცოდვასთან ცხოვრებას უკვე აღარ მოისურვებს.

აღსარება ყოველ ჯერზე განსაკუთრებულ, პირად ღვაწლს მოითხოვს, მოითხოვს არა მარტო ღვთის შენევნას, არამედ ცოდვასთან ბრძოლის გადაწყვეტილებას. გულწრფელი სინანული შეიძლება ხშირად ძალიან უსიამოვნო და მტკივნეული გრძნობა იყოს, მაგრამ სასიხარულოცაა იმით, რომ როცა კაცი საკუთარ ცოდვას დაინახავს, იმავე დროს მას ამ ცოდვისაგან გათავისუფლების შესაძლებლობაც ეძლევა.

მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ გამოცდილებაზე დაფუძნებული დეკანოზ ალექსის წიგნი დაგვეხმარება, რომ სინანულისა და აღსარების გზით შევურიგდეთ ღმერთს, მოყვასს და საკუთარ თავს.